ჩვენი მწერლობა

№22(48)

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 26 ოქტომბერი 2007

სიყვარულის მეფე

მაკქალერსის ნოველა

პარლამენტური სამეფოს იდეალი

დასკვნები ეროვნული გამოცდებიდან

ემზარ კვიტაიშვილის ლექსები

როდის კვდება ენა

შინაარსი

რეფორმები, რეფორმები	2	**„ჰაკის მონობა“, „კუზმას შემართება“ და დასკვნები ეროვნული გამოცდებიდან** (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება კახა ჯამბურია)
პარადოქსები	6	**როდის კვდება ენა**
ექსპრეს-ინტერვიუ	7	**სიყვარულის მეფე** (ფარუკ ჯუვაიდას ესაუბრება მერაბ ზურაბაშვილი)
პროზა	9	**გურამ ოდიშარია პრეზიდენტის კატა**
პოეზია	23	**ემზარ კვიტაიშვილი ბავშვობაში დაბრუნება მომესურვა**
პირველი შთაბეჭდილება	26	**მაკა ჯოხაძე სულისმოთქმა**
ესეისტიკა	27	**მერილინ რობინსონი უდაბური ადგილები**
სად წაიყვან სადაურსა	30	**დმიტრი მარტი „პოეზია იბადება ქაოსიდან!“**
	31	**ვალერი ზაიცევი რაინისი, როგორც საშუალება ინტეგრაციისა**
დიალოგი	32	**მთავარია მსახიობს გქონდეს სათქმელი** (შორენა ციქარაშვილს ესაუბრება მურმან ჯინორია)
როგორ ვკითხულობთ კლასიკას	34	**ავთანდილ ნიკოლეიშვილი შეფარვით უთქვამს** (საბჭოური სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური ასახვა გიორგი ლეონიძის პოეზიაში)
დეტექტიური ცდა	38	**როსტომ ჩხეიძე ეკლიანი და პატარა გზა**
რეპორტაჟი	46	**დავით კურაპალატის ისტორიული მისია** (მანანა გაბაშვილის საჯარო ლექცია)
ერი და ბედისწერა	50	**საბა სულხანიშვილი პარლამენტური სამეფოს იდეალი და რომანტიკა**
კრიტიკა	52	**ცირა ბარბაქაძე თამაში ერთისთვის**
თეატრალური სიახლენი	55	**თათია ჯგუშია მარადი გარსის აპოლოგია**
პოეზიის მერიდიანები	56	**ჟაკ პრევერი ბარბარა**
უცხოური ნოველა	57	**ქარსონ მაკქალერსი მადამ ზილინსკი და ფინეთის მეფე**
სპორტი	61	**გივი გამრეკელი ანანდი – მსოფლიოს მეთხუთმეტე ჩემპიონი**
მოზაიკა	63	**სოფლის კლუბის შორიახლოს**

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **ლევან ჩხეიძე**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან ბიწაძე**

გარეკანზე: **კლოდ მონე, ქალი სენ-ადრესის ბაღში**
გურამ ოდიშარია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 9 ნოემბერს

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

„ჰაკის მონობა“, „კუზმას შემართება“ და დასკვნები ეროვნული გამოცდებიდან

ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება კახა ჯამბურია

ეროვნული გამოცდები დამთავრდა. შედეგები შეჯამებულია და ალბათ უკვე დასკვნებზეც შეიძლება მსჯელობა. როგორ გადაიარა წელს ამ ტალღამ, როგორ მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო რეფორმა, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი მომავალი თაობის ბედი და, საერთოდ, როგორ აზროვნებს ის ახალგაზრდობა, ქვეყნის ხვალინდელი დღე რომ უნდა განსაზღვროს? ჩვენი საუბარიც გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელთან ბატონ კახა ჯამბურიასთან სწორედ ამ კითხვით დაიწყო და ბევრ საინტერესო საკითხს შეეხო.

– ეს თემა, – ამბობს ბატონი კახა, – უნდა დავყოთ ორ საკითხად: წელს ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო ტესტის გარდა იყო არჩევითი გამოცდაც ლიტერატურაში, რომელიც მხოლოდ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულმა ფაკულტეტმა აირჩია. ამ ორ ტესტს შორის დიდი განსხვავებაა. სავალდებულო გამოცდაზე, რომელიც დაახლოებით 40000 აბიტურიენტმა ჩააბარა, ჩაჭრის პროცენტი დაბალი იყო, რადგან მინიმალური ზღვარი 15 ქულით განისაზღვრა. საშუალო ქულა კი იყო 57. ამ წლების მანძილზე, რაც ქვეყანაში ეროვნული გამოცდები ტარდება, მუდმივად გამოდის კრებულები – როგორ უნდა მოემზადონ ბავშვები ამ ტესტებისათვის და რა მეთოდით უნდა ამუშაონ ისინი პედაგოგებმა. ამიტომ გვეგონა, რომ თანდათანობით აბიტურიენტები უკეთ მომზადებულები მოვიდოდნენ გამოცდებზე და შედეგებიც უკეთესი გვექნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. შეიძლება ითქვას, პირიქითაც არის, ერთი-ორი ისეთი ნამუშევარიც კი შეგვხვდა, რომ სერიოზულად შეგვაშფოთა. ცხადია, იყო ძალზე კარგი ნაწერებიც. ამ თემებს გამოვაქვეყნებთ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას და როგორ წერენ ახალგაზრდები.

– შემაშფოთებელიო, – თქვით. იქნებ გვითხრათ, რას გულისხმობდით, და თუ შეგიძლიათ მაგალითისთვის ნიმუშებიც რომ გაგვაცნოთ.

– განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა აბიტურიენტი მსჯელობს ისე, რომ ეს არის ტექსტის არაადეკვატური გაგების აშკარა ნიმუში (მას მწერლის ჩანაფიქრი საერთოდ არ ესმის) და უფრო უარესიც – იკვეთება ტენდენცია, რომელიც სცილდება ეროვნული გამოცდების პრობლემებს და, ვფიქრობ, ფართო საზოგადოების განსჯის საგნად უნდა იქცეს – დავფიქრდეთ იმაზე, რატომ აზროვნებენ ახალგაზრდები ასე. მაგალითად: ტესტში იყო ასეთი დავალება: მოყვანილია ამონარიდი ნაწარმოებიდან – ეპიზოდი, რომელშიც ჰაკი აძბა და კუზმა კილგა გემბანზე საუბრობენ და ჰაკი თავისი ძიძიშვილის გადარჩენას ცდილობს. ამ ეპიზოდის მიხედვით აბიტურიენტს უნდა ემსჯელა ჰაკის პიროვნული თვისებების შესახებ. დაეხასიათებინა კუზმა კილგა და აეხსნა, რა არის აქ მთავარი სათქმელი. ამ ახალგაზრდამ კი დაწერა, რომ ჰაკი არარაობაა, რომ ამ მონაკვეთში იკვეთება მისი მონური თვისებები, და ეს დაასაბუთა ამგვარად (სტილი დაცულია, თემაში ენობრივი შეცდომაც ბევრია):

„იგი ცხოვრობს სხვა ადამიანის უღელქვეშ და უჯუშის გარეშე არაფერს წარმოადგენს. ეს ყველაფერი კი გამოწვეული იყო იმიტომ, რომ ამას ავალებდა არსებული ტრადიცია ძიძიშვილობის შესახებ. მისი სულიერი თვალსაზრისი თავსდებოდა დაკანონებული კოდექსის ჩარჩოებში და სრულიად არ ფიქრობდა, რომ ცხოვრება მოითხოვდა ძირეულ გარდაქმნას, რათა არ ჩამორჩენოდა დროს”.

ჩანს, მას ბოლშევიკი კუზმა კილგა მოსწონს – „ჰაკის საპირისპიროდ არის ადამიანი, რომელიც აღწევს დასახულ მიზნებს” – და, ამ აბიტურიენტის აზრით, მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება ნებადართულია – „იგი ყველანაირად იბრძვის იმისთვის, რომ დაიმკვიდროს საკუთარი მეობა. კუზმას პიროვნების სიძლიერეს ადასტურებს ჰაკის გველური, პირფერი ბუნებაც“. და მოჰყავს ციტატი ტექსტიდან: „შენ გემორჩილება ქარიშხალიც, კაპიტან! ო, დიდი ხარ, ძალიან დიდი“. მერე კი აგრძელებს:

„კუზმას სიძლიერეს ფეხქვეშ ეგებიან, მისი შიშით თრთის ყოველივე, იგი არ ემორჩილება დროს, ამინდს, სიცივეს. იგი აღემატება ყველაფერს. ჩემი აზრით კუზმამრისხანეს ტიტანური შემართება მისაბაძია თითოეული ადამიანისთვის, ხოლო ჰაკის მონური ზნეობა დასაგმობი“.

ამ ახალგაზრდამ ასე უკუღმართად რომ გაიგო ტექსტი, მხოლოდ უცოდინრობის ბრალი არ არის. გარდა იმისა, რომ მას არ ესმის, რატომ დაწერა ლეო ქიაჩელმა ეს ნაწარმოები და რა იყო მწერლის მთავარი სათქმელი, აი, რა ტენდენცია შეიმჩნევა ასეთ ნაწერებში: (ამით ამთავრებს ეს აბიტურიენტი თავის მსჯელობას):

„მათგან ერთი მოკვდა საერთოდ უსახელოდ, ისე როგორც მონას შეეფერებოდა და გაცამტვერდა მისი პიროვნება, ხოლო მეორე – კუზმა კილგა დარჩა მარადიული სიძლიერის სიმბოლოდ”.

ამ ახალგაზრდას მოსწონს ის, რომ კუზმა აღწევს მიზანს. რა გზებითა და საშუალებებით, ის ამაზე აღარ ფიქრობს. ეს იმის ნიშანია, რომ თაობაში ირღვევა ზნეობრივი

ნორმები, იშლება მორალური კრიტერიუმები. ეს ერთი შემთხვევა რომ იყოს, ისიც საგანგაშო იქნებოდა, არადა, მე მხოლოდ ერთი თხზულების ნაწყვეტები მოვიყვანე მაგალითად, თორემ მსგავსი ნამუშევარი რამდენიმე სხვაც იყო. ეს არ არის მარტო სასწავლო პროცესის ბრალი. აქ შეიძლება ვისაუბროთ მასმედიისა და, საერთოდ, საზოგადოების როლზეც – ეს ყველაფერი შედეგია იმისა, რა ზნეობრივი ორიენტირებიც აქვს დღევანდელ საზოგადოებას, რა ესმის თაობას ოჯახში, სკოლაში, სამეგობროში, ტელევიზიით...

– თუმცა თქვენ აღნიშნეთ, რომ კარგი ნამუშევრებიც იყო, რაც გვაიმედებს, რომ არც ისე ცუდად არის საქმე...

– რა თქმა უნდა. განსაკუთრებით მიხარია ახალგაზრდების წარმატებები არჩევით გამოცდაზე ლიტერატურაში. ეს საკმაოდ რთული ტესტი იყო, მით უმეტეს რთული იყო წერითი დავალება, რომელშიც აბიტურიენტებს მივეცით პოსტმოდერნისტული ტექსტი აკა მორჩილაძის ნაწარმოებიდან „წიგნი“. ამ ეპიზოდში მოხუცებული ნურადინ-ფრიდონი, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი, ყვება ისტორიას, თუ როგორ მივიდა მასთან ორი რაინდი, ოღონდ არა ისე, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“, არამედ როგორც ვითომ სინამდვილეში იყო (ანუ ეს არის ტექსტის სხვაგვარი წაკითხვა).

კახა ჯამბურია

აბიტურიენტებს ევალებოდათ დაეხასიათებინათ ნურადინ-ფრიდონი ამ ტექსტის მიხედვით, ასევე ემსჯელათ რა კავშირია ამ თხზულებასა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. განსაკუთრებით რთული იყო დავალების ბოლო ნაწილი – აბიტურიენტებს უნდა ჩამოეყალიბებინათ – რა ურთიერთკავშირი არსებობს მხატვრულ გამონაგონსა და ობიექტურ რეალობას შორის ამ ტექსტის მიხედვით. ამ საკითხზე მსჯელობა შესაძლოა კარგ ლიტერატორსაც კი გაუჭირდეს. მიუხედავად ამისა, ორმა აბიტურიენტმა მიიღო უმაღლესი შეფასება ამ წერით დავალებაში, ერთმა კი, მთელ ტესტში ასი (ანუ მაქსიმალური) ქულა დააგროვა. ასეთი რამ სავალდებულო გამოცდაზე წელს არ მომხდარა, მაქსიმალური ქულა იქ (100-დან) 98 იყო. ამან დაგვარწმუნა, რომ ლიტერატურის არჩევითი გამოცდა უფრო შემოქმედებითია, ეს ტესტი უფრო კარგად ავლენს ახალგაზრდის ნიჭსა და ჰუმანიტარულ მიდრეკილებას. სავალდებულო გამოცდა კი მთლიანად პროგრამას ემყარება და მეტ-ნაკლებად მაინც ცოდნას ამოწმებს. სხვათა შორის, სავალდებულო გამოცდიდანაც გავიხსენებ ერთ ნამუშევარს: ერთ-ერთი ტესტის წერით ნაწილში იყო დავალება ფატმანზე – ამ პერსონაჟის შესახებ „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრებილი ეპიზოდების მიხედვით აბიტურიენტს უნდა ემსჯელა მისი პიროვნული თვისებების შესახებ. ერთმა ახალგაზრდამ ასეთი რამ დაწერა:

„უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ფატმანი ძალიან ჭკვიანია. იგი თავისუფლად უძღვება საქმეებს მაშინ, როდესაც მისი ქმარი სახლში არ იმყოფება. იღებს ვაჭრებს და ფასს ადებს საქონელს“. ანუ აქ აბიტურიენტი პერსონაჟის დადებით თვისებებს ახსენებს მაშინ, როცა მანამდე უარყოფით მხარეზე საუბრობდა, მერე კი წერს:

„მისი ყველაზე დიდი დამსახურება მაინც ის არის, რომ მან დიდი როლი ითამაშა ნესტანისა და ტარიელის ხელახლა შეყრაში, თავისი გულკეთილობითა და წინდახედულებით შეძლო დაეხსნა და გაეპარებინა ნესტან-დარეჯანი. აღსანიშნავია მისი გულუხვობაც. ეს ქალი, ალბათ, ყველაზე მრავალმხრივი პერსონაჟია ამ ნაწარმოებში. მის შინაგან სამყაროში უჩვეულოდაა შერწყმული ისეთი თვისებები, როგორიცაა სისასტიკე და სიკეთე, ორგულობა და მოყვასისათვის თავდადება. ფატმანი ისეთი პიროვნებაა, როგორ საზოგადოებაშიც ცხოვრობს. იგი ვაჭართა წრის წარმომადგენელია, მათთვის კი არ არის დამახასიათებელი არც ვაჟკაცობა და არც ღირსეული ქალობა. ყოველ შემთხვევაში ასეა “ვეფხისტყაოსანში”“.

აი, ასე თავისუფლად, გამართულად და ძალზე კარგადაც მსჯელობენ ახალგაზრდები, მაგრამ ასეთ აბიტურიენტთა რიცხვი ცოტაა. ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების შედეგების მიხედვით გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ თაობის დიდ ნაწილს აკლია ზოგადი განათლება, წიგნიერება და წიგნის სიყვარული, რაც ძალზე გულდასაწყვეტია...

– თქვენ იმედოვნებდით, რომ ყოველწლიურად გაუმჯობესდებოდა შედეგი, თუმცა ასე არ მოხდა. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? ნაწილობრივ უკვე ისაუბრეთ ამის შესახებ, როცა თქვით, დღეს ახალგაზრდები წიგნით არ ცხოვრობენო, მაგრამ რას იტყოდით საკითხის მეორე მხარეზე – რამდენად სწორად მიდის ეროვნულ გამოცდებზე მუშაობის პროცესი?

– ეროვნული გამოცდების სისტემა საქართველოში არსებულ სასწავლო პროცესზეა მორგებული და, ჩემი აზრით, თვით საგამოცდო მოდელში ხარვეზები თითქმის არ არის (აბსოლუტურად უნაკლო სისტემა საერთოდ არ არსებობს). ახლა ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ სასწავლო პროცესის ნაკლოვანებებზე: საგანმანათლებლო პროგრამები მთლიანად შესაცვლელია; ჩამოსაყალიბებელია ახალი საათობრივი ბადეც...

გასაკეთებელი ამ მხრივ ბევრია, მაგრამ მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, მაინც მასწავლებელია. ვფიქრობ, ყველაფერი დამოკიდებულია პედაგოგზე. რაგინდ კარგი პროგრამა და სახელმძღვანელოც არ უნდა გვქონდეს, თუ მასწავლებელი პროფესიონალი არ არის, სასურველ შე-

დეგს ვერ მივიღებთ. კარგი პედაგოგი ცუდი სახელმძღვანელოს პირობებშიც ახერხებდა შეეყვარებინა მოსწავლისთვის ქართული ლიტერატურა.

ახლა ჩვენ სწორედ მასწავლებელთა სერტიფიცირებაზე ვიწყებთ მუშაობას. ცალკეული დავალებების აპრობაციები უკვე ჩავატარეთ და პირველმა შედეგებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენი ქართულის მასწავლებლები ხშირად გამართულადაც კი ვერ აყალიბებენ აზრს. ერთი-ორი ისეთი კურიოზული ნაწერი გვაქვს, გამოქვეყნებისაგან, უბრალოდ, თავს ვიკავებთ, რადგან ეს არა მხოლოდ ჩვენი სკოლის, არამედ მთლიანად საზოგადოების სირცხვილია. ამიტომ, ჩემი აზრით, უწინარესად ამ პრობლემას უნდა მივხედოთ. თუ მათი მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, ვერ წარმომიდგენია, რომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს უკეთესობისაკენ.

– ალბათ ეს იმის ბრალიც არის, რომ ახალგაზრდები დღეს სკოლაში ნაკლებად მიდიან. სკოლას ძირითადად ძველმა თაობამ უერთგულა. გამოცდილება, თავისთავად, ძალზე კარგია, თუმცა ამ პედაგოგთა დიდი ნაწილი წლების მანძილზე ერთი – დაკანონებული სისტემით ხელმძღვანელობდა და ახალ, რეფორმატორულ პროცესებზე მორგება მათთვის იოლი არ არის...

– რასაკვირველია, ერთ-ერთი მიზეზი ესეც არის. თუმცა ახალგაზრდები ნაკლებად რომ მიდიან სკოლაში, ეს ისევ და ისევ დაბალი ანაზღაურების გამო ხდება. პედაგოგობა ძალზე რთული პროფესიაა – მასწავლებელმა მთელი ცხოვრება უნდა იმუშაოს მოსწავლეებთანაც და საკუთარ თავზეც. იგი მუდმივად უნდა ეძებდეს სიახლეებს სწავლების პროცესში, მეთოდიკაში. ამის დრო და შესაძლებლობა რომ ჰქონდეს პედაგოგს, ის მაინც არ უნდა ჰქონდეს საფიქრალი, როგორ იყიდოს პური. დღეს რომ მასწავლებელი უკიდურესად შეჭირვებულია, ეს ეტყობა საგანმანათლებლო პროცესსაც, აბიტურიენტის ნაწერებსაც, სასწავლო დონესაც და, საერთოდ, თაობასაც.

რაც შეეხება სასწავლო გეგმებს და სახელმძღვანელოებს, ამ მხრივ სასიკეთო ძვრები უკვე შეინიშნება. მაგალითად, ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით თამაზ ვასაძემ უკვე შეადგინა მეათე კლასის სრულიად ახალი ტიპის სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში. ეს პირველი ნაბიჯია, რომელიც რთული გადასადგმელი იყო, თუმცა მისი გაუმჯობესება შეიძლება...

– სხვათა შორის, ამ წიგნს პედაგოგთა მხრიდან არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა...

– ისინი საყვედურობენ, რთული წიგნიაო, მასალა დიდიაო... საერთოდ, სახელმძღვანელო უნდა მომზადდეს არა ყველაზე სუსტი, არამედ საუკეთესო კლასისათვის. პედაგოგმა კი ამ მასალიდან ის უნდა ამოიღოს, რის ათვისებასაც მისი კლასის მოსწავლეები შეძლებენ. ეს ევროპული ტიპის სახელმძღვანელოა, რომელსაც უნდა მოჰყვეს მასწავლებლის წიგნი, რომელშიც დაწვრილებით იქნება აღწერილი მეთოდიკა – როგორ უნდა იმუშაოს პედაგოგმა. სამწუხაროა ის, რომ სახელმძღვანელოებზე მხოლოდ რამდენიმე ავტორი მუშაობს. კარგი იქნებოდა საქმე ასარჩევად გვქონდეს...

– არაერთხელ ითქვა, რომ საგამოცდო ტესტებზე სპეციალისტებთან ერთად ფსიქოლოგებიც მუშაობენ. თვითონ ტესტირება, როგორც მეთოდი ცოდნის შემოწმებისა, რაღაც ახალია ჩვენთვის. როგორ ფიქრობთ, გაამართლა ამ ფორმამ? რამდენად კარგად და სრულყოფილად ამოწმებს ტესტი აბიტურიენტის ცოდნას?

– წელს კვლევის ჯგუფმა, რომელიც ფსიქოლოგებით არის დაკომპლექტებული, ჩაატარა ფსიქომეტრული ანალიზი და შედეგები ჩვენი ცენტრის ვებგვერდზე გამოაქვეყნა. ამ ანალიზით კარგად ჩანს, ვარგა თუ არა ესა თუ ის ტესტი იმის გამოსავლენად, რის შემოწმებასაც ვისახავდით მიზნად.

საერთოდ ტესტირება მთლად ახალიც არ არის. უბრალოდ მისაღები გამოცდების ფორმა შეიცვალა ასე 2005 წელს, თორემ მე-9 კლასში ჯერ კიდევ 2000 წელს ჩაატარა ტესტირება განათლების მაშინდელმა ალექსანდრე კარტოზიამ. ცხადია, ტესტირება მხოლოდ და მხოლოდ შეფასების, ცოდნის შემოწმების საშუალებაა და არა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა.

თუმცა, ამ ფაქტმა მეორე წელს ის შედეგი გამოიღო, რომ მოსწავლეები მიუბრუნდნენ წიგნს (მაშინ ახალი გამოცემული იყო ვახტანგ როდონაიას, მარინე გიგინეიშვილისა და ლაურა გრიგოლაშვილის მიერ მომზადებული, ძალზე კარგად შედგენილი სახელმძღვანელო მე-9 კლასისათვის: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ რომელსაც ახლავს შესანიშნავი ლექსიკონი და კომენტარები).

ბავშვებმა დაიწყეს წიგნზე მუშაობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ტესტირების პროცესის კარგი ორგანიზება მაშინ ვერ მოხერხდა, სკოლები ყველაფერს თვითონ უძღვებოდნენ და, ცხადია, პროცესი ხარვეზებით წარიმართა, მაგრამ პირველივე წლის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროგრამა გადატვირთული იყო. არ შეიძლება ცამეტი საუკუნის მწერლობა ერთ წელიწადში გაიაროს ბავშვმა, თანაც 14-15 წლის ასაკში. ახლა, თორმეტწლიან სწავლებაზე რომ გადავედით, უფრო კარგად მოხერხდება ამ მასალის გადანაწილება. მოსწავლე ხუთ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს ზედიზედ კი არ ისწავლის, არამედ, ვთქვათ, წელიწადში ერთს და თანაც პედაგოგიკის მთავარი პრინციპის დაცვით – მარტივიდან რთულისაკენ.

– თორმეტწლიანი სწავლება ახსენეთ... ამ სისტემის შემოღებასაც ბევრნაირი ხმაური მოჰყვა. სხვათა შორის, ისეთი ჭორიც დაირხა, თითქოს ამ ყველაფერს მოსდევს ცვლილება მისაღებ გამოცდებზეც – ამბობენ განმსაზღვრელი სკოლის ატესტატის საშუალო ქულა იქნებაო...

– ყველას ვურჩევ: ნუ აყვებიან თბილისურ ჭორებს. ეროვნული გამოცდები იქნება 2008-შიც, 2009-შიც, ოღონდ 2009-ისათვის შეიცვლება ტესტის ფორმატი, რადგან ის უკვე მეთორმეტეკლასდამთავრებულ აბიტურიენტთათვის შედგება. თუ რა იქნება არსებული ფორმატისგან განსხვავებული, ამას მოსწავლეებიც და პედაგოგებიც შეიტყობენ 2008 წლის ოქტომბერში გამოცემული კრებულიდან: „როგორ მოვემზადოთ ეროვნული გამოცდებისათვის“, სადაც ჩამოყალიბებული იქნება პროგრამაც, მოთხოვნებიც, დავალებების ნიმუშებიც და შეფასების კრიტერიუმებიც თავისი კომენტარებითურთ.

– ისე... იმ ჭორს ჰქონდა ერთი სარწმუნო მხარეც – პირადად მე ვიფიქრე: ალბათ განათლების სამინისტრო იმაზე დაფიქრდა, დღესდღეობით ატესტატს არანაირი ფასი რომ აღარ აქვს-მეთქი. ამის გამო ხომ მოსწავლეე-

ბი მხოლოდ შერჩევით საგნებს სწავლობენ. ეს ყველაფერი კი ზოგადსაგანმანათლებლო დონეზეც აისახება...

– ამ კითხვით, ალბათ, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებს უნდა მიმართოთ, რადგან ეს თემა სასწავლო პროცესის პრობლემებს ეხება. აი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე რომ ვსაუბრობდეთ, მაშინ ზოგიერთი მოწინავე ევროპული ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებაც შეიძლებოდა: ბევრგან სკოლებში ტარდება გამოსაშვები გამოცდები და შემდეგ მოსწავლეებს ამ ქულებით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ უმაღლეს სასწავლებლებში კონტინგენტის მისაღებად გამართულ კონკურსში...

– ალბათ აქაც ამ მოდელს გულისხმობდნენ...

– გამორიცხული არ არის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეროვნული გამოცდების ჩატარება უკვე გაცილებით ფართო მასშტაბით მოგვიწევს – ანუ უნდა ჩააბაროს ყველამ, ვინც ამთავრებს სკოლას, არადა, სწავლის გაგრძელებას ყველა ხომ არ აპირებს? ამიტომ ჩნდება პრობლემა: როგორ მოვახერხებთ ამის ორგანიზებას მთელი ქვეყნის მასშტაბით – თითოეულ ქალაქსა თუ სოფელში? საგამოცდო პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით ეს ძალზე რთული იქნება. გარდა ამისა, არის მეორე საკითხიც: აუცილებელია თუ არა, რომ ასეთი გამოცდა ჩააბაროს იმანაც, ვინც არ აპირებს უმაღლესში სწავლის გაგრძელებას, სურს დაამთავროს სკოლა და დაიწყოს მუშაობა. მგონი, უბრალოდ, იმას უნდა ვეცადოთ, რომ ფასი დაედოს ატესტატს...

– ცხადია, მატერიალურ ფასს არ გულისხმობთ, მორალური ფასის დადება კი ცოტა რთული იქნება მაშინ, როცა ატესტატს არანაირი პრივილეგია არ გააჩნია.

– რატომ? უატესტატოდ ხომ ვერავინ გააგრძელებს სწავლას უმაღლესში? საქმე ის არის, რომ მასწავლებლებმა სკოლაში ტყუილად არავის უნდა დაუწერონ ნიშანი. პედაგოგმა და, საერთოდ, სკოლამ მოსწავლეს უნდა მოსთხოვოს ის, რაც მას ევალება. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდება. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ დღესდღეობით სასკოლო განათლების სისტემაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. განათლების სამინისტროს მესვეურები, არ ვიცი რამდენად წარმატებულად, მაგრამ ამის მოგვარებაზეც ზრუნავენ, ასე რომ, საქმე და გასაკეთებელი ძალიან ბევრია...

– ასეთი „ბევრი საქმის“ ფონზე პირადი შემოქმედებისათვის თუ იცლით? რა ხდება ამ ასპარეზზე? თქვენ გაქვთ საინტერესო ლიტერატურული წერილების სერია, ასევე სადისერტაციო ნაშრომი იოანე ბატონიშვილის „კალმასობაზე“... ხომ არ აპირებთ ამ ყველაფრის წიგნად შეკვრასა და გამოცემას?

– დრო საერთოდ აღარ მაქვს იმისთვის, რომ მეცნიერებას დავუბრუნდე და გამოკვლევები ვწერო. ჩემი წიგნის გამოცემაზე კი ერთი მარტივი მიზეზის გამო არ მიფიქრია: სამწუხაროდ, ამ ტიპის ლიტერატურას მკითხველი აღარ ჰყავს. სამეცნიეროს ვინ ჩივის, გული იმაზე მწყდება, რომ მხატვრულ ნაწარმოებებსაც არ კითხულობენ. თუ ჩვენს ქვეყანაში არ შეიცვალა დამოკიდებულება განათლების, მეცნიერების და ხელოვნების მიმართ, საქმე ცუდად იქნება. მაგალითად, დღესდღეობით, ყველაზე პოპულარული მწერალი ახალგაზრდებში, თუ არ ვცდები, აკა მორჩილაძეა. მისი წიგნების ტირაჟი რომ გაიკითხოთ, გაგიკვირდებათ, ისეთი მცირეა. ახლახან გამოვიდა მისი „მეიდ ინ ტიფლის“ – ძალზე კარგი მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ არ იყიდება. ასეთ ვითარებაში ვის აინტერესებს ჩემი სადისერტაციო ნაშრომი? დღეს იოანე ბატონიშვილიც კი არ იცის ბევრმა და მის “კალმასობაზე” დაწერილ სამეცნიერო კვლევას ვინ წაიკითხავს...

– იცით, სამეცნიერო ლიტერატურას ყოველთვის და ყველგან ისედაც ვიწრო სფეროში კითხულობდნენ. დღესაც ხომ არიან ახალგაზრდები, ამ გზით წასვლას რომ აპირებენ. თქვენი გამოკვლევა მათთვის გაკვალული ბილიკი იქნება, ამიტომ მგონი მოვალეც ხართ გამოსცეთ, ასე არ უნდა ჩაიქნიოთ ხელი...

– არა, ხელი არ ჩამიქნევია, პირიქით – ლიტერატურის არჩევით გამოცდაზე აბიტურიენტთა წარმატების შესახებ რომ ვსაუბრობდით, სწორედ ეს მაძლევს იმედს, რომ ამ თაობაში ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდებიც არიან. ისეთი ნიჭიერებიც კი, რომ შეუძლიათ კორნელი კეკელიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვა დიდ მეცნიერთა მსგავსი სკოლები შექმნან. ეს ხომ უძლიერესი და უბრწყინვალესი თაობა იყო XX საუკუნის ისტორიაში. სხვათა შორის, 60-70-იან წლებშიც მაღალ დონეზე იყო ქართული მეცნიერება.

დღევანდელობას რაც შეეხება, ჩვენ გვყავს ძალზე მაღალი დონის მეცნიერები და მოაზროვნეები: ბაჩანა ბრეგვაძე, რევაზ სირაძე, დავით წერედიანი, ლაურა გრიგოლაშვილი, თამაზ ჩხენკელი და, საბედნიეროდ, ბევრი სხვაც. მათგან უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ. თუ ეს ხალხი საქმეს ჩამოშორდა, მეცნიერებაში ახალი თაობა ვერ აღიზრდება და როცა ვამბობდი: მეცნიერებისადმი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს-მეთქი, ამასაც ვგულისხმობდი. არ შეიძლება ასეთი კადრები უსაქმოდ დატოვო.

ბაჩანა ბრეგვაძეს, მაგალითად, სულ აქვს წიგნის გამოცემის პრობლემა. ასე არ უნდა ხდებოდეს. საზოგადოება თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ამ ადამიანებს ყველა პირობა ჰქონდეთ მუშაობისათვის შექმნილი.

– ძველი თაობის როლი ახსენეთ ახალგაზრდებთან მუშაობისას, უთუოდ საკუთარი გამოცდილებითაც – თქვენ ხომ ამ თაობის ბევრ საინტერესო წარმომადგენელთან მოგიწიათ ურთიერთობა. ბატონმა გურამ დოჩანაშვილმა თავისი ბოლო რომანი სულაც თქვენ მოგიძღვნათ...

– ბატონი გურამი მეგობრად მთვლის და ეს ჩემთვის უზარმაზარი პატივია. ძალიან მიყვარს მისი შემოქმედება და ერთგული მკითხველიც ვარ. ის ხშირად ხელნაწერსაც მაკითხებს ხოლმე. ამ ბოლო ხანს იგი წერს ძალზე საინტერესო ავტობიოგრაფიულ რომანს, რომელსაც ნაწილ-ნაწილ ვეცნობი და, ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები იქნება მის შემოქმედებაში. აქ გაცოცხლებულია მთელი ეპოქა, მთელი ის თაობა – ძალზე კარგი სამეგობრო წრე: გურამ დოჩანაშვილი, ვოვა სიხარულიძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ჯონდო მეტრეველი... ეს ის თაობა იყო, მთელს სსრკ-ში პირველმა რომ გააკრა პროკლამაციები 50-იან წლებში. აი, ამ ადამიანებზე იქნება ეს წიგნი: როგორ დაიჭირეს, როგორ გადარჩნენ, როგორ ცხოვრობდნენ...

ერთხელ ბატონი გურამის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ – მკაცრად გააკრიტიკეს, ლამის ფაშიზმი დააბრალეს: აი,

რას გვიქადაგებს დოჩანაშვილი – კარცერ-ლუქსებში ჩავკეტოთ ხალხიო. ეს წერილი მაშინ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა, რაც იმ დროს მკაცრი განაჩენის ტოლფასი იყო. ჟურნალ „მნათობში“ კი „ვატერ(პო)ლო“ დაიწუნეს. მაშინ ახალგაზრდები გამოვეხმაურეთ ამ სტატიებს. მეც დავბეჭდე წერილი ალმანახში „კრიტიკა“. მერე მწერალთა კავშირში რომ იმართებოდა განხილვები, იქ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ნელ-ნელა დავახლოვდით, დავმეგობრდით, რადგან ბევრ საკითხში ემთხვეოდა ჩვენი ინტერესები ერთმანეთს. ლიტერატურის ინსტიტუტში რომ ვმუშაობდი, გამოდიოდა ძალიან კარგი ჟურნალი: “ლიტერატურა და ხელოვნება”. სწორედ ამ გამოცემისთვის ბატონ გურამს ინტერვიუ ვთხოვე და რედაქციაში მოვიწვიე. ვრცელი დიალოგი გამოგვივიდა. მახსოვს ორ ნაწილად დაიბეჭდა, ოღონდ არა ამ ალმანახში, არამედ „ლიტერატურულ საქართველოში“. ეს იყო თითქმის ოცი წლის წინათ. მას ძალიან უყვარს ქართული მწერლობა. შეგვიძლია დიდხანს ვისაუბროთ, ვთქვათ, დავით გურამიშვილის ან ჯემალ ქარჩხაძის შესახებ.

უამრავი საინტერესო რამ აქვს ჩემთვის მოყოლილი იმის შესახებ, თუ როგორ წერდა „სამოსელ პირველს“... იმედია, ამ ყველაფერს თავის ავტობიოგრაფიულ რომანში დაწერს და ეს საინტერესო ამბები არ დაიკარგება...

– გისმენთ და ვფიქრობ: ძალზე საინტერესო ლიტერატურული ცხოვრება გქონიათ, დღესაც საინტერესო საქმეს უძღვებით – ბოლოს და ბოლოს ახალგაზრდობაზე, მომავალზე ზრუნვა ხომ უმთავრესია ჩვენს ცხოვრებაში... და, ალბათ, მნიშვნელოვანი გეგმებიც გაქვთ როგორც ერთ, ისე მეორე ასპარეზზე...

– ძნელია ჩვენს ქვეყანაში შორეულ გეგმებზე ისაუბრო. ახლა ძალიან დატვირთულები ვართ. ჩვენი ჯგუფი რამდენიმე საქმეზე ერთდროულად მუშაობს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მასწავლებელთა სერტიფიცირება მგონია. მინდა, რომ ამ სერტიფიკატს ჰქონდეს ძალა და ის მხოლოდ ღირსეულებმა მიიღონ. ალბათ ეს იქნება საკმაოდ რთული ტესტები, ბევრად რთული, ვიდრე თუნდაც ეროვნულ გამოცდებზე იყო. ამიტომ მისი მომზადება იოლი საქმე არ არის.

ახლა გვიწევს მთელი ქართული მწერლობისა თუ სამეცნიერო ლიტერატურის დაუსრულებლად კითხვა, რათა იქიდან ამოვიღოთ ტექსტები და შევქმნათ დავალებები პედაგოგებისათვის. მთელი ჩემი დრო და ენერგია ამ საქმეს მიაქვს. თან პარალელურად მოსამზადებელი გვაქვს 2008 წლის ეროვნული გამოცდების ტესტები და, წარმოიდგინეთ, ამავე დროს 2009 წლისთვის ტესტის ახალ მოდელზეც ვმუშაობთ და ეს ყველაფერი დროულად და ხარისხიანად რომ გაკეთდეს, მზადება უკვე დავიწყეთ. უნდა ჩატარდეს ახალი დავალებების აპრობაციები, გაკეთდეს ფსიქომეტრული ანალიზი და ა.შ. ეს ყველაფერი მზადდება იმ საკონსულტაციო საბჭოსთან შეთანხმებით, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ცნობილი მეცნიერები, ისინი, ვისაც ენდობა საზოგადოება. ჩვენ ხომ უმნიშვნელოვანესი საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი, რომელსაც რამდენიმე კაცი დახურულ კარს მიღმა ვერ გადაჭრის.

ასე რომ, დროც და ენერგიაც ახლა ამ საქმეზე მეხარჯება, სხვა ვერაფერზე ვფიქრობ და სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით ვერაფერს ვგეგმავ... სამწუხაროდ!

როდის კვდება ენა

ცივილიზაცია აუნაზღაურებელ დანაკლისს განიცდის. ყოველ ორ კვირაში მსოფლიო ენათაგან ერთი კვდება. ეს შესაძლოა სრული პასუხისმგებლობით შეფასდეს კატასტროფად, რომელიც თავის მასშტაბით ცხოველთა იშვიათი ჯიშების გადაშენებასაც აჭარბებს.

უპრეცედენტო სისწრაფით მიმდინარე ენების გაქრობის პროცესი მსოფლიოს კულტურული სურათის მნიშვნელოვანი შეცვლით იმუქრება. „ენის დაკარგვასთან ერთად ქრება მთელი საუკუნეები კაცობრიობის აზროვნებისა დროის, გარემოს, მათემატიკის, მითების მუსიკისა და შეუცნობელი აწმყოს შესახებ“ – ამბობს ავტორი წიგნისა „როდის კვდება ენები“, ლინგვისტიკის პროფესორი დევიდ ჰარისონი.

ამჟამად მსოფლიოში შვიდი ათასამდე ენა და დიალექტი არსებობს. უახლოეს 100 წელიწადში კაცობრიობა მათ ნახევარს, მათთან ერთად კი ამ ენებზე მოსაუბრე ხალხთა ისტორიას, კულტურას, ცოდნას დაჰკარგავს. უფრო მეტი საფრთხე ორენოვან ქვეყნებს ემუქრებათ, სადაც გაბატონებული მეტყველება უბრალოდ თელავს მეორეს. ავისმომასწავლებელ რეიტინგს სათავეში უდგას ავსტრალია, სადაც 153 ენა დარჩა, ცენტრალური ამერიკა (113), ოკლაჰომა და ტეხასი (40), აღმოსავლეთ ციმბირი, იაპონია და ჩინეთი 23-23 ენით.

ბრიტანეთის ცოცხალ ენათა ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც დიალექტთა გადაშენების პრობლემას იკვლევენ, კატასტროფის მთავარ დამნაშავეებს ასახელებენ. გლობალიზაცია და მიგრაცია აიძულებენ კაცობრიობას ილაპარაკონ მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე საყოველთაო ენაზე. მაგალითად, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ ენებზე მოსახლეობის თითქმის 80% საუბრობს. და ეს ციფრი თანდათან იზრდება. თუმცა არც აქ არის მთლად კარგად საქმე. რუსეთში, მაგალითად, გაბატონებულ ენას გაქრობა არ ემუქრება, მაგრამ „დიდებული და ძლიერი“ ენის მატარებელნი საკუთარი ხელით კლავენ სიტყვიერ სიმდიდრეს. რუსული ენა თანდათან ნეოლოგიზმთა ძალზედ მწირ ნარევად იქცევა – ე.წ. „რუნგლიშად“.

ენების მოსპობას ხელი თავის დროზე კოლონიზატორებმაც შეუწყვეს.

ენა მათ უკანასკნელ მეტყველებთან ერთად კვდება, ამიტომ საშიშროება უპირველესად ემუქრება იმ ხალხებს, რომელთაც არ გააჩნიათ დამწერლობა. რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენას, დირექტორის, გრეგ ანდერსონის შეფასებით, ერთი ენის სამეცნიერო ჩანაწერის შესასრულებლად 3-4 წელი და 200 000 ფუნტია (დაახლოებით 400 000 დოლარი) საჭირო. საზოგადოებები, რომელთა ენებსა და დიალექტს გადაშენება ემუქრებათ, მუდმივად მიმართავენ ლინგვისტებს დასახმარებლად, მაგრამ ეგაა, ფული არა ჰყოფნით.

ფარუკ ჯუვაიდა დაიბადა ქაფარ აშ–შაიხის გუბერნიაში. ბავშვობა და სიყმაწვილე გაატარა ალ–ბუჰაირას გუბერნიაში.

1968 წელს დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება. ამავე წელს მუშაობა დაიწყო გაზეთ „ალ–აჰრამის“ ეკონომიკის განყოფილების კორესპონდენტად.

1975 წლიდან დაინიშნა ამავე გაზეთის რედაქციის მდივნად, ხოლო 1978 წლიდან კი – კულტურისა და ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელად. ამჟამად გაზეთ „ალ–აჰრამის“ რედაქციის დირექტორია და ამავე გაზეთის კულტურისა და ლიტერატურის განყოფილების უფროსი.

შემოქმედებითი მოღვაწეობისას 40 წიგნზე მეტი გამოსცა (ლექსების კრებულები, პიესები, საგზაურო და პოლიტიკური, კულტურული საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნები).

2002 წელს მიიღო სახელმწიფო პრემია განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლიტერატურაში.

2007 წელს მიიღო ქავაფისის საერთაშორისო პრემია განსაკუთრებული ღვაწლისათვის პოეზიაში.

სიყვარულის მეფე

ფარუკ ჯუვაიდას ესაუბრება მერაბ ზურაბაშვილი

– ბატონო ფარუკ, უპირველესად, მოგესალმებით საქართველოდან და დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ დაგვეთანხმეთ, გამოგენახათ დრო და პასუხი გაგეცათ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ კითხვებზე. ქართველი მკითხველი საკმაოდ კარგად იცნობს არაბული ლიტერატურის არა მხოლოდ კლასიკურ ძეგლებს, არამედ თანამედროვე მწერლობის ბევრ თვალსაჩინო წარმომადგენელსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან დღემდე თითქმის არავინ იცის თქვენი შესანიშნავი ლექსების – კასიდების შესახებ.

თქვენ არა მარტო ეგვიპტეში და არაბულ სამყაროში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცნობილი პოეტი ბრძანდებით. რომელ ენებზეა თარგმნილი თქვენი ლექსები?

– უკვე მრავალი წელია, რაც ჩემს კასიდებს თარგმნიან მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, ბენგალურ, სპარსულ, ჩინურ, თურქულ და ბერძნულ ენებზე. გარდა იმისა, რომ თარგმანები გამოიცა წიგნების, კრებულების სახით, არაბული ქვეყნებისა და საზღვარგარეთის რამდენიმე უნივერსიტეტში მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა და დისერტაცია დაიწერა ჩემი ლექსების შესახებ.

– როდიდან დაიწყეთ ლექსების წერა, რამდენი კრებული გაქვთ გამოქვეყნებული?

– ლექსების წერა 11 წლისამ დავიწყე დაწყებით სკოლაში სწავლისას. დღემდე გამოცემული მაქვს 42 წიგნი, მათ შორის 17 ლექსების კრებული, 3 პიესა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი. გამოვეცი აგრეთვე რამდენიმე წიგნი, რომელიც არაბული სამყაროს პოლიტიკისა და კულტურის საჭირბოროტო საკითხებს ეძღვნება.

– არაბმა მკითხველმა „სიყვარულის მეფე“ დაგარქვათ და, როგორც თქვენი ლექსების კრებულის მთარგმნელმა, უნდა აღვნიშნო, სამართლიანადაც. თვითონ რით ახსნით, რატომ შეგარქვეს ეს საპატიო სახელი – „სიყვარულის მეფე“?

– „სიყვარულის მეფე“ კრიტიკოსებმა შემარქვეს ჯერ კიდევ ჩემი შემოქმედების დასაწყისში, რომელიც ემთხვევა იმ პერიოდს, როცა პოეზიაში რეალიზმმა იმძლავრა (60–70 იან წწ). იმ დროისათვის სოციალისტურ იდეებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა პოეზიის სხვადასხვა ჟანრებში. მაშინ, როცა ჩემი რომანტიკული კასიდები გამოჩნდა – 70 იანი წლების შუა ხანებში – ეს უცხო, არაჩვეულებრივი რამ იყო ლიტერატურაში და ძალზე დიდი გავლენა მოახდინა ეგვიპტელ და, საერთოდ, არაბ მკითხველზე. იმ დღიდან შემარქვეს კრიტიკოსებმა სიყვარულის მეფე, რადგან ჩემი პოეზია მართლაც ახალი სიტყვა იყო და მკითხველთა განსაკუთრებული გამოხმაურებაც მოჰყვა.

– თქვენს ლექსებს როცა ვთარგმნიდი, ვგრძნობდი, რომ ახლაც შეყვარებული ხართ. სიყვარული დიდი ნიჭიაო, ნათქვამია. თქვენ რას იტყოდით?

– მე კვლავ ვეტრფი ყველა ლამაზ გრძნობას პოეზიაში, ხელოვნებაში და, საერთოდ, ცხოვრებაში. სიყვარული მართლაც რომ უდიდესი ნიჭია, სამყაროსეულ ბედისწერათაგან ულამაზესი. ადამიანს ცხოვრებაში მრავალი რამის მოპოვება შეუძლია: წარმატების, სიმდიდრის, დიდების, მაგრამ მას არ ძალუძს, შეიგრძნოს თუნდაც წამი სიყვარულისა, თუ ბედისწერამ ეს არ ინება... სიყვარული, ჩემი აზრით, სამყაროს ულამაზესი ბედის ვარსკვლავია და ამიტომაც ჩვენ მის სხივს უნდა ჩავებღაუჭოთ, არ გავუშვათ, როცა ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრება.

– სიყვარულის თემა მარადიული და საყოველთაოა. უამრავი კრებულია შექმნილი ამ ამოუწურავ თემაზე. და მაინც, რით ახსნით თქვენი კრებულის – „ჩემი ულამაზესი კასიდები სიყვარულზე“ – პოპულარობას?

– ეჭვი არაა, რომ სიყვარულის თემა კაცობრიობის დასაბამიდან უძველესთაგანია. არსებობს ისეთი რაღაც, რაც თავის ირგვლივ აერთიანებს შეყვარებულებს ყველა ქვეყნიდან. კასიდები სიყვარულზე, სიმღერები სიყვარულზე, მხატვრული ტილოები სიყვარულზე – ყოველივე ეს ის

სფეროებია, რომლებიც ერთმანეთს ახვედრებს შეყვარებულებს სამყაროს ყოველი კუთხიდან განურჩევლად მათი ენისა, ფერისა თუ ეროვნებისა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სიყვარული საყოველთაო ენაა და გრძნობები მთელი კაცობრიობის მეუფეა. ამიტომაც მოიპოვა პოპულარობა ჩემმა წიგნმა „ჩემი ულამაზესი კასიდები სიყვარულზე“, რომელიც მსოფლიოს ათზე მეტ ენაზე ითარგმნა და ნებისმიერი ქვეყნის მკითხველში მსგავს განცდებს აღძრავს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გრძნობები ერთმანეთთან აკავშირებს ხალხებს, სადაც უნდა იყვნენ ისინი.

– თანამედროვე ლიტერატურაში მიმდინარეობათა მრავალფეროვნებაა. თუ შეიძლება მოკლედ გვითხარით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში. რომელი ლიტერატურული მიმდინარეობაა უფრო პოპულარული არაბ მკითხველებში და რატომ?

– მრავალი მიმდინარეობა, მიმართულება არსებობს, რომელმაც თავისი კვალი დაატყო არაბულ პოეზიას, მაგრამ რეალიზმი უფრო დიდხანს იყო გაბატონებული, მძლავრი გავლენაც მოახდინა რომანზე და განსაკუთრებით კი თეატრზე. 60 იან წლებში სოციალისტურ მიმდინარეობებს დიდი გავლენა ჰქონდათ არაბ შემოქმედებზე, გარდა ამისა, იმდროინდელ ახალგაზრდობაში ფართო გავრცელდა ეგზისტენციალიზმი, შემდეგ დეზინტეგრაციონალიზმი, სტრუქტურალიზმი და სხვა ახალი მიმდინარეობანი. პირადად მე არ მივეკუთვნები რომელიმე განსაზღვრულ პოეტურ მიმდინარეობას და, მიუხედავად შემოქმედებაში დასავლეთის გავლენისა, მე მაინც მირჩევნია, არაბულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე ვიდგე მყარად.

– როგორია თქვენი შეხედულება დღევანდელ არაბულ პოეზიაზე?

– თანამედროვე არაბული პოეზია ამჟამად დიდ კრიზისს განიცდის: იგი გლობალიზაციის, ნოვატორიზმისა და ტექნოლოგიის პირისპირ აღმოჩნდა. საერთაშორისო მოვლენებმა დიდ კვალი დატოვეს მსოფლიო პოეზიაზე, ხოლო არაბული პოეზია კი ამ სამყაროს კონსტრუქციის ერთი ის ნაწილთაგანია, რომელზეც თანამედროვე ცივილიზაცია გაივლის. ემიგრაცია, გადახვეწა – სამშობლოსაგან შორს ცხოვრება, რომელიც დღეს ამ ეპოქის მრავალი ადამიანის ხვედრია, იწვევს ინდივიდუალურობის დაკარგვას, ნათესაობა–წარმომავლობის გაქრობას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს არაბული პოეზიის ყველა ჟანრზე.

– თუ შეიძლება გვიამბეთ თქვენი შემოქმედებითი ლაბორატორიის შესახებ?

– შემოქმედება ჩემთვის ადამიანური სულია, ყოველივე იმ სიკეთესთან ერთად, რაც მასში დევს. მიმაჩნია, რომ სიკეთეა უპირველეს ყოვლისა... ამგვარად უნდა იყოს ცხოვრებაში... შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, გულწრფელად გამოხატო ცხოვრების სიმშვენიერე თავისი ყველა ასპექტით: სიკეთით, მიმზიდველობით, სამართლიანობით...

– მინდა აღვნიშნო, რომ თქვენი კრებულის თარგმნის პროცესში ხშირად მახსენდებოდა შექსპირის სონეტები. შეიძლება პარალელების გავლება თქვენსა და რომელიმე ევროპელ პოეტს შორის?

– შექსპირთან შედარება ჩემთვის დიდი პატივია, მითუმეტეს, რომ განსაკუთრებით მიყვარს იგი. ძალიან მომწონს აგრეთვე ბოდლერის, რემბოს, შელის, ბაირონისა და აგრეთვე ქავაფისის პოეზია, რომლის სახელობის საერთაშორისო პრემიაც მომანიჭეს ამ ბოლო ხანებში.

– როგორც ვიცით, არაბულ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული გაზეთ „ალ-აჰრამის“ კულტურისა და ლიტერატურის განყოფილების რედაქტორიც ბრძანდებით. რა როლს უნდა ასრულებდეს, თქვენი აზრით, თანამედროვე პოეტი, მწერალი მკითხველის ცხოვრებაში?

– უეჭველია, რომ პოეტი დიდ როლს ასრულებს ხალხის ცხოვრებაში. ვერ წარმომიდგენია პოეტი, რომელიც თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისგან შორს დგას. პოეტს არ შეუძლია იცხოვროს სპილოს ძვლისაგან ნაგებ კოშკში და არ ახსოვდეს თავისი საზოგადოების სატკივარი. პოეტის ადგილი, როგორც წესი, ხალხშია. მათში უნდა ტრიალებდეს, მათ განცდებსა და ოცნებებს გამოხატავდეს. მე ვერ წარმომიდგენია პოეტი მმართველის სასახლეში ან პოლიტიკური პარტიის მებუკედ. პოეტი ხალხისთვის, ყველა ადამიანისთვის მღერის. იგი სიმართლეს, ჭეშმარიტებას, სილამაზეს უმღერის. შეუძლებელია წარმოიდგინო პოეტი, რომელიც მოუწოდებს ბოროტების, სისაძაგლის ან ნგრევისაკენ. პოეტები ამ შეშლილი სამყაროს მოციქულები არიან, მათ კისერზეა ჰარმონიის აღდგენა მსოფლიოში, სადაც ძნელად თუ მოიძებნება სამართალი და შეწყალება...

– როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?

– სამომავლოდ მრავალი გეგმა მაქვს განსახორციელებელი. მათ შორის, მინდა დავწერო პიესა ამერიკის მიერ ერაყის დაპყრობის შესახებ, წარმოვაჩინო იმპერიალიზმის საზიზღარი სახე. გარდა ამისა, ამჟამად ვმუშაობ რამდენიმე წიგნის რედაქტირებაზე, სადაც განხილულია პოლიტიკისა და კულტურის საჭირბოროტო საკითხები.

– თუ შეიძლება გვიამბეთ თქვენზე, თქვენი ოჯახის შესახებ.

– ჩემს შესახებ: ვარ ალ აზჰარელი მეცნიერის, ინტელიგენტის ვაჟი. გავიზარდე ლიტერატურულ გარემოში. ჩემს თავს მივაკუთვნებ ძველ და დიდ კულტურულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. დარწმუნებული ვარ, რომ დიალოგი ხალხთა შორის ურთიერთდაახლოებისა და მშვიდობის საუკეთესო საშუალებაა.

– დიდი მადლობა, ბატონო ფარუკ, ინტერვიუსთვის. ვიმედოვნებთ, ჩვენი ურთიერთობა მომა-

სამშაბათს, 30 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება
ტომას სტერნზ ელიოტის
წიგნისა
„ათი ესეი“
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

გურამ ოდიშარია

პრეზიდენტის კატა

64

თხას ნაშრომი მიუძღვნა.

ისიც, როგორც მისი სხვა რამდენიმე ნაშრომი, „აფხაზეთის კოლმეურნის ბიბლიოთეკამ“ ცალკე წიგნად გამოსცა.

აფხაზური თხა გამორჩეულად გამოყო.

რამდენიმე საუკუნის წინათ ქართველი გეოგრაფი ვახუშტი წერდა აფხაზურ თხაზე, რომელსაც არშინნახევრიანი რქები ჰქონდა, წვერი კი მუხლებამდე წვდებოდა.

მიხეილ თემუროვიჩი თხის რამდენიმე თვისებას გამოყოფდა.

წერდა, რომ კარგ თხას ერთი წლის განმავლობაში შეუძლია 800 ლიტრზე მეტი რძე მოიწველოს.

რომ თხის რძე კალციოთაა მდიდარი და სამკურნალოა.

რომ თხის ქონი გაციებისაგან მკურნალობის უნიკალური წამალია. უნდა გაადნო და ავადმყოფს მკერდსა და ყელზე (კისერზეც შეიძლება) წაუსვა.

რომ თხის ტყავი ხალიჩების გასაწყობად გამოიყენება და თუ ცხვრის ტყავის 1 კვადრატული დეციმეტრი 14 კაპიკი ღირს, თხის ტყავი (იმავე ზომის) 30-დან 62,5 კაპიკადაა შეფასებული.

რომ თუ თხას ბალახი მოეწონა (მთავარია მოეწონოს), მაშინ ერთ დღეში 8 კილოგრამზე მეტ ბალახს ჭამს.

რომ თხას უყვარს ნორჩი და სუფთა ბალახი და მის მოსაპოვებლად მთაზე ადის, ციცაბო კლდეებზეც და მისი ეს თვისება ძალზე დასაფასებელია, რადგანაც სხვა არცერთი ბალახისმჭამელი არ არის ისე ადვილი მოსავლელი – დილით გარეკავ, თვითონ მოიძიებს თავის 8 კილო ბალახს სხვებისთვის სრულიად მიუვალ ადგილებში და შებინდებისას თვითონვე დაბრუნდება შინ. თუმცა მწყემსი მაინც სჭირდება, შეიძლება მთებზე სიარულმა გაიტაცოს და გადაიკარგოს.

რომ სოხუმის რაიონის სოფელ ეშერის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში სამაგალითოდ შრომობენ სხვადასხვა ეროვნების მწყემსები.

რომ აღნიშნული გამოკვლევის ავტორმა თვითონ ნახა, როგორ ეხმარებიან ის მწყემსები მშობიარობაში თხებს. ორი-სამი დღე როგორ უვლიდნენ მათ გადახურულ ნაგებობაში და, თუ რომელიმე თხა ტყუპებს იმშობიარებდა, როგორ აძლევდნენ დამატებით რძეს.

რომ ასევე თვითონ იხილა – დიდი ქარებისა და წვიმების დროს როგორ განარიდებენ მწყემსები თავიანთ თხებს ავდარს და როგორ შერეკავენ ფარეხში, ხანაც – მთის მღვიმეებში.

რომ თხას ძალიან უყვარს მარილი, რადგანაც მარილი საჭმლის მონელებაში ეხმარება. და რომც არ ეხმარებოდეს, მაინც უყვარს.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №18,19, 20, 21

რომ დიდებულია თხის ხორცი, განსაკუთრებით, რძეში მოხარშული (თხის რძეში უმჯობესია, თუმცა ძროხის რძეში მოხარშულიც შესანიშნავია).

რომ მეტი ყურადღება ძალიან სჭირდება თხას, მოსამრავლებელია.

რომ აფხაზეთს იმდენი მთა აქვს, ყველგან თხის ფერმები უნდა არსებობდეს.

რომ აფხაზეთის მთების თხებისათვის გამოსადეგარი ტერიტორია, არც მეტი, არც ნაკლები, 89,5 ათასი ჰექტარია.

რომ იმ მთების სახელებია: დაუჩი, ლამკაცი, სოიპსარა, კუნიაშტა, ახარვა, ცეკეზტოუ, ხოჯალა, ანაარა, ჯისპი, ბერჩიგა, აუადჰარა, კუაბცარა, გვანდრა, ცადიმი, გუაგუა, აიპკა, სამხრეთის ურენი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

რომ ვინმემ აფხაზეთის მთები კარგად რომ „გააუთაოს“, შეიძლება, აფხაზეთის ტერიტორია საფრანგეთის ტერიტორიის ტოლიც აღმოჩნდეს (თუმცა, არა, ეს ამ წიგნში არ წერია. ეს მან ფრანგ ჟურნალისტ ქალს უთხრა ერთხელ, როცა ეს უკანასკნელი შეეკითხა – რამხელაა აფხაზეთიო).

65

ყავა 2 პერსონაზე: ჯეზვეში ვყრით 2 ჩაის კოვზ მაღალხარისხოვან ყავას, ვასხამთ 2 ფინჯან წყალს, ვყრით ასევე 2 ჩაის კოვზ შაქარს (ან მეტ შაქარს ვყრით, ან არ ვყრით საერთოდ. ვის როგორი ყავა უყვარს). ჯეზვეს ვდგამთ გაცხელებულ ქვიშაზე (სპეციალურ ელექტროდგამზე გაცხელებულ ქვიშაზე). წამოდუღებამდე მოვხდით ქაფს. ან არ მოვხდით. წამოვადუღებთ. შემდეგ ყავას ჩამოვასხამთ ფინჯნებში. ვისაც სურს, შეუძლია, ყავა ცივი წყლით მიირთვას.

66

სოხუმის მთაზე აუჩქარებლად ადიოდა, სამოცდაათის იყო მაშინ. ფეხით სიარული არც თუ ისე, მაგრამ მაინც უძნელდებოდა. სამოცდაათი წელი, აღმართი... ხუმრობა როდია.

გზად კუკუნა შემოხვდა:

– მიხეილ თემუროვიჩ, რამდენ წელიწადს რჩება მამაკაცი მამაკაცად? აი, გუშინწინ „ნართაში“ რომ ამბობდით, იმ ამბავზე გეკითხებით...

– კუკუნა, დამანებე თავი, არ შემაჩერო.

და გზას განაგრძობდა.

– არა, მაინც რამდენ წელიწადს?..

– არ გამაჩერო, კუკუნა, შემეშვი...

– მაინც?...

– აი, იმ ქალს ხედავ, აი, იმას, ჩემს წინ რომ მიდის? ხედავ? ჰოდა, გამასწრებს, კუკუნა, ის ქალი, წავა და მერე რა აივლის ამ აღმართს? კაცი არა ხარ, არ გამაჩერო... ბუქსირზე მივყავარ იმ ქალს, კუკუნა, ბუქ – სირ – ზე!..

მათ ზემოთ, ოცდაათიოდე ნაბიჯის დაშორებით, სამუსიკო სასწავლებელთან, გრაციოზულად მიირწეოდა შავთმიანი, მაღალი ქალი. უკნიდან ვიოლინოს ჰგავდა ძალიან იმ ქალის სხეული. თანაც იტალიურ ვიოლინოს. ვიოლინოს იქნებ იმიტომ, რომ სამუსიკო სასწავლებლის წინ გადიოდა.

67

В районе гагрской климатической станции, в особенности около гостиниц, слышком много кошек. Предписываем владельцам кошек, надевать на них ошейники. Кошки без ошейников будут уничтожаться (от 21.05.1909 г. №306).

პრეზიდენტის კატა

ომამდე ორიოდე წლით ადრე მისი ინიციატივით ბებეისირში შეიქმნა გენეტიკის ინსტიტუტი. შესასვლელ ჭიშკარსაც ასე ეწერა – „გენეტიკის ინსტიტუტი“. ინსტიტუტს თვითონ ყოველთვის „კოლხეთის გენეტიკის ინსტიტუტად“ მოიხსენიებდა და სურდა იქ გაერთიანებულ მეცნიერებს დაემტკიცებინათ კავკასიელი ხალხებისა და, საერთოდ, კავკასიის ბუნების გენეტიკური ერთიანობა.

ბებეისირის განვითარების გეგმა მან და მისმა მეგობრებმა მოკლედ ასე ჩამოწერეს:

1. ბებეისირის ტბამ დღეში 15 ტონა თევზი უნდა მოგვცეს.

2. უნდა აღდგეს ძველი სარწყავი სისტემა და 300 ჰექტარი ტერიტორია მორწყას.

3. ტბიდან ამოღებულ იქნას საპროფიტი (წელიწადში 25.00 ტონა) და გადამუშავდეს ტორფკომპოსტად.

4. მოშენდეს: 500 სული ძროხა, 200 სული კამეჩი, 10.000 ფრთა ქათამი, 5.000 ფრთა ბატი, 5.000 ფრთა იხვი და 3.000 ფრთა ინდაური.

5. გაღრმავდეს მდინარე სამგლე და 50 ჰექტარზე ათვისებულ იქნას დატბორილი პლანტაციები.

6. შეიქმნას დასასვენებელი და ტურისტული კომპლექსები.

7. შეიქმნას სუბტროპიკულ კულტურათა საცდელ-საჩვენებელი საერთაშორისო სანერგე.

1991 წელს დაიწყო ღია არხით მდინარე ოქუმის შეერთება დიდ ტბასთან, ღელე მოხოხას შესართავთან. შემოზიდულ იქნა ბეტონის, აზბესტის ფილები, რკინის მილები. შეძენილ იქნა სატვირთო მანქანები, ექსკავატორი, ოთხი სამგზავრო და რვა ხის სატვირთო ნავი.

არხის გაყვანის შემდეგ კატერები უშუალოდ ოქუმის ხიდიდან დიდი ტბის გავლით სოხუმამდე დაიწყებდნენ კურსირებას, რაც საზღვაო გზას აჩიგვარადან სოხუმამდე 18 კილომეტრით შეამცირებდა.

გაიხსნა სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „ელიტა“.

სანერგეში უკვე ჰქონდათ და ამრავლებდნენ: ციტრუს იეზუს, ჯამბირს, პოცირუს ლაპინს, იჩანგის ლიმონს. ასევე – ჰიბრიდებიდან სწრაფმზარდ: კოლემანს, რასკის, სევეჯის, 511-ს, ციტრუმკვატს. ეს ჯიშები წარმოშობენ დიდი რაოდენობის სახამებლიან თესლს, რომლითაც ფრინველები იკვებებიან. ჩინელების მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამ თესლით დიდძალი ფრინველის გამოკვება შეიძლება, ბებეისირელები ერთხმად ეთანხმებოდნენ.

1990 წელს გაიხსნა უჯრედის ლაბორატორია, დაიდგა თერმული წყლის გადასამუშავებელი რეაქტორი. საერთოდ, სამეცნიერო-კვლევით კომპლექსს (ყოროფას ნახევარკუნძულზე) 3,4 ჰექტარი ეჭირა.

ასევე მუშაობდნენ: სუბტროპიკული ხურმის, ფეიხოას, თუთის, ავოკადოს, პეკანის, ბამბუკის ჰიბრიდებზე.

ავითარებდნენ მეკამეჩეობასა და გარეულ მეღორეობას. ომამდე 75 კამეჩი ჰყავდათ, მათ შორის, 11 თეთრი.

საუკუნეების წინათ აქიდან ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს თხილის, კაკლის, საზამთროს, მსხლის, ვაშლის ჯიშები გაჰქონდათ. მიხეილ თემუროვიჩი ამტკიცებდა, ასეთი ექსპორტი მომავალშიც განმეორდება, მაგრამ აფხაზეთში გასამრავალფეროვნებელია ხილის ასორტიმენტი. მაგალითად, გასამრავლებელია ფრანგული წაბლი – მარონე და იაპონური ხურმის საადრეო ჯიშები. გარდა ამისა, საკენის ნაკლებმოსავლიანი ნიგოზი უნდა შეიცვალოს ფსხუს ნიგვზითო. კიდევ – თუ ბზიფისა და კოდორის აუზიდან გატანილი ხე-ტყით იერუსალიმში, საფრანგეთში თუ ბულგარეთში ეკლესია-მონასტრებს აშენებდნენ, იმავე ხე-ტყით აფხაზეთში ახალი ეკლესიები უნდა ავაშენოთო.

პირველი ასეთი ეკლესია ბებეისირის აკადემიის ტერიტორიაზე უნდა აგებულიყო. მიხეილ თემუროვიჩის გეგმით, ბებეისირის აკადემიის ტერიტორიაზე სრულიად ახალი ტიპის ბორდელიც უნდა აშენებულიყო: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებსა და მაგისტრატებს დრო არ უნდა დაეკარგათ შავი ზღვისპირეთის პლაჟებზე ქალების ძებნაში. ქალები აუცილებელია – სექსი ავითარებს მეცნიერებას, ადამიანს აზროვნებაში ეხმარებაო.

განსაზღვრული იყო კიდეც ბორდელის პერსონალის რაოდენობა – 50 ქალი. მაგისტრატები კი 30 უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ბებეისირში ხუთი წლის განმავლობაში ისწავლიდნენ მცენარეთა გენეტიკა-მომშენებლობას და ტაქსონომიას.

არ გამომრჩეს – აქ აშენდებოდა აფხაზეთის დისნეი ლენდი. მოკლედ, ადამიანები ბებეისირში ისწავლიდნენ, დაისვენებდნენ, ილოცებდნენ და გაერთობოდნენ, გაეცნობოდნენ ერთმანეთს და იმეგობრებდნენ. ადამიანები მთელი დანარჩენი მსოფლიოდან! ბებეისირში!

ყოველივე ეს დაფინანსდებოდა მათივე შემოსავლებით, კიდევ – უცხოეთის სტუდენტების მიერ სწავლებისათვის გადახდილი ფულით და კიდევ მისაღები (აუცილებლად მისაღები) **ნობელის პრემიით**, რომელიც დაახლოებით ან ზუსტად ერთი მილიონ ოთხასი ათასი დოლარი უნდა ყოფილიყო.

ბებეისირის აკადემია 1991 წელს შეიქმნა. 1992 წლის ნოემბერში ბებეისირში საერთაშორისო სიმპოზიუმი უნდა მოეწვიათ, რომელიც მსოფლიო ბიოლოგიის აქტიურ პრობლემებს განიხილავდა.

1992 წლის 14 აგვისტოს კი აფხაზეთში ომი დაიწყო.

რაც შეეხება სიმპოზიუმის დღის წესრიგს, ასეთი გახლდათ:

გლობალური დათბობა და მისი შეჩერების ბიოლოგიური გზები.

ტრანსპლანტაციის დროს სომატურ უჯრედთა ინტეგრაცია და ინიციალური ტეტრადის წარმოშობა.

კალუსის წარმოშობა, განვითარება და მისი უჯრედოვანი დიფერენციაცია.

ნარინჯოვანთა ქვეოჯახში შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგები.

68

ქალებს გაუმარჯოს! ყველა ქალს! შავთვალება, ცისფერთვალება, თაფლისფერთვალება, ლურჯთვალება ქალებს! ქერათმიან, შავთმიან, ალისფერთმიან ქალებს! გაუმარჯოს!

თონესავით მხურვალე ქალებს, აგვისტოს ზღვასავით მომთენთავებს, აპრილის ნიავივით გრილ ქალებს, თოვლივით, ვერცხლივით ცივ ქალებს გაუმარჯოს! ყველას!

ზაფხულისა და ზამთრის ქალებს! დღისა და ღამის ქალებს, დილის ქალებს! ქალებს – მდინარეებს! ქალებს – მწვერვალებს! ქალებს – ოკეანეებს! ქალებს – ქარებს!

ქალებს – ფრთებს გაუმარჯოს!

ქალებს – პირამიდებს!

ქალებს – აისბერგებს!

იმ ქალებს, რომლებიც ვნებით დამუხტული ძუძუებით უსმენენ სამყაროს და ჯადოსნური თვალებითაც უსმენენ და ბაგეებითაც!

იმათ სინათლეს გაუმარჯოს!

რომლებსაც სულ სადღაც მიეჩქარებათ და თითქოს გვღალატობენ და ერთდროულად თითქოს ერთგულები არიან ჩვენი და ვუყვარვართ!

იმ ქალებს, რომელთა ალერსი და ღიმილი და მიმოხვრა მილიარდი წლისაა უკვე და რომელთა სადღეგრძელოს ეპისკოპოსებიც მათივე ქოშით მათსავე წინაშე დაჩოქილები სვამდნენ!

იმ ქალებს გაუმარჯოს, რომლებსაც ვერასდროს ვეღარ შევხვდებით და მაინც გვიყვარს და იმ ქალებს გაუმარჯოს, რომლებსაც ვხედავთ ყოველდღე და მაინც გვიყვარს! და გვიყვარდა და გვეყვარება!

ფუძიამის ქალებს, საჰარის ქალებს, განგის ქალებს, სტეპების ქალებს, ოკეანეებისა და ზღვების ქალებს, ბიბლიის ქალებს, პრერიების ქალებს, კონტინენტების ქალებს, კოსმოსის ქალებს!

მათ ტაჯმაჰალებს გაუმარჯოს, მათ ტაძრებს, მათ ლექსებს, მათ მელოდიებს! მათ ფერებს – მათ მწვანეს, მათ წითელს, მათ ყვითელს, მათ თეთრს, მათ შავს გაუმარჯოს!

იმ ქალებს გაუმარჯოს, რომლებსაც პოეტები ჰყავთ და იმ ქალებს გაუმარჯოთ, რომლებსაც არა ჰყავთ პოეტები, არც ჰყავდათ და არც ეყოლებათ!

მათ სანაპიროებს, მათ ქუჩებს, მათ პლაჟებს, მათ ოთახებს, მათ ტელეფონებს, მათ აბაზანებს, მათ მისამართებს, მათ საწოლებს გაუმარჯოს!.. მათ სუნამოებს, მათ სუნთქვას, სურნელს!..

მათ ასწლეულებს, რომელშიც ცხოვრობდნენ და მათ ასწლეულებს, რომლებშიც კვლავ დაიბადებიან!

იმ ქალებს გაუმარჯოს, სიყვარულში რომელთაც გაუმართლათ და იმ ქალებს, რომელთაც სიყვარულში არ გაუმართლათ!

მათ სიზმრებს გაუმარჯოს!

მათ სხეულებს, მათ კაბებს, მათ კოსმეტიკას გაუმარჯოს, მათ თეძოებს, ფეხებს, ყელს, ტუჩებს, მკერდს, მათ სიცოცხლეს, მათ აზღუდებს, მათ კვნესას, მათ წვივსაკრავებს...

რომ კვდები და კვდები და კვდები მათში და მაინც ცოცხალი ხარ და თავდები და თავდები და თავდები მათში და მაინც იწყები...

რომ კვდები და თავდები და რომ ცოცხლდები და იწყები და თავდები, კვდები, ცოცხლდები...

იმ წამებს, იმ წამებს გაუმარჯოს!

ქალებს გაუმარჯოს! ყველა ქალს!... რომლებსაც.... რომელთა... რომლებ...

ასე ჩაამთავრა მან სადღეგრძელო და ჩვენს გულებში უმალ მხიარული სინათლე ააფრთხიალა.

69

ბევრს როდი დალევდა ხოლმე, არასოდეს მინახავს მაგარი ნასვამი, უფრო ურთიერთობა ეხალისებოდა. ლაპარაკობდა და ხუმრობდა. არც მოწყენილი მინახავს როდესმე.

მისი მეზობელი ვიყავი და ბევრი რამ ვიცი მასზე. ერთხელ ეზოში შემომხვდა, შეზარხოშებული იყო, თან ვიღაც კაცი ახლდა, გამაცნო, მაგრამ სახელი არ უთქვამს მისი, სულ „დოქტორს“ ეძახდა, ჩემი მეგობარიაო, იმეორებდა.

„დოქტორი“ კი გვარიანად იყო ნასვამი. თავდაპირველად, მეცნიერებათა დოქტორი მეგონა, მაგრამ ექიმი აღმოჩნდა.

ბინაში შემოვიპატიჟე, ამოვიდნენ.

– აი, ჩემი მეგობარი დოქტორი, ისეთი ვინმეა, ვისაც ხელს მოჰკიდებს, ღმერთი იმ კაცს ხელს უცებ უშვებს.

სახეაწითლებული „დოქტორი“ გულიანად იცინოდა, კეთილი კაცი ჩანდა.

– ამას წინეებში ბევრი ეცადა, მაგრამ მაინც ვერაფრით გამოგლიჯა ჩემი ერთი მეგობარი – ვიანორ ფანჯოვიჩი სიცოცხლის კლანჭებს.

მერე ღვინის სადღეგრძელო დალია – არავინ ლოცავს ღვინოს, არადა, ეს როგორ შეიძლებაო. ღვინოსაც გაუმარჯოს და ყველა სხვა სასმელსო: კონიაკს, არაყს, ლიქიორს, ყველა, ყველა სასმელს, განსაკუთრებით „იზაბელას“, ეს ქალური სახელის ღვინო, მართლაც, ქალივით გეფერება შიგნიდან, ოღონდ ქალისაგან განსხვავებით არასოდეს გღალატობსო. „იზაბელას“ „ადესასაც“ უძახიან. ასე რომ, ეს ქალი-ღვინო გახლავთ Изабелла из Одессы.

ციოდა გარეთ. ნოემბრის ბოლო იყო. ცივი ეკლებით გაჭექილი ქარი უბერავდა.

მერე პარიზი გაიხსენა, თუ როგორ სვამდა „მარტინს“ მეგობრებთან ერთად მონმარტრის სიახლოვეს, რესტორანში. როგორ გასინჯა პირველად ბაყაყის ხორცი, რომელიც თავდაპირველად წინილა ეგონა, მაგრამ როცა ნახა, თუ რა ადვილად ეღუნებოდა ძვლები, მიხვდა, რასაც ჭამდა. მეორე ულუფაც მოითხოვა და ხამანწკებიც დააყოლა. ისიც გაიხსენა, როგორ ასეირნეს მეგობრებმა მოტოციკლეტით პარიზის ქუჩებში და როგორ უქნევდა ხელს ჰიპებს.

მერე რომელიღაც ფრანგული ლექსი წაიკითხა.

„დოქტორი“ ფრანგულის მცოდნე აღმოჩნდა:

– ეს ფრანგული არ არის, ეს სხვა ენაა...

– ააა, შენ რა დოქტორო, გეგონა, თანამედროვე ფრანგულად წავიკითხე? არა, on cher, ეს ძველფრანგულია. ეს ენა შენ არ იცი, – თქვა და თვალი ჩამიკრა.

– ისე, ერთი ბოთლი იზაბელას შემდეგ რა ენაზე არ ალაპარაკდები კაცი, – დაამატა და ისევ ჩამიკრა თვალი.

მერე ღვინო დაისხა და თქვა:

– აბა, ამას რა სჯობს – ვსხედვართ ახლა, ერთ საჭმელს ვჭამთ და ერთ ღვინოს ვსვამთ... ისინი, რომლებიც ერთ მაგიდას უსხედან და ერთ ღვინოს სვამენ, ერთსა და იმავე სადღეგრძელოებს რიგ-რიგობით ამბობენ, სულ სხვანაირები არიან, განსხვავებულები. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდებულია; ვერა, ვერც ვერავინ წარმოიდგენს, რას ნიშნავს ეს.

შემდეგ თავის ბინაში გადაგვიყვანა. არ მივდიოდით, მაგრამ იძალა და წაგვიყვანა. კასეტაზე ჩაწერილი გველების სისინი მოგვასმენინა. ეს შეყვარებული გველების ხმებიაო, გვითხრა, ინდოეთიდან მოვიტანე ეს კასეტაო. გველებმა ლეგენდარული სიყვარული იციან, ერთგულები არიანო.

ბოლოს შეყვარებული გველების სახით ყველა შეყვარებული ადღეგრძელა.

ბევრს როდი სვამდა, ლაპარაკობდა და ხუმრობდა უფრო. არც მოწყენილი მინახავს როდესმე.

70

კომკავშირის გალის რაიკომის მდივანმა გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულის რესტორან „მერხეულის“ სიახლოვეს, გორაკს შეფენილ მცირე ტყეში, კომკავშირელი ქალიშვილი გააპატიურა.

კომპარტიის გალის რაიკომის ბიურომ კომკავშირის მდივანი თანამდებობიდან გაათავისუფლა და პარტიის რიგებიდანაც გარიცხა.

მიხეილ თემურავიჩმა მოითხოვა, იმ კომკავშირელის საქმე საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განეხილათ.

განიხილეს კიდეც.

ბიუროს მომხდართან დაკავშირებით დეტალური და ვრცელი ცნობა კომკავშირის გაგრის რაიკომის მდივანმა, ახალგაზრდა ქალბატონმა წარუდგინა.

ინფორმაციაში ხშირად მოიხსენიებოდა რესტორანი „მერხეული“, სადაც კომკავშირელმა ჭაბუკებმა აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოსულ ქალიშვილებთან ერთად მოილხინეს. ასევე ხშირად, ასე ვთქვათ, „ფიგურირებდა“ რესტორანს მიმდებარე გორაკი და ტყე.

– თქვენ კარგად შეისწავლეთ ის, ეგრეთ წოდებული, გაუპატიურების ადგილი? – ჰკითხა მიხეილ თემურავიჩმა კომკავშირის გაგრის მდივანს.

– რა თქმა უნდა, მიხეილ თემურავიჩ.

– ესე იგი, როგორც თქვენ მოგვახსენეთ, ის ვითომ გაუპატიურება ფერდობზე მოხდა.

– რატომ ვითომ გაუპატიურება, მიხეილ თემურავიჩ? იქ მართლაც იქნა ჩადენილი ძალადობრივი სექსუალური აქტი.

– არ მჯერა, ვერ დავიჯერებ, არა... თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ არ შეგისწავლიათ ფერდობის დახრილობა. დახრილობა არ შეგისწავლიათ... მისი დაქანება, დაფერდება...

– ფერდობი ჩვეულებრივი ფერდობია, თავისთავად, დახრილია... მეტი რა უნდა შეგვესწავლა?

– როგორ თუ რა, თქვენ მე მაოცებთ, თქვენ ახალგაზრდა პერსპექტიული, დავამატებ – სიმპატიური ქალიშვილი ხართ. მომავალი თქვენია. ეჭვიც არ მეპარება, დაწინაურებაც გელით და ფერდობის დახრილობა არ შეამოწმეთ?

– რატომ უნდა შეგვემოწმებინა?

– აი, თუნდაც – რამდენი გრადუსითაა ფერდობი დაქანებული? უნდა დაგედგინათ ფერდობის დახრილობის გრადუსი. ხომ არსებობს შესაბამისი ხელსაწყოები?

– კი მაგრამ, მიხეილ თემურავიჩ... რისთვის იყო ეს საჭირო?

– როგორ თუ რისთვის? მაოცებთ ძალიან. აი, ერთხელ კიდევ გამაოცეთ. აბა, კარგად მომისმინეთ – თუ ფერდობის დახრილობა ორმოცდახუთ გრადუსზე მეტია, იქ სექსუალური აქტის ჩატარება შეუძლებელია. ესე იგი, ასეთ სიტუაციაში მამრი ვერა და ვერ შეძლებს მდედრის გაუპატიურებას. მამრი ჩამოსრიალდება. ნებისმიერი მამრი ჩამოსრიალდება, კომკავშირის მდივანიც კი. ის კი არა, საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდება.. ორმოცდახუთი გრადუსი! დაიმახსოვრეთ ეს, ვინიცობაა გამოგადგეთ მომავალში. ასე რომ, იმ სიტუაციაში შეუძლებელი იყო იმ საქმის გაკეთება, რაზედაც დღეს ამდენი დრო დაგვაკარგინეთ, ძვირფასო ამხანაგო. მე კარგად ვიცნობ მერხეულის მიდამოებს, სულ ფეხით მაქვს იქაურობ მოვლილი. განსაკუთრებულად კარგად ვიცი ის გორაკი და ტყე.

შემდეგ ბიუროს წევრებს მიმართა:

– ამხანაგებო, მე მაინც მაქვს მცირეოდენი ეჭვი, რომ მერხეულელი „გმირი“ მთლად სწორად არ მოქმედებდა, მაგრამ პარტიის რიგებიდან გარიცხვას მაინც არ იმსახურებს. გალელი ამხანაგებიც მას ზომაზე მეტად მკაცრად მოექცნენ. ამიტომაც შემომაქვს წინადადება – აღვადგინოთ ის პარტიის რიგებში და გავაგზავნოთ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, სადაც, იმედია, კარგად შეითვისებს უმაღლეს პარტიულ ეთიკას და ასევე ისწავლის, თუ როგორ უნდა მოეპყრას ნამდვილი კომუნისტი ქალებს.

ბიუროს სხდომიდან ზუსტად კვირისთავზე გალის ყოფილი ლიდერი-კომკავშირელი სასწავლებლად მოსკოვში ჩაფრინდა.

71

1962 წლის დეკემბერი იდგა.

ალბათ, დეკემბერი.

მახსოვს, ციოდა.

გარეთ ციოდა, ოთახში კი არა.

მიხეილ თემურავიჩი და მამაჩემი მაგიდას უსხდნენ. მეც მათ გვერდით ვიჯექი. პატარა ბიჭი ვიყავი მაშინ.

მიხეილ თემურავიჩი და მამაჩემი კონიაკს სვამდნენ. საუბრობდნენ. სადღაც, კარიბის ზღვის თავზე, ზოგან ავიამზიდებიდან აფრენილი თვითმფრინავები გადაიწუილებდნენ, გადაფხაჭნიდნენ ცას. ზოგან – კრეისერები და სარაკეტო გემები მიაპობდნენ წყლის აზნექილ-ჩაზნექილ ზედაპირს. ბიჭვინთაში ოთახებს ამზადებდნენ კარიბის ზღვის კრიზისის მთავარი ავტორისთვის – ნიკიტა ხრუშჩოვისათვის – მას შავი ზღვის პირას უნდა დაესვენა. ჯონ კენედი თეთრი სახლის ყველაზე პატარა ოთახში იყო ჩაკეტილი, სადაზვერვო თვითმფრინავიდან გადაღებულ კუბას დაჰყურებდა, ერთიმეორის მიყოლებით ჩაწკაპულ საბჭოთა რაკეტებს ჩაშტერებოდა. კენედი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა, ოთახში არავის უშვებდა, ჟაკლინსაც. III მსოფლიო ომი სახლს იყო მომდგარი და აუჩქარებ-

ლად აღებდა სეიფივით ჩაკეტილ კარებს. კიდევ – ოთხი საბჭოთა წყალქვეშა ნავი მიიძურწებოდა კარიბის ზღვისაკენ. ისინი, ოთხივენი, ატომგულიანი ტორპედებით იყვნენ დახუნძლულები. წყალქვეშა ნავებს კოსმოსიდანაც დასცქეროდნენ ამერიკელები და გემებიდანც, ცდილობდნენ, დიდხანს ჰყოლოდათ წყალქვეშ, რათა აკუმულატორები „დაცლოდათ“ და მათ დასატუმბად ზღვის ზედაპირზე ამოცურებულიყვნენ (წყალქვეშები ხომ ატომურები არ იყვნენ).

სადღაც, აფრიკაში, პატარა ბიჭები შუბით დაკოჭლებულ ანტილოპას მისდევდნენ, ავსტრალიაში ესპანელი ემიგრანტი გიტარაზე ანდალუზიურ მელოდიას აქვითინებდა. ტაილანდში, ბანგკოკის სიახლოვეს, „ვარდების ბაღში“, ქალი ორქიდეებს რგავდა ქოქოსის ნაჭუჭში. საბერძნეთში, როდოსზე, ლურჯი ქარი უბერავდა, ფუძიამაზე თენდებოდა...

სწორედ მაშინ, ჩვენთან, სოხუმში, ოთხივე მხრიდან ღვინოსავით გამოჟონა დეკემბრის ვარდისფერმა და ცივმა შეღამებამ...

მიხეილ თემუროვიჩი ფანჯრიდან გაღიმებული აჰყურებდა მთვარეს. მთვარე კონიაკით სავსე ჭიქის ფსკერს ჰგავდა. რაღაცნაირად ლივლივებდა კიდეც.

მიხეილ თემუროვიჩი და მამაჩემი კონიაკს სვამდნენ. საუბრობდნენ.

შემდეგ მიხეილ თემუროვიჩი წამოდგა, წიგნის თაროსთან მივიდა, იქიდან რამდენიმე ბროშურა გადმოიღო და კითხვა დაიწყო.

მისი დაწერილი ბროშურები იყო.

ლექსივით კითხულობდა.

კითხულობდა პეკანის ხესა და კანარის ფინიკისა და იაპონურ მარაოს პალმებზე, ტიტას ხეზე, დაფნაზე, ჩინურ მუშმალაზე, აღმოსავლურ ხურმა-ავანდისტზე, მექსიკურ კიტრ-ჩაიოტზე, მანდარინ-უნშიუზე... იმ ყვავილებზე, იმ ხეებზე, იმ ბუჩქებზე, რომლებიც ერთ დროს სხვაგან, მაგრამ უკვე კარგა ხანია, რაც აფხაზეთში სახლობდნენ და ჩინებულად გრძნობდნენ თავს.

ხმას უმაღლებდა და ბგერებს აგრძელებდა (თითქმის მღეროდა), როდესაც კითხულობდა:

ეშერისა და აძიუბჟის ატმებზე,
აფხაზურ ვაშლზე,
წებელდის წითელ ვაშლზე,
სოხუმის „დიუშერზე“,
მერხეულის მსხალზე,

ატამზე, სახელად – „მაისის ვარდი“, და ვაშლზე, სახელად „მაისის ვარდი“,

კიდევ ერთ ატამზე – „გამარჯვება“, და ყურძენზე.

კითხულობდა სარაჯიშვილზე, რომელიც თავისი კონიაკისთვის აფხაზეთის მუხის ხეებისაგან დამზადებულ კასრებს იყენებდა. სულ სხვა გემოსა და არომატს აძლევდნენ ის მუხები სარაჯიშვილის კონიაკს. განსაკუთრებით ბესლახუნის ველობის მუხები.

ავასარხვის ყურძნიდან კარგი ღვინო და ასევე კარგი კონიაკიც მიიღებაო, ამბობდა. 1888 წელს შვეიცარიიდან გამოიწერა სარაჯიშვილმა საკონიაკე სპირტის გამმხდელი აპარატი და იმავე წელსვე აამუშავა კონიაკის ქარხანაო.

კითხულობდა, რომ სარაჯიშვილი იყენებდა აძიუბჟას, ათარის, გუფის, ბაბუშარის, ეშერის ყურძნის ჯიშებს:

აჟაპშას,
იზაბელას,
ათირუჟს.

კითხულობდა მიჩურინზე, რომელსაც კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ უნდოდა ციტრუსების გეოგრაფიის გაფართოვება.

კითხულობდა თხმელასა და „იზაბელაზე“. იმაზე, რომ თხმელა გამოყოფს, უარყოფს აზოტს, ხოლო „იზაბელა“ აზოტით იკვებება, რომ თხმელა და „იზაბელა“ ერთმანეთს შველიან, რომ ერთი თხმელა და მასზე აცოცებული ერთი „იზაბელა“ შესანიშნავი წყვილია, რომ ეს სიმბიოზია. ისეთივე სიმბიოზი, როგორც სიმინდი და ლობიო.

– გაუმარჯოს სიმბიოზს! თხმელასა და „იზაბელას“, სიმინდსა და ლობიოს! – თქვა და კონიაკი მოსვა.

მამაჩემმაც მოსვა კონიაკი.

შემდეგ კითხულობდა აფხაზურ ფუტკარსა და თაფლზე. ბერძენ მხედართმთავარზე (სახელს ვერ ვიხსენებ), რომელიც შეეცადა აფხაზეთის დაპყრობას (მგონი, ახალ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში), მაგრამ უკვე შუაგულ აფხაზეთში მყოფმა, თავის მეომრებთან ერთად შეჭამა რა ადგილობრივი თაფლი, გონი აერია, ფეხზე ვერ დადგა და იძულებულ იქნა ასევე გონარეულ ლაშქართან ერთად დაეტოვებინა აქაურობა. ასე იხსნა აფხაზურმა ფუტკარმა სამშობლო. აფხაზურმა ფუტკარმა, რომელსაც ყველა სხვა ფუტკარზე ბევრად გრძელი ხორთუმი აქვს და შეუძლია, ყველაზე ღრმა ყვავილებიდანაც ამოწუწნოს ნექტარი.

უხუცესებზე კითხულობდა, 103, 111, 127 წლის მოხუცებზე.

შემდეგ კი შეუძლებლის შესაძლებლობის თეორიაზე გვიყვებოდა. უკვე კი არ გვიკითხავდა, გვიყვებოდა. ეს მისი თეორია იყო. ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდა ჩამოყალიბებული. დაწერას აპირებდა. ასე თქვა – ვცდილობ, სადღეგრძელოს რეჟიმში დავწეროო, არა – შევქმნაო, დაამატა.

ამასობაში ვარსკვლავიან-მთვარიანმა ღამემ „იზაბელას“ ღვინის ფერი მიიღო და წკრიალიც დაიწყო.

სადღაც, კარიბის ზღვის თავზე კივილით დაფრინავდნენ ავიაგამანადგურებლები, როდოსზე ცისფერი ქარი ქროდა, ფუძიამაზე მადლიანად გათენებულიყო.

72

კუკურ-ჩაის ჩაიხანაში ჩაის ვსვამდით: მიხეილ თემუროვიჩი, მე და თვითონ კუკურ-ჩაი.

მიხეილ თემუროვიჩმა გაიხსენა, თუ როგორ შეიპარნენ ერთხელ, ღამით, ბავშვობაში ის და კუკურ-ჩაი სოხუმში ჩამოსული ცირკის კარავში და როგორ აღმოჩნდნენ ღიად დატოვებულ გალიაში ნახევრადმთვლემარე ლომთან პირისპირ.

– ალბათ, ხუთი წუთი მონუსხულები მივჩერებოდით ლომს. ისიც ჩვენ გვიყურებდა. ლომს, ეტყობა, წარმოდგენა არ გააჩნდა, რას მოიმოქმედებდა სხვა, ველური ლომი მის ადგილას. ბოლოს, ცირკის თანამშრომლებმა ლომს ხორცი გადაუგდეს, ჩვენ გალიიდან გამოგვიყვანეს და ცირკიდან კინწისკვრით გაგვაგდეს.

მე ჩაის ვსვამდი და ხაჭაპურსაც მივირთმევდი. მიხეილ თემუროვიჩი და კუკურ-ჩაი მხოლოდ ჩაის სვამდნენ, ხაჭა-

პურს კი მაწანწალა ლეკვებს აჭმევდნენ.

73

აფხაზეთში მცურავი ფრინველების მომრავლებას ცდილობდა. ამ საქმეში განათლების სამინისტროს თანამშრომლებიც ჩააბა – სხვადასხვა ჯიშის ბატისა და იხვის კვერცხების ჩამოსატანად რუსეთში მიავლინა.

სამი კვირის შემდეგ მათგან დეპეშა მიიღო: Едем без яичек.

– Даа, – ამოიხვნეშა, – у кого яица, а у кого яички.

74

– აზრი, გამოთქმული ხმამაღლა, უკვე არ არის აზრი, – ხმამაღლა წაიკითხა მან და წიგნი გვერდზე გადადო, ქვიშაზე.

ვიანორ ფაჩულიაც და სოსო კაპანაძეც თავთავიანთი ქოლგების ქვეშ, შეზლოგებზე იწვნენ. უსმენდნენ და თანაც ზღვის ჰორიზონტს გაჰყურებდნენ.

ზღვის ნიავმა გულდაგულ დაწყობილი თმები აუშალა. მანაც ჭილის ქუდი დაიხურა.

ზღვა ხმაურობდა. ზღვის ტალღები მოკლე-მოკლე შუალედებით ენარცხებოდნენ ნაპირს და კენჭებს აჩხრიალებდნენ.

– ო, რა ლაზღანდარაა დღეს ზღვა, – გაიფიქრა მან.

– ო, რა ლაზღანდარაა დღეს ზღვა, – გაიფიქრეს ვიანორ ფაჩულიამაც და სოსო კაპანაძემაც.

შორიახლო ნონოპელი ჰყვაოდა.

75

– ვინორ, ახალ ანეგდოტს მოგიყვები:

ერთ კაცს ჰკითხეს – ინდივიდუალური სექსი გირჩევნია თუ ჯგუფურიო.

იმან, – რა თქმა უნდა, ჯგუფურიო.

რატომო.

იმიტომ, რომ ჯგუფურში შეგიძლია იდეზერტიროო (там сачкавать можно).

76

– შეხედეთ ფრინველებს ცათა შინა, არც ხნავენ ისინი, არც თესავენ, არც მოიმკიან მოსავალს, არც აცხობენ პურს, მაგრამ და მაინც – მამა-ღმერთი კვებავთ. შეხედეთ კაცობრიობას – სულ ომობს და ანჩხლობს და ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, მამა-ღმერთს უყვარს თითოეული ჩვენგანი, თუმცა გულნატკენს ხანდახან თვალებზე ცრემლი ერევა. იმ ცრემლებს გაუმარჯოს!

77

– ახლა ავდგეთ და, ვინც ჩვენს შორის პირველი მოკვდება, ის ვადღეგრძელოთ!

– ვინც პირველი წავა!

– ვინც პირველი ჩავა!

– ვინც პირველი ავა!

სუფრას შვიდნი უსხდნენ!

წამოდგნენ და უსიტყვოდ დალიეს მათგან პირველასულის სადღეგრძელო.

78

აჩადარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს – გურამ სიჭინავას, საოლქოდან დაურეკეს: ხვალ, ნაშუადღევს, სოხუმის რაიონში, კერძოდ, შენი კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, მიხეილ თემუროვიჩი სტუმრებთან ერთად გამოისეირნებს, მდინარე გუმისთის სანაპიროს მდგომარეობა აინტერესებს და, აბა, თქვენ იცით, როგორ დახვდებითო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოლმეურნეები თავიანთი ოჯახებით შეუსია ციტრუსების პლანტაციებს, ბაღ-ვენახებს, მინდვრებს, „განსაკუთრებული და გახურებული შრომის ფერხული“ კი განსაკუთრებულად გუმისთის პირას გააჩაღა.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, ერთი „ჩაიკა“ და ერთი შავი „ვოლგა“ აფროსანი ხომალდებივით შემოსრიალდნენ სოფლის შარაზე და მდინარის სანაპიროს მიუახლოვდნენ. და გაჩერდნენ. ირგვლივ საამური ცხოვრება ჩქეფდა – დიდ-პატარა რაღაცნაირად აღტკინებული სიხარულით შრომობდა: ხნავდნენ მიწას, სხლავდნენ ხეებს, ამზადებდნენ სათამბაქოე ნიადაგს... ყველაფერი ისე იყო, როგორც კომუნიზმის აჩქარებულ მშენებლობას შეეფერებოდა.

არც „ჩაიკიდან“ და არც „ვოლგიდან“ არავინ გადმოსულა. მანქანები ცოტა ხნით შეყოვდნენ და შემდეგ, როგორც შემოსრიალდნენ, ისევე გრაციოზულად გასრიალდნენ.

ერთ საათში ისევ დაურეკეს გურამ სიჭინავას – გეტყობა, გამოუცდელი ხარ. მიხეილ თემუროვიჩს ბუნების წიაღში, გუმისთის პირას, მშვიდ ვითარებაში პურის ჭამა უნდოდა, შენ კი ეს რა ურდო დაახვედრეო.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, გუმისთის პირას, რამდენიმე კილომეტრის რადიუსში, კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, იქაურობა უკაცრიელი ტერიტორია გეგონებოდათ.

და კვლავ შემოსრიალდნენ „ჩაიკა“ და „ვოლგა“. ოღონდაც ამჯერად ფართოდ გაიღო მათი კარები და იქიდან მიხეილ თემურავიჩი, მისი ძვირფასი სტუმრებიცა და უძვირფასესი, მშვენიერი, ქერათმიანი ლამაზმანებიც გადმოლაგდნენ.

79

– ნეტავ, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დამსხვრეული დოქის ნატეხები მაპოვნინა, – ინატრა ერთხელ.

– რომელი დოქის? – ვკითხე.

– თავისი ჯარისკაცების წინ რომ დაახეთქა უდაბნოს ქვიშას. არ გახსოვს? წყალი რომ შემოელიათ და მხოლოდ ერთი დოქი წყალიღა რომ დარჩათ... მაკედონელს მოუტანეს ის დოქი და მან ჯარისკაცების წინ დაამსხვრია, წყალი დაღვარა. მგონი, ცხენზე იჯდა მაშინ. ჩემი ჯარისკაცებივით მეც მწყურვალი უნდა დავრჩეო.

– რად გინდათ იმ დოქის ნამტვრევები, მიხეილ თემუროვიჩ?

– მუზეუმს ავუშენებდი იმ ნამსხვრევებს... საბერძნეთში, არა, ინდოეთში... არა, გაეროს შენობასთან... არა... სადმე აქ, კავკასიაში. კიდევ – იმ ქვებს ავუშენებდი მუზეუმს, რომლითაც მარიამ მაგდალელი უნდა ჩაექოლათ და ქრისტემ არ ასროლინა. ხომ გახსოვს? კიდევ – პირველ ბორბალს ავუშენებდი მუზეუმს. საერთოდ, ცალ-ცალკე ავუშენებდი მუზეუმებს: იმ დოქის ნამსხვრევებს, იმ ქვებ-

სა და იმ ბორბალს.

80

ადამიან-ფრინველს მეძახდა – სად დაიკარგე, ადამიანო-ფრინველოო?! ოთხასამდე ფრინველი მყავდა. ზოგი – ბინაში, ლაკობას ქუჩაზე, ზოგიც – ქალაქგარეთ, ამხანაგის სახლის ეზოში. ზოგი მგალობელი იყო, ზოგიც – ზღვის, მდინარის, მთის, ველის.

მიხეილ თემუროვიჩს მას შემდეგ დავუახლოვდი, რაც თუთიყუში შევიძინე.

ჩემმა შინაბერა დეიდებმა ფული შემიგროვეს და ავეჯის საყიდლად ლენინგრადში გამიშვეს. იქ კიდევ კაცი ვნახე, რომელიც მოლაპარაკე თუთიყუშს ყიდდა. ორი ათას მანეთს აფასებდა. მე ავეჯის საყიდლად ორი ათას ხუთასი მანეთი მქონდა. კარგა ხანს ვფიქრობდი, რა მეყიდა – ავეჯი თუ თუთიყუში. ბოლოს, თუთიყუშის ყიდვა გადავწყვიტე – მოლაპარაკე თუთიყუში არ მყავდა. აეროპორტში მებაჟეებმა ჩემი თუთიყუში რენტგენში გაატარეს – ბრილიანტები ხომ არ აქვს გადაყლაპულიო.

„ტროიკასა“ და „სტენკას“ ნაცვლად დეიდებს თუთიყუში რომ ჩამოვუყვანე, წივილ-კივილი ატეხეს. ეგ კიდევ არაფერი, მთავარი გულისხეთქვა ღამით ელოდათ – შუაღამისას ჩემმა თუთიყუშმა ჯერ ლოთი კაცის ხმით მორთო ყვირილი:

– ქურდი, ქურდი, ოთახში ქურდია, მე მაგის დედაც...

შემდეგ ქალის ხმით აკივლდა:

– ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევო, ხალხზეც იფიქრე! მე შენი დედაც...

დეიდები დასაბმელები გახდნენ.

ბრეჟნევის პერიოდი იყო.

კგბ-ეშიც გაიგეს ჩემი თუთიყუშის ამბავი და დამიბარეს – გინება ვინ ასწავლაო.

ჩემი საქმე მთლად კარგად ვერ იყო, მაგრამ მიხეილ თემუროვიჩმა მიხსნა – ყველგან მეგობრები ჰყავდა.

შემდეგ ხშირად დადიოდა ჩემთან, თუთიყუშს ესაუბრებოდა. უსმენდა თუთიყუშს და ხარხარებდა. ვიანორ ფაჩულიაც დაჰყავდა. ხშირად გვიქეიფია თუთიყუშის მონოლოგებისა და მგალობელი ფრინველების სიმღერების ფონზე.

მხატვარი მზია დედანაშვილი

აი, ქეიფები იმას ერქვა.

რა ბედნიერები არიან ფრინველებიო, ამბობდა, მათთვის საზღვრები არ არსებობს, შეჭამენ აქ ყურძენს, აფრინდებიან და თუ სად, სხვა რომელ ქვეყნაში მოსკინტლავენ, ეს მხოლოდ ღმერთმა იცისო.

81

გაგრიდან მამზიშხას მთაზე ავედით, კოცონი დავანთეთ. ღამის 12 საათი იყო. მთვარის შუქზე ზღვა ზიმზიმებდა. თორმეტნი ვიყავით, უმრავლესობა – ხანშიშესული.

ის გვიმტკიცებდა, რომ კოლხეთი ლათინური სიტყვაა და ნიჟარას ნიშნავს. იმეორებდა სიტყვებს: კონხა, კონხო, კონხი, რაც ნიშნავსო – ბათმანს, ძაბრს, ნიჟარას.

მთელი კავკასია ნიჟარას ჰგავსო, აფშერონიდან ან ტამანიდან რომ დახედო კავკასიას – ნიჟარას ზურგს დაინახავ, თვითონ კოლხეთის დაბლობი კი ნიჟარაში ლოკოკინას შესასვლელ-გამოსასვლელია, რითაც შავ ზღვას და შემდეგ ყველა ზღვასა და ოკეანეს, მთელ პლანეტას უკავშირდებაო.

ამ ანსამბლის შუაწელში იმყოფება ღვთის კონცხი – იგივე კაცხის სვეტი, სადაც ღმერთები მიწაზე ჩამოდიოდნენო. კაცხის სვეტი სიყვარულის მთაზე დგასო. მთას ეს სახელი თვითონ შეარქვა.

დედამიწაზე სამი ადგილი იყო, სადაც ზევსი დედამიწელებს გვიკავშირდებოდა: I იყო პარნასი, II – კორაქსი, III – კაცხის სვეტიო.

ოდესღაც ღმერთები და ადამიანები ცაში ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩვენ ღმერთებთან თანასწორუფლებიანობა მოვინდომეთ და მათაც დედამიწაზე ჩამოგვყარეს, რაც მთავარია, დაგვიმალეს გამრავლების, იგივე შეჯვარების საიდუმლო და არ მოგვცეს ცეცხლიო.

კავკასიელები იყვნენ: პრომეთე, ამირანი და არძაყანი; პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი გამოსტაცა, ამირანმა და არძაყანმა კი – გამრავლების საიდუმლო, თუმცა დღეს პრომეთეზე ყველაფერი იციან, ამირანსა და არძაყანზე კი – ძალიან ცოტა რამეო. გამრავლების საიდუმლოს ერთი კაცი ვერ გამოსტაცებდა ღმერთებს, ამ საქმეს ორი თავდადებული რაინდი ჭირდებოდაო.

ზევსმა სამივე კავკასიის პიტალო კლდეს, იგივე – უზარმაზარ ნიჟარას მიაჯაჭვა და ახლაც იქ არიანო.

ბოლოს – ამირანისა და არძაყანის ხმას მოგასმენინებთ, ვაჟკაცები კი იყვნენ, მაგრამ ხანდახან ქვითინებენო.

მეტყევეს იმ შემთხვევისათვის სპეციალურად მოტანილი ძელქვა და რცხილა დააწვევინა. ჯერ ძელქვა. სიჩუმეში ძელქვის შიშინი გაისმა. ძელქვა რომ ჩაიფერფლა, მერე რცხილის დიდი ნაჭერი ფრთხილად ჩადო კოცონში. რცხილა სხვაგვარი ხმით აშიშინდა. ძელქვა არძაყანის ხმას გამოსცემს, რცხილა – ამირანისო. თან პატარა მაგნიტოფონი ჰქონდა. ძელქვისა და რცხილას შიშინი იმ მაგნიტოფონში ჩაიწერა.

82

ერთხელ თათბირზე ერთმა ექიმმა ქალმა მიხეილ თემუროვიჩი გააკრიტიკა – თქვენ მხოლოდ რესტორნებს აშენებთ, საავადმყოფოებს კი ყურადღებას არ აქცევთო.

მაღალი რუსი ქალი იყო, ლამაზი, ქერათმიანი.

საერთოდ, მიხეილ თემუროვიჩი ძალიან ფაქიზად ეპყრობოდა ქალებს.

მან ექიმ ქალბატონს დაყვავებით მიმართა:

– ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ რესტორნებში ჯანმრთელი სასმელ-საჭმელია და, რაც მთავარია, ხალხი იქ ერთობა, მხიარულობს, ცეკვავს, მღერის, ურთიერთობის საუკეთესო საშუალება აქვს და, რაც კიდევ უფრო მთავარი, ანუ უმთავრესია – რესტორნების მოყვარულები თითქმის არ ავადმყოფობენ. და განა რა არის, ჩემო ძვირფასო, ამაში ცუდი.

– მიხეილ თემუროვიჩ, არ გეშინიათ, რომ როდესაც პირველი მდივანი არ იქნებით, თქვენ გაგიხსენებენ მხოლოდ როგორც რესტორანმშენებელს? – არ ცხრებოდა ქალი.

– მე ამით ვიამაყებ, ჩემო უმშვენიერესო.

83

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის დარაჯებმა ინსტიტუტის მანდარინის პლანტაციაში იქვე, მეზობლად მცხოვრები ხანშიშესული ქალი დააკავეს და მიხეილ თემუროვიჩს კაბინეტში აუყვანეს – მანდარინს იპარავდაო.

მიხეილ თემუროვიჩმა ქალი თავის სავარძელში ჩასვა და დარაჯებს უთხრა:

– დაიმახსოვრეთ – ქალი არასოდეს იპარავს, ის უბრალოდ იღებს იმას, რაც მოეწონება.

შემდეგ დარაჯებს სიფხიზლისთვის მადლობა გადაუხადა და სთხოვა, ქალთან მარტო დამტოვეთო.

– მაპატიეთ, მიხეილ თემუროვიჩ, საახალწლოდ რუსეთში მცხოვრები ნათესავებისთვის მანდარინის გაგზავნა მინდოდა, ჩემი პენსიით კი, აბა, როგორ მეყიდა, საჭმლისთვისაც ძლივს მყოფნის.

მიხეილ თემუროვიჩმა ქალს ნათესავების მისამართები გამოართვა და ქალის სახელით მანდარინით სავსე ყუთები გაუგზავნა.

ქალს რუსეთში თერთმეტი ნათესავი აღმოაჩნდა.

84

ნიკიტა ხრუშჩოვთან ერთად ბიჭვინთიდან სოხუმისკენ მომავალმა „ჩაიკა“ „სიდედრის ენასთან“ გააჩერებინა, აქედან გადავხედოთ არე-მარესო.

ხრუშოვი ეშერის ალაგ-ალაგ მოშიშვლებული ფერდობების ნახვამ გააოცა:

– მეგონა, თქვენთან ყველგან ბობოქარი სიმწვანე იყო.

– ჩაიმ და თამბაქომ დაგვღუპა, ნიკიტ სერგეევიჩ, კოლონიური კულტურებია, გამოგვიფიტეს მიწა, წეპოვნება დაუკარგეს. აი, სიმინდი სხვაა – აძლიერებს ნიადაგს, ჰკრავს, ამდიდრებს. იქნებ ჩაისა და თამბაქოს გეგმა ჩამოგვაჭრათ.

ხრუშჩოვმა თანამშემწეს ანიშნა, ბლოკნოტში ჩაეწერა მიხეილ თემუროვიჩის თხოვნა.

შემდეგ ხრუშჩოვი ეშერის ტყეებისკენ გაახედა:

– ჩვენ გვყავს ღორის ადგილობრივი ჯიში – გრძელდინგა. როდესაც გრძელდინგები ორი თვისა ხდებიან, მოსახლეობა მათ ტყეებში უშვებს, სადაც ხილით, წაბლითა და რკოთი იკვებებიან. როდესაც წაბლი და რკო მიწაში ღრმადაა ჩაფლული, გრძელდინგები გრძელი დინგის წყალობით ადვილად ამოჩიჩქნიან საკვებს მიწიდან. ეს უნიკალური ჯიშია, ნიკიტ სერგეევიჩ, უგემრიელესი ხორცი აქვთ – ტახის ხორცზე უკეთესი.

– რენტაბელურია? – იკითხა ხრუშჩოვმა.

– მხოლოდ 1 კაპიკი ჯდება ერთი ღორი, ერთი კილო კი არა, ერთი ღორი. 1 კაპიკი, ანუ 1 ცალი ტყვიის ფასი. როდესაც გრძელდინგა ზრდადასრული ხდება, ჩვენი მონადირეები თოფით კლავენ. ესაა და ეს.

ხრუშჩოვმა თანაშემწეს ანიშნა, ეს ფაქტიც აღენიშნათ.

კიდევ ცოტა ხანს იმუსაიფეს „სიდედრის ენაზე“ და გზა განაგრძეს.

85

ქუთაისელმა მასპინძლებმა პირდაპირ რიონში გაგვიშალეს სუფრა. აგვისტოა. ტრუსებისა და ხალათების ამარა ვართ, ფეხები რიონში, მუხლამდე წყალში გვაქვს ჩაყოფილი.

მიხეილ თემუროვიჩი ვიეტნამიდან ახალი ჩამოსულია. ვიეტნამიდან ჩამოტანილ ბამბუკის სასმისს შუა მაგიდაზე დგამს და აცხადებს:

– წრეში გავუშვათ სასმისი და, ვისთანაც დაიცლება, იმან იმღეროს.

რიგ-რიგობით ყველა ვმღერივართ.

მიხეილ თემურავიჩი ორჯერ მღერის. პირველად – „ციცინათელას“, მეორეჯერ – „ვარაიდას“.

შემდეგ თავისი პორტატული მაგნიტოფონით მომღერალი ვეშაპების სიმღერებს გვასმენინებს – წყნარ ოკეანეში ჩავიწერეო.

შემდეგ ბაყაყების ხმებს ვისმენთ. როგორც თვითონ გვიხსნის – ჯერ კალიფორნიული, შემდეგ აძიუბჟური ბაყაყების ხმებს.

სულ ბოლოს, აფხაზეთის მგალობელი ფრინველების, კერძოდ, შაშვების სიმღერებს ვისმენთ.

აგვისტოა. რიონი გვაგრილებს.

ტკბილად ღამდება.

86

ქალს ესიზმრა უცხო, უკაცრიელი ქალაქი, მოაბიჯებს მარტო. უცებ ზურგს უკან ნაბიჯების ხმა ესმის – მაღალი, ლამაზი მამაკაცი მოსდევს. საითაც ქალი გაუხვევს, კაციც იქით მიდის. ბოლოს ყრუ კედელმა გადაუღობა ქალს გზა.

ქალი აღელვებული მოტრიალდება და კაცს უყვირის:

– რა გინდათ ჩემგან, რა?!. თავი დამანებეთ!..

შეცბუნებული კაცი მხრებს იჩეჩავს:

– აბა, მე რა ვიცი, ქალბატონო, ეს ხომ თქვენი სიზმარია.

87

– Удар был нанесен тяжелым, тупым предметом. Возможно, головой, – აი, რა ჩაწერა გამომძიებელმა პ.ვ.-მ ოქმში, – წაგვიკითხა მან.

88

ყველა პროფესიის ხალხი უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებულად მეჯოგეები და მეღვინეები.

ერთ სუფრაზე ახალგაცნობილ კაცს, გვარად წურწუმიას ეუბნებოდა – ჩემი ძიძა წურწუმიას ქალი იყოო. კვარაცხელიას უმტკიცებდა – ჩემი ნათლია კვარაცხელია არისო.

მილიონ ტრისტა ძიძა ჰყავდა.

მილიონ ტრისტა – ნათლია.

მეგობრები ხომ... ნუ იტყვით.

აჭანდარაში ერთი გლეხის ოჯახში ვქეიფობდით. ზამთარი იყო. ყანწის შესმის შემდეგ სტუმარ-მასპინძელმა სიმღერა წამოვიწყეთ. შუა სიმღერისას, მოულოდნელად, ფანჯარას მთელი ძალით რაღაც თუ ვიღაც დაეჯახა და მისი ორივე ფრთა კედელს მიახეთქა – ოთახში თვალებგაფართოებულმა კამეჩმა შემოყო თავი, ღრმად სუნთქავდა, ნესტოებიდან ორთქლი ამოსდიოდა.

მასპინძელმა მეორე ოთახიდან სანადირო თოფი გამოარბენინა და კამეჩს დაუმიზნა – მოვკლავ ამ ღორისშვილს, საპატიო სტუმრები როგორ შემიშინაო.

კამეჩი მუსიკის მოყვარული ყოფილა, როგორც კი სადმე სიმღერას გაიგონებდა, იქით გაქანდებოდა თურმე, მომღერლების სიახლოვეს დგებოდა და უსმენდა.

მიხეილ თემურავიჩი კამეჩს აეფარა და მასპინძელს შესძახა – ჯერ მე მესროლე და შემდეგ ამასო.

მერე ხელი გადახვია კამეჩს, თვალები დაუკოცნა და ჩვენ გვანიშნა – სიმღერა განაგრძეთო.

ჩვენც მთელი შვიდი საათი ვმღეროდით. ვიტყოდით სადღეგრძელოს, დავლევდით ღვინოს და უმალ ვაგრძელებდით სიმღერას. კამეჩი არ მოგვშორებია.

ერთხელ კიდევ – რესტორან „ძიძლანის“ მახლობლად ასწლოვანი ხის მოჭრას აპირებდნენ – გზის გაფართოება უნდოდათ. ამ დროს მიხეილ თემურავიჩის მანქანამ ჩამოიარა. გააჩერებინა მანქანა და ხის მჭრელებს მივარდა – ჯერ მე დამარტყით ნაჯახი და შემდეგ ამასო.

ის ხე დღესაც დგას.

89

ტაიდაი კასიოც აფხაზეთის ომის დროს გარდაიცვალა, ტოკიოში.

90

ბატ. გურამს!

წავიკითხე თქვენი წიგნი მ.თ. ბღაჟბაზე. ვინ იცის, იქნებ ბევრი მკითხველიც გამოუჩნდეს! ვნახოთ, ღმერთმა ქნას. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე რომ ვინახულე, მითხრა (ამ ფაქტზე თქვენთან საუბარი მქონდა 2003 წლის ზამთარში) – სოსიკ, როდესაც მოვკვდები, შენ ჩემს შესახებ ყველაფერი უნდა მოუყვე ადამიანებს, შენ უნდა გამიხანგრძლივო ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიკვდილის შემდეგო.

ასე მითხრა. ისიც მითხრა, როდის გარდაიცვლებოდა. ასე იყო (ამაზე თქვენ გიწერიათ. მე ხომ თქვენ სპეციალურად შეგხვდით და ყველაფერზე გესაუბრეთ მაშინ, რათა მიხეილ თემურავიჩზე რაიმე მაინც დაგეწერათ).

ახლა ვფიქრობ, მეც ხომ არ დავწერო მასზე წიგნი?! სტატია კი დავწერე (უფრო სწორად, სტატიები), მაგრამ ის სტატიები ძალიან ცოტა ადამიანმა წაიკითხა. უფრო მეცნიერულია. მას კი უნდოდა, რომ ძალიან ბევრ ადამიანს გაეგო მის შესახებ. ან იქნებ სულაც პიესა დავწერო და სპექტაკლი დავდგათ. დავდგათ სპექტაკლი! თქვენ ხომ გყავთ მეგობარი რეჟისორები?! სპექტაკლი აჯობებდა წიგნს, მაგრამ მე ესეც რომ არ ძალმიძს. თქვენ ხომ არ შეასრულებდით ამ საქმეს?! სპექტაკლი მაინც სხვაა. სულ სხვა.

კარგია, რომ წიგნი გამოსვლამდე წამაკითხეთ. მაქვს რამდენიმე შენიშვნა და იქნებ გაითვალისწინოთ.

დავიწყოთ იქიდან, რომ წიგნში მეტი უნდა მოგეთხროთ ვიანორ ფაჩულიასა და მიხეილ თემურავიჩის, მიხეილ ალავიძესა და მიხეილ თემურავიჩის ურთიერთობაზე. ისინი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ისევე, როგორც მიხეილ თემურავიჩი და მე. ნუ გეწყინებათ, უნდა მითხრათ – თუ ფაქტები (ანუ სიუჟეტები) მათ შესახებ არ მოგეპოვებოდათ, კარგად უნდა მოგეძიათ. ასევე, მის სხვა მეგობრებზეც იყო საჭირო ფაქტების (სიუჟეტების) მოპოვება. მართალია, მათგან ცოცხალი, მგონი, მარტო მე გახლავართ, მაგრამ მეტი ამბების მოძიება ძალიანაც რომ უპრიანი იყო.

ის ითხოვდა, რომ სიტყვა „ბორდელი“ შეცვლილიყო სიტყვა „ყოროფათი“. თქვენ სადღაც „ბორდელი“ გიწერიათ. უნდა შეცვალოთ. ამას ხომ ის ითხოვდა.

ბევრს რომ მოგზაურობდა, ეს გიწერიათ, მაგრამ მარტო წანწალი კი არ უყვარდა, საქმეებსაც აკეთებდა. კამბოჯადან თეთრი კამეჩის სპერმა ჩამოიტანა და ბებეისირში 11 თეთრი კამეჩი რომ გვყავდა, ეს სწორედ მისი დამსახურება იყო (ჩასამატებელია).

მყავდა იაპონელი მეგობარი, ცნობილი ციტრუსოლოგი ტიოზაბურო ტანაკა. ერთხელ ტაილანდიდან უცნაური ცხოველი გამომიგზავნა, თან მწერდა:

„ძვირფასო იოსებ, ეს ცხოველი შეჯვარების გზით მივიღე. მრავლდება მხოლოდ კლასიკურ ძაღლებთან დაწყვილებისას, რის შედეგადაც იბადებიან საუკეთესო, ულამაზესი ლეკვები. ისინი 2-3-ჯერ დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ძაღლები.

სცადეთ და შეაჯვარეთ თქვენს კლასიკურ (ფინია) ძაღლთან.

ჯოზეპის მოსიყვარულე ტიოზაპურო ტანაკა“.

ჯოზეპი საოცარი იყო – არც ძაღლს გავდა, არც კატას, არც ზაზუნას. უფრო ვირთხას მივამსგავსეთ. მიხეილ თემუროვიჩმა „კრისა“ შეარქვა და სარდაფში მიუჩინა ბინა.

შემდეგ „კრისა“ ფინია ძაღლთან შეაჯვარა. „კრისას“ 4 ლეკვი ეყოლა. 4-დან მხოლოდ ერთი გადარჩა. მიხეილ თემუროვიჩმა „კრისას“ ლეკვი რომში გაყიდა. იმ ფულით გლისერი ვიყიდეთ (ეს ფაქტი-სიუჟეტიც გამოსაყენებელია). სხვათა შორის, რომ იცოდეთ, ჯორი (ანუ ცხენისა და ვირის ნაჯვარი) 36 წელს ცოცხლობს, ანუ თითქმის 3-ჯერ მეტს, ვიდრე მისი მშობლები – ცხენი და ვირი.

კიდევ ერთი ფაქტი-სიუჟეტი: ჩემთან, ლაბორატორიაში, ხშირად მოდიოდნენ ალექსანდრიის უნივერსიტეტის ასპირანტები – ახმედი და მუჰამედი (1968-1971 წლებზე მაქვს საუბარი). ახმედის გვარი იყო როკბა. ის ამაყობდა, იმით რომ მამელუკების შთამომავალი იყო.

ახმედი ეუბნებოდა მიხეილ თემუროვიჩს: თქვენც მამელუკი ხართ, თქვენი გვარი „თავადის შვილს“ ნიშნავს, თქვენი ბაბუაც ისევე, როგორც ჩემი ბაბუა, დარწმუნებული ვარ, სტამბულის ბაზარზეა გაყიდულიო.

მიხეილ თემუროვიჩი უსმენდა და უხაროდა: ნახე, სოსიკ, მამელუკიც ვყოფილვარო, მამლუქ!

ჩემთან სახლში რომ მოდიოდა, ჩემი კატისთვის ყოველთვის მოქონდა დელიკატესები. მალკაც გიჟდებოდა მიხეილ თემუროვიჩზე, ეფერებოდა, კოსტუმში უძვრებოდა. ერთხელ იმდენი გააკეთა მალკამ, რომ თავი წააყვანინა სახლში, ღამით მასთან დარჩა. დილის ხუთ საათზე მირეკავს მიხეილ თემუროვიჩი – შენმა მალკამ ჩემი ციმბირული კატები (2 კატა) მომიკლაო. მეორე დღეს საღამომდე ვბჭობდით მალკას საქციელზე – რატომ დახოცა ციმბირული კატები?! ასეთი დასკვნები ჩამოვაყალიბეთ: I. მალკა ადგილობრივია, ციმბირული კატები ადგილობრივები არ იყვნენ და მალკამ ამიტომაც არ მიიღო ისინი. II. მალკამ იეჭვიანა. III. მალკამ კონკურენტები მოიშორა.

სოხუმში იყო ერთი პატარა დუქანი (რკინიგზის სადგურის უკან), რომლის მეპატრონე თურმე თავის კლიენტებს ძაღლის ხორცს აჭმევდა. მიხეილ თემუროვიჩი, მე, ვიანორ ფაჩულია და მიშა ალავიძე იმ დუქანში ხანდახან ხაშზე დავდიოდით. ბოლში გამოყვანილი ხორციც ჰქონდათ. ხაშიც საუკეთესო იცოდნენ და ხორციც. მეპატრონე თავად იყო შეფ-მზარეული. საყვარელმა გათქვა. სხვა საყვარელი გაუჩენია და ძველმა გათქვა – ხალხს ძაღლის ხორცს აჭმევსო. მიხეილ თემუროვიჩმა სასამართლო პროცესზე წამიყვანა, ეს ვინ ყოფილა, ვნახოთ, აბა, რას იტყვისო, თვალებში ჩავხედოთო. დუქნის მეპატრონემ დანაშაული არ უარყო: მთელი აზიისთვის ძაღლის ხორცი დელიკატესია და ჩვენც უნდა შევეჩვიოთო. შემდეგ განაცხადა – ყველას არ ვაჭმევდი ძაღლის ხორცს, მხოლოდ „ძაღლებსო“ (ე.ი. მილიციონერებსო). 6 თუ 8 წელი მიუსაჯეს. აი, ასეთი ამბებიც ხდებოდა.

ერთხელ გერმანიიდან ახლადჩამოსულმა მითხრა: იქ ბერგანის (დიდი გენეტიკოსის) მეგობარი შემხვდა – კაპანაძის მიერ დამზადებული ციტრუსის ზეთი მიშოვნეო. სოს, რატომ გიყვარს, მიგნებული საიდუმლოს დამალვა? არა ხარ სწორი. ის ზეთი ხომ მე და შენ ერთად დავამზადეთ?!

ჩვენ მართლაც ვმუშაობდით ზეთზე, რომელიც ციტრანჟის ყვავილებიდან მივიღეთ. რომელი ციტრანჟის? ფორთოხალ ვაშინქტონ ნაველისა და პონცირუს ტრიფოლიატის ჰიბრიდიდან. ჩვენი ზეთი კიბოს წამალი იყო (კიბოს ახშობს ყვავილის ნექტარი და ეთეროვანი ზეთი).

ზეთის მასიური მიღების თადარიგი დავიჭირეთ, მაგრამ სად არის ციტრანჟის დედა? საცდელ ნაკვეთში შემოპარულ ღორებს შეუჭამიათ ახალი ციტრანჟი, რომელსაც 1992-1993 წლებში უნდა ეყვავილა (იქნებ გამოიყენოთ ეს ფაქტიც).

მიხეილ თემუროვიჩს ორლულიანი თოფი ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც არ უსვრია – ნებისმიერი ცოცხალი არსების მოკვდინება (მცენარისაც) მკვლელობის ტოლფასად მიაჩნდა.

ერთხელ ჩვენს ინსტიტუტში ბებერი კატა შემოეხეტა. კატა ძაღლებმა შეაშინეს და ხეზე აძვრა. საღამოს, წასვლისას, მიხეილ თემუროვიჩმა დაარაჯს დაავალა: ყველანი რომ წავალთ, ძაღლები დააბი, კატა მთელი დღე ხეზე ზის, წყალი დაალევინე და საჭმელი აჭამე, მერე წავიდეს საითაც მოესურვებაო (იქნებ ეს ფაქტიც ყურადსაღები იყოს).

ბაბუაჩემს ჯიშიანი ღორები ჰყავდა, უზარმაზარები იყვნენ. ორი მათგანი განსაკუთრებულად კარგად მახსოვს – ერთს „ხიო“ ერქვა, მეორეს – „ნიო“. ისინი იმოდენები იყვნენ, რომ ბებიაჩემი მათ სიმინდით სავსე ტომრებს აკიდებდა ხოლმე და წისქვილში მიერეკებოდა. ხანდახან მეც დავყვებოდი ბებიასა და ღორებს წისქვილში. ერთხელ „ხიომ“ და „ნიომ“ წისქვილის სიახლოვეს, ტყეში, მკვდარი ხარი იპოვნეს. სანამ ბებია და მე წისქვილში ჩვენს რიგს ველოდებოდით, ღორებმა ხარი შეჭამეს, მხოლოდ ძვლები და რქები (მგონი, ჩლიქებიც) დატოვეს. რას მოვაყოლე ეს ამბავი?.. ჰო, როდესაც თემუროვიჩი და მე დავმეგობრდით, ის ჩემს სოფელში დავპატიჟე, მოვატარე იქაურობა (მთები, ტყეები, ველობები, მდინარე) და ის ადგილიც ვანახე, სადაც „ხიომ“ და „ნიომ“ ხარი შეჭამეს. მიხეილ თემუროვიჩმა თქვა მაშინ: ყველაზე მეტად ღორი გავს ადამიანს – სისხლის შემადგენლობით, ანატომიით, ფსიქოლოგიით, ჭკუით, მადით, სინდისითო. საერთოდ, იმ დღეს კარგად გავერთეთ, ძალიან ვიმხიარულეთ. აი, ეს ფაქტიც გადმოგეცით, მგონი, არ გამოგადგებათ, მაგრამ მაინც გადმოგეცით.

მაშ, ასე, ბატ. გურამ, ამით დავამთავრებ ჩემს ბარათს. თუ რამ შეკითხვა გქონდეთ, დამირეკეთ (ჩემი ტელეფონი თქვენ იცით), გისურვებთ წარმატებებს!

91

სიკვდილის შემდეგ ღმერთმა კაცს მისგან განვლილი ცხოვრების გზა და მისი ნაფეხურები აჩვენა.

– ეს ვისი ნაფეხურებია, ჩემსას რომ მოყვება? – იკითხა კაცმა.

– ჩემია, მთელი ცხოვრება მოგყვებოდი, – უთხრა ღმერთმა.

– სადაც ძალიან მიჭირდა, იქ მხოლოდ ერთის ნაფეხურებია. რატომ მტოვებდი იმ დროს მარტო? – იწყინა კაცმა.

– სადაც ძალიან გიჭირდა, იქ ხელში ამყავდი, ჩემო კარგო. ასე რომ, ის შენი კი არა, ჩემი ნაფეხურებია, – გაიღიმა ღმერთმა.

პრეზიდენტის კატა

ომის დაწყების დღესაც დიადი დილა გათენდა. დიადი და ოდნავ მკაცრი. ვით ეკლესია. და ზღვის ნიავიც მტრედივით შეფრთხიალდა სოხუმის ყველა ღია სარკმელში. ოღონდ რატომღაც – დაჭრილი მტრედივით. ამჯერად.

იდგა აგვისტოს 14. 1992 წლის აგვისტოს 14.

ზოგი სვამდა ჩაის, ზოგი – სამსახურში იღვწოდა. ზოგი უკვე ზღვისპირა ბაღში თვლემდა, მაგნოლიების ჩრდილქვეშ. ზოგიც – ზღვაში ნებივრობდა. ზოგიც...

და ვერავინ გაიგო, როგორ მოეპარა ომი ქალაქს, როგორ შემოსრიალდა, შემოგრუხუნდა, შემოხრიალდა.

ზოგმა ვერც წლების შემდეგაც ვერაფერი გაუგო ომს.

თავდაპირველად სამხედრო ვერტმფრენი ამოფრიალდა ქალაქის თავზე. „კროკოდილი“. მერე იგრიალა ტანკმა. ათუხთუხდნენ ავტომატები. ცეცხლი წაეკიდა პატარა, სასაცილო და პატარა ჯავშანმანქანას.

მერე ვიღაც ქალი რეკავდა სახანძროში – არიქა, ჩემი სახლის წინ ტანკი იწვისო. იმ ჯავშანმანქანაზე ამბობდა.

სხვა ქალი კიდევ – ლაკობას ქუჩის შეშინებულ მეზობლებს ამშვიდებდა – ნუ გეშინიათ, ხალხნო, ჩვენს ქუჩაზე ტანკები არ შემოვლენ, ჩვენი ქუჩა ხომ ცალმხრივი მოძრაობის ქუჩააო!

სულ და ძალიან მალე ომმა გააქრო ცალმხრივი მოძრაობის ქუჩები და დატბორა მთელი ქალაქი.

ომის დაწყებიდან სამი თვის თავზე მიხეილ თემუროვიჩი სოსო კაპანაძეს ეტყვის:

– მეორე მსოფლიო ომში რამდენჯერმე დავიჭერი, ყველაფერი ვნახე, მაგრამ ასეთი შეგრძნება არასოდეს მქონია... სხვა პლანეტაზე მოვხვდი, ეს რა მემართება... მიშველე, სოსიკ.

ერთხელ იმ ომში უცნაური წვიმა მოვიდა, ოქროსფრად ქარგავდა ქალაქის ფერხთით გაწოლილ ზღვას. სულ სამიოდე წუთი წვიმდა ასე. იმ ოქროსფერში ჩნდებოდნენ ციდან ზღვისკენ დაშვებული ქალის თითები. ზღვა შამპანურივით შრიალებდა. მერე ომის კვამლმა დაფარა ის სურათი.

გაქრნენ ის ქალებიც, რომლებსაც ჩვეულებრივიდან ღვთაებრივ სილამაზემდე ასამაღლებლად სულ ორიოდე კომპლიმენტი და ხელზე ამბორი სჭირდებოდათ. ორიოდე კომპლიმენტი და თურმე ერთი ომიც.

მან ნახა, როგორ მოათრევდა ერთ-ერთი ისეთი ქალთაგანი ჭურვის ნამსხვრევებით ევკალიპტის ჩამოსხეპილ ტოტს – ციოდა უშუქო ქალაქში.

როცა სანთელს აანთებდა, უფრო მძიმდებოდა ოთახი.

ყველაფერი ის, რაც მისთვის ადრე ცასა და მიწას შორის ყელყელაობდა, ტყვიით დაცხრილული ჰაერობურთებივით მიწას დანარცხებოდა და მის სიღრმეში ცდილობდა ჩაძრომ-გაქრობას.

გვანდრასთან ფრონტი გადიოდა. როგორც იტყვიან – ფრონტის ხაზი. ხანდახან ძალაუნებურად წარმოიდგენდა, როგორ კარგავდა სირბილეს მისი გვანდრას სახლი, როგორ მოგუდულად წკავწკავებდა პატრონის მიერ გაგდებულ-განწირული ძაღლივით. გული ჩხვლეტდა მაშინ. სულ სხვანაირად.

ერთხელაც იქაურობა დაესიზმრა და მის თავსზემოთ მოჩურჩულე ვარდისფერი ღამე, რომელიც შუაში გაჭრილ უზარმაზარ საზამთროს ჰგავდა. ბაჯაღლო-ბუსუსებიანი ვარსკვლავები კი ღამე – საზამთროს კურკებს დამსგავსებოდნენ. თვითონ კი შავი ზღვის ტალღებში იდგა. ხელში ჭიქა ეჭირა, ჭიქაში შავი ღვინო ესხა. მსუბუქად იყო მთვრალი. სადღეგრძელოს ამბობდა. მასავით ზღვაში მდგარი ხალხი სულგანაბულად უსმენდა. მეორე დილით ვერ გაიხსენა, თუ რა სადღეგრძელოს ამბობდა.

კიდევ ასეთი სიზმარი ნახა – ცხენი მდინარისაკენ წაიყვანა, შემდეგ ცხენმა მდინარეში თავი ღრმად ჩაყო, ძალიან ღრმად. ისე, რომ კისერიც არ უჩანდა. როდესაც გამოიღვიძა, ოფლში ცურავდა.

ქალაქმა დაკარგა სურნელი, ფერები. ზღვამ – ხმამაღლა ფიქრის უნარი.

გაქრნენ თბილი, ეშმაკური ნიჭიერების საღამოები. კიდევ – სოხუმის თავწითელა ტაქსები. ჩაქრა სხივები ქუჩაში მოხეტიალე ძაღლებისა და კატების მზერაში.

სიჩუმეშიც ვერ იკრებდა ძალას მარტოხელა მთვარე.

სადღაც გადაიხვეწნენ შუქის მატარებელი ქალები.

სადღაც, ბებეისირის ტბაზე, ყოროფას ნახევარკუნძულზე ქარი დააფრიალებდა ნობელის პრემიის კომიტეტისათვის გამზადებულ დოკუმენტებს.

ობლად იდგა ბებეისირის გაძარცული აკადემიაც.

დაობლდნენ გაძარცული სოფლები, ქალაქები.

წვიმებმა რეცხეს, რეცხეს, მაგრამ ვერ გადარეცხეს სოხუმის სიშავე. თოვლმაც ვერ დაფარა.

მისი სახლის წინ მდგარი პალმა ცეცხლმა დაფერფლა. ცეცხლი გამხმარი ბალახებიდან გამოიქცა, წამებში შემოეჭდო პალმას, ააცოცდა, ააცოცდა, გადიდდა და გაძლიერდა.

ადამიანთა სახეები გადაიდღაბნენ, როგორც გაფუჭებულ ფოტოფირზე. სწორედ ისე.

ქუჩებში უცნაურად ჩაცმული ადამიანები გამოჩნდნენ – მშვიდობიანი მოსახლეობაც, ჯარისკაცებიც, ზოგს ორმოცდაათიანი წლების ტყავის ქურთუკი ეცვა. ზოგს უცხო ქვეყნის სამხედრო ფორმა. ზოგს – გაძარცული თეატრებიდან წამოღებული კოსტუმი.

ქალაქი-თეატრი ელოდა გმირს. ქალაქი-თეატრი ელოდა მოღალატეს.

მარადონა რამდენიმე დღე რომაელი ლეგიონერის ტუნიკითა და ჩაჩქანით დადიოდა – ომის დროს თეატრებიც იძარცვებოდა.

თუმცა მერე, ბრძოლების გამძაფრებასთან ერთად, ომის კარნავალიც კარგავდა ფერებს.

ადამიანებს ეგონათ, რომ ისინი აწესრიგებდნენ მოძრაობას ისტორიის გზაჯვარედინზე. უცნაურად ირჯებოდნენ, ატრიალებდნენ დროშებს, ავტომატებს. ზოგიერთიც საკუთარი პირამიდის ადგილს საზღვრავდა, თავისი ძეგლის კვარცხლბეკს აგებდა.

ხანდახან ეკლესიის ზარების ოვალური წრეები გალივლივდებოდნენ ქალაქის თავზე და მაშინ უფრო საცოდავი ხდებოდა გარეშემო.

აწმყო ძალიან სწრაფად გახდა წარსული. მომავალიც.

მას კიდევ წარსული, რომელსაც დიდი ხნის წინათ გამოემშვიდობა, წინ დახვდა – მამის დახვრეტის წელი. და ისე ახლოს იყო, რომ უკვე ვერც ხედავდა. ვერ ხედავდა, მაგრამ სავსებით გაიჟღინთა იმ წლით.

საკუთარ ქალაქში უკვე არცერთი ფანჯარა არ ესალმებოდა. არცერთი კარი არ ელოდა. იმ ფანჯრებიდან, ძალზე იშვიათად, სასოწარკვეთილი, ფერადი დღეებისაგან ერთბაშად გაძარცული ადამიანები იმზირებოდნენ.

ზღვამ ნაღმტყორცნით დაგლეჯილი დელფინი გამორიყა.

ქალაქი დატოვეს მგალობელმა ჩიტებმა და თოლიებმა.

მხოლოდ ბეღურები და მტრედები აღმოჩნდნენ ომგამძლეები.

სროლაში ვარჯიშობდნენ მთვრალი ჯარისკაცები და ძაღლებსა და კაცებსა და მტრედებს ხოცავდნენ. კიდევ – თოლიებს. კიდევ – ერთმანეთს.

ქალაქის მშვიდობას ბომბავდა ქალაქის ომი. სიჩუმეს – გრიალი.

მისი სახლის მეზობელი სახლის სადარბაზოდან ნაწილ-ნაწილ გამოიტანეს „გრადის“ დაბომბვას თავშეფარებულ ადამიანთა სხეულები.

ქუჩებში სხეულ-ცხედრები დარიალებდნენ. სამარეები უძირონი გახდნენ – დაკარგეს ფსკერი.

ზღვა მისგან თითქოს ზურგით შებრუნდა. მთელი ქალაქისაგან შებრუნდა ზურგით ზღვა.

ქუჩაში შემოხვდა ჯარისკაცი, რომელიც ერთდროულად მღვდელსაც ჰგავდა და ყაჩაღსაც.

მისი სიცოცხლის განუკურნებელ სიხარულს თავისებურად მკურნალობდა სხვისი ომი.

უცხო, უცხო ადამიანები მიმოდიოდნენ გარშემო. ისეთები, რომელთა გული ბევრად ადვილად იყინება, ვიდრე წყალი. სუსხიან ზამთარში.

ხალხს ისევ მოაკითხა დრომ, რომელიც ეთაყვანებოდა დამღუპველს და ღუპავდა გადამრჩენელს. დრო, რომელიც ცდილობდა ღმერთისა და ეშმაკის გათანაბრებას.

იარაღის აწყობის ხმა მამაკაცურია. ქალი-იარაღი არ არსებობს. მთელი ქალაქი მამაკაცური ხმით ჩხაკუნოდა. ჩხარუნობდა და ჟღრიალებდა.

არცერთი ქალის სხეული არ ამბობდა – ხვალ მზე ამოვაო.

გულები მჩხვლეტავი ანძებით, წითელი იალქნებით, გაფითრებული ხმებით აივსნენ.

უამრავი სულის ნარეცხი იხილა. ასევე ცხოვრებაც – სხვაგვარად. ამჯერად როგორც არა სიყალბის, არამედ უგონობის მასწავლებელი.

ყველაფერი სწრაფად ხდებოდა. ისე სწრაფად, რომ ხანდახან ვერაფერს ხედავდა.

ხანდახან კიდევ – მისი სახელი, ოდესღაც რომ წარმოუთქვამთ ქალებსა თუ კაცებს, ბავშვებსა თუ მოხუცებს, ერთბაშად შემოესმებოდა ხოლმე ქალაქის ყველა კუთხიდან – მი-ხე-ილ თე-მუ-რო-ვიჩ!

მისმა გაჯარისკაცებულმა მეზობელმა ასევე გაჯარისკაცებული მეგობარი მოკლა. მთვრალი იყო. რაღაცაზე იკამათეს. „კალაშნიკოვის“ ერთი ტყვიით დაამსხვრია მისი მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ჩაჩქანი და მისი თავდაჯერებულობაც. როცა დარწმუნდა, მოვკალიო, ჩაკეტილი სარკმელი გაანგრია, მეხუთე სართულიდან ისკუპა, უკან მოიტოვა ოთახში მყოფთა ზარმაცი გაოცება და მინის ნამსხვრევები ფრთებად მოისხა. იმ მეორეს ტყვია შუბლში ჩაეჭედა, მესამე თვალივით აუღაღანდა. მიხეილ თემურავიჩმა იმ ღამეს ყაყაჩოსავით მიხატული იმ მესამე თვალით სიკვდილი ნახა. არც ისე საშიში ყოფილაო, ფიქრობდა გვიან.

ის „გვიან“ მერე მისი მარადისობა გახდა.

ცრემლები ცვიოდნენ ვერცხლის კარიბჭესთან...

სოსიკ, ნახე, ძველი საუკუნე დაგვიბრუნდა – ლამფა, სანთელი... ნახე, ნახე.

ღმერთი ძალიან შორსაა, სოსიკ, ძალიან შორს. რაღაც სხვაა საჭირო, რაღაც მეტი, ვიდრე რელიგია. მეტი, ვიდრე სიყვარული. სხვაგვარად ღმერთი ვერ მოგვამზადებს მისი განზომილების ტალღების მისაღებად.

სოხუმში არ იწერებოდა ლექსები. სოხუმში კვდებოდნენ. კვდებოდნენ სოხუმში და იმავე დროს კვდებოდნენ ყველგან და ყოველთვის და ხანდახანაც და სამარადჟამოდაც კვდებოდნენ გაგრაშიც და ტყვარჩელშიც, ოჩამჩირეშიც და გუდაუთაშიც, გულრიფშიც და გალშიც...

ყველა ქალაქი ერთი ქალაქია და ყველა დღე ერთი დღეა და ყველა ქალი ერთი ქალია.

ყველა ომი ერთი ომია.

ყველა სიცოცხლე ერთი სიცოცხლეა.

ყველა სიკვდილი ერთი სიკვდილია.

ადრე სიკვდილის მეშინოდა, სოსიკ, ახლა სიცოცხლის მეშინია.

ჩვენ ღმერთის ბავშვები ვართ, დაბადებამდე დაბადებულები, სიკვდილამდე მკვდრები.

ზინაიდა ნიკოლაევნა სულ სამჯერ ინახულა. ზინაიდა ნიკოლაევნა და კენედის მოკრუტუნე კატის შთამომავალი. ცდილობდა, მის სახეზე წაეკითხა მომავალი, მაგრამ ცუდ ამბებს ეუბნებოდა ერთ დროს ლამაზი ქალის სახე. უყურებდა მას და ფიქრობდა – როცა ბერდებიან, ქალები კაცებს ემსგავსებიან, კაცები კი – ქალებსო.

ერთ-ერთი სტუმრობისას ზინაიდა ნიკოლაევნამ ჰუმანიტარული ბრინჯი მოუხარშა, სულ რამდენიმე საათით მოსული დენის წყალობით ჩართო ჭაღი, ყველა ნათურა, ელექტროღუმელი, ტელევიზორი (მიუხედავად სამხედროების გაფრთხილებისა – ნუ გაანათებთ ქალაქსო) და

ვიღაცას ასძახა – ესეც თქვენ, ყველას! იმ ღამით მისი მოკლული ბიჭის – ვალერას სურათიც ანათებდა. ლარნაკში ჩაწყობილი გამხმარი ვარდები გაცოცხლდნენ.

როცა უკანასკნელად ესტუმრა ზინაიდა ნიკოლაევნას, მის ოთახში რამდენიმე მეზობელი დახვდა. ზინაიდა ნიკოლაევნა საწოლზე დამხობილიყო, კვნესოდა. ოთახში „კარვალოლის“ მძაფრი სუნი იდგა. მეზობლებმა უთხრეს – ამ დილით შევიტყვეთ, ვალერა რომას მოუკლავსო. რომას – ბავშვობის მეგობარს, მეზობელს. რომას, რომელსაც ზინაიდა ნიკოლაევნამ თმა შეაჭრა და ვალერას დასაფლავების დღეს შვილად აიყვანა, ვალერის ნაცვლად. რომა ერთი თვეა, ქალაქში არ ენახათ. ვიღაცას უთქვამს – მგონი, იბრძვისო. ვიღაცამ კიდევ – რუსეთშიაო.

მიხეილ თემუროვიჩმა ზამთრის ის დილა გაიხსენა, როდესაც ვალერას მკვლელობის ამბავი გაიგო. მას შემდეგ ქალაქი უშედეგოდ ეძებდა მკვლელს.

პრეზიდენტის კატა მოიძია. ოთახის ერთ-ერთი კუთხიდან ფორთოხლის ფერი შემოეფეთა – იქ პრეზიდენტის კატა მიწმაწნილიყო. კატა აიყვანა და ზინაიდა ნიკოლაევნას ხელებთან დაუსვა. მერე ქალს თავზე ხელი გადაუსვა, ხელები და შუბლი დაუკოცნა და ოთახიდან გავიდა. ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

ქუჩაში ჩია ჯარისკაცმა ავტომატით ძაღლი მოკლა. არც გაჩერებულა, არც უთქვამს ჯარისკაცისთვის – ნუ მოკლავთ ძაღლებს და კატებს, მკვდარ ძაღლებსაც და მკვდარ კატებსაც შურისძიება შეუძლიათო. ისევე, როგორც ჯავშანმანქანიდან მსხვილი ყალიბის ტყვიამფრქვევით ლენინის ძეგლის გამანადგურებლებს შესძახა ადრე – ნუ ესვრით ძეგლებს, მოხსენით და ისე წაიღეთ, მითუმეტეს, ლენინი საშინელი ვინმე იყო და განსაკუთრებით მის ძეგლს ნუ ესვრით და ნურც სხვა ნებისმიერ ძეგლსაც, მათ შურისძიება შეუძლიათო.

ქალაქის სახლები დაემსგავსნენ მომაკვდავის თავსასთუმალთან მოსაკითხად მოტანილ ვაშლებს, ფორთოხლებს, კანფეტებს, მსხლებს... უკანასკნელ ძღვენებს – მომფერებლებს, ალერსიანებს, ღვთიურებს, სევდიანებს, მრავალწერტილებს სიცოცხლისა.

ნახა – დაბომბვისას როგორ გარბოდა შარვალჩახდილი და ჩასვრილი კაცი ეზოში მდგარი საპირფარეშოდან სარდაფისაკენ.

ნახა – დაბომბვისას როგორ შეიყუჟნენ მოქეიფეები მაგიდის ქვეშ და ერთ-ერთი იმათგანი როგორ არ უშვებდა ხელს ღვინით სავსე ყანწს. ცარიელ სუფრაზე მაგიდის ქვეშიდან გამოწვდილი ყანწიანი ხელის ჩრდილი თავისუფლების ქანდაკების ჩირაღდნიანი ხელის ლანდივით დაფარფატებდა.

სოხუმის чудак-ები და черт-ები სადღაც გაქრნენ.

ომის დროს მხოლოდ ერთადერთი სიგარეტი მოწია – მარტოობასთან შეგუება უჭირდა. იმ სიგარეტის კვამლმა შენისლა ოთახი, ბინა, ქალაქის ხეები, ზღვა. ცუდად გახდა. მაინც მადლობა აღუვლინა კოლუმბის სულს თამბაქოსათვის.

ბიბლიოთეკის თაროდან ხან ფილოსოფოსის, ხან პოეტის, ხანაც მოგზაურის წიგნს გადმოიღებდა. ვითომ კითხულობდა. გულს ვერ უდებდა. წიგნებს ფურცლავდა და გვერდებს სწორედ ისე აკვირდებოდა, როგორც ცურვისას წყალქვეშა ნიღბით შავი ზღვის თუ ბებეისირის ფსკერს, მაგრამ...

კალიმერა! – მიესალმა ერთხელ სოხუმში დარჩენილ, ალბათ, უკანასკნელ ბერძენს – ეგეოს მარმარილოსს. ეგეოს მარმარილოსი ერთიანად ჩამომჭკნარიყო, სახე ძველბერძნულ ორნამენტს დამსგავსებოდა.

– დაწყევლილია ზღვა, – უთხრა ეგეოს მარმარილოსმა, – ზღვასთან სულ ომები და გაუგებრობებია დაკავშირებული. რაც უფრო ლამაზია ქვეყანა, მით მეტი ომები აქვს. მირჩევნია, მარადი ტურისტი ვიყო, სულ ვმოგზაურობდე, არ მქონდეს ეროვნება, არც სამშობლო.

– მარადი ტურისტი კი არა – მგზავრი, – შეეცადა გაესწორებინა მისთვის სიტყვა.

– მარადი ტურისტი! – ჯიუტად გაუმეორა ეგეოს მარმარილოსმა,

მიუხედავად იმისა, რომ წყალს არ აკლებდა, გახმნენ ოთახის ყვავილები.

მოკვდა თუთიყუშიც – სროლებისას გული გაუსკდა.

რამდენჯერმე დიმიტრი ხვარცკიამ და მისმა მეუღლემ – ნინამ ინახულეს. საჭმელი მოუტანეს.

შვილიშვილის – თენგიზის გარდა, ყველამ დატოვა.

ფაქტობრივად, მარტო იყო.

საჭმელს ქუჩის ძაღლებსა და კატებს უნაწილებდა.

1992 წლის ბოლოს უკანასკნელად მიაკითხა სოსო კაპანაძეს. სოსო ბოტანიკურ ბაღში ფუსფუსებდა – ხეებსა და ყვავილებს უვლიდა. ბოტანიკურში ჩაისა და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის შენობა იდგა. XIX საუკუნის შენობა. მის ერთ-ერთ კედელში 1992-ის ნოემბერში გამოსროლილი საარტილერიო ჭურვი იყო გარჭობილი. სამი-ოთხ დღეს ელოდებოდნენ – აი, ახლა აფეთქდება ჭურვი, აი ახლაო, მაგრამ არ აფეთქდა. ვერც ვერავინ გაბედა კედლიდან ჭურვის ჩამოხსნა. შემდეგ ჭურვის არსებობა საერთოდ მიავიწყდათ.

იმ დღესაც სიცოცხლის წარმოშობასა და უჯრედის აგებულებაზე საუბრობდა სოსო კაპანაძესთან. კამათობდა კიდეც. მოულოდნელად, შუა საუბარში ბავშვობა გაიხსენა:

– ერთხელ ცირკი ჩამოვიდა სოხუმში, პატარა კარუსელი ჩამოიტანეს. იმ კარუსელს ბებერი, კოჭლი ცხენი ატრიალებდა. მგონი, დედამიწასაც ის ცხენი ატრიალებს...

მეზობელი გაუძარცვეს. რკინის კარი ვერ გაანგრიეს (შინ არავინ იყო), ამწე მოიყვანეს და ფანჯრიდან შეძვრნენ. დღისით. ამწის მართვა არ იცოდნენ და თავდაპირველად ამწის „კისერი“ ორი სართულით ააცილეს ფანჯარას.

– მთელი ორი ოქტავით მაღლა აიღეთ?! – მწარედ გაეხუმრა მძარცველებს.

მათაც ვერაფერი გაუგეს მის ხუმრობას – ისინი ხომ მუსიკოსები არ იყვნენ.

იქნებ ეს მისი უკანასკნელი ხუმრობა იყო.

უკანასკნელი ღიმილი.

93-ის პირველივე დღეს სახლში სტუმრად მოსულ სოსო კაპანაძეს უთხრა:

– ვერ გადავიტან. ნათლიღების წინადღის (сочельник) შემდეგ დავხუჭავ თვალებს. შენ უნდა თქვა გამოსამშვიდებელი სიტყვა. შენ უნდა გააგებინო ყველას, ვინც ვიყავი.

სოსო კაპანაძემ მაშინ არ იცოდა, რას ნიშნავდა сочельник-ი. გვიან გაიგო. გაიკითხა. წიგნებშიც ჩაიხედა.

ოთახში ციოდა. ქალაქში თოვლი იდო. იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა. ზოგი ამას „გრადებს“ აბრალებდა. ზოგიც – ომს, საერთოდ.

ესაუბრებოდა სოსო კაპანაძეს და ხელებს ისრესდა, ქურქი ჰქონდა მოხურული. მასაც სციოდა, როგორც მის ქალაქს. საჭმელიც აკლდა. სამზარეულოში ნაგავი ბლომად იყო დაგროვილი.

– მიხაილოვის სასაფლაოზე დამასაფლავეთ, დედაჩემის გვერდით, არ მინდა პანთეონი... მაშინებს მარმარილო, უბრალო სასაფლაოს ბალახი მირჩევნია. შენ ხომ იცი!.. სოფელი მომენატრა, სოსიკ, ხის ძველი სახლის სურნელი.

– სიკვდილის შემდეგ ხანდახან ნიშნებს მოგცემ – დააკვირდი ხეებს, კიდევ – ძაღლებსა და კატებს. გულისყურით დააკვირდი და უმალ მიცნობ.

– საუკუნის დასასრულამდე 7 წელი დარჩა. ბედნიერი რიცხვია 7.

ირონიულად ჩაიცინა.

იქნებ ის იყო მისი უკანასკნელი ღიმილი.

ნათლიღებამდე მისი ბინა მცენარეებითა და ცხოველებით გაივსო. ოთახებში ზლაზვნით მიმოდიოდნენ შავი და თეთრი კამეჩები, ბაბილონური კამეჩები, მესოპოტამიური, იაპონური, სრულიად კავკასიური; დაფრინავდნენ ფუტკრები, კიკინებდნენ თხები, ბღაოდნენ ხარები, ყვაოდნენ ყვავილები და ბუჩქები და ხეები.

ერთმა ხემ ღრუბლებიც გამოისხა.

ოთახი დატბორა შავმა ზღვამ. მდინარეებმა: გუმისთამ, კოდორმა, ბზიფმა... ჩიპილპეტაც ეწვია.

ლაღად ხარობდა გიგანტური გოგრა „ტიტანიკი“.

კიდევ – ქიმერები აკითხავდნენ: მომავლის უცხო მცენარეები, მომავლის უცხო ცხოველები...

სიკვდილი დიდი ქეიფია, უზარმაზარი სუფრა უამრავი ხალხით. ნელ-ნელა თვრები. განა მომაკვდავი ხარ? არა, მთვრალი კაცი ხარ ჩვეულებრივი. განა ღვინით? წლებით. გიღიმიან – დაითვერი ძმაო?! გეხუმრებიან ასე. დიდი ქეიფია...

ო, რა მძიმე იქნება „პახმელია“, სოსიკ!

სადღაც, აფრიკაში, პატარა ბიჭები შუბით დაკოჭლებულ ანტილოპას მისდევენ. ავსტრალიაში ესპანელი ემიგრანტი გიტარაზე ანდალუზიურ მელოდიას აქვითინებს. ტაილანდში, ბანგკოკის სიახლოვეს, „ვარდების ბაღში“, ქალი ორქიდეებს რგავს ქოქოსის ნაჭუჭში. საბერძნეთში, როდოსზე, ლურჯი ქარი უბერავს. ფუძიამაზე თენდება...

ველებზე და მთებზე მოძრაობენ ჯარები, რომლებიც ციდან ყავის ნალექს გვანან. ყავის ნალექის ჯარისკაცები. სამკითხაო ჯარისკაცები. სათამაშო მინდვრებისა და სათამაშო მაღლობების, სათამაშო ქვეყნების სათამაშო ჯარისკაცები.

ტაჯმაჰალს ნიავი ელამუნება. კანადის თოვლს – ცის ვარდისფერი. სადღაც დახეტიალობს პლანეტის უკანასკნელი ვეფხვი...

ნათლიღების მეშვიდე დღეს გარკვევით გაიგონა, თუ როგორ უთხრა გალიაში მოცახცახე მისმა უკანასკნელმა ჩიტმა ღმერთს – მარტო ადამიანის ხომ არ არის ეს პლანეტაო.

საყვედურს ჰგავდა. უფრო ზუსტად – საყვედური იყო.

უკანასკნელად სწორედ იმ ჩიტს ელაპარაკა. მერე არავისთვის უთქვამს სიტყვა – მოკვდა ჩიტი.

კიდევ – მისი და სხვა მიტოვებული თუ დამწვარი სახლების ანგელოსებმა მოიყარეს თავი მის ბინაში ნათლიღების მეშვიდე დღეს.

ბედნიერი რიცხვია 7.

და ყველა სხვა დღე და ყველა სხვა ღამე, ყველა ალერსიანი სიტყვა და ყველა საყვარელი სახე, ყველა მოძრაობა, ამბორი, სადღეგრძელო, ბგერა, მოგონება, იმედი... შეერწყა იმ დღეს და იმ ღამეს.

უკანასკნელი, რაც გაიგონა, მკვდარი ჩიტის ხმა იყო – გაახილე თვალიო.

თვალი გაახილა და ღმერთი იხილა.

დილით გარდაცვლილი ნახეს – იატაკზე იწვა, გვერდულად. საწოლთან. ნაბადი ჩაებღუჯა. იღიმებოდა.

შარვლის ჯიბეში სამი ცალი თესლი უპოვნეს.

უცხო
უცხო
თესლი.
იქნებ
ყვავილის.
იქნებ ხის.

ომის დროს მდინარე გუმისთა მებრძოლ მხარეებს შუაში ჰყოფდა. მიხეილ თემუროვიჩის ერთი რესტორანი – „ეშერა“ აფხაზებს დარჩათ, მეორე – „მერხეული“ – ქართველებს.

„ეშერის“ მახლობლად აფხაზების „გრადი“ იდგა და ქართველების პოზიციებს ბომბავდა. „მერხეულის“ სიახლოვეს მდგარი ქართველების „გრადი“ ეშერის მთას ესროდა.

ომის დროს მიხეილ თემუროვიჩის რესტორნებმაც ომი გამოუცხადეს ერთმანეთს და რჩეული ღვინისა და ნუგბარ-ნუგბარის ნაცვლად ერთმანეთს რეაქტიულ ჭურვებს უგზავნიდნენ.

ომის დროს ყველაფერი იცვლება. რესტორნებიც. უკაცონი ხდებიან ისინი, გაძარცულები, მარტოსულები, სასოწარკვეთილად დადუმებულები.

ვერ უძლებენ ისინი ომს.

ვერც მიხეილ თეიმუროვიჩმა გაუძლო.

მისი დაკრძალვის დღესაც გრიალებდნენ ეშერისა და მერხეულის „გრადები“.

მისი დაკრძალვის დღეს მიხაილოვის სასაფლაოსაკენ მიმავალ მცირერიცხოვან პროცესიას ზინაიდა ნიკოლაევნაც მიყვებოდა. ხელში პრეზიდენტის კატის შვილიშვილის შვილიშვილი ეჭირა. ისიც დიდი წინაპარივით წითური იყო. მასაც ჯონ ფიცჯერალდ კენედი ერქვა. და, რა თქმა უნდა, მკურნალი იყო ისიც.

მისი დაკრძალვის დღე მზიანი იყო. ღამით გამოანათა მთვარემ. იმღამინდელი მთვარე არ იყო ჩვეულებრივი მთვარე და ამიტომაც მას გარიჟრაჟამდე სოხუმის წითური კატების კნავილი ლოკავდა.

მთვარე პრეზიდენტის კატას ჰგავდა.

1995-2007



ემზარ კვიტაიშვილი

* * *

კავკასიონი წინ მიდევს, არ გავს –
კორდილიერებს, ანდებს...
რა ცოტა უნდა, რომ შემოდგომა
ზაფხულში გადაქანდეს.

ბევრიც ეცადნონ, ვერვინ გაგწვდება,
სამყაროს კიდევ, განო!..
რა იოლია, რომ სამზეოდან
სულეთში ჩაექანო.

ჟამი ვერ ამქნის, სულ ვიქნებიო,
ასე ეგონა მრავალს...
მეც სიზმარს ვადრი აქაურობას,
ვიდრე მიწაზე დავალ.

ორი პარალელი

სონეტის მასალა

ფანჯარას ხურავს, სავარძელთან იხრება დინჯად,
ვიცი, არაფერს გაუჭირვებს მოყვანილ ყმაწვილს;
გაცინებული მამაჩემი ავადმყოფს სინჯავს,
შეწითლებია პატარა ბიჭს ორთავე ღაწვი.

ბავშვის ნეკნებზე როკავს, რეკავს გრძნეული თითი.
შეიგრძნობს ყური ფილტვის სტვენას თუ მოყრუებას.
აწყნარებს მშობელს შემოხედვა ექიმის, მშვიდი,
შეხება მისი გადასწონის წამალს, უებარს...

ჭრელი კოდალა შენთებია ბებერ წიფელას,
მიიწევს მაღლა, უხათქუნებს, ქერქს, მომპალს, ათლის;
იცის, მისია ეს ტყისპირი და შეიფერა,
გრძელი ნისკარტი ეძებს, აგნებს ფუღუროს მატლის.

მე ვზივარ, ვუსმენ წვიმის წკაპუნს და ქარის სისინს,
სიტყვის ფეთქვაა ერთადერთი, კარს რასაც ვუღებ;
არ ვარჩევ და არც მეზარება, ჩემი თუ სხვისი,
გავაცალკევო ნამდვილისგან, სტრიქონი ფუყე.

უფალი ხედავს და წყალობას იმეტებს ძუნწად,
რა ცეცხლშიც ვიწვი, მოწამეა მუნჯი კედლები...
თავის დაზოგვა არასოდეს მიცდია, თუმცა,
ვინც აქ ვახსენე, იმ ორს, ვიცი, ვერ შევედრები.

კედელთან მიმწყვდეულის გაბრძოლება

რომ არ გამომეკალოს, არ გაცივდეს სასა,
შემეშველე, გავწელო ერთი წელი ასად –

ხელმეორედ გავლეწო კალო, ჩემი წილი,
გამოვიხსნა, ძილისგან, ტანი, დაძენძილი.

ცავ, ნუ იზამ, მიწაზე ყოფნა შემაძულო,
ლურჯ ჯეჯილად ვაქციო, მწადს, შეკრული ულო.

ბედს მიმანდე, არ მითხრა არც „არა“ და არც „ჰო“,
უკან არ ვარ დამხევი, გინდ კლდეს შემანარცხო.

გამეცლება რამდენი, საღამო თუ დილა,
არ შეგარცხვენს, მარცხისთვის ვინც რო გაჩენილა.

მფლეთს, მაფეთებს ყოველი ფოთოლი თუ ჩირგვი,
ჩაშავებულს, ანწლისას, თავს ვევლები გვირგვინს.

მომეც ძალა, დავლოცო – მოლიცლიცე ღვინო,
მზე სითაც მისრიალებს, იქეთ წავედინო.

ჩრდილოური ფანტაზიები

რად გადავწურო იმედი მცირე,
მეძახის მხარე – ტბათა, დიუნთა...
მინდა ქორბუდას მოვახტე ირემს,
ვიქცევი ერთხელ, მეც, პერ გიუნტად.

პალმების მწკრივშიც თამამად შევალ,
არ მელის და არც მაკრთობს ხიფათი...
მოხრილ მხევალთა ვიხილავ რხევას,
ჩემი მექნება იქ ხალიფატი.

ბებერსაც არ მსურს დარჩენა ლაჩრად,
შორს, ცდუნებებო, დღეთა მპარავნო!..
მიჩვეული ვარ გავარდნას, გაჭრას,
საით წამიყვანს გზა, საქარავნო?!

იმ ერთმა გველმა თავი ქვას არტყას,
შავბნელ, შხამიან ობობას მსგავსი
(იქ ვერ დაიწყებს კბენას და ფართხალს),
ავსული თხილის ნაჭუჭში ჩავსვი.

ბუ დაკარგულზე მოთქვამს და ხვნეშის,
დგაფუნობს ჩქერში ალი, კისკისა...
დაწნული ქოხი მიმელის ტყეში,
მესმა სიმღერა სოლვეიგისა.

ნავი ოკეანეში

არ მინანაობს ნარნარად,
სხვა წყლებს ჭრის ჩემი ნავი,
ამობრუნებულ წიაღის
წამღები, გამშიგნავი.

ფრთონავს, არ დაენავსება –
გუმანი, ვარაუდი...
ვერც ღლავის, ვერც გველეშაპის
დაანაფოტებს კუდი.

მიაქანავებს, გარინდულს,
სხვა ჯადო, სხვა თილისმა,
იცის და ახსოვს, გარანდა,
შეკრა ხელებმა ვისმა.

არ ეპუება დროს, ამინდს,
უგონოდ გამბედავი –
უპეებამოშავებულ
ცას, ქარიშხლების ღნავილს.

რის საზღაური, მიარღვევს
საზღვარს – ზედას და ქვედას...
არ გავლებულა განედი,
იმან არ გადაკვეთოს.

გულ-ყელზე ხაო მედება
ტანის ხორცს ვიხევ, ვხავი;
ვინაა დამნახავი და
შემტყობი, გამკითხავი?!

შავი მარმარილოს მემორიალთან

მისი გზა და სიცოცხლე
არ იყო ჩასარაზი...
დადიოდა ვერაზე
ბიჭი – ავთო ვარაზი.

კახურ ღვინოს წყალობდა,
სვამდა, უფრო, „საფერავს“...
ბედისწერამ, განგებამ,
ვაგლახ, არ დააბერა.

სიწმინდესთან დაწინდული,
უფლის იყო ტარიგი.
შავ, ნაღვლიან თვალებში
ედგა შუქი, სხვარიგი.

მზით გათანგულ ქალაქში
(რა გულდასაწყვეტია!),
მისას, ხელებმოწყვეტილს,
ვერ ვიხილავთ ხეტიალს.

ტყე – ჟღურტული წყაროს წყლის,
ცივის და ანკარასი...
მოღიმარი, სად გაქრა,
ასე, ავთო ვარაზი?!

დღიურეგის კითხვისას

გურამ რჩეულიშვილი

თალხი გეცვა. ჯვარზე ეცვი.
ოდნავ არ იამე...
დედას, შენსას, ტყვილად როდი
ერქვა მარიამი!

გულის სერვა. მოგისურვა –
უკვდავების სურამ,
ასე ადრე. იგრძნო ყველამ –
სხვა იყავი, გურამ!

გაზაფხულს თუ უცდიდი

ლეილა თეთრუაშვილის გარდაცვალებაზე

მესერი. სუროს ფოთლები,
წვიმისგან განაბანი.
ამ გაზაფხულზე გაუქმდა
შენი პატარა ბანი.

სანთლების ალზე ელოდი,
აღარ გამოჩნდა სიძე...
შროშნები. პალმის მარაო.
დედოფალივით იწექ.

თეთრად გაწელილს, საწოლი
გექცა სიკვდილის ტახტად...
შენ დაგეხუჭა თვალები
და შაშვიც აჭახჭახდა.

დაუვიწყებელი

ქეთინო ვაშაყმაძის მოსაგონარი

ცხელ ღაწვებზე ცრემლი ღვარად
როგორ არ დაგედინოს...
მიწაში მწოლს, ერთი წელი
უსრულდება ქეთინოს.

წასვლა მისი – ზარდამცემი
და მუხლის მომკვეთელი...
მეეჭვება, ეშვას მიწას
სული, უფრო კეთილი.

რა სიუხვე... თმა ეხვია
ვერცხლის ბურბუშელებად.

მებრალება, ვინც იმნაირ
ქალის შეძლო შელევა.

გრძნეულო გზავ წამებულთა,
გრძელო და ჯვარედინო,
მამცნე, საით წაიყვანე
შვლისთვალება ქეთინო?!

ხელოვანი და მარადი სიცოცხლე

ზურაბ ნიჟარაძეს

რა აქვს სანაღვლო უკვდავს და უშიშს,
არ იწრიალებს, არც დაწერს სარჩელს...
მე შევეკითხე დიდ მხატვარს გუშინ –
რას იზამ, სულ რომ ცოცხალი დარჩე?

მას გაეღიმა, როგორაც იცის,
და მიპასუხა: რაა სადავო?
არ მომბეზრდება ცქერა – ცის, მიწის,
რასაც ვხატავდი, კვლავ დავხატავო.

ვახუშტი კოტეტიშვილი კითხულობს ესენინის პოემას, „შავ კაცს“

მახსოვს შენი სიჭაბუკე,
ადრეც ბევრჯერ გითხარი,
იდექ ფართო აივანზე
და ზმუოდი, ვით ხარი,
სულ სხვა იყო ესენინი,
შენგან წანაკითხარი.

გული, გარდა პოეტისა,
ყელში ვის ამოსჩრია?!
გატეხილი სარკე... ვხედავ –
იმ ბიჭს, ოქროსქოჩრიანს...
წლები გავლენ, სახლს დაწვავენ,
აკაციას მოჭრიან.

სიწმინდედ მოვლენილი

ლალი თიბილაშვილს

ანგელოზად შეგიცან,
დაგელოცოს კერა,
თოვლის ფიფქზე სპეტაკი,
სული ვინ ჩაგბერა?!

თქვი, გმალავდა რომელი
ზღაპარი და მითი?!
სულ ასეთი იქნები –
თეთრი, მიამიტი.

გიყვარს ცა და ოცნება,
ღრუბლის სასთუმალი,
ხარ კეთილი ფერია,
ზღვისფერთვალა ლალი.

ბავშვობაში დაბრუნება მომესურვა

იმ დილას, მზიანს, შორეულს,
გამოვარჩევდი ყველაში...
თქვენც გახსოვთ გაიძვერობა,
დაბუდებული მელაში,
სხვა შუქს მაფენდა ამბავი
„რწყილის და ჭიანჭველასი“.

ვის გაყვა ხუთკუნჭულა და
სად გაქრა ბელტიყლაპია?!
ყრმობის ზღაპრებში რომ ჩანდა,
ცაზე იმ ღრუბლის ქაფია.

ოღონდ დაბრუნდეს ის წლები,
წყალს, მეწყერს სახელ-დიდება;
ჯადო ბავშვად რო მაქცევდეს,
ვინმე გამზრდიდა კიდევაც.

ვზი ოცნებათა ამარა,
წლები იმასაც მპარავენ,
დავცლილვარ, ყოვლის სანაცვლოდ,
მომეცით სიპატარავე!..

ასე თავდება, ვის შერჩა
მდინარის ტალღებს მიყოლა?!
განქარდნენ, თვალს მიეფარნენ –
ქორბუდა, ხარი ნიკორა...
მართლაც ყოფილა სოფელი –
„იყო და არა იყო-რა“.

მოუშორებელი

დღეს რომ ღელავს, ამ ბალახს
ამართავენ ზვინებად...
ლექსიც, ვითარ სიცოცხლე,
ისე მიედინება.

დამონება უნდა ჩემი,
თავი არ დამანება,
მეძალება ჟინი მისი,
ალესილი დანებად.

რა ზნისაა, სიდან იძვრის,
ვერავინ გაარკვია;
მე რომ სული მიდგას, იმას
გადარჩენა არ ქვია.

წინაპრის სულს

თეთრი კედლები. სამთავრო. მცხეთა.
მე შენი ლანდი ვარ დამცრობილი.
რას არ მოვესწარ და უკვე ვხედავ –
როგორ თავდება თურმე სოფელი.

თუმც ვიცი, უნდა ვიქცე მიწადვე,
ჯერ ვარ, სახეზე მზის სხივი ცოცავს...
მაშინ მიტირე და შემიცოდე,
ქართლის მთებს ვეღარ ვიხილავ როცა.

ჩვილობის ფოტოსურათები

აღდგენის ცდა

მომხედავს ღმერთი, მაღალი,
კვირტს გამოიღებს, მჯერა,
ჩაქცეულ ჯურღმულისაკენ
ჩაბრუნებული მზერა.

გავაცისკროვნებ ფერნაცვალ,
ფსკერზე ჩაფენილ ფურცელს...
თითო-ოროლა სიზმარი,
ხო მაინც ამოვბურცე!..

არ მიძებნია აქამდე,
არც ვნატრობ ლუკმას, მსუქანს,
წინ რომ არაფერს არ ველი,
ესღა მახედებს უკან.

რა მოხდა, ბევრი გამხმარა –
სარს დახვეული სვია...
კი ვიცი, ამას თამაში,
თავის შექცევა ჰქვია.

გარდასახვა

ნუ წარმომიდგენ მკვდარს და მოხრეშილს,
ჩემი ნაწური ნექტარი შესვი;
თვალი ვერ ჰკიდონ, ისეთ სიღრმეში
და სიმაღლეში გავუშვა ფესვი.

ვამჯობინებდი, გზაშივე გახმეს,
ყველა ჯურღმული თუ ვერ დასძლია;
ღერო ექნება სხვა ფერის, სხვა ხმის –
ყვავილს, უჭკნობელს და ათასწლიანს.

გაანაწილე თანაბრად, ტოლად,
სამივე სკნელში ზარდე, ახარე...
შენს სადიდებელს იმღერებს მხოლოდ
სხეულის, ჩემის, ამონაყარი.

მაკა ჯოხაძე

სულისმოთქმა

ბავშვის ნეკნებზე როკავს, რეკავს გრძნეული თითი
შეიგრძნობს ყური ფილტვის სტვენას და მიყრუებას

გარდასულმა ეპოქამ ამ უცნაური შეხება-შეგრძნების რეალური განცდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასურველი ინტიმი ისე ჩატოვა ბავშვობის ნაკრძალში. შეხება — ზურგზე ყურის დადება, მხარზე ხელის მოხვევა... ეს იყო იმ საუკუნის მკვიდრთა დიადი პრიორიტეტი.

ასე დამთავრდა ღაწვშეწითლებული ბიჭის, მომღიმარე ექიმის, მგრძნობიარე ყურისა და ჭკვიანი თითის — ამ სიცხიანი კვარტეტის ჰარმონიული ეპოქა.

ახლა რენდგენის სხივთა გამჭოლ მზერასა და ტოპოგრაფიული კომპიუტერის ურთულეს სქემებში გახლართულან პაწია ფილტვები და გულები. მათი ფეთქვის გამოხსნასა თუ გარდამოხსნას ზემგრძნობიარე პოეტები და ექიმები სჭირდება, დაგვალული, გამოფიტული სამყაროს ტრანსნაციონალური ტრასები მუსიკით რომ მოირწყას და ჟანგბადს ჩაენაცვლოს.

პოეზიაც უჟანგბადო გახდა, არადა ლექსი სხვა არაფერია, თუ არა სულისმოთქმა.

სულისმოთქმის შეგრძნებას ემზარ კვიტაიშვილის ლექსი გამუდმებით ტოვებს. რაგინდ პათეტიკურადაც უნდა ჟღერდეს, სწორედ ეს გახლავთ ხელოვანის გამარჯვება... გამარჯვება, რომელიც ასმაგად უფრო ძვირფასია ურთიერთობათა ამ პერმანენტული მარცხებისა და განხეთქილებების ფონზე.

პოეტის სიღრმისეული ძიებები, ქვეცნობიერიდან ცნობიერისაკენ მიმავალ სახიფათო გზას მაღაროელის სიჯიუტით მიუყვება და ნებისმიერ იმპულსს, შეგრძნებას, ემოციას აზრს ანიჭებს. ტკივილებითა და ჭირვარამით სავსე ადამიანურ არსებობას დაგლახაკების, რღვევის, დაცემის უფლებას არ აძლევს და ამ ბრძოლით ღირსებას აღუდგენს.

სამყარო მთლიანია და ამ მთლიანობაში ემზარ კვიტაიშვილის აღტაცება და მადლიერება ერთნაირად ეკუთვნის „ჩაშავებულ ანწლის გვირგვინებს“, „ფორთოხლისფერ ვარდებს“, საქმიან „ჭრელ კოდალებს“, „წვიმის წკაპუნს და ქარის სისინს“, ჰორიზონტებს, ზღვებსა და მთებს და, რაც მთავარია, კეთილშობილ, დღეს უკვე „ამობურცულ სიზმრებად“ ქცეულ საყვარელ ადამიანებთან შეხვედრასა და შეხებას. ესაა მრწამსი, მსოფლგანცდა, მსოფლმხედველობა... რაც გინდათ, ის დაარქვით.

დანარჩენი კი... ის, რაც ემზარ კვიტაიშვილის პოეზიაში გხიბლავთ ინტელექტის, გამოცდილების, ოსტატობის, პროფესიონალიზმის, ესთეტიკის, გამუდმებული შრომისა და „ტალანტის ბრუნვის“ მუდმივი პროცესის შედეგია.

ამერიკელი მწერალი, დაიბადა 1947 წელს, სენდპოინტში, აიდაჰოს შტატში. დაამთავრა პემბროკის კოლეჯი 1966 წელს, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ვაშინგტონის უნივერსიტეტში 1977 წელს. პირველმა რომანმა "სახლის მოვლა" (1980) მოიპოვა პენ/ჰემინგუეის სახელობის პრემია საუკეთესო რომანისათვის, და წარდგენილი იყო პულიცერის პრემიაზე. მეორე რომანმა, "გილეადი" (2004), კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა და პულიცერის პრემია მოიპოვა 2005 წელს.

მერილინ რობინსონს ეკუთვნის "ადამის სიკვდილი: ესეები თანამედროვე აზროვნებაზე", საიდანაც აღებულია წინამდებარე ესეი. იგი ასწავლის "აიოვას მწერალთა სახელოსნოში" და 2007 წელს აკადემიური შვებულება აიღო მესამე რომანის დასასრულებლად.

მერილინ რობინსონი

უდაბური ადგილები

გარემოს დამცველთა ამოცანაა გადაარჩინონ კაცობრიობა და ის სხვადასხვა სახეობები, რომლებზეც ჩვენ, ადამიანები ვბატონობთ. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ქმნილებანიც კი ჩვენი მძლავრობით იტანჯებიან. მაინც რა ყოფილა ადამიანი.

უძველესი თქმულებები, საიდანაც ჩვენს თავს ვიცნობთ როგორც ადამიანებს და გენეზისის ისტორიები ნათელს ხდის, რომ ჩვენი ქმედებანი საკმარისია საიმისოდ, რომ მთელი ქვეყნიერება დაინგრეს. აღმაშფოთებელი ინტუიციაა, აღმაშფოთებელი ფაქტი.

არ არის საჭირო გქონდეს გამორჩეულად ამაღლებული ან განსაკუთრებით დამძიმებული ბუნება, რათა დარწმუნდე, რომ შესაძლოა ვუახლოვდებოდეთ ქვეყნიერების დასასრულს. ათეული წლებია, გარემოს დამცველები წუხდნენ მის ასეთ ხელყოფაზე, გამოფიტვასა და გაქრობაზე, რადგანაც მისი ფენომენი ერთადერთი და განუმეორებელია. ბუნება განსაკუთრებულ და სასწრაფო ყურადღებას ითხოვს. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ უფრო სერიოზული საკითხი არ არსებობს და მასზე ზრუნვისას არ უნდა დავემსგავსოთ იმ მოკამათეებს, რომლებიც დავობენ, თუ რომელი ჩრდილი მოიყვანს საღამოს.

მე ამერიკელთა იმ ოჯახს მივეკუთვნები, თაობიდან თაობამდე გამუდმებით რომ ეძებდა უდაბურ ადგილს დასასახლებლად, ბოლოს ჩემი დიდი ბებია და პაპა დამკვიდრდნენ აიდაჰოში. ეს ის მხარეა, რომლის დიდი ნაწილი ახლა უდაბური ადგილია, მისი ლეგალური სტატუსის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თეორიულად დაცულია. ამ უზარმაზარ, ცარიელ ადგილას შტატის შუაგულში მდებარეობს აიდაჰოს ბირთვული საინჟინრო ლაბორატორია და ვეებერთელა რადიოაქტიური ნარჩენების საცავი. აიდაჰო, იუტა, ნევადა, ნიუ მექსიკო შესანიშნავი სახელებია ასეთი დიდი და მელანქოლიური ადგილებისათვის. ევროპელები დროდადრო აღნიშნავენ, რომ ამერიკელებს პეიზაჟის მითი არ გააჩნიათ. სინამდვილეში ბევრი მითი გვაქვს ასეთი. ადამიანებმა, რომლებიც ზრუნავენ ახალ ინგლისზე, შეიძლება იფიქრონ, რომ ძნელი წარმოსადგენია, თუ იუტასაც უვლიან, ფაქტობრივად წერა დავიწყე აღმოსავლეთის ერთ-ერთ კოლეჯში, ნაწილობრივ იმ იმედით, რომ შემდეგში დავარწმუნებდი ჩემს მეგობრებს – ადგილი, რომელიც, მათი აზრით, აკრძალული და განაპირაა, არაა დასახლებული და არ გააჩნია ისტორია, არ გააჩნია ცნობადი კულტურა, შეიძლება იყოს მდიდარი და ძლიერი. ეს სიყვარული მეტწილად დიდ დარდთანაა დაკავშირებული. ჩემი კავშირი მშობლიურ კუთხესთან რაღაც უსახელო ტანჯვის მსგავსია – ხან შინ, ყველასთვის მისაღები, არსებობ და თანაც თითქოს არ არსებობ.

თვით მოსეც დააფასებდა ჩემს პატივისცემას ჩემი მშობლებისადმი, რომლებიც მდუმარენი და პირქუშნი იყვნენ, მშვიდად ცხოვრობდნენ განმარტოებაში თავიანთ საზრუნავთან ერთად. მეც მათ რიცხვს მივეკუთვნებოდი. ამერიკელებმა, რომლებიც შუა აღმოსავლეთიდან არიან, იციან, რასაც აღვწერ. მათთვის ეს რაღაც რელიგიური გრძნობის მსგავსია, ყველა სხვა გრძნობაზე მძლავრი.

აიდაჰო, იუტა, ნევადა, ნიუ მექსიკო. ეს სახელები ცნობილია მათთვის, ვინც რამე იცის ბირთვული იარაღის შესახებ. უდაბნო ის ადგილია, სადაც ალბათ ყველაფერი შეიძლება დაიმალოს უცხოელი მტრისაგან, მაგრამ ამასთანავე ადგილობრივი კრიტიკისაგანაც, ეს იქიდანაც გამომდინარეობს, რომ ამ ადგილის მცხოვრებნი, როგორც წესი, არიან ღარიბნი და მივიწყებულნი, არა იმდენად ხალხის აზროვნებიდან, არამედ როგორც უმნიშვნელო ელექტორატი. ეს ის ადგილია, სადაც ყველაფრის ჩადენა შეიძლება, რისი ჩადენაც მიუღებელი იქნებოდა სხვა ადგილებზე. ადამიანთა შედარებითი ნაკლებობა ჩრდილს აყენებს ბუნებას და გავლენას ახდენს იმ პრობლემებზე, რომელთა მიზანიც სხვა არაფერია, თუ არა ყველაზე გულშიჩამწვდომი ტკივილი მიაყენონ მოსახლეობას. რა თქმა უნდა, უდაბნოსაც შეუძლია შეისრუტოს ეს შეურაცხყოფა ცხოვრების რაღაც დონეზე, მაგრამ ჯერჯერობით ბუნება ძალიან აქტიურია – უზარმაზარი წყლოვანი ფენა, დაუღალავი მდინარეები, ყველგან მოდებული ქარით. ხო, გამომრჩა მეხსენებინა დიდი ჰენფორდის რეზერვუარი ვაშინგტონის შტატში თავისი ავბედითი საცავებით. ვეებერთელა ბუნებრივი პეიზაჟი ქმნის ამ მავნე განზრახვის არქეოლოგიურ ისტორიას, ხოლო ახლომდებარე მდინარე ამ საიდუმლოს ყველგან ავრცელებს.

რუსეთი უფრო უხვადაა დაჯილდოებული უდაბური ადგილებით, ვიდრე ამერიკა. დაატრიალეთ გლობუსი და ნახავთ სივრცეს, რომელიც ჩვენს პატარა ფართობს საკმაოდ პერსპექტიულს ხდის. ჩემი აზრით, ამ აოხრების მიზეზი ჩვენ ვართ. ასევე ჩვენ ვართ დამნაშავე რუსეთსა

და მის ყოფილ ტერიტორიებზე განხორციელებული ოპერაციების გამო. ყოველ შემთხვევაში, იმ ნებართვის მიცემის გამო, რაც აშკარად თავისუფალი მიწების მითვისებას გულისხმობს. მაგრამ უდაბური ადგილების თხოვება ისევე შეიძლება, როგორც ზღვის ნაპირის ან ავსტრალიის ინტერიერისა, და, რა თქმა უნდა, ნევადა როგორც მისცეს ბრიტანელებს უფრო დიდი ბირთვული პროექტებისათვის. უდაბურება შეიძლება შეფარდებითი იყოს, მაგალითად, როგორც ინგლისის ლეიქ დისრიქთი და საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო. დიახ, ზღვაც. ჩვენ ყველას თავი ისე მოგვაქვს, თითქოს ზღვა იყოს ის ადგილი, სადაც ჩვენს ქმედებებს შედეგი არ მოჰყოლოდეს.

უდაბური ადგილი არ არის განმარტოებული რეგიონი, არამედ ბუნებრივი სამყაროს არსებობის მდგომარეობაა. მიგვაჩნია, რომ ის არსებობს ყველგან, ასე რომ, მისი დაკარგვა შეფარდებითია და რაღაცნაირად ასუსტებს მისი ბოროტად გამოყენების მცდელობას. ცივილიზაცია ცოტა შორს წავიდა, კაცობრიობამ ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს დედამიწაზე ცხოვრების წესები. ჩვენ ვნანობთ, ვდარდობთ, ვადანაშაულებთ და ვფიქრობთ, რომ შეიძლება სხვაგან საქმე სხვაგვარად იყოს, კვლავ სწორედ უდაბურების აზრი. გვაქვს უფლება რაღაცნაირად გვერდი ავუაროთ. იმის გაცნობიერება, რომ არსებობს ბოროტად გამოყენების სინამდვილე, რაც ხდება ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალდატანების გარეშე, იმ მოტივით, რომ მათ, ვინც იზოლაციაშია შეუძლია აკეთონ, რაც სურთ.

ამერიკელთა სერიოზული რაოდენობა იუტას წმინდა მიწად მიიჩნევს, სკოლაში ვსწავლობთ, რომ მორმონები გაექცნენ რა გაუტანლობას, მოძებნეს ადგილი, სადაც თავიანთი რელიგიის გარეშე იცხოვრებდნენ. ეს იყო უდაბნო, სადაც თავიანთი ნივთები ხელურმის საშუალებით შეიტანეს. ამ ადამიანთა კვალი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ის დღესაც შესამჩნევია. ისიც ვიცით, რომ მათ უნაყოფო მიწა შეარჩიეს საცხოვრებლად მარილიან ტბასთან ახლოს და ააყვავეს იქაურობა.

ეს წმინდაწყლის იმიტაციაა ეროვნული მითისა, როგორ მოგვივიდა ის შეცდომა, რაც მოგვივიდა და ავირჩიეთ ადგილი, რომლის სიცარიელე და სიძნელე ძლიერი დამამტკიცებელი საბუთია მორმონებისათვის, როგორც ღმერთის მიერ მოვლენილი ფაქიზი ბედისწერა. ყველაფერი ამის შემდეგ, როგორ შეგვეძლო გადაგვექცია იუტა საბრძოლო მოედნად ჩვენი საოცნებო ომის ყველაზე გაშმაგებულ და საშინელ კამპანიაში. ამ არჩევანმა უბედურებები გამოიწვია, რაც ნიშნავს, რომ დასახლებულ ადგილებზე ყუმბარების ჩამოყრის შემთხვევაში ზიანი აშკარად აუტანელი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, ნათლად დავინახავდით განსხვავებას ნამდვილ ომსა და ჩვენს წარმოსახვას შორის. ფაქტია, რომ ბევრი უბედურების სახელი ცნობილია, მაგრამ ბევრი დაავადების სახეობა არც ცნობილია და არც გამოკვლეული.

დამაჯერებელი ალეგორიაა, ზოგისათვის ეს აღთქმული მიწაა, ზოგისთვის ცარიელი ადგილი. ჩვენ კი ვამტკიცებთ, გვაქვს სუვერენული პრივილეგია, რომ ვანგრიოთ ის, რასაც მთელი სიგრძე-სიგანით უნდა ვიცავდეთ. ეს საკითხი, ვფიქრობ, თავს გამუდმებით გვახსენებს და, რომ არა მხოლოდ რაციონალურად შევიცნობთ, არამედ მეხსიერებაშიც იბეჭდება. კაცობრიობას სხვა მტერი არა ჰყავს, გარდა საკუთარი თავისა, რომელიც გატყდა, დაიმშა, მოიწამლა და სიკვდილისაკენ მიექანება.

აბა, შეხედეთ ინგლისს. მათ პლუტონიუმის ქარხანა ააშენეს, რომლის ბირთვული ნარჩენები ლეიქ დისთრიქში ჩაედინება. ასეთი მშვენიერი რეგიონი გვერდზე გაწიეს და მოსახლეობას პრობლემები დაუტოვეს. მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა, რაც უბედურებაა, რადგან შედეგად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისთვის შედარებით ნაკლები ბაზა იქმნება. ასე რომ, სიცარიელე უფრო საკამათო საკითხია, ვიდრე უსაფრთხო. უდაბურება და მისი ანალოგიები, ჩანს, კამათს იწვევს ყველა მიმართულებით. იუტასა და ქამბრიაში წლობით გადაუდებელ ბიზნესად ითვლებოდა ისეთი იარაღის წარმოება, რომელიც უკიდურესად დიდ ზიანს მიაყენებდა მტრის მოსახლეობას. მაგრამ იმ ხალხს თუ უშავდება რამე, ვინც იქ ცხოვრობს, სადაც ეს იარაღი მზადდება და გამოიცდება? თუ პასუხებია „არა“ ან „მნიშვნელოვნად არა“, ან „მეტისმეტად ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა“, მაშინ, ცხადია, ბრალდების ზოგიერთი მექანიზმი უნდა ამუშავდეს, რაც გარკვეული ხნის განმავლობაში, საზოგადოების უმრავლესობისთვის, პასუხის გასაცემად საკმარისია. თუმცა აუცილებელია შემუშავდეს ერთი მეთოდი, რომელიც დააზღვევდა ფართოდგავრცელებულ საზოგადოებრივ კონტაქტს ნარჩენებსა ან რადიოაქტიურ ნალექთან.

ბრალდების უარყოფა მართლაც რომ უზარმაზარი ფაქტორია ისტორიაში. მეჩვენება, რომ ვირუსითა და მისი ვარიანტებით თავის მართლებით წინააღმდეგობის გაწევა გრანდიოზული სტრატეგიაა. მაგალითად, თავისუფლების მიწაზე სამი ათწლეული დასჭირდა ყველაზე შესანიშნავ და წინააღმდეგობრივ კამპანიას იმ ზნეობრივი მოძღვრების დამკვიდრებისათვის, რომელიც მონობის მიმართ შეუწყნარებლობის იდეას ატარებდა. საკმაოდ უცნაურია, ანტიმონობის აგიტატორებს შეგნებულად ჰქონდათ მინდობილი ბრიტანული კოლონიების სრულყოფის კამპანია, როგორც ქრისტიანული ქვეყნების მაგალითი. თუმცა, ამავდროულად, ბრიტანული გემები იყენებდნენ ძველ მონათა მარშრუტს ბრიტანელ მსჯავრდებულთა გადასაყვანად ავსტრალიაში. ყველა ბოროტება შემორჩა და მისგან იტანჯებოდნენ ქალები და ბავშვები მამაკაცებთან ერთად. რა თქმა უნდა, ახლა ტანჯულის ფერი შეიცვალა. თან მთავრობაში მიაჩნიათ, რომ მისი მოსახლეობა უფრო იჩაგრება, ვიდრე სხვებისა. ამის საწინააღმდეგოდ მე ვუპასუხებ, რომ ბრიტანელთა ჩასვლა ენითუთქმელი უბედურება იყო ავსტრალიისა და ტაზმანიის ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მონობასა და გენოციდს მხოლოდ მისამართი შეუცვალეს, გადათარგმნეს სხვა ტერმინებით, მაგრამ ამერიკელი აბოლიციონისტები და ბრიტანელი აბოლიციონისტებიც ამ საკითხებზე არ შეჩერდებიან. გასაგებია, რომ მიზნის მიღწევისას ამერიკელებს სურთ დაიცვან მორალური მხარე, რომელიც შესაძლოა ბრიტანელთა მაგალითის ყველაზე მიმზიდველი ნაწილია. და მაინც ეს სხვა ძლიერი ალეგორიაა,

რაღაც ამოსაცნობი, ყოველ შემთხვევაში, დასახვეწი მაინც. ჩვენი საშინელი ომის შემდეგ ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ მონობის უღლისგან გასათავისუფლებლად და ეს ომი მოიგეს, აღმოჩნდნენ უკან დაბრუნებულნი იმ ყოფაში, რომელიც ძალიან ჰგავს მონობას. მათ წინაშე იყო ამოცანა, რომ თავისუფალ ადამიანთა მიწაზე გაეღვიძებინათ საზოგადოებრივი შეგნება და ყურადღება მიექციათ იმ ფაქტზე, რომ ხალხის მდგომარეობა გაუსაძლისი იყო.

რეფორმისტულად მოაზროვნე ამერიკელები ისევ იმ აზრს ეყრდნობოდნენ, რომ სხვა ქვეყნები ჩვენზე წინ არიან. მათ მოჰყავთ მაგალითები, რომლის საფუძველზე გვსაყვედურობენ და გვარცხვენენ. მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია, რომელიც ასეთ შედარებებს პრობლემატურს გახდიდა. სტრატეგია, მიუხედავად მისი იმპულსური გულუხვობისა, ნაწილობრივ მიჩნეულია როგორც ამერიკელთა სამარადისო გულგრილობის გამოხატულება იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც მათ ამოარჩიეს ან ამტკიცებენ, რომ უყვართ.

დავიწყე ფიქრი ედგარ ალან პოზე, როგორც გენეზისისა და ასევე რომაელების დიდი განმმარტებელზე. მთელი ადამიანური უბედურება ისაა, რომ ინდივიდები, ოჯახები, ქალაქები, ერები, თავმომწონე ტომები მომენტალურად ცხოველებად ვიქეცით და საკუთარი თავი მოვიტყუეთ და დავამარცხეთ. მსოფლიოში რამდენმა ქვეყანამ დაბომბა და მოწამლა საკუთარი მხარე იმ საბაბით, რომ მტრისგან იცავდა. კიდევ რამდენი გააკეთებდა ამას, თუ საშუალებას გამოძებნიდა! ვიცით კი, რომ ეს ფენომენი ნამდვილად განსხვავდება სამოქალაქო ომის, ან იმ სისხლისღვრისგან, რომლის საშუალებით გარკვეულმა რეჟიმებმა შეძლეს დაეკანონებინათ თავიანთი ძალაუფლება? დიდი ხანია ვიყენებთ დიქოტომებს – კარგი ხალხი/ცუდი ხალხი, კარგი დაწესებულებები/ცუდი დაწესებულებები, კაპიტალისტი/კომუნისტი/, მაგრამ საკუთარი თავის მოტყუება ის ქცევაა, რომელიც საბოლოოდ ჩვენზე მოახდენს გავლენას.

ისინი, ვისაც აწუხებთ მსოფლიო გარემოს დაცვა, ჩემი აზრით, იბრძვიან, რათა გაათვითცნობიერონ საზოგადოება, რომ გარემოს აოხრება იგივეა, რაც ყველა კულტურის, თავისუფლებისა და ფასეულობათა ფესვების გადაჭრა. არანაირი ჯგუფი არ არსებობს ისტორიაში, რომელსაც ისე ვაღმერთებდე, როგორც აბოლიციონიზმს, მაგრამ ამ მაგალითიდან ვასკვნი, რომ ჩვენ ორი შეკითხვა უნდა დავუსვათ ჩვენს თავს – რას ვირჩევთ, რომ არ ვიცით, და რას ვერ ვახერხებთ წინასწარ განვჭვრიტოთ? აბოლიციონისტების საბოლოო წარმატება ძალიან ჰგავდა წარუმატებლობას, რომელიც ითხოვს ქველმოქმედებას მეტად, ვიდრე შორსმჭვრეტელობას, იმისათვის, რომ განსხვავება აღმოვაჩინოთ, ჩვენ უკეთესად უნდა შევძლოთ ამის გაკეთება. უფრო მეტი საკითხი სასწორზე დგას.

მსმენია, რომ ადამიანები, რომლებსაც კარგი განზრახვა ამოქმედებთ, მხარს უჭერენ გარემოს დაცვის პოლიტიკას. ესენი, პირველ რიგში, გაერთიანებული ერების თავდაცვის საბჭოს წევრი მთავრობები არიან. ვფიქრობ, საჭიროა ცოტა შევყოვნდეთ და ამ მთავრობათა გამოცდილებანი განვიხილოთ გარემოს დაცვის საკითხებში. ისინი მართლაც ავიდნენ რაციონალიზმის მაღალ მწვერვალამდე, რომელიც შეიძლება შევადაროთ მღვდლის ასვლას ბერობამდე. მდიდარი ქვეყნები, რომლებიც მსოფლიოს მედიის სათავეში არიან მოქცეული, ცივილიზებურად გამოიყურებიან. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მათ ხომ ყველაფერი იღონეს ამ პრივილეგიისთვის. ჩვენ ყველამ ვიცით ეს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ისინი თითქოს უფრო ცუდი არიან, ვიდრე სხვა ერები, არამედ მიმაჩნია, რომ ისინი უფრო წარმატებულნი არიან და ინარჩუნებენ ქონებასა და პრესტიჟს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მისიონერთა და დირექტორების როლებს შეესაბამებიან. ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი მოსახლეობა, და ის ბიოსფერო, რომელიც უდიდესწილად მათ მიერაა დანგრეული. ეს კეთდება იმისათვის, რომ დაიცვან მორალური ბერკეტი მათ წინააღმდეგ, ვისაც თვითონ ირჩევენ ბოროტების ჩასადენად. მეც დიდი სიამოვნებით ვიტყოდი უარს მცირედ მოგებებზე, ოღონდ პირმოთნეობასა და ფარისევლობისთვის თავი დაგვეღწია, რადგანაც არ გამაჩნია იმედი, რომ სამყარო გადარჩება ნებისმიერ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების საბჭოში წარმოდგენილი ქვეყნები თავიანთ მთავრობებსა და მრეწველობაში ძალიან სასტიკ და სწრაფ რეფორმებს არ ჩაატარებენ.

ვფიქრობ, ერთგვარი შემწყნარებლობაა იმისი ხაზგასმა, რომ გარემო დავიცვათ იქ, სადაც მისი ფოტოგადაღება კარგად შეიძლება. მჯერა, რომ სამყარო უკიდურესი საფრთხის წინაშე დგას, რომ დელფინებსა და კოალა დათვებს საბოლოოდ ემუქრებათ გადაშენება, ისევე, როგორც მათ, ვინც სახით მიწაზე დახოხავს. ამჟამად ვხედავთ, რომ ძალიან ბევრგან ხდება კეთილდღეობის, მორალისა და ზნეობის დაცემა. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშნები მრავლად გაჩნდა. ასეთებია, მაგალითად, ბირთვული რეაქტორები და ქიმიური ქარხნები. უდავოა, რომ თუ ზემოთხსენებულნი არ იქნებიან დაცულნი, ან ვინმე ცინიკოსი ოპერატორთა და ტერორისტის საშუალებით გამოიყენებს მათ, მაშინ მოუთმენლად უნდა ველოდოთ უბედურებას უბედურებაზე. ეროვნულობის და ეკონომიკის სრული განადგურება იმის მომასწავებელია, რომ ასეთი რამ მოხდება.

თანდათანობით იზრდება იმ მოსახლეობის რიცხვი, რომელთაც არ გააჩნიათ სახლ-კარი. ამასთან, იმათიც, ვისაც არასაკმარისი კვების გამო უჩნდებათ მთელი რიგი დაავადებანი. ვგულისხმობ ტუბერკულოზის გავრცელებას ნიუ-იორკ სითიში. ამ ფონზე ჩვენ უფრო მეტად გვჭირდება წამლების მიღება. სტაბილურობისა და ეკონომიკურ შესაძლებლობათა პირობებში მედიცინა შექმნის ურჩ დაავადებათა დიდძალ რაოდენობას. არიან ისინიც, ვინც ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ გადაშენების გზას დავადგებით და ამ ქვეყანაზე დავტოვებთ ნაკლებად დესტრუქციულ ძალებს. ნებისმიერ წარმოსახვით მომავალში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც დაადასტურებენ, რაც ჩვენ გავაკეთეთ. მაგალითად, ბირთვული ნარჩენების ადგილსამყოფელი... გარდა ამისა, უნდა არ-

სებობდეს მდიდარი და გამოცდილი ადამიანური ცივილიზაციები, რომლებსაც ეცოდინებათ, თუ როგორ კეთდება ეს ყველაფერი და თვითონაც შექმნიან მას. მაგრამ ეს აზრი დღითიდღე ნაკლებმოსალოდნელი მეჩვენება.

წარმოიდგინეთ, როგორ გავრცელდა იარაღი ამ უიმედობის საფარქვეშ და რაოდენ მეტადაა შესაძლებელი ნიჰილისტური ომის გაჩენის საშიშროება. ცხადია, გარემოს დაცვის პრობლემები ასეთი არასდროს ყოფილა.

ვიდრე დავამკვიდრებდეთ მშვიდობასა და წესრიგს, როგორც ფასეულობებს, და ვისწავლიდეთ დავინახოთ ის, რომ ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი მეზობლის განვითარებას გულისხმობს, ვერანაირად დავეხმარებით ტროპიკულ ტყეებსა და კოალა დათვებს. თავს ვაჩვენებთ თითქოს ყურადღებას ვაქცევთ უფრო მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრობლემებს. ეს თვალთმაქცობა და საკუთარი თავის მოტყუებაა. ამის გამო ეჭვი მიჩნდება, რომ ისე ვიმყოფებით ეშმაკთან წვეულებაზე, თვითონაც არ ვიცით.

ვფიქრობ, გვჭირდება სამყაროს ახალი, დახვეწილი ხედვა, სასტიკი ხედვა, რომელიც უარს იტყვის ეგზოტიკურ სიამოვნებაზე და პირველ ნორმად გაიხდის იმის შეგნებას, რომ ჩვენ ვარსებობთ, რათა ვასწავლოთ გონივრული ქცევა მათ, ვისაც ნაკლებად გაუმართლათ. ვბედავ და ამას გთავაზობთ იმიტომ, რომ მიმაჩნია, ამჟამად მიღწეული წარმატებები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით დამარცხებას უფრო ჰგავს. რას ვუშველით ვეშაპებს, თუ დავკარგავთ ზღვას? თუ ზღვა დავკარგეთ, როგორ ვიხსნით ატმოსფეროს? რისი გადარჩენა შეგვიძლია ასეთ გაცხარებულ გასხვისება-გაყიდვის პირობებში? მაშინ, როცა ვყიდით ტყეებსა და იარაღს, ბავშვებსაც კი. გარემოს დაცვის ყოველი სატკივარი ადამიანის სატკივარია. ცივილიზაცია ეკოლოგიაა, რომელიც დაიკარგა. ვერანაირად წინ ვერ წავალთ, თუ ვერ შევძლებთ მის რეაბილიტაციას. უდაბური ადგილი დიდი ხანია გულისხმობს ცივილიზაციიდან გაქცევას. მიმაჩნია, რომ უარი უნდა ვთქვათ ცივილიზაციის ასეთ გაგებაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანის არსებობა ამ სამყაროში უნივერსალური და დაუძლეველია, და დავუკავშიროთ ჩვენი ზრუნვა და იმედი ცივილიზაციას, სხვა შემთხვევაში დიდი საფრთხის წინაშე ვაყენებთ საკუთარ პიროვნებას, რომელიც ნამდვილად ყველა ცოცხალი ორგანიზმის უბედურების თავი და თავია. შედეგი კი ყველა ცოცხალი ორგანიზმის დარდია.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ტლაშაძემ

„პოეზია იბადება ქაოსიდან!“

უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ლატვიაში რაულ ჩილაჩავას გადასცეს პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო – ფრანც კაფკას სახელობის ოქროს მედალი.

საზეიმო ღონისძიება გაიმართა ასპაზიას სახლ-მუზეუმში, დუბულტაში, სადაც პოეტესამ თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა. მედალი, როგორც ითქვა, „ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის“ დაჯილდოებულს პირადად ხელოვნებათა ევროპული კავშირის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა მიროსლავ კლივერმა გადასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრე ანალოგიური მედალი გადაეცათ ნობელის პრემიის ლაურეატს, მწერალ ალექსანდრე სოლჟენიცინს (შარშან), იაპონელ პროზაიკოსს ჰარუკი მურაკამის, მწერალ-ქალს ელფრიდა ელინეკს, აგრეთვე კინორეჟისორებს სტივენ სპილბერგს და მილოშ ფორმანს. არც საქართველოში და არც უკრაინაში ჯერჯერობით არავის დაუმსახურებია ეს მაღალი ჯილდო.

ლატვიაში ჩილაჩავამ, პოეტმა და მწერალმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, უკრაინის ხელოვნებათა დამსახურებულმა მოღვაწემ – ბრწყინვალედ თარგმნა სწორედ ასპაზიას პოეზია.

– როდესაც ლატვიაში ჩამოვედი, არაფერი ვიცოდი ასპაზიაზე. თუმცა, რასაკვირველია, მსმენოდა რაინისის სახელი. მიღწეულით არ დავკმაყოფილდები. უკვე გავამზადე ოიარ ვაციეტისის წიგნი, რომელსაც დიდიხანია ვიცნობ და მიყვარს.

– დაუჯერებელიც კი არის, რომ ასეთ პოსტზე ყოფნისას შეიძლება შემოქმედებითი მუშაობაც გასწიო!

– ამას საკუთარი დროის ხარჯზე ვაკეთებ. შინ რომ ვბრუნდები, ვახშმის შემდეგ, მაშინვე საწერ მაგიდას მივუჯდები და ვმუშაობ მანამდე, სანამ არაქათი გამომეცლება! ჩვეულებრივ ეს ხდება ხოლმე ღამის ორ საათზე. მივეჩვიე ასე ცხოვრებას. სხვა თავისუფალი დრო უბრალოდ არ გამაჩნია. ჩემი ძირითადი სამუშაოც ხომ უნდა შევასრულო. ნებისმიერ მომენტში მზად უნდა ვიყო, რომ გავემგზავრო ამა თუ იმ ღონისძიებაზე, ხანაც - მიღებაზე, სადაც დასწრება მევალება პროტოკოლის მიხედვით.

– როგორ იბადება პოეტური სტრიქონები?

– პოეზია სპონტანური რამ არის. სტრიქონი შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ მომენტში. მთავარია - მოასწრო მისი დამახსოვრება. მერე კი შეძლებ გააგრძელო. არსებითად ლექსი იბადება ქაოსიდან. ანა ახმატოვას ეკუთვნის სახელგანთქმული სტრიქონები: „თქვენ რომ იცოდეთ, რაგვარ ნაგვიდან იბადებიან ჩვენი ლექსები...“ ნებისმიერი წვრილმანი მიგიყვანს ფიქრსა და განსჯამდე. ჩემი ამოცანა ისაა, რომ ჩვენს ირგვლივ მიმოფანტული საგნები რაღაც ერთიან მწყობრში ჩავაყენო.

დმიტრი მარტი

„ვესტი“, 2007 წ., 28 ივლისი.

ვალერი ზაიცევი

რაინისი, როგორც საშუალება ინტეგრაციისა

დიპლომატმა ხელი მოჰკიდა ლატვიური ლიტერატურის პროპაგანდას ერთბაშად ორ ქვეყანაში

ახლახან ლატვიაში, უკრაინის საელჩოში ჟურნალისტებს წარუდგინეს ფრიად საინტერესო წიგნი „რაინისი და ასპაზია. სამფერა მზე“. ხოლო რით არის იგი საინტერესო – ამას ქვემოთ ვიტყვით.

რაულ ჩილაჩავა

სამნი ერთში

მაშ რით არის უნიკალური ეს გამოცემა? ჯერ – ერთი იმით, რომ წიგნი გამოცემულია სამ ენაზე - ლატვიურზე, უკრაინულსა და ქართულზე. მეორეც, ერთ გარეკანქვეშ პირველადაა თავმოყრილი მეუღლეთა – რაინისისა და ასპაზიას ლექსები, დღიურის ჩანაწერები და წერილები. ამ გამოცემის კონსულტანტის, ფილოლოგიის დოქტორის იანის ზალიტისის სიტყვით, ამგვარი რამ ლატვიურ გამოცემებშიც კი არ ყოფილა. მესამეც – იდეის ავტორი, კრებულის შემდგენელი და მთარგმნელი (უკრაინულსა და ქართულ ენაზე) გახლავთ უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში რაულ ჩილაჩავა.

სხვათა შორის, ეს უკვე 83-ე (!) წიგნია მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ამიტომაც, გაზეთ „ჩასის“ კორესპონდენტმა სცადა გაერკვია დიპლომატის პოეტური ცხოვრების დეტალები.

– თქვენ რამდენ ენაზე წერთ?

– სიმართლე რომ გითხრათ, მე ვწერ ქართულად. მე ვარ ქართველი პოეტი, რომელმაც იცის ლექსების წერა უკრაინულ ენაზეც. მართალია, რუსულზეც მიცდია, მაგრამ ეს მხოლოდ ცდად დარჩა. ასე ვიტყოდი: ეს იყო ცდა იმისა, რომ საკუთარი თავისათვის დამემტკიცებინა, ესეც შემიძლია-მეთქი... მე ვთვლი, რომ პოეტი უნდა წერდეს დედაენაზე, მაგრამ ისე მოხდა, რომ უკრაინულზეც ცოტაოდენი ლექსები როდი დამიწერია და ეს ენა ჩემთვის თითქმის მშობლიურია. მე ხომ უკვე ორმოცი წელია ვცხოვრობ უკრაინაში.

ენა კიევამდე მიგიყვანს

– რაულ შალვოვიჩ, თქვენ კიევში სტუდენტური გაცვლით ჩამოსულხართ...

– დიახ, აქ ჩამოვედი, როგორც თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, როგორც მაშინ მეგონა, ორწლიან სტაჟირებაზე, რათა უკრაინული ენა და ლიტერატურა შემესწავლა კიევის უნივერსიტეტში (თუმცა კვლავ ვითვლებოდი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტად). ჩემთვის ეს იყო პრესტიჟის საქმე, რაღაცნაირი პროფესიონალური პატივმოყვარეობაც კი ეთქმის. კიევში ორი წელი დავყავი და, ჩემი თხოვნით, სტაჟირება კიდევ ერთი წლით გამიგრძელეს, რამდენადაც უკრაინაში ქართული კულტურის დღეებისათვის ემზადებოდნენ – იმხანად (1969 წლის მაისი) ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა. მაშინ კიევში გამოსაცემად მზადდებოდა ქართველ პოეტთა და პროზაიკოსთა ათობით წიგნები და მე, როგორც დამწყები პოეტი-მთარგმნელი მთლიანად ვიყავი ჩაფლული მუშაობაში. მიკოლა ბაჟანმა რედაქტორად მიმიწვია უკრაინულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. პირადი მოტივიც მქონდა – აქ ერთი ქალი შემიყვარდა და ცოლად შევირთე; ჩემი ია კი ჯერ ისევ სტუდენტი იყო, როცა მე სწავლა დავამთავრე. ის ერთი კურსით ჩამომრჩებოდა. გარდა ამისა, 1970 წელს გამოქვეყნდა ჩემი პირველი წიგნი, ვლადიმერ სოსიურას ლექსების თარგმანი – „წითელი ზამთარი“. იმხანად ვთარგმნიდი, ძირითადად, უკრაინულიდან ქართულზე; ხოლო ქართულიდან უკრაინულზე სათარგმნელად ჯერ არ ვიყავი მზად. და მიკოლა ბაჟანი - ის კი საქართველოს დიდი მეგობარი იყო – არ მაჩქარებდა. თუკი რამეს მირჩევდა, ეს იყო - თარგმნა სწორედ უკრაინელი პოეტებიდან დაიწყეო.

ჩვენებს – შენიშვნისათვის

– რაულ შალვოვიჩ, ელჩის პოსტზე დანიშვნამდე თქვენ მუშაობდით ეროვნებების საქმეთა მინისტრის მოადგილედ...

– იმ დროს, როდესაც ამ თანამდებობაზე დამნიშნეს, უკრაინაში ცხოვრობდა 52 მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთაგან 14 მილიონი – ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებია. მართალია, ამ ადამიანებს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებათ, ასე რომ ეძახიან, მაგრამ რა გაეწყობა, ეს საყოველთაოდ აღიარებული ტერმინია... უკრაინაში არსებობს უნგრული, რუმინული, ბულგარული, ბერძნული, პოლონური დიასპორების კომპაქტური ბინადრობის ადგილები... და კანონის თანახმად, ეროვნულ უმცირესობათა ყველა წარმომადგენელს ძირითადი ეროვნების თანასწორი უფლებანი აქვთ. და სახელმწიფო თავის თავზე იღებს ამ ადამიანების სულიერ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფას. სწორედ ამ საკითხთა გადაჭრის კოორდინაციას ვეწეოდით. უკრაინაში გამოდის 60-ზე მეტი გაზეთი ეროვნულ უმცირესობათა ენებზე (თუკი არ მივათვლით რუსულ ენას, რომელზეც მათი ოდენობა გაცილებით დიდია). ლიტერატურის მთავარმა რედაქციამ ეროვნულ უმცირესობათა ენებზე გამოსცა 500-ზე მეტი

დასახელების წიგნი – ბულგარულ, გაგაუზურ, უნგრულ, რუმინულ, ბერძნულ, ბოშურ და ა.შ. ენებზე. კიევში მოქმედებს სოლომონის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ხოლო მარიუპოლში – ინსტიტუტი, რომელიც უშვებს ბერძნული ენის მასწავლებლებს. კულტურის ეროვნულ უნივერსიტეტში არსებობს ეთნოკულტუროლოგიის კათედრა, რომელიც ამზადებს მენეჯერებს ეროვნულ-კულტურული მშენებლობის საკითხებში. სხვათა შორის, ამ უმაღლეს სასწავლებლებში ჩემი პროგრამით ვასწავლიდი ეროვნულ უმცირესობათა ლიტერატურის ისტორიას.

ფული წიგნის გამოსაცემად

– ბატონო ელჩო, ჩვენს დროში წიგნის გამოცემა არა იმდენად სახლაფორთოა, რამდენადაც სახარჯო. თქვენ როგორ გაართვით თავი ამ სიტუაციას?

– ერთი კეთილი კაცი შემომეყარა (იცინის). ვასილი მელნიკი ჰქვია. მამით უკრაინელია, დედით - ლატვიელი. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით სრულიად სხვა საკითხების განსახილველად, მაგრამ წიგნზე რომ ჩამოვარდა სიტყვა, იდეამ მოხიბლა იგი და მითხრა: „ამ პროექტის ხარჯებს მე გავიღებ!“ პირველი სტრიქონი ამ გამოცემაში გამოჩნდა წელს, 25 იანვარს, წიგნმა კი დღის სინათლე იხილა 15 მაისს! ფანტასტიკური ვადებია!

– ვინ გეხმარებოდათ წიგნის შექმნაში?

– ლატვიური ტექსტის სამეცნიერო კონსულტანტი და რედაქტორი გახლდათ ფილოლოგიის დოქტორი იანის ზალიტისი, უკრაინულ ტექსტს თვალს ადევნებდა ჩემი მეუღლე ია, საელჩოს სხვა თანამშრომლებიც მეხმარებოდნენ...

– რაულ შალვოვიჩ, როდისღა ასწრებდით?

– მუშაობას შევუდექით ზამთარში, როდესაც ადრე ღამდება. ჰოდა, ყოველ ღამეს საწერ მაგიდასთან ვატარებდი...

– და ვინ წაიკითხავს თქვენს წიგნს?

– თვის ბოლოს მოვაწყობთ მის ფართე პრეზენტაციას. ამას მოჰყვება წარდგენა უკრაინასა და საქართველოში. წიგნს გავგზავნით უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში, საელჩოებში, კულტურის ცენტრებში. ეს მხოლოდ საპრეზენტაციო გამოცემა ხომ არ არის – იგი საჭიროა იმისათვის, რათა ჩვენი ქვეყნების ხალხები გაეცნონ ლატვიურ კულტურას, მის საუკეთესო ნიმუშებს.

გაზეთი „ჩას“, 2007 წ., 21 ივნისი

მთავარია მსახიობს გქონდეს სათქმელი

შორენა ცივქარაშვილს ესაუბრება მურმან ჯინორია

მატარებელი მიდის, უსასრულობის გზას მიუყვება... აქ ყველას თავისი ადგილი აქვს, ზოგი მემანქანეა, ზოგი წინა ვაგონში ზის, ზოგიერთებსაც ადგილი უკანა რიგებში ერგოთ. ცოტა მოშორებით, ერთი, საკუთარი ტრანსპორტით, მარტო, თავის არჩეულ გზას ერთგულად მიუყვება... ასე წარმოუდგენია მსახიობ მურმან ჯინორიას საკუთარი ცხოვრება. ცხოვრება, რომელიც თეატრს უძღვნა.

მეოცნებეა, რომანტიკოსი, გულწრფელი, იშვიათი პირდაპირობით გამორჩეული. ყოველთვის იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს და საუბრობს ნებისმიერ თემაზე.

წერს, ხატავს, მღერის, ახალგაზრდებს მსახიობის ოსტატობას ასწავლის, რეჟისურაშიც სცადა ბედი, მაგრამ პირველ რიგში, ის მსახიობია. მსახიობი, რომელსაც აქვს საკუთარი სათქმელი. ამიტომ, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ეპიზოდურ თუ მეორეხარისხოვან როლებს, მთავარია, საკუთარი თავისა და საკუთარი სათქმელის ძიება, მისი პოვნა და მაყურებლამდე მიტანა. ასე შეიქმნა ჰამლეტი, კენტი, დონ-ჟუანი, თამაზ იაშვილი, სოსიკო, მამა იორამი... განსხვავებული ადამიანები, განსხვავებული როლები.

– თქვენ ფაქტობრივად, სამსახიობო ხელოვნების ყველა ჟანრში გამოსცადეთ თავი, ითამაშეთ თეატრში, სატელევიზიო სპექტაკლებში, მხატვრულ ფილმებში, სერიალში, რეჟისურაშიც სცადეთ ბედი. რა იყო ეს ყოველივე, საკუთარი ძალების მოსინჯვის მცდელობა და საკუთარი თავის ძიება თუ მრავალფეროვნების სიყვარული?

– რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ეს ყველაფერი, შესაძლოა, ახალგაზრდობის წლებში გაუთვითცნობიერებლად ხდებოდა, მაგრამ რაც წლები მომემატა, ვაანალიზებ, რომ ყოველთვის და ყველაზე მეტად, საკუთარ პროფესიაში მაინტერესებს რაღაც ახალი ამოვხსნა, ჩემთვის უცხო ატმოსფეროში აღმოვჩნდე. მთავარია, სულ სხვა, ჩემთვის უცნობ მდგომარეობაში გადავინაცვლო, ჩემებურად ვიგრძნო და ამოვხსნა: გალაკტიონის, ტერენტი გრანელის პოეზია, ჰამლეტის, დონ-ჟუანის პრობლემა და შემდეგ ეს ყველაფერი მივიტანო მაყურებლამდე, მასაც ვაგრძნობინო ის, რასაც მე ვგრძნობ და განვიცდი.

იმიტომ კი არ ვირჩევ ლექსს ან რომელიმე გმირს, რომ ის პოპულარულია. პირიქით, პატარა, მეორეხარისხოვან როლებში ხშირად უფრო მეტია მოსაძებნი და ამოსახსნელი. ამიტომ არ მაქვს გამორჩეული როლი. უბრალოდ, მაგალითად, გალაკტიონის პოეზიაში შეიძლება უფრო ბევრი რამ აღმოაჩინო, ვიდრე სადმე სხვაგან. აქ ლირიკაც არის, პათეტიკაც, გმირობაც და უსუსურობაც (ისევე, როგორც ბეთჰოვენის შემოქმედებაში). ყველაფერია, თავისი ყველა ფერით. გალაკტიონი ისეთ ფერებს აგნებს, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის თითქმის შეუმჩნეველია, რადგან ის, ცნობილი ფერთა სპექტრის მიღმა

ხედავს, რაც კი ადამიანმა იცის და სწორედ ეს არის საინტერესო.

– ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, რა დაგრჩათ სათქმელი?

– სათქმელი ადამიანს ყოველთვის აქვს, სანამ ცხოვრობს და აინტერესებს ეს ცხოვრება, აინტერესებს ამოხსნას მისი არსი, წარმავლობა თუ საკუთარი დანიშნულება. ამოხსნას უამრავი შეკითხვა, რაც ჩვენს სიცოცხლეს თან ახლავს. მსახიობმა საკუთარი სათქმელი სცენაზე, სპექტაკლში თამაშის დროს უნდა თქვას და არა რომელიმე ინტერვიუსა თუ სატელევიზიო გამოსვლაში. მე ასე მიმაჩნია.



მურმან ჯინორია

მაყურებელს უნდა გადასცე, აგრძნობინო ის, რაც მისთვის ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარკვეული, ახსნილი და გადასცე ეს ყველაფერი ემოციურად, გულწრფელად, ყოველგვარი პოზიორობის გარეშე. სხვანაირად, შეიძლება მოეწონოს შენი თამაშის გარეგნული ფორმა, მაგრამ შინაარსს ვერ ჩასწვდება. მსახიობი სწორედ მაშინ გრძნობ ნეტარებას, როდესაც შენს სულიერ სამყაროს აზიარებ მაყურებელს.

– თქვენ ერთი მსახიობის თეატრშიც თამაშობთ, რაც ალბათ საკმაოდ რთულია, აღმოჩნდე მარტო მაყურებლის პირისპირ და გადასცე მას ის, რასაც თავად გრძნობ?

– რა თქმა უნდა, უდიდესი ვაჟკაცობა სჭირდება, მარტო გამოხვიდე სცენაზე და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკუთარი სათქმელი უთხრა მაყურებელს. მაგრამ იცით, ამაზე წინასწარ არც მიფიქრია. ბატონ კოტე მახარაძეს ჩამოყალიბებული ჰქონდა ერთი მსახიობის თეატრი, მიმიწვია და მეც ვითამაშე. მსახიობი იმას კი არ უნდა ფიქრობდეს, საზოგადოების რომელიმე ნაწილს თავი მოაწონოს და მავანთა კეთილგანწყობა დაიმსახუროს. მთავარია, მსახიობს გქონდეს სათქმელი და არ შეგეძლოს ეს სათქმელი არ უთხრა მაყურებელს.

– თქვენ თეატრალურ ინსტიტუტში მსახიობის ოსტატობას ასწავლით სტუდენტებს, გახსენით საკუთარი სტუდია „სფერო“, რას იტყვით, რამდენად ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა იზრდება?

– ვფიქრობ, როგორც ბევრ პროფესიაში, აქაც, ჯერ კიდევ არის დუღილის, ჩამოყალიბების პროცესი. შეიცვალა დრო, შეიცვალნენ ადამიანები. ზუსტ მეცნიერებებში, იმავე ბიზნესის სფეროში უფრო მეტ პროფესიონალს ვხედავ, ვიდრე ჩვენს პროფესიაში. ახალგაზრდებიდან ბევრი მხოლოდ იმიტომ ირჩევს მსახიობის პროფესიას, რომ პოპულარული პროფესიაა, არადა, თუ შენი საქმის პროფესიონალი არ ხარ, რაც დრო გავა, მითუფრო გაგიჭირდება. ჩემი სტუდია სწორედ იმისთვის იარსებებს, რომ ახალგაზრდები მიხვდნენ, აქ უნდა იყვნენ თუ სხვაგან არის მათი ადგილი.

– რა სჭირდება დღესდღეობით მსახიობს გარდა ნიჭისა, რომ სრულყოფილ მსახიობად ჩამოყალიბდეს?

– მთავარია ნიჭი, მეტი არაფერი. ყველა ადამიანი თავისებურად ნიჭიერია, მაგრამ ზოგჯერ ადამიანი ცდება, ფიქრობს, რომ მსახიობის ნიჭი აქვს, მაგრამ მერე აღმოჩნდება, რომ მისი ადგილი სხვაგან ყოფილა.

– მაგრამ ხელისშემშლელ ფაქტორებზე რას იტყვით, ნუთუ საკუთარ პროფესიაში ხელს არაფერი გიშლით?

– როდესაც ადამიანი არის ნიჭიერი, საკუთარი საქმის პროფესიონალი და აქვს მიზანი, ის ვერ გრძნობს ფიზიკურ დაღლილობას, ბოლომდე შეუპოვრად მიიწევს დასახულ მიზნამდე. მაგრამ თუ ადამიანს მიზანი და ნიჭი არ აქვს, მაშინ, ნებისმიერი სირთულე სატანჯველად ექცევა. თუ იცი სად უნდა მიხვიდე, სწორედ პრობლემების დაძლევას, მიზნის აღსრულებას მოაქვს უდიდესი სიხარული. რამდენიც გინდა იწუწუნო, არაფერი ამით არ გამოვა და დროს ტყუილად დაკარგავ. ეს დრო საკუთარ პროფესიონალიზმს ჯობია დაახარჯო.

ცხოვრებაში, თეატრში, უამრავი ცუდი რამ ხდება, ადამიანები ყველაფერში ეჯიბრებიან ერთმანეთს, მაგრამ მთავარია, არ აყვე ამ ყველაფერს, შენთვის, შენი გზით წახვიდე, შენს ოცნებას მიყვე. მთავარია სიხარული, ადამიანური ურთიერთობები, შენ კი არ მიბაძო სხვას, პირიქით, მას დაანახე მაგალითი, რომ შენ მოგბაძოს.

– უშუალოდ თქვენი წარმატება რამ განაპირობა? რატომ და როდის გადაწყვიტეთ მსახიობობა?

– არც ოჯახში, არც ჩემს გარშემო მსახიობები არ იყვნენ. უბრალოდ, დედას თეატრი ძალიან უყვარდა და მე და ჩემი ძმა იქ ხშირად დავყავდით. სერგო ზაქარიაძე, უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე – ის ადამიანები არიან, რომლებმაც ჩემზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს. როდესაც მათ ვუსმენდი, იმხელა იმპულსები და ისეთი საოცარი იდუმალება მოდიოდა მათგან, რომელიც მართალია, ჩემთვის მაშინ უცნობი იყო, მაგრამ იყო გასაოცარი და საინტერესო.

მეოთხე კლასამდე ფეხბურთელი მსურდა გამოვსულიყავი, მას შემდეგ მსახიობობაზე ვოცნებობდი. ახლაც

ვოცნებობ. საერთოდ, მეოცნებე კაცი ვარ, რადგან, თუ მეოცნებე არ ხარ, არაფერი არ ხარ. ალბათ ღმერთის ნება იყო, მსახიობი გავმხდარიყავი.

ბავშვობა, ახალგაზრდობა – თავად ოცნებაა, ნიჭიერებაა, იმედია. სამწუხაროდ, როცა იზრდებიან ადამიანები, ბავშვობას კარგავენ ხოლმე. არადა, ბავშვობის დაკარგვა არაფრით შეიძლება.

– კრიტიკას როგორ აღიქვამთ, თუ გაუღიზიანებიხართ ოდესმე?

– საერთოდ, კრიტიკას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ჩემი კრიტიკოსი და შემფასებელი, პირველ რიგში, მაყურებელია. თუ შენ გრძნობ შენს მაყურებელს, მაშინ ნამდვილი მსახიობი ხარ.

ადამიანის შემოქმედება მთლიანობაში უნდა აღიქვა და არა დაცალკევებულად. ის ან არის შემოქმედი ან უბრალოდ, შემსრულებელია, მარიონეტია, მეტი არაფერი.

ბედნიერი ხარ, როცა მაყურებელს შენს გულისნადებს უზიარებ. მსახიობის პროფესია ისეთია, პირისპირ ხვდება საკუთარ მაყურებელს, მსახიობს შუამავალი არ სჭირდება. შოთა რუსთაველს არ ჰყავდა კრიტიკოსები, მაგრამ უდიდესი ნაწარმოები შექმნა.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

შეფარვით უთქვამს

საბჭოური სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური ასახვა გიორგი ლეონიძის პოეზიაში

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკისა, რის შედეგადაც იმ პერიოდის საქართველოში მოღვაწე თითქმის ყველა მწერალი იძულებული იყო მეტ-ნაკლები აქტიურობით მდგარიყო ეპოქალური მოთხოვნების სამსახურში, გიორგი ლეონიძემ მაინც შეძლო ისეთი ნაწარმოებებიც შეექმნა, რომლებშიც შენიღბულად და ალეგორიულად გამოხატა თავისი კრიტიკულ-ოპოზიციური დამოკიდებულება სოციალისტური იდეოლოგიის მესვეურთა ანტიეროვნული პოლიტიკისადმი.

გასაგები მიზეზების გამო, გ. ლეონიძის შემოქმედება ამ კუთხით ფაქტობრივად დღემდე არ ქცეულა სპეციალური კვლევის საგნად, რის გამოც პოეტის მსოფლმხედველობრივი მრწამსის ობიექტურად წარმომჩენი არაერთი საკითხი სამომავლოდაა შესასწავლი და გამოსაკვლევი.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო პირველი ნაწარმოებები გ. ლეონიძემ 1924 წელს შექმნა. მათგან უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ სონეტი „საქართველო“, რომელიც ნათლად ავლენს ავტორის კრიტიკულ დამოკიდებულებას იმ ტრაგიკული მოვლენებისადმი, 1921 წლის თებერვლის სისხლიანი დღეების შემდეგ რომ დატრიალდა ჩვენში და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებით დაგვირგვინდა. ამ ლექსში ყველაფერი პირდაპირ და არაორაზროვნად იყო ნათქვამი. პოეტი გულისტკივილით ესაუბრებოდა დამონებულ სამშობლოს და სურდა ოდნავ მაინც დაეამებინა მისთვის წყლულები.

ამ ეროვნული ტრაგედიის პოეტური გააზრება განუყოფელად იყო დაკავშირებული დარიალის კარის საბედისწერო გახსნასთან. ავტორის წარმოსახვით, სისხლის მდინარეები მილეკავდნენ ქვეყანას, რომლის „დაჩექმილი სული“ შხამით იყო სავსე. ტრაგედიას კიდევ უფრო ამძაფრებდა გაცნობიერება იმისა, რომ ყოველივე ამის ჩამდენი ჩვენივე გვარტომის ნაშიერი იყო, გადარჯულებული კონდოტიერი, ყველაზე დიდი მტერი მშობელი ქვეყნისა. უბედურებას ისიც წარმოადგენდა, რომ არავინ ჩანდა ამ კონდოტიერის შემჩერებელი და დარიალის კარის შემბმელი:

ტანი ყამირი როგორც ხმალი ელავს ჩამდგარი,
ვინ დაჩექმილი ჩემი სული შხამებს დარია,
აქაფებულა შუაღამე, როგორც ჯაგარი,
ვიღამ დაიდგნოს, ვინ შეებას კარად დარიალს,
...მოდის შამქორი, სოღანლუხი, დროშების მტვერი,
ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტიერი
და შენი სისხლი გაჭედილი, შიშით ზანზარებს.

ალეგორიულად, ალბათ, საქართველოს გულისხმობდა პოეტი ლექსში „ვეფხვიც“, რომელიც ასევე 1924 წელსაა დაწერილი და 1922 წელს დიღომში მოკლული ვეფხვისადმია მიძღვნილი. ვეფხვის მხატვრულ სახეს გ. ლეონიძე სიმბოლური ქვეტექსტის მნიშვნელობას სძენს. სწორედ ამგვარი ალეგორიზმი ვლინდება იმის ხაზგასმაში, რომ ავი ბედის ტრიალით განწირულმა ვეფხვმა ვერ აისრულა ოცნება - „ვეღარ დალაშქრა დარიალი“. ალეგორიულობისა და სიმბოლურობის ამ შეგრძნებას კიდევ უფრო გვიძლიერებს ლექსში აქცენტირებული ისტორიული ფაქტები და ნოსტალგიური საუბარი ძველი დინასტიებისა და ხალიფატების დაფერფლილ დიდებაზე.

პოეტის ოპოზიციური თვალთახედვის გამომხატველ ნაწარმოებთა რიგს გარკვეულწილად „წიგნი „ქართლის ცხოვრებაც“ შეიძლება მივაკუთვნოთ, საქართველოს ისტორიული წარსულის გახსენებით გაჩენილი ტკივილის გასამძაფრებლად დაწერილი ცნობილი ლექსი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ძველი ისტორიის ამსახველი ეს მატიანე ეროვნული აღზევების ეპიზოდებსაც გვამცნობს,

პოეტი ნაწარმოებში მათ შესახებ არაფერს ამბობს. მხოლოდ ტკივილი, ჩვენი ტრაგიკული წარსულის გახსენებით ქართველი კაცის გულში ჩაკირული მარადიული ტკივილი - აი, ის უმთავრესი სიმბოლური გასაღები, რითაც „ქართლის ცხოვრება“ ცოცხლდება პოეტის ცნობიერებაში ამ ლექსის მიხედვით.

რით არის ეს განპირობებული? რატომ იაზრებს ავტორი ჩვენი სამშობლოს ამ გმირული მატიანის ამსახველ წიგნს ასე ცალმხრივად? რით უნდა იყოს ეს გარემოება განპირობებული? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღეს, ცხადია, ძნელია, იქნებ შეუძლებელიც, მაგრამ მაინც მინდა ერთი ფრთხილი ვარაუდი გამოვთქვა.

ვფიქრობ, ასეთი განწყობილების ლექსის შექმნას უთუოდ შეუწყობდა ხელს და მძლავრ შინაგან იმპულსს მისცემდა ის ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც 1924 წლის აგვისტოში დატრიალდა ჩვენში. 1925 წლის იანვარში, როცა ეს ნაწარმოები დაიწერა, ქართული მიწა უკვე მორწყული იყო ქვეყნის თავისუფლებისთვის დაღუპული მამულიშვილების სისხლით. ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი და, რაღა თქმა უნდა, გ. ლეონიძეც, უღრმესი თაყვანისცემით იყო განმსჭვალული მამულისთვის ზვარაკად შეწირული რაინდებისადმი. სამშობლოს გათავისუფლების რომანტიკული იდეა ბოლშევიკურმა დიქტატურამ სისხლში ჩაახშო და გარკვეული ვადით დააასამარა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ერი ხედავდა, რომ ხსნა და საშველი არსით იყო.

გიორგი ლეონიძე

და აი, სწორედ ამ საყოველთაო სასოწარკვეთიის ჟამს, როცა ხალხს არათუ მწუხარების გამჟღავნების უფლება ჰქონდა წართმეული, არამედ აღფრთოვანებული ოვაციებით უნდა გამოეხატა თავისი სიხარული „ბედნიერი და ნაოცნებარი ეპოქის“ დადგომის გამო, იწერება გ. ლეონიძის ეს ლექსი. ამიტომაც, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, არა მგონია, საფუძველმოკლებული იყოს ვარაუდი იმისა, რომ გარდა აშკარად გამოხატული სათქმელისა, ლექსს ფარულად, შინაგანად ნაგულისხმევი ქვეტექსტიც გააჩნია. კერძოდ, საქართველოს ისტორიიდან მოშველიებული ტრაგიკული მომენტების განზოგადებული გახსენებით პოეტი არაპირდაპირ მკითხველს იმ თვალსაზრისსაც განუმტკიცებდა, რომ ფარ-ხმალი არ უნდა დაგვეყარა, გული არ გაგვტეხოდა და სულით არ დავცემულიყავით, რადგანაც მსგავსი სისხლიანი დღეები წარსულშიც მრავლად ჰქონია საქართველოს.

ჩემი აზრით, „წიგნი „ქართლის ცხოვრება“ ამ ქვეტექსტის გამომხატველი ლექსიცაა, რწმენისა და იმედის გასაღვივებლად დაწერილი ლექსი. სამშობლოს ცაზე ნისლივით დაფენილი შავი დროშები, სისხლით დაორთქლილი ხმლები, კვამლში აბღავლებული ხარები თუ დამწვარ-დაბუგული ნასახლარები, რაზეც ასე გულდამდუღრული გოდებს პოეტი, ვფიქრობ, მხოლოდ საქართველოს ისტორიული წარსულის წიაღიდან არეკლილი კოშმარული შთაბეჭდილებები კი არ არის, არამედ ხუთიოდე თვის წინათ ქართულ მიწაზე დატრიალებული ტრაგედიის უშუალო გამოძახილიცაა.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ არც ლექსის დაწერის ადგილმდებარეობის მითითება უნდა იყოს სასხვათაშორისო ფაქტი. გ. ლეონიძე ხომ ძალზე იშვიათად, სულ თითოოროლა შემთხვევაში, თუ მიუთითებს თავისი ნაწარმოების დაწერის ადგილს. „წიგნი „ქართლის ცხოვრება“ სწორედ ასეთი გამონაკლისთაგანია. იგი ანანურში დაუწერია პოეტს – ჩვენი ისტორიიდან კარგად ცნობილ ამ ერთ-ერთ განთქმულ ციხე-სიმაგრეში, რომელიც შუა საუკუნეებში ჩრდილოეთიდან დარიალის ხეობით მომავალ გზას უკეტავდა ჩვენი სამშობლოსაკენ დაძრულ ურიცხვ გადამთიელს.

წარსულის პოეტური განცდა გ. ლეონიძის შემოქმედებაში ხშირად სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტებითა და მინიშნებებითაა გამძაფრებული. ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა „ძველი საქართველო“, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაწერილი ლექსი. ამ გარემოებას აქ იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ მასში ნაგულისხმევი ქვეტექსტი რამდენადმე სწორედ ამ სისხლიან ტრაგედიასთანაცაა არაპირდაპირ დაკავშირებული, თუმცა ლექსში, ხილულად, სხვა არსებით ფაქტორებს ექცევა ყურადღება.

პოეტი გულისტკივილით ხატავს შუაზე თაღგაპობილ ეკლესიას, რომელიც ხავსს დაუფარავს, და ამით მიგვანიშნებს, როგორ გაუცამტვერებია და შეუმუსრავს ულმობელ ჟამთა სვლას ჩვენი ისტორიული არსებობის ეს ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი. ლექსში შემთხვევით არაა აქცენტირებული, რომ ეს შემუსრული ეკლესია ერეკლესდროინდელია. ტრაგედიის განცდას კიდევ უფრო აძლიერებს ხაზგასმა იმისა, როგორ დაამსხვრია დრომ, ახალმა ვითარებამ, ამ ეკლესიასთან დაკავშირებული რწმენა, როგორ შეაქცია მას ხალხმა ზურგი. ლექსის უმთავრესი მიზანსწრაფვა სწორედ ამ ვითარების აქცენტირებაა. ავტორი შეძრწუნებულია, რომ ჟამთასვლისაგან გაბედითებულ ეკლესიაში ერთი მორწმუნეც კი არსად ჩანს. ირგვლივ შემზარავი მყუდროება გამეფებულა და დანგრეულ კედლებზე ხავსი ბიბინებს, ხავსი - სიძველისა და წარმავლობის ეს მარადიული სიმბოლო. ქვეყანას თითქოს პატრონი და ჭირისუფალი დალევია. მრავლისმთქმელია ის სიმბოლური ფაქტი, რომ ამ სასოწარმკვეთი მდუმარებიდან პოეტის ცნობიერებაში ამოიზრდება ლანდი ტანაბჯრიანი რაინდისა, რომელიც შუაღამის სიჩუმეში მწარედ დაჰქვითინებს ამ გაპარტახებულ ნანგრევებს. ვინ არის იგი და რას დასტირის ასე უმწეო და გულმოკლული, ამის მიხვედრა სულაც არაა ძნელი საქმე.

ამ ტანაბეჭრიანი კაცის სახით გ. ლეონიძემ სასომიხდილი და გაწბილებული ჩვენი წინაპარი დაგვიხატა, ვის მიერაც ქვეყნის თავისუფლებისა და რწმენის დასაცავად დაღვრილ სისხლს ამაოდ ჩაუვლია. იგი ხედავს, რომ მისი სამშობლო კვლავინდებურად დამონებულია, რწმენაც შემუსრულია და არსით ჩანს ხსნის გზა. ღრმად მწამს, რომ ისტორიული ბედუკულმართობისა და წარმავლობის გრძნობასთან ერთად, გ. ლეონიძის ამ პატარა ლექსის ელეგიურ განწყობილებას 1924 წლის აგვისტოს ტრაგედიაც განაპირობებს.

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში დაწერილ ლექსებში გ. ლეონიძემ ის სოციალური გარდაქმნებიც შეაფასა ოპოზიციური თვალთახედვით, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების მესვეურები ატარებდნენ ჩვენში იმხანად. ამ თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა 1929 წელს დაწერილი ლექსი „ახალი მინდვრის სიმღერა“. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით იგი სოციალისტური ყოფის განსადიდებლად შექმნილი ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს, თუ კარგად დავაკვირდებით, იქვე იმასაც აშკარად ვიგრძნობთ, როგორ ძალუმად ვლინდება ღრმა შინაგანი სევდა ტრადიციული მამაპაპური ცხოვრების წესის ნგრევისა და გაქრობის გამო. პირველ ყოვლისა სწორედ ამ ნოსტალგიისა და მართალი ადამიანური ტკივილის გამოძახილი ისმის ამ სტრიქონებში:

მშვიდობით, სოფლის ორღობეებო,
აღარ შეგრჩებათ არც ერთი ღობე
და ვეღარაფერს ვეღარ გაყოფენ...
გადივიწყებენ ბაღი, ბაღჩები,
მეპატრონეთა მრავალ სახელებს
და თავისუფლად გაშლის მინდორი
საზღვრებისაგან დალურსმულ ხელებს.
...დაეყრებიან ოფლგადენილი
მამაპური კავი, გუთანი,
როგორც მკვნესარე პაპა, ბებია,
როცა თავს ადგას სულთამხუთავი...

ასე გრძელდება ლექსში თითქოსდა აღფრთოვანებული აღწერა-დახასიათება იმისა, რაც პატრიარქალური ყოფის რღვევასა და კოლექტიური მეურნეობის, დამკვიდრებას ახლავს თან. თუმცა, როგორც ითქვა, ამ პოეტურ დახასიათებაში იმავდროულად ღრმა შინაგანი ტკივილის გამოძახილიც ისმის. „ქართლის მინდორთა ამ წყნარ ნაღველთან“ სამუდამო გამოთხოვებით გაჩენილი სევდა კიდევ უფრო მძაფრდება შემდეგ სტრიქონებში:

გემშვიდობებით, კალოვ ძნიანო,
გამოფიწლულო ხვავის ნიავო,
ათასი წლობით კევრზე ვზუზუნებ,
ოროველათი მიტირნიაო!
მშვიდობით, ჩემო ქოჩორა ჭალავ,
წისქვილის თავზე წნორო მწუხარევ,
დაჟანგებული ფურცლები ქარსა
უკანასკნელად გადაუყარეთ!

გ. ლეონიძის ოპოზიციური თვალთახედვის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა მის ცნობილ ლექსზეც – „არ დაიდარდო, დედაო“ მინდა ვთქვა. როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები სამამულო ომად წოდებულ მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული 19 წლის ქართველი ვაჟკაცის აღსარება-მონოლოგია, სიკვდილის შემდეგ წარმოთქმული. ეს ლექსი, როგორც ნაწარმოებისთვის წამძღვარებული ეპიგრაფიდან ირკვევა, კონკრეტული ფაქტით ყოფილა შთაგონებული: 1943 წლის ნოემბერში ტამანის ნახევარკუნძულზე ყოფნის დროს პოეტს უნახავს საფლავი უცნობი ქართველი მეომრისა, რომელსაც ლევანი რქმეოდა სახელად.

იმასთან დაკავშირებით, რამ შთააგონა გ. ლეონიძეს ლევანის – „არ დაიდარდო, დედაოს“ ლირიკული გმირის – მხატვრული სახე, მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის თამაზ ნატროშვილი წერილში „ახალი სული ჩაუდგა“ („მნათობი“, 1988, 6). მკვლევრის აზრით, პოეტს შემთხვევით არ შეურჩევია ქართველი გმირის სახელად ლევანი და იქნებ სულაც არ ამოუკითხავს იგი საფლავის ქვაზე. „ვინ იცის, - განაგრძობს ქვემოთ თ. ნატროშვილი, - მეხსიერების არცთუ შორეული სიღრმიდან ეგებ ამოტივტივდა ტრაგედია ღვიძლი ძმისა, რომელსაც სწორედ ლევანი ერქვა სახელად. გულში ჩამარხულმა ტკივილმა სასწაულებრივ მიაგნო ერთადერთ გამოსავალს. საქვეყნო ტკივილის ზღვას შეუერთდა, სახალხო ტკივილში გაითქვიფა, არსებობის უფლება მოიპოვა... ტაბუდადებული ფაქტი მორცხვად და მალულად გამოკრთა ლექსში. მხოლოდ შენიღბულს შესწევდა გამოღწევა დღის სინათლეზე“.

რაში იყო საქმე, რა ტრაგედია დაატყდა თავს გიორგი ლეონიძის ძმას - ლევანს, ცნობილ ზოოტექნიკოსს, „მესაქონლეობის ლექსიკონის“ ავტორსა და ქართველი პოეტების მეგობარს? როგორც ცნობილი გახდა, იგი 1937 წელს დაუხვრეტიათ იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებულ უმძიმეს ბრალდებათა იარლიყით. ადვილი წარმოსადგენია, რამხელა ტრაგედიაც იქნებოდა ეს ფაქტი გოგლასათვის. თავისთავად სიკვდილი ხომ უდიდესი უბედურება იყო! და ისიც როგორი სიკვდილი! სიკვდილი, როცა ჭირისუფალს იმის უფლებაც კი ჰქონდა წართმეული, „ტრაგედიის მსხვერპლი დაეტირებინა და გულში ჩამარხული ვარამის ერთი წვეთი მაინც ეთქვა“.

თ. ნატროშვილის თქმით, გ. ლეონიძემ ამ ვარამის გამოსათქმელად ის გამოსავალი მოძებნა, რომ „სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ უცნობ ქართველ ჯარისკაცს დაკარგული ძმის სახელი დაარქვა და ამით მოიხადა თავისი ადამიანური ვალი – ძმას, უსაფლავოსა და სახელამოშანთულს, უზარმაზარ საძმო საფლავში მიუჩინა თავშესაფარი“.

სისხლის წვიმაში ღმერთმა მიშველა,
ვწერ და თქვენს ნაცვლად თითქოს მეწეროს! –

წერს გიორგი ლეონიძე ტიციანისა და პაოლოსადმი მიძღვნილი ერთი გვიანდელი ლექსის („უძოზე ისევ მღერის ბულბული“) ვარიანტში. ეს ლექსი იმ ტრაგიკულ დღეთა ცრემლიანი გახსენებაა, რომელთაც უღვთოდ იმსხვერპლეს პოეტის სიჭაბუკის მეგობრები, თვითონ კი ბედისწერამ დაინდო და შემთხვევით გადაურჩა დროის სიმუხთლეს.

სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილ რამდენიმე ლექსში გ. ლეონიძემ განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით

გამოხატა ეს ტკივილი. განსხვავებით მისი მანამდელი ნაწარმოებებისაგან, რომლებშიც, გასაგებ მიზეზთა გამო, ამ ტკივილის ხმა თითქმის მთლიანადაა დახშული, ბოლოდროინდელ ლექსებში პოეტი შედარებით მძაფრად და მწვავედ ცდილობს დაგვანახოს თავისი დროის დაუნდობელი და მზაკვრული ბუნება. ცხადია, ამ ტკივილის გამოხატვის დროს ავტორი ბოლომდე გულახდილი ვერ იქნებოდა, რადგანაც იგი ვერ მოესწრო შემბოჭველი ხუნდებისაგან აზროვნების მთლიანი გათავისუფლების სანეტარო დროის დადგომას, მაგრამ 50-იანი წლების დასასრულიდან ჩვენს ცხოვრებაში სუსტად გამოვლენილმა დემოკრატიულმა პროცესებმაც კი მის მსოფლმხედველობაზეც მოახდინეს საგრძნობი ზეგავლენა და ახალი ტენდენციები წარმოაჩინეს პოეტის შემოქმედებაში. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ეს პატარა ლექსიც, რომელშიც საბჭოთა ეპოქის მიერ თავსდატეხილი პიროვნული ტრაგედია ასეა გამოხატული:

რა ლექსი გინდა, ჩემო დროებავ,
გამაგებინე, რა ლექსი გინდა,
რომ არ მომეცი მე მყუდროება,
არც წყალი მასვი მე გემოწმინდა.
რად დამიგრიხე ხორხზე საბელი
და ფრთაში წყლული რად გამიჩინე.
რად აკვლევინე კაენს აბელი,
რომ ერთი ძმაც კი არ შემარჩინე.

ამ სტრიქონებში ნათლად ვლინდება მანამდე ხმამაღლა გაუმჟღავნებელი სამდურავი ბედისადმი, კაცობრიობის ყველაზე ბედნიერ ეპოქად გამოცხადებულმა ყოფამ რომ დაატეხა პოეტს თავს. ამ სამდურავის, ამ გულის გულში ნატარები და წლობით კარდახშული ტკივილის ექო გ. ლეონიძემ შთამბეჭდავად გამოხატა თავის ბოლოდროინდელ რამდენიმე ლექსში. ზოგიერთი მათგანი პოეტს სიცოცხლეში არც გამოუქვეყნებია, ზოგიც სათანადოდ დაუხვეწავ-დაუმუშავებელი დარჩა. ეტყობა, ეს თემა სიცოცხლის ბოლო წლებში განსაკუთრებით აწუხებდა. ამ ნაწარმოებებში მძაფრად ვლინდება მონანიებისა და თვითგანსჯის ძლიერი განცდა, სინანული და მდურვა იმ ავბედითი დროების გამო, რომელმაც მილიონობით საბჭოთა ადამიანის მსგავსად პოეტიც იმჟამინდელ ცოდვათა უნებლიე თანამოზიარედ აქცია და ხორხზე საბელმობმული ატარა.

გ. ლეონიძის კრიტიკულ-ოპოზიციურმა თვალთახედვამ არაპირდაპირი ფორმით პოემა „სამგორშიც“ ჰპოვა გამოვლინება. იგულისხმება პოეტის მიერ ტრაგიკული სიმწვავით დასმული საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა. ჩვენი ქვეყნის ორი დიდი დამპყრობლის - სპარსეთისა და ბიზანტიის - იმპერიული მიზნების შეულამაზებლად და სიღრმისეულად წარმოჩენის შედეგად პოეტი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ სამწუხარო ჭეშმარიტებას, საუკუნეთა განმავლობაში როგორ ყალბ ილუზიად და ამაო მოიმედეობად იქცეოდა მეგობრული თანადგომის ყოველი დაპირება სხვა ქვეყნების მხრიდან, რის შედეგადაც ურიცხვ დამპყრობთა შეჯახების ასპარეზად გამხდარი საქართველო ყოველთვის რჩებოდა მარტო თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა პირისპირ. ამით პოეტი არაპირდაპირი გზით მკითხველს იმის გამოც აფრთხილებდა, რომ ერს თავისი პრობლემები უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა გადაეწყვიტა, თვითონვე ყოფილიყო საკუთარი ბედის შემოქმედი და სხვა ქვეყნების იმედი, მათ შორის „დიდი რუსეთისაც“, არ უნდა ჰქონოდა.

„სამგორში“ ტრაგიკული სიმწვავით დასმული საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა, რომელიც ჩვენი ხალხის ისტორიული თვითარსებობის თითქმის მთელ მანძილზე მძაფრად აქტუალური იყო, გ. ლეონიძემ ვახტანგ გორგასალის ეპოქას დაუკავშირა. კერძოდ, პოეტი საქართველოს სამომავლო ბედს სჯის და იაზრებს ორი დიდი დამპყრობლის – სპარსეთისა და ბიზანტიის - იმპერიული ინტერესების საბედისწერო შეჯახების გათვალისწინებით.

როგორია ამ ჭიდილის მსხვერპლად გამხდარი ქვეყნის სამომავლო ბედი, რა არჩევანი უნდა გააკეთოს მან და სადაა გამოსავალი? ამ პრობლემის გააზრება „სამგორში“ მხოლოდ ისტორიული ასპექტით როდია საინტერესო. მიუხედავად იმისა, რომ გ. ლეონიძის პოემა ისტორიული სინამდვილის ამსახველი ქმნილებაა, პოეტისათვის წარსული თვითმიზნად არაა ქცეული და ნაწარმოებში წამოჭრილი ყველა საკითხი არაპირდაპირ პოეტის დროინდელ სინამდვილესაც უკავშირდება სისხლხორცეულად.

ამ თვალსაზრისით, გ. ლეონიძის პოემა შენიღბულ-შეფარული ფორმით, სოციალისტური იდეოლოგიისათვის მიუღებელ ეროვნულ პოზიციასაც აშკარად გამოხატავს.

მიუხედავად იმისა, რომ პოემაში აღწერილი ამბები ჩვენი წარსულის უძველეს ხანას განეკუთვნება და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა სპარსეთისა და ბიზანტიის ინტერესთა შეჯახების ფონზეა განსჯილ-გაანალიზებული, ავტორისეული მსჯელობა მთელი ჩვენი ეროვნულ-ისტორიული ხვედრის განზოგადებული შეფასებაცაა და „მეერთრჯულე“ ბიზანტიის დახასიათება ბევრი ნიშან-თვისების მიხედვით „ერთმორწმუნე“ რუსეთთან საქართველოს ისტორიულ ურთიერთობასთანაც ძალდაუტანებლად ასოცირდება.

ეს პარალელი რომ შემთხვევითი არ არის, ამას პოემის ეპილოგიც ნათლად ადასტურებს, სადაც „ახალი ქართლის“ მომავალზე ფიქრი ორგანულად შეერწყმის მარაბდითა და კრწანისით „წანისლული“ ხსოვნის გახმიანებას „ახალ ფოლადის ზარის ხმით“.

ახალო ქართლის მარჯვენავ,
თუ ძველი ღალა გადახმა,
შენ ამიყვავე, რაც სისხლით
დაიცვა ხალხმა, ვახტანგმა!
მშრომელი ხალხის მარჯვენავ,
შენ ამიყვავე მარადა, –
რაც ცეცხლით დასწვა მტრის ხელმა,
რაც გადამიჭკნო მარაბდამ!..

ასეთია უმთავრესი დეტალები საბჭოური ეპოქალური სინამდვილის კრიტიკული თვალთახედვით აღქმა-წარმოსახვისა გ. ლეონიძის პოეზიაში. მართალია, აღნიშნული ტენდენცია პოეტის შემოქმედებაში ფართო მასშტაბების მომცველ მოვლენად არ ქცეულა, მაგრამ გ. ლეონიძის მსოფლმხედველობრივი მრწამსის განსაზღვრის დროს ამ ხასიათის ნაწარმოებთა უყურადღებოდ დატოვება მაინც ყოვლად გაუმართლებელი ფაქტი იქნება.

როსტომ ჩხეიძე

ეკლიანი და პატარა გზა

ეკატერინე გაბაშვილი

დედაო – რეზომ მკითხა ერთხელ – მართლა მოხდა ასეთი რამ, რომ ვიღაც მანდილოსანს ქოლგა გადაუმტვრევია თავზე ერთი თავადიშვილისათვის, როგორ თუ უკადრისი სიტყვა დაუძახა ილიას ლოჟიდანო?

პირდაპირ თქმა ვერ გამიბედა, ნუთუ ქოლგა შენ გადაამტვრიეო.

ვინც ეს უამბო, ჩემს სახელსაც არ დაუმალავდა, მაგრამ რეზომ იფრთხილა და ასე შემომაპარა.

დავუდასტურე, რომ მართლა მომხდარიყო და... კიდეც შემომანათა გაფართოებული თვალები.

ჩემგან ასეთი რამ ვერ წარმოედგინა და სხვებიც არაფრისდიდებით არ დაიჯერებდნენ, ამხელა კრება რომ არ ყოფილიყო შემსწრე.

შესაძლოა სიბერის ბრალია, რომ ეს სიტყვა ზუსტად აღარც მაგონდება, უდიერად წამოსროლილი. მარტო ერთ სიტყვაში არ არის საქმე, განწყობილება ტრიალებდა ისეთი, დაჭიმული მქონდა ნერვები და სადაცაა ვიფეთქებდი.

აქეთ-იქიდან უტევდნენ ილიას და ის კი თავდაჯერებით იგერიებდათ და მახვილსიტყვაობასაც არ იშლიდა, მიშო მაჩაბელსაც მისებურად გადაჰკრა: მასავით ხომ არ ავყვები ბურუსში ძაღლის ყეფასაო, და სხვებსაც კიდევ ერთხელ დაამახსოვრა მწარედ ის საღამო, მაგრამ მე ვერა და ვერ ვწყნარდებოდი და იმ თავადიშვილის წამოხტომამ ის ფიქრი გამიჩინა, ხელახლა იწყება ახალი ტალღა-მეთქი.

ვეღარ გავიმეტე ილია საამისოდ და მივეჭერი ლოჟაში იმ უკადრისი სიტყვის მთქმელს, მივეჭერი და თავზეც დავალეწე ქოლგა.

დარბაზი გაშრა და კარგა ხანს გონსაც ვერ მოეგო. იმანაც მხოლოდ თავზე ხელები წაიფარა და დარჩა ასე მწარედ ნაცემი ძაღლივით. ისე ძაღლსაც ვერ გავიმეტებდი სხვა დროს, მაგრამ დგება წუთი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც თავს ვერ იმორჩილებს და მიენდობა ინსტინქტს, ამოუცნობ ძალას და მერე დიდხანს ფიქრობს და არკვევს, მართლა მე ვიყავი თუ არაო.

მეც ასე ვიფიქრე და ვარკვიე და ბოლოს-ბოლოს დავიდასტურე, რომ მე ვიყავ და სხვა მანდილოსნის მოქმედებას არ შევსწრებივარ.

და მერე იმ თავადიშვილმა, გაწყრომის ნაცვლად, თურმე ბოდიში მოიხადა და თავის დამსჯელ ხელს ეამბორაო, – როდის-როდის ამოღერღა რეზომ და ეს კი უარვყავ. არც ვიცოდი, ლეგენდას თუ ასე შეევსო ის ეპიზოდი. თუმც მთლად შეთხზულიც არა ყოფილა. ხელზე ნამდვილად არ უკოცნია, მაგრამ შემოთვლით შემომითვალა, ხანი რომ გავიდა, მერე: თქვენს მარჯვენას ვენაცვალე, ქალბატონო, ილიას მგმობს იმაზე მეტიც ეკადრებოდაო.

სულ მინდოდა ილიას პორტრეტი გამომეკვეთა. ისეთი ხასიათისა იყო, ახლოს მაინცდამაინც არ მიგიშვებდა, მაგრამ არაერთხელ შევხვედრივარ, ერთადაც გვიმოქმედია წერა-კითხვის საზოგადოებაში, როდესაც მისი მმართველობის წევრად მეც ამირჩიეს; ილიაობასაც არაერთხელ დავსწრებივარ; ოლღასაც ძალიან დავუახლოვდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემს სახლში და ჩემი ზედამხედველობით დაწესდა ქალთა პროფესიული სკოლა – ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედაც ოლღა გურამიშვილი ავირჩიეთ.

ამ საერთო ინტერესებითა და საქმით შეერთებულმა ნაცნობობამ, ბუნებრივია, დაგვამეგობრა და, ხშირად რომ მიწვევდა საგურამოში, ძალიან მერიდებოდა მათი შეწუხება და მიპატიჟებას ვირიდებდი.

ახლა ვნანობ და ძალიანაც, ხელიდან როგორ გავუშვი ილიასთან ახლო ყოფნის ბედნიერება – ღმერთი რომ წყალობის თვალით გადმოგხედავს და შენ კი ხელის განძრევაც არ გინდა, ეს წყალობა რომ შეიგრძნო.

თუმც გამტყუნებითაც არ გამემტყუნება – მერიდებოდა, რა ვქნა...

პორტრეტის გამოკვეთას კი სულ მერმისისათვის გადავდებდი ხოლმე, უფრო მომზადებულად ვიგრძნო თავი ამხელა საქმის ღირსეული აღსრულებისათვის-მეთქი და ვეღარც გავიგე, სიბერე როგორ შემომეპარა და ახლა ამ უღონობამ ხელიდან გამომაცალა ეს ჩანაფიქრი.

ერთი იმდენი, რაღაც-რაღაცების ჩანიშვნა მაინც შევიძლო, თუნდ წვრილმანისა და გაკვრით, იქნებ სხვას მაინც გამოადგეს სრულყოფილი სურათის აღდგენისას.

შალვა დადიანი

მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არისო, – ეს რომ მითხრა, ფრთაშესხმული გამოვფრინდი იქიდან.

მამის ქება ყველას ეამება, მითუმეტეს, ილია თუ გეტყვის.

ისე ამხედ-დამხედა, ელოდა, სასწავლო ფორმაში ვიქნებოდი გამოწყობილი და ოდნავი გაკვირვება ჩაუდგა თვალებში, რომ 14-15 წლის ყმაწვილს სამოქალაქო სამოსი მეცვა. მე კი სკოლაში არასოდეს მევლო მამაჩემის გადაწყვეტილებით: სკოლაში წამიხდენენ და ისევ მასწავლებლებს დავუქირავებო, – და გულისკანკალით მოვახ-

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №20, 21

სენე, ასეა და ასე-მეთქი. ვაითუ როგორ შეხვედროდა მამაჩემის ამ ნებას.

განსჯა არც დაუწყია. მიზეზი ავუხსენი თუ არა: ჩვეულებრივი ბილიკით მავალი არ არისო, – ეს მომიგო და, ეტყობა, ესიამოვნა, რომ მისთვის საპატივსაცემო კაცს ამ შემთხვევაშიც არ უმტყუნა გამჭრიახობამ.

მისი კულტი გვზრდიდა ყმაწვილებს, მისი და აკაკი წერეთლისა. ჩემს თვალში ილია რაინდად და ბუმბერაზად გადიადებულიყო და დიდად ამიტომაც არ გამკვირვებია, პირველად ბედაურზე ამხედრებული რომ ვიხილე რაინდული ეპოქის პერსონაჟივით. ნიკო დადიანმა მდიდარი ბიბლიოთეკა შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას, ძველი ხელნაწერებით სავსე, და კომისია რომ ჩამობრძანდა ზუგდიდში, იმ კომისიას ილია მეთაურობდა.

ჩვენ ბანძაში ვიყავით ნათესავებთან და, ერთმა წერწეტა მეგრელმა გაშლილ ეზოში ცხენი რომ შემოაჭენა და მამას მიმართა: ჭანჭანიძე მოდის შენთანო, – ბავშვები ვერ მივხვდით, ვინ უნდა ყოფილიყო ეს „ჭანჭანიძე“, მაგრამ მამამ რომ გვახარა, ილია მობრძანდებაო, აგვიტყდა ერთი ჟრიამული.

და კიდეც მოადგა ეზოს ოცი-ოცდახუთი ცხენოსანი, წინ იონა მეუნარგია და ერთი პირბუდაღი და თვალებმცინარე ადამიანი მოუძღოდათ.

– გავიგე აქ ყოფილხარ, ნიკო, და გულმა არ მომითმინა არ მენახეო, – ილიამ, და პირველად მაშინ ჩამეღვარა გულში ის უჩვეულო სითბო, რაც მოგვიანებით კიდევ ერთხელ გამიმეორდა.

ზუგდიდში უკვე ეთქვა და ჩვენთანაც გაიმეორა სუფრაზე:

– სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავ!..

მოქილიკენი ხომ ყველგან გამოჩნდებიან ხოლმე და მეც არაერთხელ გამაგონეს: ვითომ რატომ არ ელოდა, რომ საქართველოს აქაც იხილავდაო.

ვერ ჩახვდნენ თუ ძალად იბრმავებენ გონებას, რომ ილიას ამ მხარეში საქართველოს ნახვა კი არ გაკვირვებია, იმ იდეალური საქართველოს იერის აღმოჩენამ აღაფრთოვანა, რომელსაც ყველგან დაეძებდა – ქართლშიც და კახეთშიც, ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთშიც, ხევშიც და სვანეთშიც, იმერეთშიც და გურიაშიც, მესხეთშიც და აფხაზეთშიც, აჭარაშიც და ტაო-კლარჯეთშიც... თვითონ ქმნიდა და ჭედდა ამ იდეალის ყველაზე ხელშესახებ და შთამბეჭდავ ხატს და აღტაცებას ვერა ფარავდა, როდესაც ოცნება-წარმოსახვა რეალობაში ასე კანთიელად დაუდასტურდებოდა ხოლმე.

თორემ მირაჟებს როდემდე გამოეკიდები ადამიანი!..

ის მაინც სულ სხვა წუთები იყო, მე რომ მივეახლე ილიას გელათის ეკლესიის ეზოში, ხალხი გთხოვთ, გამოსათხოვარი სიტყვა ბრძანოთ-მეთქი.

გაბრიელ ეპისკოპოსს ეთხოვებოდა ქვეყანა, მისტიროდა მამასავით თავზე გადაყოლილ ამ საკვირველ კაცს და ამიტომაც გაგრძელდა დიდხანს გამოთხოვების ჟამი. დიდთოვლობას აბრალებენ, მაგრამ ზაფხულიც რომ ყოფილიყო, ასევე ხელოვნურად გაჭიანურდებოდა დაკრძალვა, რათა გულნაკლული არავინ დარჩენილიყო, ჩამოსვლა და გამოთხოვება არ დამცალდაო.

მოწესრიგება მეც მქონდა მონდობილი და რარიგ მეამაყებოდა, მკლავზე საგანგებო ნიშანიც რომ მქონდა გაკეთებული და ხალხი კი ჩემს ყოველ განკარგულებას ემორჩილებოდა.

მოთავდა სასულიერო პირთა სიტყვები.

რუსმა ეგზარხოსმაც ილაპარაკა საკმაოდ თავდაჭერილად, დიდად თუ არ ჩაჰქროდა გულში გაბრიელ ეპისკოპოსი, მაგრამ ხათრი და პატივისცემა მაინც ექნებოდა, რაკიღა მისი სახელი მთელ იმპერიაში ქუხდა და სულიერი მამის გარდა თვალსაჩინო მეცნიერადაც აღიარებდნენ.

თითქოს აღარაფერი უკლია ნეშტის ჩასვენებას სამარეში, მაგრამ წამიერად ყუჩდება ყველაფერი და საერთო გულისთქმა დატრიალდება ხალხში, ყველა ერთობლივ მოელის რაღაცას და ეს „რაღაც“ ილიას საჭირისუფლო სიტყვაა, ურომლისოდაც გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა ვერ წარმოუდგენიათ.

და კიდეც იყვირებს ერთი კაცი და აჰყვებიან სხვანიც:

– ილია, ილია სად არის?

მამაჩემმა მანიშნა: წადი, მოძებნეო.

მყისვე გაიპო ნაკადი და ილიაც ადვილად მოვნახე, ჯგუფში იდგა და ხალისიანად საუბრობდა, მე რომ მივადექი, უეცრად შეიცვალა, სახე მოეკუშტა და თითქო წარბებიც შემოუქურუხანდა, მაგრამ სიტყვაშემოუბრუნებლივ დამემორჩილა.

ხალხს ჰგონია, რომ მხოლოდ წინ მივუძღვი, მე კი... ცაში დავფრინავ. დავფრინავ და მწვდება ქვემოდან ხმები: ილია ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძეო... ვინმე უბირი რომ იდგეს ეზოში და მისი სახელი არა სმენოდეს, ისიც მიხვდება, უსათუოდ დიდი კაცი უნდა იყოს, ამხელა მოკრძალებითა და სიყვარულით რომ განმსჭვალულა აქაურობაო.

შევუძეხ ტაძარში, მივაცილე ამბიონთან და მეც გვერდით ამოვუდექ.

დაწყებას აყოვნებს.

მის გულს კი გააქვს ბაგა-ბუგი.

ვისაც ვეუბნები, არ მიჯერებს, განა ასე რას უბაგუნებდა გული, შენამდე რომ მოეღწიაო.

მე უფრო არ მახსოვს?

სიტყვის დაძვრისთანავე თითქოს დამშვიდდა, გარეგნულად კი არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მკერდი მაინც აუდ-ჩაუდიოდა. სწორედ იქიდან, გულის სიღრმიდან დაძრულა სიტყვათა ნაკადი და უჩვეულო განცდაში ამიტომაც ამოვლებულა.

ისეთი შთაბეჭდილება შემომრჩა, თითქოს ილიას შემოქმედებით ლაბორატორიაში შევჭრილიყავ, სადაც ჩემი თანდასწრებით ითხზვებოდა მისი ნაბეჭდი სიტყვები.

ვინც გადაიკითხავს ამ გამოსვლის ტექსტს, ეჭვი არავის შეუვა, რომ ეს დახასიათება გაბრიელ მღვდელმთავრისა ზუსტად მიესადაგება თვითონ ილიასაც. ის გაბრიელის მოვლინებას სახავდა ღვთის წყალობად და ჩვენ მისი მოვლინება გვიღიარებია ღვთის მადლის გადმოფენად.

მისი ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდაო, – შეჰხაროდა ილია მღვდელმთავრის აჩრდილს და ღვთის სიტყვა თვითონ მის ბაგეთაგანაც გამოისმოდა.

სიმონ ქვარიანი

რამდენჯერ ჩამიკითხავს მისი ეს სიტყვა და ყოველთვის ამბიონზე გადმომდგარი ილიას ხატი ამოშუქდებოდა ჩემს ცნობიერებაში, და გულისძგერაც მოჩქეფდა ფურცლებიდან.

ეგაა, ის პასაჟი ვეღარ მიპოვნია, ილიამ გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგება რომ ახსენა, ქუთაისის სობოროში 1881 წლის 25 მარტს წარმოთქმული, და: წინასწარმეტყველურიო, – ასე შეაფასა.

იქნებ მომეჩვენა?

რა მომეჩვენა, როცა მერე მამაჩემს ვკითხე და ლამის სიტყვა-სიტყვით მიამბო ქადაგების შინაარსი. თვითონ არ დასწრებია, მაგრამ ის ქადაგება ძალიან გახმაურებულა და სანდო კაცებისათვის გამოუკითხავს.

იმათ მოუყოლიათ წვრილად: მღვდელმთავარმა დაუნანებლად შეაჩვენა ის პარტია, ევროპაში რომ გამოჩნდა და ყველა „ახირებულად“ თუ „გადარეულად“ იხსენიებს. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც მოუნდომებიათ მთელი ქვეყნის მოწყობილობის, ჩვეულების, რჯულის, ყოფაქცევის გამოცვლა და გადაბრუნება, კაცთა საზოგადოების დამგვანება ნახირისათვისო. რაკიღა თავიდანვე მიხვედრილიყვნენ, ვიდრე ქვეყანაზე იქნება წესიერება, საღვთო და სამოქალაქო სჯული და უფროს-უმცროსობა, ჩვენს სწრაფვას ვერ აღვასრულებთო, ამ პარტიას უარეყო ეს ყოველივე. ჯერ თვისი აზრისა და სწავლის გავრცელება სიტყვითა და ქადაგებით მოინდომეს და ბევრნი კი აცთუნეს, მაგრამ უმეტესობა მაინც ძველ წესსა და ადათზე რჩებოდა, ამიტომაც დაადგნენ ძალადობის გზას და იმ კაცთა ჩახოცვა-ჩამოცილებას, ვინც მათ ბოროტგანზრახულებას გადაეღობებოდნენო.

ვაი არსო – მრისხანებდა მღვდელმთავარი – რომელნი იტყვიან ბოროტსა კეთილად და კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ მწარესა ტკბილად, და ტკბილსა მწარედ, და რომელნი დასდებენ ბნელსა ნათლად, და ნათელსა ბნელადო.

ეს სიტყვებიც ამოუშლელად ჩაბეჭდოდათ მეხსიერებაში:

ძალად ღმერთიც კი ვერ აცხონებს კაცსა და ამ პარტიას უნდა ძალად გააბედნიეროს მთელი ქვეყანა. კიდეც რომ მათი აზრი და მიზანი ქვეყნის გაბედნიერება იყოს, ნუთუ შეიძლება სიკვდილით, მოწამვლით, ავაზაკობით გაბედნიერება ქვეყნისაო?

და ახლა ილიამ ის დღე და ქადაგება რომ მოაგონათ, ძალიან ააფორიაქებდა ხალხს, თანაც „წინასწარმეტყველურის“ თქმაც ძალაუნებურად მიახვედრებდა ყველას, რომ ის ბოროტგანზრახულება კი არ მოთავებულიყო, კიდევ უფრო მოღონიერებულიყო, შორსა და შორს გადმოწეულიყო და ავად შემართულიყო ჩვენი ქვეყნის თავზეც.

მამაჩემმა სწორედ ეს გამიმხილა ძალიან შეწუხებულმა: რაკიღა ილიამ ის ქადაგება ასე გამაფრთხილებლად გაიხსენა, უფრო მკაფიოდ ხედავს მოსალოდნელ უბედურებას, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია მისი განჭვრეტაო.

განა რა უბედურებას-მეთქი?.. ოცდაორი წლისა ვარ, ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად.

აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკიო – მამაჩემმა – ღმერთმა ინებოს, ამ ერთხელ უმტყუნოს გუმანმა ილიასო.

სერგო გერსამია გაკვეთილზე რომ გამოცხადდა, ჯერაც ეტყობოდა ნაცემობა. იქ არაფერი ვუთხარ, მაგრამ გაკვეთილის შემდეგ დავიტოვე და წვრილად გამოვკითხე, რა დამართოდა.

ბულვარში რომ დიდი აყალ-მაყალი ატყდა, ისედაც ვიცოდი და არ გამკვირვებია. მე თვითონ არაერთხელ შევსწრებივარ ცხარე კამათს სუფრაზეც, ქუჩაშიც, ბულვარშიც. მთელი ქუთაისი ორადაა გახლეჩილი და ეს ნაპრალი ოდესმე ამოივსება თუ არა, აღარც გგონია. ნერვებიც ისეა დაჭიმული და ვნებებიც გამძაფრებული. არა, ჩაცხრება, განა არა, ამისთანები, ჩამცხრალა, მაგრამ ჯერჯერობით საამისო პირი არ უჩანს.

იმ დღეს კი დავა ხელჩართულ ჩხუბში გადაზრდილა და ვინ ვის ურტყამდა, უკვე ვეღარც გაარკვევდი თურმე.

ისეთი დარბაისელი ადამიანები აღმოჩნდნენ ჩათრეულნი მუშტი-კრივში, ვერც დაიჯერებო, – მიმტკიცებდნენ.

ამას კი არა, მეტსაც დავიჯერებ. არ გამიკვირდება, სულაც ის დარბაისელი ადამიანები რომ ყოფილიყვნენ ამ აყალ-მაყალის წამომწყებნი. რა ჩათრევა და რისი ჩათრევა.

იროდიონ ევდოშვილის სახელი მოყოლილიყო ამ შეურიგებელ დავა-კამათში და ქუთაისის საზოგადოებაც მას გაეხლიჩა ორად.

მთელ საქართველოშიც ასევე იყო და ჯერაც არის თურმე, ჩამოდიოდა და ჩამოდის ხმები, მაგრამ მე რაც საკუთარი თვალით მინახავს, იმას მოგახსენებთ.

განა ქუთაისის გახლეჩვა ორ საპირისპირო ბანაკად და დაუნდობელი გადამტერება პატარა ამბავია? განა სათავშისაცემო არ არის გონიერი კაცისათვის? გონიერება არასოდეს ჰკლებია ჩემს ქალაქს, მაგრამ ხან სად ჰქრება ხოლმე ჭკუა, ვეღარ გაგიგია – ვერც სხვისა და ვერც შენი თავისა.

შევსწრებივარ-მეთქი..

ის კი არა, მე თვითონაც ჩავრეულვარ მთელი არსებით და იმ დღეს ბულვარში რომ ვყოფილიყავი, მეც მუშტი-კრივის შუაგულში აღმოვჩნდებოდი. და მარტო ჩემს მოწაფეებს კი არ დაალილავებდნენ, მეც კარგა ლაზათიანად მომხვდებოდა.

არ უჩანს მორიგება-შეთანხმებას სასიკეთო პირი.

როგორ თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გავიდა იროდიონი და თანაც ვისი გულისთვისო.

მარტო ის კი არა, სხვებიც უნდა გასულიყვნენ და სწორედ ამ მიზეზითო.

რეაქციონერსა და რევოლუციის მოძულეს როგორ ანაცვალა მშობელი პარტიაო.

რეაქციონერსა და რევოლუციის მოძულეს კი არა, ერის მამას, ვინც კალთით ეზიდებოდა ქვეყნის ჭირ-ვარამსო.

თვითონაც ხალხის მოღალატედ და ორგულად გადაიქცაო.

ხალხის მოღალატედ და ორგულად კი არა, ახლა იგრძნო თავი კაცად ქვეყანაზეო.

მწარედ ინანებსო.

ვინ გაბედავსო.

თქვენი შეეშინდებათ სწორედო.

არა თქვენიო.

მუშტამდე მიდიოდა საქმე და არც მიდიოდა, წამოიქოჩრებოდნენ და თავს იოკებდნენ, მწარე სიტყვა დაცდებოდათ და იქვე ასხვაფერებდნენ.

ნახავთ-მეთქი – ვამბობდი – ნახავთ, თუ ამ გაწევ-გამოწევამ უამბოდ ჩაიაროს-მეთქი.

დიდი რამ გამჭრიახობა სულაც არა ჭირდებოდა ამის მიხვედრას.

ყმაწვილები უფრო სეირის მაყურებელნი იყვნენ და სერგოც ამ განწყობილებამ აიყოლია, კინაღამ საბედისწეროდ რომ გაუხდა. ნათეთქვ-ნაგვემი ისეთი კმაყოფილია და ღმერთს მადლობას სწირავს, ეტყობა, უარესიც იყო მოსალოდნელი.



მხატვარი ვახტანგ მეგრელიშვილი

სად მიიჭყლიტებოდი-მეთქი, – თან ვსაყვედურობ და თან ვანუგეშებ, სიცილითაც დავატან: რევოლუციონერი შენ ყოფილხარ, თუ ყოფილხარ, ასეთ შეხლა-შემოხლებში რომ გამოიწრთობი, კიდეც მოემზადები მომავალი ბრძოლებისათვის-მეთქი.

მშვიდდება, წვრილად მიამბობს იმ ორომტრიალისას, მეფიცება, მოშორებით ვიდექი და მხოლოდ თვალს ვადევნებდი, მაგრამ ხალხის ტალღა რომ აირია და აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდა, გამვლელ-გამომვლელნიც შუაში მოიქცია და მეც ვერ გავიგე, ჩხუბის შუაგულში რამ ჩამაგდო, ხან ვიღაცას ვიყავ შემდგარი და ხან ვიღაც შემდგომოდა ზედ, ხან ვიღაც მადლიანი გამომათრევდა, ხან ვიღაც ისე წამიქიმუნჯებდა, ისევ მიწაზე ვიშხლართებოდიო.

იუმორი არ აკლია ამ ყმაწვილს და ისეთი დაგემოვნებით მიყვება, თითქოს თავშესაქცევი წიგნის შინაარსიაო. თან ვიცინი და თან ბრაზი მომდის ჩემს თავზე: რა ცუდი ამბავი მოხდა და შენ რამ გადაგრია-მეთქი.

რა დრო დადგა – შენი თავიც აღარ გისმენს!..

ვიცინი, ვიცინიიიიი...

ჩვენი გიმნაზიის მეხუთეკლასელ მოწაფეებთან ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრე ჩამოვაყალიბე და შაბათ საღამოს ჩემს ოჯახში ვიკრიბებით და რეფერატებს ვისმენთ და ვკამათობთ.

ერთ შეკრებაზეც გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზეც უნდა წაეკითხათ რეფერატი.

მოწაფის გვარი არ მაგონდება და არც არის აუცილებელი. ისე, თუ ძალიან გნებავთ, სერგო გერსამიას ჰკითხეთ, გვარსაც გეტყვით და იმ დღის ზუსტ თარიღსაც. მეხსიერებაც გაწაფული აქვს და, მგონი, ყველაფერს კიდეც უნდა ინიშნავდეს. ეტყობა, ჩვენი დროის მემატიანეობას უნდა აპირებდეს და საგულისხმო ცნობებსაც შემოინახავს.

რეფერატი, ცხადია, ვერ აცდებოდა 1865 წელს მომხდარ ტფილისის აჯანყებას ანუ ხელოსანთა ბუნტს. გრიგოლ ორბელიანი იმჟამად მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა და ამბოხი მას უნდა ჩაექრო. ჩააქრო კიდეც. ამ ამბის გახსენებისას ფრთხილი აღნიშვნა ურჩევნიათ: აჯანყების დასამშვიდებლად მიიღო ადმინისტრაციული ზომებიო, – მაგრამ ყმაწვილი ოფიციალურ შეხედულებას რას დაგიდევდა – მისი მოქმედებაც დაგმო და თვითონ გრიგოლ ორბელიანიც აუგად მოიხსენია.

რეფერატის შეფასებისას ჩემი მხრივ ვთქვი, რომ ეს ამბოხი გამოიწვია ცხოვრების სიდუხჭირემ და მთავრობის პოლიტიკამ. ეს ბუნტი რევოლუციური აქტი იყო და, ვიდრე მმართველობის წესი შეიცვლებოდეს, ასეთი მოძრაობა ყოველთვის იქნება-მეთქი. და ყმაწვილებს გავახსენე, რომ ამგვარი მოძრაობა რამდენიმე წლის წინათაც იყო. გრიგოლ ორბელიანი, როგორც მოღვაწე და როგორც პოეტი, რევოლუციის მომხრე არა ყოფილა, რევოლუციის მომხრე და მეხოტბე ეროდიონ ევდოშვილია, ვინც, სხვათა შორის, ახლახან დაუპატიმრებიათ-მეთქი.

მისმა დაპატიმრებამაც იმოქმედა ყმაწვილებზე, თვითონ ეროდიონის სახელი შეუძლებელია არა სმენოდათ და შემეხვეწნენ, იქნებ მასზე გვესაუბროთ, არსადაც არ გვეჩქარებაო.

მეც მივდექი და რაც ვიცოდი ეროდიონზე, ყველაფერი გადმოვულაგე, ლექსებს სულ ზეპირად ვიმოწმებდი და ისე გაგვიგრძელდა ის შეკრება, ერთ-ორ საათში კიდეც დაგვათენდებოდა თავზე. მაინც არ მეშვებოდნენ: კიდევ და კიდევო. მე ვუთხარი, რამდენიც უნდა გელაპარაკოთ, ამოწურვით ამ თემას ვერ ამოვწურავთ, ისევ სჯობს, მისი ნაწერები მოიძიოთ, პრესასაც თვალი ადევნოთ და გაიგოთ, მის გარშემო რა ხდება-მეთქი.

ეროდიონის სიყვარულს ვერაფერი ამომიშლის გულიდან, მისი ლექსისაც, მისი პიროვნებისაც, თუმც შესაძლოა იჩქარა, სოციალ-დემოკრატებს ზურგი რომ აქცია.

უცნაური კი არის, რევოლუციის მეხოტბე რევოლუციის მოწინააღმდეგის გულისათვის რომ ტოვებს პარტიას, მაგრამ მკვლელობა ისეთი რამეა, შეგძრავს ადამიანს და ხან შენთვისვე მოულოდნელ გადაწყვეტილებასაც მიგაღებინებს.

თუმც ასე დაბეჯითებით საიდან გამოარკვია, რომ მაინცდამაინც მისმა თანაპარტიელებმა აიკიდეს ეს ცოდვა?

ხალხში კი ტრიალებს ეს ლაპარაკი და, რაღა დაგიმალოთ, მეც სწორედ ეს ეჭვი მღრღნის, მაგრამ დარწმუნებით და საქვეყნოდ გამოცხადება მაინც საფრთხილოა და სარისკო. სარისკო იმ მხრივაც, რომ ვაითუ სოციალ-დემოკრატები არ ურევიან მკვლელობაში და დაბრალება დიდი ცოდვაა, და უფრო მეტად იმ მხრივ, რომ თუ მართლა ეს პარტიაა ამ ტრაგედიის ორგანიზატორი, ასეთი ულმობელი ადამიანები არავის აპატიებენ მხილებას, მითუმეტეს, თავიანთ გვერდით მდგომს. წარსულ დამსახურებას ვინ ჩაგიგდებს ანგარიშში ანდა პოპულარობას.

გადადო თავი იროდიონმა და, როგორც მოსალოდნელი იყო ამ გავლენის კაცისაგან, სხვებიც აიყოლია.

არაერთი პიროვნება ჩამოცილდა სოციალ-დემოკრატებს და ფედერალისტებს მიეკედლა სწორედ იროდიონის ნაბიჯით შთაგონებულნიო, – ხან სად რომ მოვკრავდი ყურს და ხან სად, ისევ სერგოს ვთხოვე, იქნებ დამიზუსტო, რამდენად მართალია ეს ხმები და თუნდ ერთიორი კაციც დამისახელოთ-მეთქი.

დაზუსტებული მაქვსო, – მაშინვე მომახარა, რაკიღა ასეთი ინტერესი გამოვიჩინე და მას კი შეეძლო ჩემი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, და ჩამოჰყვა და ჩამოჰყვა:

ასოთამწყობები ერასტი ტოროტაძე და დავით მელაძეო, ტრამვაელი მუშა გიორგი სულთანიშვილიო, რკინიგზელები ნიკო უსტიაშვილი და ალექსანდრე იოსელიანიო, დურგალი იულონ ქელბაქიანიო, ხილეულობის ქარხნის წყლის მუშა სერგო აბდალაძეო, ესაო, ისაო... კიდევ გააგრძელა, თუმც მე მხოლოდ ესენი დამამახსოვრდა და თუ მაინცდამაინც სრული სია გნებავთ – რა ვიცი, თავისთავად ძალიანაც საინტერესოა – სერგოს მიაკითხეთ.

ამდენი ადამიანის ასეთმა საპროტესტო აქციამ კიდევ უფრო გაახელა სოციალ-დემოკრატები და, მგონი, კარგიც არის, იროდიონს ციმბირში რომ უკრეს თავი, იქ, წესით, ვეღარ უნდა მიწვდნენ და ამასობაში დროც ჩაივლის და იქნებ მისი ის თავზეხელაღებული საქციელიც როგორღაც მიბინარდეს.

...ჩემთვის კი ვფიქრობ და ვერა და ვერ გამირკვევია:

გრიგოლ ორბელიანი 32-ში რომ იჩემებდა რევოლუციონერობას, მერე ცხოვრების სხვა გზა ამჯობინა, აგერ მეფისნაცვლობაც დაიმშვენა და რევოლუციურ გაელვებას ჩამხშობად ამიტომაც მოევლინა; მაგრამ ილია ჭავჭავაძე, სიჭაბუკიდანვე რევოლუციური მოძრაობისათვის რომ გადაედო თავი და პირველი დითირამბიც მან მიუძღვნა ამ მოვლენას, გადამწყვეტ ჟამს – როდესაც რევოლუცია თვალსაჩინო შეიქნა ქართულ სინამდვილეში – რატომ გაუდგა განზე, რატომ ვეღარ ჰპოვა მასში დიდი და აუცილებელი ფერისცვალების სათავე და გილიოტინაზეც ნებაყოფლობით დადო თავი?..

იონა მეუნარგია

ნიკო ნიკოლაძემ მომწერა, მაგის პატიება როგორ შეიძლება, აუცილებლად გამოეპასუხე, მე შენს გვერდით ვდგავარ და კიდევ სხვანიც გამოჩნდებიან, შენ რომ მოგემხრობიან და არა იაკობს, რა გახდა მართლა და მართლა, როდემდე უნდა ვწონოთ ყოველი სიტყვა მასთან ლაპარაკისას, როდემდე ვფრთხილობდეთ, ვაითუ რამე ეწყინოსო, შენ მაინც ნუღა მოერიდებიო.

როგორ გამოვეპასუხო, – შევუთვალე, – მომხრენი სხვაგან სად ვეძებო, როდესაც შინ მყავს იაკობის დიდი თაყვანისმცემელნი, ჩემი მეუღლეც და შვილებიც მაგას მიემხრობიან და ვაითუ სულაც ამიკრან გუდანაბადიმეთქი.

მაგრამ ხუმრობამ გული ასე ადვილად ვერ დამიშოშმინა.

მეწყინა, განა არა, იაკობის ის შეუბრალებელი გამოლაშქრება ჩემზე. მერედა რისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ წრფელი განზრახვით მოვინდომე ილიას ლიტერატურული და ფსიქოლოგიური პორტრეტის აღდგენა.

რაც მის გვერდით მიტრიალია, რაც მისი საუბრები მომისმენია, ისეთ წვრილმანებს ვაკვირდებოდი, სხვებისათვის სამუდამოდ დაფარული რომ დარჩებოდა უჩემოდ. წვრილმანები ეძახეთ – ხან ასეთი წვრილმანები გაცილებით ფასეულია და მრავლისმეტყველი, ვიდრე გაცილებით უფრო გრანდიოზული მოვლენების ანალიზი.

წრფელი განზრახვით, თორემ რა მრჯიდა. ორ კაცს არ ეყვარებოდა ჩემსავით ილია და მის ხსოვნასაც თუ ვინმე უფრთხილდება, მეც მათ შორის მეგულება თავი.

ქუთათურებმა მთხოვეს, ილიაზე გვესაუბრეო და ქალაქის საუკეთესო საზოგადოებამ მოიყარა თავი. ზოგი თითქოს შეიშმუშნა ჩემს ლაპარაკზე, მაგრამ უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა და დიდი მადლობაც გადამიხადეს, ილიას სახე შინაურ ყოფაში რომ გაგვაცანიო.

ვინც შეიშმუშნენ, საყვედურივით გადაკმირეს, რა აუცილებლობა იყო, ბანქოს თამაშით ილიას გატაცება ასე საგანგებოდ რომ გაიხსენეო.

რაც იყო, იმას ვამბობ, ხომ არაფერს ვამატებ და ვასხვაფერებ.

ბანქოს რატომ თამაშობდა?

უღმერთოდ იღლებოდა და იქანცებოდა თავაუღებელი შრომით, მაგიდაზე რომ დაათენდებოდა და ზედ ჩამოსდებდა თავს ხოლმე გაბოლილ ოთახში. ამდენ რამეს მოსწრება და თანაც ილიასებური მადლის დატანება არ უნდოდა?.. და სულის მოთქმა ამ ბუმბერაზული ძალ-ღონის კაცსაც სჭირდებოდა. სიცრუე და დაუჯერებელი ის იქნება, მტკიცებას რომ მოვყვეთ, ყოველი დღის ოცდაოთხი საათი საქმეს იყო შებმულიო.

ბანქოს თამაშიც ასვენებდა და დარდს უქარვებდა, სუფრაც, მეგობრული მასლაათიც. სამოგზაუროდ კი ნამდვილად არა ჰყოფნიდა დრო და ზედაზენზე ასვლაც ისეთ ფუფუნებად მიაჩნდა, წელიწადში ერთხელ თუ მოახერხებდა ან ისიც ვერა, ეამაყებოდა, ამისთვისაც მოვიცალეო. სამეგრელოშიც და აჭარაშიც საქმეზე გამოემ-

გზავრა და რაც მოასწრო, ხარბად, მოწყურებულივით მიავლ-მოავლო თვალი. ამითაც დიდი კმაყოფილი და მადლიერი დარჩა.

იმ თავყრილობიდან როგორ გამოაღწია სიტყვამ, როგორ გადასხვაფერდა თუ სულაც საპირისპიროდ შემოტრიალდა, აბა, რა ჩემი ბრალია.

იაკობ გოგებაშვილი იმ გამოღწეულმა ხმებმა გააღიზიანა და, კაცმა რომ თქვას, არც გაემტყუნება.

ისე არ ეშვებიან ეს სოციალ-დემოკრატები ილიას აჩრდილსაც და მის ხსოვნას ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფენ და ლაფში სვრიან, აუცილებელია მათთვის ხმის ჩაკმენდაც და განსაკუთრებული სიფრთხილეც, რაიმე შენს უნებურად ხელზე არ დაიხვიონ და თავისებურად არ გაბუქონ. იაკობსაც და ილიას სხვა მოთაყვანეთაც ამიტომ დასჭირებიათ, გადიდებული თვალებით უმზირონ ყველაფერს, რაც ილიას შეეხება, რომ საკბილო არავის ჩაუგდონ ხელში.

ღვთის წინაშე ვფიცავ, ჩემს იმ საჯარო გამოსვლაში ერთიბეწო საკბილოსა და ხელჩასაჭიდსაც ვერავინ ვერაფერს იპოვნის, მაგრამ გადასხვაფერებულ-გადაკეთებული ნათქვამი კი რა ჩემი ბრალია?!.

ერთს მიმახვედრა იაკობის მწარე გამოხმაურებამ და ბოლოში მინაწერმა, რომ ეს ჯერ დასაწყისი იყო და რჯულამდე ჩამყვებოდა: საშუალება არ უნდა მიმეცა უკეთური ადამიანებისათვის, ჩემი სახელი ეტრიალებინათ თავიანთი სამარცხვინო მიზნისათვის.

ამიტომაც გადავწყვიტე იმ გამოსვლის განმეორება ტფილისში და იაკობიც საგანგებოდ მივიპატიჟე.

მოსვლით არ მოსულა, მაგრამ წვრილად კი გამოიკითხავდა ყოველ დეტალს, უფრო ღრმად და მიუდგომლად გაერკვეოდა ჩემი მოხსენების შინაარსში და თავის დამოკიდებულებას იმით გამოხატავდა, რომ მკითხველს იმ დანაპირებს არ შეუსრულებდა და ხელს საბოლოოდ აიღებდა ჩემს მოსაზრებათა და დაკვირვებათა უარყოფაზე.

უარსაყოფი ანკი რა არის?!.

თუნდ გადამეტებული სიფრთხილისათვის – კიდევ ვიტყვი – არავინ გაიმტყუნება, მითუმეტეს, ჩვენს უკუღმართ სინამდვილეში და, მითუმეტეს, იაკობი, სხვებივით მეც საფიცრად რომ მყავს.

თუ ვინმე კვლავ შეეცდება ხოლმე ჩემს წაქეზებას, ის დაუნდობელი სტატია უპასუხოდ როგორ დატოვეო, ისევ იუმორს ვიშველიებ: ცოლ-შვილს თავი შინიდან გამოვაძევებინო-მეთქი?..

ყარამან ფაღავა

რა ფარული ქსელი მაქვს გაბმული, მაინცდამაინც ნუ ჩამაცივდებით. მინიშნებითაც არაფერს მიგანიშნებთ, არამცთუ გასაღები მოგცეთ ხელთ. არც უნდა მოგსვლოდათ აზრად ასეთი შეკითხვა. მაზრის მმართველს ასეთი ქსელი თუ ვერ შეუქმნია, ურჩევნია, დროულად მიატოვოს ეს ადგილი, თორემ ყველა საქმე ჩაუფლავდება და ქვეყნის სასაცილოდ გაიხდის თავს. დუშეთის მაზრაში – სულაც სალექსოდაც.

სალექსოდ სახელს როგორ გავიმეტებდი. და თუ ვინმე დაიქადნის, გაუხსნელი დანაშაული ჩემს არე-მარეზე არ მოხდებაო, მეც შემიძლია თავი გამოვიდო. ეგ კი არის, დანაშაულის არიდებას ყოველთვის ვერ ვახერხებთ, თუმც ზოგჯერ ესეც შეგვძლებია.

თავადი ჭავჭავაძე როგორ შევატოვე ხელთ ავაზაკებს?

თან ხომ მთელი ქვეყანა გრძნობდა და დაბეჯითებითაც იმეორებდა, უბედურებას მოსწევენო, მაგრამ თან თვითონვე არა სჯეროდათ თავიანთი ეჭვისა თუ შიშის – ამხელა გავლენის კაცს რას გაუბედავენო. სახელმწიფო სათათბიროს წევრობა არც სჭირდებოდა ილიას ჯავშნად, ისედაც თითქოს უხილავი გალავანი ერტყა და ამდენ ხანს ის იფარავდა.

თურმე მოჩვენებითი ყოფილა ის ჯავშანიც და ის გალავანიც – ამ ბოლო წლებმა აქცია მყიფედ და მოჩვენებითად.

და ახლაღა მივხვდით, რა საშიში ძალა ამოდის მიწისქვეშეთიდან, რა ულმობელი და ყოვლისნამლეკავი.

ამათი შეჩერება ყოვლად შეუძლებელია და ვეღარც ილია გადაეღობებოდათ, თუმც ძალიან კი გაუმწარათ სული და არსებობა.

არ შეარჩენდნენ, არა... და არც შეარჩინეს.

მე, აბა, რა შემეძლო, ჯებირად როგორ გადავეფარებოდი.

ქვეყნის ისტორიას კი შეეცვალა გეზი და საით გაირეკავენ ხალხს უწინამძღოლო ფარასავით, მხოლოდ კოშმარულ ფიქრებში თუ განჭვრეტ.

ისე მაქვს გული დამძიმებული, კარგს ვეღარაფერს ვფიქრობ და მივყვები ცხოვრების დინებას.

უპირველესად დიმიტრი ჯაშის ბრალეულობა შემატყობინა ჩემმა ხალხმა, საიდუმლო გორგალისგან მოხსნის წვერი მასთან დამაგულეს და მეც მონდომებით მივყევ მათ ცნობებს, მივყევ, მაგრამ ხელშესახები ვერაფერი დავადასტურე.

ეს მაინც როგორ მოუძულებია თავი ყველასათვის, რომ პირველ ყოვლისა ეჭვი მასზე მიიტანეს.

არადა, ან ძალიან ვირეშმაკაა და ფრთხილი, მტკიცებულებანი პირწმინდად რომ გააქრო, ანდა მართლა არ ურევია მკვლელობაში.

ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

აი, თედო ლაბაურის ბრალეულობა კი ხელისგულზეც ძევს და ვეღარც თავი დაუძვრენია, მეეტლედ შენიღბული რომ მონაწილეობდა ბოროტგანზრახულებაში და მარჯვე პირობებიც შეუქმნა თავდამსხმელებს.

უცნობები იყვნენ, სამხედროფორმიანებიო, – გამომძიებელს უმტკიცებდა გაქირი ვირის სიჯიუტით, და თუმც რეალური საბუთი არაფერი გააჩნდათ, დროებით მაინც დაამწყვდიეს მეტეხის ციხეში. შეატყვეს, წმინდაწყლისა რომ არა ბრძანდებოდა.

იქ დავადექი თავზე და ჩემთანაც თავის მოკატუნებასა და უცოდველად გასაღებას რომ შეეცადა, ის ფარული ცნობები მივარტყი სახეში, მივარტყი და კიდეც ალუღლუღდა ნირწამხდარი: უცნობები კი არა, პავლე ფშავლიშვილი, გიგოლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი და ვანო ინაშვილი იყვნენ, და რა სამხედრო ფორმა,

ჩვეულებრივი სამოსი ეცვათო, მაშინ დანდობით დამინდეს, მეც ზედ არ წამაკლეს, მაგრამ ისე დამემუქრნენ, სახლ-კარსაც გადაგიწვავთ და ოჯახსაც ამოგიწყვიტავთო, რომ მათი ვინაობის გამმჟღავნებელი აღარ ვიყავიო.

დამუქრება არა სჭირდებოდა, ისედაც თანამონაწილე გახლდათ, წინასწარვე განდობილი და ამიტომაც მოუნელა ეტლს, შეძახილი მოესმა თუ არა გზიდან: შეჩერდიო.

ამათი დამნდობი არა ვარ და სახრჩობელასაც ვერ გადაურჩებიან, მაგრამ მატულობს და მატულობს ამ ახალი აზრის ხალხი და სად გინდა გაასწრო.

გაქცევასა და გასწრებაზე ფიქრი რა საკადრისია მაზრის მმართველისათვის?

ქვეყნის ბედზე ვჩივი, საბედისწერო ცვლილებებს მივჩერებივარ აფორიაქებული, თორემ ჩემი მხრივ მტკიცედ ვდგავარ, სადაც მომიჩინა ადგილი ბედისწერამ და ფეხს არც არასოდეს მოვიცვლი. თუ შეჩერებით ვერ შევაჩერებ (ანკი რანაირად?), ჩემს ვალს მაინც მოვიხდი პირნათლად ხალხის წინაშე და შეუბღალავი სინდისით ჩავალ სამარეში.

ჩემი ხნისა და ჯანმრთელობის კაცი სამარეზე ჯერ არც უნდა ფიქრობდეს, მაგრამ ცხოვრებამ მოიტანა ასე და საზოგადოებაშიც ისეთი განწყობილებანი ტრიალებს, თითქოს საფლავებად გადათხრილ მიწაზე დავაბიჯებთ ყველა.

კოტე აფხაზი

იმ მღვდელმა მითხრა: ოთხი-ხუთი გასროლა გავიგონე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ თავადს რაღაც შეემთხვაო.

ხომ შეიძლება მონადირენი ყოფილიყვნენ? ყველა ისე დამუხტულიყო და ალღოთი გრძნობდა ამ მოსალოდნელ გასროლას, აგერ მღვდელსაც ეჭვი არ შეჰპარვია, ილიაზე რომ იყო დამიზნებული ის თოფები და არა ნადირსა თუ ფრინველზე.

მისი გვარ-სახელი?

არა, ვინაობა არ მიკითხავს, არ მომფიქრებია, რომ მეკითხა, შინ გული აღარ მიჩერდება და ვარ გაკრული ტფილის-საგურამოს გზაზე, წინამურთან ხომ აქეთ-იქით ვაწყდები და ისე მიფორიაქებს სინდისი, ილია პატარა ღმერთად რომ იხსენიებდა ხოლმე, სასთუმალზე თავს არ მადებინებს, მაშინვე წამომახტუნებს და ისევ გარეთ მეწევა: ეჰ, ბიძაჩემო, ვერ ვივარგე, ვერ გამოვადექი, ვერაფერი ვიღონე, ეს უბედურება რომ არ მოსწეოდა ქვეყანასმეთქი.

ყველას ყველაფერს ვეკითხები, ვისაც იმ არე-მარეზე მოვკრავ თვალს, ყველა დეტალის გამორკვევას ვცდილობ, ყველაფრის დაზუსტებას, მნიშვნელოვანი იქნება თუ უმნიშვნელო, დიდად აღარც დაგიდევთ. თუმც უმნიშვნელოდ ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს რაიმე, თორემ, ვინ იცის, გადამწყვეტი სწორედ ის დეტალი აღმოჩნდეს ჭეშმარიტების დასადგენად.

2 სექტემბერსაც საგურამოში ვიყავი. წინა დღით ავედი, იქ შევრჩი და წინამძღვრიანთ კარის სკოლის მღვდელიც იქ ვნახე. მივყევით, მოვყევით და: მკვლელობის დღეს ოჯახით ქალაქს მივდიოდი და თავადს შემთხვევით შევხვდი წინამურის ახლოს დუქნებთან, კნეინასთან ერთად რომ სეირნობდაო, შემდეგ ჩასხდნენ ეკიპაჟში და წავიდნენ და მალევე გავიგონე ოთხი-ხუთი გასროლის ხმაო.

და კიდეც მიხვედრილა, რაც დატრიალებულიყო.

ვიღაც გლეხის ნაამბობიც მომიყვა. იმ დროს ხევში წყლის დასალევად ჩასულა ის გლეხი და სტვენის ხმა გაუგონია, ვიღაც ნიშანს აძლევდა თუ აფრთხილებდაო.

მცხეთის სადგურში თავად ხიმშიაშვილს რომ შევხვდი, გლეხების მონაყოლი იმანაც მიამბო.

თავდამსხმელები ოთხნი კი არა ყოფილან, არამედ უფრო მეტნი, ასე ათ კაცამდე. მთიდან ვიღაც ბრძანებას თუ მითითებას აძლევდათ: თავადი მოკალით, ოღონდ კნეინას ხელი არ ახლოთო. ბიძაჩემი თითქოს ფაეტონიდან გადმომხტარა და თავდამსხმელებისათვის უთქვამს: წაიღეთ, რაც გენებოთ, ოღონდაც ნუ დაგვხოცავთო. მაგრამ გლეხები ამას, აბა, როგორ გაიგონებდნენ?.. იაკობს, ილიას მსახურს, ერთ-ერთი თავდამსხმელი მხარში დაუჭრია და იმათ ეს არ უპატიებიათ. ამიტომაც მოუკლავთ იაკობი, დაჭრილი თანამზრახველი კი გაუტაციათ.

კნეინა ოლღა ტფილისში რომ ჩამოიყვანეს, იმ საზარელი წუთების გახსენებისას ესეც თქვა: ილიამ თავდამსხმელებს ქართულად მიმართა – რას სჩადიხართო.

ილია ვარო, – თითქოს ესეც ეთქვას. ხმებია ასე გავრცელებული და ესეც ალბათ ოლღას ნაამბობი უნდა იყოს, უფრო ზუსტად რომ აღადგინა ის ფრაზა მოგვიანებით. ჩემი თანდასწრებით კი რაც გაიხსენა, ეს იყო: რას სჩადიხართო.

ყველას უკვირდა და მეც ვერ ამეხსნა ილიას მონდომება სახელმწიფო საბჭოს წევრობაზედ. რაკიღა მოიწადინა, კიდეც მიაღწევდა, მაგრამ განა რა აუცილებლობა იყო, მთელი ცხოვრება ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პიროვნება ხანდაზმულობისას ისეთ გზას დასდგომოდა, რაც ხალხში გაავრცელებდა ხმებს, იმპერატორის გვერდით დგომა ამჯობინაო?

ამ ხმების გავრცელების ორგანიზატორები საკმაოდ მომძლავრებულიყვნენ და, მითუმეტეს, არავითარი ხელჩასაჭიდი არ უნდა მიეცა მათთვის, თორემ დაფარული აღარ იყო, საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოსაპოვებლად უკვე გადამწყვეტ ბრძოლას რომ იწყებდა და მტრებსა და მოძულეთ საკმაოდ იმრავლებდა.

თითქოს გაორებულიყო მისი სახება აჭრელებული და მორალურად დაშლილ-დაღავებული საზოგადოების თვალში და გასაკვირიც ეს იყო მისი მომხრეებისთვის, თვითონვე რომ იგდებდა თავს ზედმეტ ხათაბალაში.

აფრთხილებდნენ, განა არა, ეს ნაბიჯი საბედისწეროდ არ შემოგიბრუნდესო.

განა მაშინ კი არ აფრთხილებდნენ, სათავადაზნაურო ბანკის დაფუძნებას რომ მოჰკიდა ხელი: მოლიპულ გზაზე დგებიო?!. ცხოვრება მართლაც ძალიან გაირთულა იმ წამოწყებით და სიმწარე სიმწარეზე იგემა, მაგრამ... ილია რომ არა, ბანკის დამაარსებელი სხვა არავინ იყო, და ბანკი რომ არა, აღარც შეგვრჩებოდა ქართული მიწა-წყალი, ერთიანად სხვანი დაეპატრონებოდნენ.

ამჯერადაც ასე იქნებოდა.

ეტყობა, იქიდან აპირებდა თავს დაევლო სოციალ-დემოკრატებისათვის, ყველაზე დიდ უბედურებად რომ მიაჩნდა საქართველოსთვისაც და კაცობრიობისთვისაც, ისედაც არ აკლებდა მხილებას და გაბრიელ ეპისკოპოსის შემდგომ ყველაზე მკაცრად და თანმიმდევრულად ის ილაშქრებდა ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური მრწამსისა და მოძღვრების წინააღმდეგ, მაგრამ კიდევ ერთი დასაყრდენიც დაისაჭიროვა შეუპოვარი ბრძოლის წინ და ეს დასაყრდენი სახელმწიფო საბჭო აღმოჩნდა.

ისინიც მიუხვდნენ – მართლა ისეთი ჩლუნგებიც კი არ არიან, როგორც გამოიყურებიან და მათი აზრების მოსმენისას სულაც გონებასუსტები გვგონია – და დამფრთხალი კაცი, მოგეხსენებათ, ყველაზე უფრო სახიფათო ხდება, აღარაფერს დაერიდება, მითუფრო დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების ხანაში.

იქნებ შეეკავებინა თავი ამ ახალი გამოწვევისაგან, ისედაც სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება კიდევ უფრო აღარ გაემძაფრებინა?

ვინმეს ან რაიმეს რომ მორიდებოდა, მაშინ ხომ ილიაც აღარ იქნებოდა, გადამწყვეტი წუთის მოახლოებას გრძნობდა და აიღო კიდეც თავზე ხელი: ან ყველაფერი, ან არაფერიო.

ჩვენს თავსა და ბედისწერას ანკი ვინ წავუვალთ!..

პეტრე უმიკაშვილი

ილია გამტყუნებას არ მოითმენდა.

გასამტყუნარი ანკი რა ჰქონდა, სიმართლეს ეგრე ვინ უდგა მცველად, მაგრამ ხომ არის კაცის ცხოვრებაში – ხან ისე მარჯვედ ვერ მოგივა ან სიტყვა, ან საქციელი და ადვილად შეუძლიათ ნიშნი მოგიგონ.

არა, ილია ნიშნს არავის მოაგებინებდა.

მაშინაც არ დათმობდა და ვერც ვერავინ დაათმობინებდა. მოსწრებული სიტყვა შველოდა ან გაუტეხელობა.

საწყენად კი არ დამრჩენია, მის სახელს ვენაცვალე, მაგრამ რაკიღა დაგიჟინიათ, მისი სულის ყოველი მოძრაობა საგულისხმოა მისივე ადამიანური ბუნების შესაცნობადო, და „ვისრამიანსაც“ თქვენვე მიხსენებთ, ყაბულსა ვარ, გულწრფელად მოგახსენოთ.

ილია აღტაცებული იყო ამ ქმნილებით, მაგრამ ამჯერად მთავარი ის არის, რომ გამოცემის მომზადებისას, წერაკითხვის საზოგადოებამ რომ იდო თავს, საბოლოო რედაქციის დადგენა და ვარიანტთა ურთიერთშეთანხმება ჩვენ სამს მოგვანდეს: ილიას, ალექსანდრე სარაჯიშვილსა და მე.

ვუზივართ სხვადასხვა ვარიანტებს, ვუკვირდებით, ვაჯერებთ და ამასობაში თვალში გვეცა, რომ ერთ უძველეს ხელნაწერში უ-ს ბრჯგუ არ გააჩნია. რომელმა ჩვენგანმა მიაგნო, ზუსტად აღარ მაგონდება, შესაძლოა მეც ვიყავი, იქნებ ალექსანდრე, იქნებ სულაც ილია, მაგრამ ილია რომ აღტაცდა, ეს კი არ მავიწყდება – არც მისი გაცისკროვნებული სახე და არც დაჟინება: უ ბრჯგუს გარეშე დავბეჭდოთო.

აღიარებით კი იმთავითვე ვაღიარე ენის რეფორმა, ილიას პირველივე სტატიაში რომ განხორციელდა და კიდეც გადარია მკითხველი, ვიდრე თანდათან შეეჩვეოდნენ. ყველა აკი ვერცა. ვაღიარე, მაგრამ გულში ძალიანაც მომწონდა ანბანიდან ასე ერთი ხელის დაკვრით გაძევებული ასოები, მებრალებოდნენ, და არც სხვა შემთხვევაში ვყოფილვარ არქაიზაციის წინააღმდეგი. არქაიზაციას რასაც ეძახიან, თორემ ჩემთვის მახლობელიც ისაა და მიმზიდველიც.

რა გამოდიოდა – ილია ისე მოხიბლა იმ ხელნაწერის ამ ენობრივმა თავისებურებამ, რომ თავისი პრინციპის დარღვევასაც არ მოერიდა. ნაბეჭდში იქნებოდა „ჩუენ“ და არა „ჩვენ“, „მოსუენება“ და არა „მოსვენება“...

დაჟინებით კი დაიჟინა, მაგრამ ჯოხი ჩემზე გადატყდებოდა. კორექტორი მე ვიყავ და პასუხიც მე მომეკითხებოდა. ამიტომაც წინასწარვე დავიჭირე თადარიგი. შევადგინე ამ საკითხზე გადაწყვეტილების ტექსტი და ორივეს მოვაწერინე ხელი, ილიასაც და ალექსანდრესაც.

გამოცემა კი შეიქნა თავმოსაწონებელი, მაგრამ უბრჯგუო უ ყველას თვალში მოხვდა და პირველ ყოვლისა ილიასაგან გაუკვირდათ: ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდავთო.

და ილიამ:

– წარმოიდგინეთ! მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდია?

პირკატა მეცა, კინაღამ ენა ჩამივარდა, მაგრამ ამოლუღლუღება მაინც მოვახერხე:

– მე ისე დავბეჭდე, როგორც გადასწყვიტეთ.

თავისაზე დგას:

– თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

ისეთი კილოთი მეუბნება, ხელწერილი რომ არა მქონდეს, ჩავლუნავდი თავს და წყრომას მთლიანად ჩემზე ავიღებდი. წამიერად იმანაც გამკრა გუნებაში, ის გადაწყვეტილება ჩემი წარმოსახვა ხომ არ იყო-მეთქი. მაგრამ არა – უბეში მედო, შინ გაქცევა და მოტანა არა მჭირდებოდა.

– გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია, – ცოტა გაჯავრება დამეტყო ხმაში, გავიხსენ ჯიბე, ამოვიღე ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დავუდე.

გადაატრიალა, გადმოატრიალა. რაღა უნდა თქვას, არა? მაგრამ ისე შეუკრავს კოპები, უკან დამხევს არა ჰგავს. გაფაციცებით მისჩერებია ყველა, ზოგი შინაგანად გახარებული, სახეზეც რომ დატყობიათ, ზოგი გაკვირვებული, ზოგიც ნირწამხდარი. ვნანობ, ეს ფურცელი რამ ამომაღებინა-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანღაა და ოფლის შემშრალებას ვიწყებ ცხვირსახოცით.

– თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, – არავის ეპუება და არც საკუთარ ხელმოწერას, და თვალს რომ მოავლებს კრებულს, ამ განმარტებას იკმარებს:

– მე სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი.

ისევ მე გამომიყვანა მტყუანი, მისი სწორი ნათქვამი უნებურად რომ გადამებრუნებინა.

დაე ვყოფილიყავ, მეც რას ჩავაცივდი და რა გადაწყვეტილებათა წერა ამიტყდა. ერთ ხელნაწერში რაღაცამ მოხიბლა და აიყოლია. რა მოხდა მერე, ყველაფერზე განა პასუხს უნდა ვთხოვდეთ ადამიანს!..

ისე ეს კი – არაფრით არ უნდა გამტყუნებულიყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დავით კურაპალატის ისტორიული მისია

მანანა გაბაშვილის საჯარო ლექცია

– როდესაც ვიმეორებთ, რომ აუცილებელია საქართველოს ნამდვილი, მიუკერძოებელი ისტორიის აღდგენა-წარმოსახვა, იგულისხმება, რომ მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისათვის ამ ისტორიის ზედმეტი დრამატიზება. ეს საგანგებოდ ხდებოდა რუსიფიკატორულ სინამდვილეში, რათა ქართველობას თავისი სამშობლო ჰგონებოდა ყოველთვის გასაცოდავებული, რეალურ უფლებებს მოკლებული ქვეყანა, რომელიც მხოლოდ თავის გადასარჩენად იბრძოდა და ბოლოს, უღონოდქმნილი და გადაშენების გზაზე დამდგარი, რუსეთმა შეიფარა და იხსნა გაქრობისაგან, – ამასაც იტყვის შესავალ სიტყვაში **როსტომ ჩხეიძე** და თვალსაჩინო ნიმუშად – თუ რაოდენ აუცილებელია ისტორიული ძიებებისათვის ამ ზედმეტი დრამატიზების ელფერის ჩამოცილება – დაიმოწმებს მანანა გაბაშვილის საისტორიო თხზულებებს. ამ ნაშრომებში საქართველოს ძლევამოსილების ჟამიც შთამბეჭდავად წარმოისახება და ის გზაც, რამაც ქვეყანა დიდ და ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოსახვევი ჩვენ ისტორიულ წარსულში დავით კურაპალატის მეფობის ხანაცაა, და სასიხარულოა, რომ ამ დიდებული პიროვნების ღვაწლის გარკვევასა და შესაფერისად წარმოჩენას სწორედ ქალბატონმა მანანამ მოჰკიდა ხელი.

* * *

ესეც **მანანა გაბაშვილის** საჯარო ლექციის სიუჟეტური ქარგა:

„საქართველოს მდებარეობა უმნიშვნელოვანეს რეგიონში და დიდი საერთაშორისო გზების გადაკვეთაზე განსაზღვრავდა მის პოლიტიკას სხავადასხვა ეპოქაში. უდავოა, გეოპოლიტიკა უცვლელად ტოვებდა ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს, რომლის განხორციელებაც სხვადასხვა დროსა და პირობებში მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა.

დავით კურაპალატის (ტაოელის) მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ხედვის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. ფეოდალური საქართველოს გაერთიანებით მან ამ მიმართულებით კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია. პატრიოტი და ქვეყნის მსახურებისთვის მოწოდებული მმართველი დავითი (966-1001) საქართველოში ყველაზე გავლენიან ლიდერად და საერთაშორისო სახელის სახელმწიფო მოღვაწედ იქცა. ამიტომ არ არის გასაკვირი, საკუთარი ძალაუფლების გადასარჩენად, მას დახმარებისთვის ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ რომ მიმართა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავითის მმართველობამ ნიადაგი მოუმზადა თამარის ეპოქას. სწორედ თამარ მეფის ხანაზე მუშაობამ შთაგვაგონა, დინამიკაში განგვეხილა ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა დავით კურაპალატიდან მოყოლებული თამარის ეპოქის ჩათვლით.

ასეთი მიდგომით აშკარად გამოჩნდა დასავლეთისა და აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული ამ პოლიტიკის პროგრამულობა. რაც მთავარია, გამოიკვეთა ქართული სახელმწიფოს საზღვაო ინტერესები, რომელიც დიდხანს თვით ქართულ ისტორიოგრაფიაშიც იგნორირებული, ანდა სათანადოდ არ იყო განხილული.

ცხადია, პირველ რიგში ჩნდება კითხვა, როგორ არის გაანალიზებული დავით კურაპალატის მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში და რამდენადაა გააზრებული მისი პოლიტიკის რეალური მასშტაბი.

საისტორიო ლიტერატურის მიხედვით, ცნობილია, რომ დავითმა, ბიზანტიაში შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში, ერთ შემთხვევაში თუ იმპერატორ ბასილი II-ს დაუჭირა მხარი აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ (976-979წწ.), მეორედ უკვე ბასილი II-ს წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა ფოკას მხარეზე გამოვიდა (987-989წწ.). დავითმა, ბასილი II-ს გადარჩენის სანაცვლოდ, გარდა იმისა, რომ ბასიანის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები მიიღო, ხელი შეუშალა მცირე აზიის გავლენიანი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლის ბარდა სკლიაროსის გაბატონებას ტაოს მეზობლად. ამით დავითმა ფოკას მეტოქეობაც აიცილა. რაც შეეხება მოვლენათა განვითარების შემდგომ ეტაპს, როდესაც დავითმა ბასილი II-ს წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას დაუჭირა მხარი, ამას მეცნიერები მხოლოდ და მხოლოდ ბასილისაგან მიღებული ტერიტორიების დაკანონების სურვილით ხსნიან. ასეთია ამ პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზის ძირითადი სქემა, რაც არაერთ საკითხს, ყურადღების მიღმა ტოვებს. მაგალითად, არ ითვალისწინებს დავითის საზღვაო ინტერესებს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით საერთოდ არ დასმულა. ამ დროს მას მნიშვნელობა აქვს დავით კურაპალატის პოლიტიკის იმ რეალური მასშტაბის საჩვენებლად, რაც ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანია.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით კურაპალატთან დაკავშირებით არ არსებობს მყარი პოზიცია, ის საკმაოდ გაორებულია და ზოგჯერ დაუმსახურებლად მკაცრიც, მეტყველებს, რომ ბევრი რამ დავითთან დაკავშირებით გასარკვევია და დასაზუსტებელი. ეს კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა ბოლო ხანს, როდესაც ზოგიერთმა მეცნიერმა დავითს სრულიად მიუღებელი ბრალდებები წაუყენა, დაადანაშაულა ისეთ კაპიტულანტურ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში, რომლის ანალოგი საქართველოს ისტორიაში არ მოგვეპოვება.

წყარო, რომელიც მიზეზი გახდა დავითის პოლიტიკის მკაცრი შეფასებისა XI საუკუნის არაბი ავტორი იაჰია ანტიოქელია. დავითი, ამ წყაროს თანახმად, ბარდა ფოკას

დამარცხების შემდეგ – როგორც ძალზედ მოხუცი და უშვილო – თავის მემკვიდრედ ბასილი II-ს ასახელებს. ამ დროს ბიზანტიისთვისაც კარგად იყო ცნობილი, რომ დავითის მემკვიდრე ბაგრატ III იყო და ყველაფერს აკეთებდა მათ შორის ურთიერთობის გასაფუჭებლად.

ზემოთ აღნიშნული მსგავსი ცნობები არ მოგვეპოვება დავით კურაპალატის პოლიტიკასთან გაცილებით ახლოს მდგომ არც ქართულ, არც სომხურ წყაროებში. ვფიქრობთ, მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, იაჰია ანტიოქელის თხზულების სპეციფიკა, კერძოდ ის, რომ ამ არაბი ავტორის ინტერესებში უფრო საერთაშორისო ურთიერთობა და დიპლომატია შედიოდა. თხზულების აღნიშნული ხასიათიდან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება მასში ის პოლიტიკა ვიგულისხმოთ, რომლის საერთაშორისო დონეზე გავრცელებაშიც თვითონ დავითი იყო დაინტერესებული. რას ვგულისხმობ: პირველ რიგში, ბასილისთვის ყურადღების მოდუნება იმ დროს, როდესაც ბიზანტიას ახლო აღმოსავლეთსა და ბულგარეთში ვითარება გაურთულდა. მოჩვენებითი მორჩილების გამოცხადება ამის საუკეთესო ხერხს წარმოადგენდა, ისევე როგორც თავის წარმოჩენა უმემკვიდრეო, უძლურ მოხუცად. პოლიტიკაში ეს ის ნაცადი ხერხია, რასაც დროებით უკანდახევასთან ერთად, ყველა დროში, ზოგჯერ დიდი წარმატებითაც მიმართავენ.

დავით კურაპალატი ოშკის ბარელიეფზე. გიორგი ბაგრატიონის ფოტო

დავითთან დაკავშირებით ეს კარგად გამოჩნდება მისი მოღვაწეობის იმ ეტაპზე, როდესაც იგი კვლავ განაახლებს თავის აქტიურსა და შემტევ პოლიტიკას, რაც მისი ვერაგულად მოკვლის მიზეზი გახდება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს არ შეეხო მხოლოდ დავითს. ამას განსაკუთრებით აღვნიშნავთ იმის გამო, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში აქცენტი მხოლოდ დავითზე კეთდება. ამ დროს ასევე ვერაგულად, კარგად ჩაფიქრებული პროვოკაციის შედეგად დაიღუპა დავითის ჯარის ძირითადი ბირთვი. ამის შემდეგ მისი ერთგული აზნაურები ტაოდან გადაასახლეს. აშკარაა, ეს იყო ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რაც მეტყველებს, რომ ბასილი II არ იყო დარწმუნებული თავის ძალებში, ისევე როგორც ბიზანტიისათვის დავითის მიცემულ დაპირებებში. მით უმეტეს, როგორც აღინიშნა, დავითმა ფოკას დამარცხების შემდეგ (989წ.) X საუკუნის 90-იანი წლებიდან კვლავ გააგრძელა თავისი აქტიური საგარეო პოლიტიკა. ამგვარად, იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ დავითის პოლიტიკაში, იგი ახლებურად უნდა გავიაზროთ.

პირველ რიგში, საქართველოს გეოპოლიტიკური თვალთახედვიდან, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთზე იყო ორიენტირებული. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სკლიაროსზე გამარჯვებას თვით დავით კურაპალატმა და თორნიკე ერისთავმა (რომლის სარდლობითაც 979 წელს წარიმართა გადამწყვეტი ბრძოლა) აღმოსავლური პოლიტიკის კვალიფიკაცია მისცეს. მათ მიერ შედგენილ ოშკის „სამოთხის“ ახალ ანდერძში დავითი აღმოსავლეთის კურაპალატადაა მოხსენიებული.

სომეხი ისტორიკოსი ასოღიკი (XI ს.), რომელიც შეფასებას აძლევს მის ამ პოლიტიკას, აღნიშნავს, რომ დავითმა მშვიდობა და წესრიგი დაამყარა მთელ აღმოსავლეთში.

ჩვენი აზრით, დავითის აღმოსავლური პოლიტიკის გაგრძელებას მისი დასავლური პოლიტიკა წარმოადგენდა. ამის მიხედვით ჰქონდა მას გააზრებული ბიზანტიაში მიმდინარე პროცესებზე აგებული სამომავლო გეგმები. დავით კურაპალატის კავკასიური პოლიტიკა მისი მასშტაბურად წარმართვის საშუალებას იძლეოდა. მასში დავითის სომხური პოლიტიკაც იგულისხმებოდა, რომელიც მის წინაშე წამოჭრილი ამოცანებიდან გამომდინარე, ზოგჯერ საკმაოდ ხისტიც იყო, განსაკუთრებით ეს ეხება სომხებში მართლმადიდებლობის გავრცელებას. დავითი იმ ტერიტორიების ფლობას ისახავდა მიზნად, რომლებზეც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, კერძოდ კი თავრიზიდან ტრაპიზონში მიმავალი დიდი საერთაშორისო გზები გადიოდა.

შუა საუკუნეთა აღმოსავლური და ევროპული წყაროების თანახმად, ამ გზების მნიშვნელობა წარმმართველი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. ქართული და სომხური წყაროების თანახმად, ამ გზებთან მიმართებით, „ზღვით და ხმელეთით“ შემოსული საქონლით, მდიდრდებოდნენ ამიერკავკასიის ქალაქები. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქალაქთა სიმდიდრის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო ტრაპიზონთან ვაჭრობა იყო, თავისთავად წამოჭრიდა დავით კურაპალატის წინაშე ტრაპიზონის საკითხს. უნდა აღინიშნის, რომ ამ გზებისადმი ზერელე მიდგომა და სათანადო ანალიზის უქონლობა გახდა მიზეზი, რის გამოც ქართულმა ისტორიოგრაფიამ არ დასვა კითხვა: იდგა თუ არა ტრაპიზონის პრობლემა დავით კურაპალატის პოლიტიკაში?..

დავითის წინაშე ზღვაოსნობისა და ტრაპიზონისადმი ინტერესი აღნიშნული ეპოქის მოთხოვნილებასაც უნდა დაეყენებინა. ამ დროს მსოფლიოში, სახმელეთოსთან შე-

დარებით, საზღვაო ვაჭრობას ენიჭებოდა უპირატესობა, რაც გამორიცხულია მხედველობაში არ მიეღო ქართულ პოლიტიკას.

ამდენად, ამ ვითარებას, საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად, უნდა განესაზღვრა საქართველოს საზღვაო, ანუ დასავლური ინტერესები.

სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა დავითს, როდესაც მან წარმატებული აღმოსავლური პოლიტიკის შემდეგ მხარი აჯანყებულ ბარდა ფოკას დაუჭირა.

ჩანს, ასევე შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სპარსელ ანონიმ ავტორთან („ჰუდუდ ალ-ალამი“) დადასტურებული შავი ზღვის აღმნიშვნელი სახელწოდება „ქართველთა ზღვა“ ასევე X საუკუნის 80-იან წლებზე რომ მოდის. ისიც აშკარაა, რომ აღნიშნული სახელწოდება ახალია, ვინაიდან ავტორი საჭიროდ თვლის განმარტოს, რომ ეს იგივე პონტოს ზღვაა. მრავლისმეტყველია აგრეთვე, რომ „ქართველთა ზღვა“ დავით კურაპალატის მოღვაწეობის ხანას ემთხვევა, მისი მოღვაწეობის იმ პერიოდს, როდესაც მის პოლიტიკაში საზღვაო ინტერესები წარმმართველი ხდება. ამ დროისათვის საქართველო უკვე ერთიანია და ქართველი, საქართველო ერის და ქვეყნის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი ხდება, რაც შავი ზღვის სახელწოდებაზეც აისახა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ „ქართველთა ზღვა“ საერთაშორისო დონეზეც იქნა აღქმული.

ამავე პერიოდიდანვე უცხოურ წყაროებშიც დავითი „ქართველთა მეფედ“ მოიხსენიება.

ამგვარად, ყველა ეს სახელწოდება ურთიერთდაკავშირებულია და ქართული პოლიტიკის უდიდესი ეტაპის აღმნიშვნელი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ქართველთა ზღვა“ ამ დროს გავრცელებული შავი ზღვის აღმნიშვნელი სახელწოდების „რუმის ზღვის“ („ბიზანტიის ზღვა“) პარალელურად ჩნდება. ეს ორი ურთიერთადაპირისპირებული სახელწოდება ბიზანტიასთან მეტოქეობის ამსახველია, ავსებს ამ ხასიათის სხვა მასალას, ოღონდ უკვე ზღვაოსნობის კუთხიდან და, რაც მთავარია, დავით კურაპალატის პოლიტიკას მიესადაგება.

ამავე პერიოდს უკავშირდება ათონის მონასტრის დაარსება, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაც, მთელ რიგ ცნობებზე დაყრდნობით, დავითის პოლიტიკის იმ ახალი ეტაპის მომზადებაც იყო, რომელიც ზღვაოსნობას უკავშირდება. მით უმეტეს, რომ აქ მოღვაწე ბერები დავითის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები იყვნენ და ზოგიერთმა დიდი როლიც შეასრულა დავითის აღმოსავლური პოლიტიკის წარმატებაში. ამდენად, ლოგიკურია, ამ პერიოდში ზღვა და ზღვაოსნობა ათონის მონასტრის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს რომ იკავებს.

ამ მხრივ შემდეგი გარემოება იპყრობს ყურადღებას.

ბარდა ფოკას აჯანყებამდე რამდენიმე წლით ადრე, ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის ათონის მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში (980 წ.) დგება ტრაპიზონის საკითხი. 980წ. ბასილი II-ის მიერ გაცემული სიგელიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ მოლაპარაკებებში გარიგების საგანი იყო ტრაპიზონთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, საიდანაც ჩანს, რომ ბიზანტიას ხელს არ აძლევდა ქართველთა პოზიციების გაძლიერება კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონში.

როგორც აღინიშნა, ზღვა და ზღვაოსნობა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ათონის ივერთა მონასტრის ცხოვრებაში. ამ ყველაზე გავლენიანი და მდიდარი მონასტრის სიმდიდრის წყაროდ ზღვიდან მიღებული შემოსავლებიც უნდა განვიხილოთ. საინტერესოა, რომ 984-985 წლებში, ათანასე ათონელი, წარმოშობით ტრაპიზონელი და დედით ლაზი, ვისი წვლილიც დიდი იყო დავით კურაპალატის აღმოსავლური პოლიტიკის წარმატებაში, ივერთა მონასტერსა და თავის მეგობარ იოანე ბერს ასაჩუქრებს. იგი მას ბასილი II-ს ხელმოწერილ დოკუმენტს გადასცემს, რომლის თანახმადაც, ქართველებს ნავების ყოლის უფლება ეძლევათ. მრავლისმეტყველია, რომ სწორედ ამ დროს იძენს საერთაშორისო რეზონანსს შავი ზღვის სახელწოდება „ქართველთა ზღვა.“

ვფიქრობთ, ათანასე ბერი სავსებით ლოგიკურად ჩნდება დავითის პოლიტიკის იმ ეტაპის მომზადებისას, რომელიც მალე ბარდა ფოკას აჯანყებასა და დავითის საზღვაო ინტერესებს დაუკავშირდება. ამ აჯანყების დროს დავითის ყველაზე დიდი წარმატება ტრაპიზონთან გამარჯვება იყო, რასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად შეფასება არ მისცემია.

რომ არა ბარდა ფოკას მარცხი, ტრაპიზონთან გამარჯვებას, რასაც დავითი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, სულ სხვა დატვირთვა და გაგრძელება ექნებოდა.

დავითს, ცხადია, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული, რომ ბიზანტიის მემკვიდრეობაზე პრეტენზია, პირველ რიგში, მის საზღვაო პოლიტიკაზე მემკვიდრეობას ნიშნავდა. ქართული პოლიტიკა რამდენად ემზადებოდა ამ მეტოქეობისთვის და როგორი იყო მისი სამომავლო გეგმები, კარგად ჩანს ოშკის ტაძრის საფასადო დეკორიდან (X ს. 60 წწ.). მასზე გამოსახული დავითი და მისი უფროსი ძმა ბაგრატი ბიზანტიის მდიდრულ საიმპერატორო სამოსსა და ისეთ საიმპერატორო გვირგვინებში არიან გამისახული, რომელსაც მხოლოდ ბიზანტიის მმართველები ატარებდნენ. დავითის მოსასხამზე არწივებს ნისკარტებიდან სამეფო სამკაულები აქვთ გადმოკიდებული. არწივის თემა, რომელიც ოშკის გარდა ასევე დავითის მიერ აგებულ ხახულის ტაძარზეც არის დადასტურებული, დანარჩენ საიმპერატორო რეალიებთან ერთად, ბაგრატიონთა ტაოს შტოს განსაკუთრებულ ისტორიულ მისიას უნდა დავუკავშიროთ, რომლის თანმიმდევრულ განხორციელებასაც დავითი უფროსი ძმის, ბაგრატის გარდაცვალების (966 წ.) შემდეგ დაიწყებს.

ოშკის აღნიშნული რელიეფი კარგად მიესადაგება დავითის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის მასშტაბის ჩვენეულ ანალიზს, დავითის, როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის მიზნებისა და როლის გარკვევას.

ალბათ ამითაც იყო გაპირობებული, რომ იმპერატორი ბასილი II შვილებს – ალექსანდრესა და ლეონს ქართულ ენას ასწავლიდა, რაც ქართულ პოლიტიკაზე დაკვირვების კიდევ ერთი საშუალება იყო.

სომეხ ისტორიკოსებთან კამათში, რომლებიც დავით კურაპალატის სომხობას საერთაშორისო დონეზე პოპუ-

ლარიზაციას უწევენ, ქართველ მეცნიერებს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება გამორჩათ. დავითი ყველა გადამწყვეტ ბრძოლაში მხოლოდ ქართულ ჯარს იყენებდა და ეყრდნობოდა. ამის შესახებ არაერთგზისაა ნათქვამი შუა საუკუნეთა სომხურ წყაროებში, რომლებიც დავითის ეპოქის ერთ-ერთ საუკეთესო საისტორიო თხზულებებადაა მიჩნეული. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ ვისი ეგიდით წარმართავდა დავითი თავის პოლიტიკას.

შუა საუკუნეთა იმავე სომხურ და, თავისთავად ცხადია, ქართული წყაროების ავტორებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ დავითის ძლიერების საფუძველი – ქართულ ჯართან ერთად – ქართული მართლმადიდებლობა, ეროვნული იდეოლოგია, ქართული ენა და ქართული კულტურა იყო.

ეს კარგად ესმოდა ბიზანტიასაც, რომელიც ტაოკლარჯეთს იბერიას, ხოლო მოსახლეობას იბერიელებს უწოდებდა“.

* * *

ზოგიერთი ფრაგმენტი ლექციისშემდგომი საუბრიდან.

გივი გამრეკელი:

„დავით კურაპალატის პოლიტიკა ერთიან სისტემაში უნდა განვიხილოთ. დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო მასშტაბურად მოჩანს მისი გადადგმული ესა თუ ის პოლიტიკური ნაბიჯი. საგულისხმოა, რომ სომეხი ისტორიკოსები თან აქებენ მეფე დავითის ღვაწლს, თან ჩქმალავენ. აღსანიშნავია, რომ დავითის საეკლესიო პოლიტიკაც საკმაოდ რთული იყო, ალბათ, სომხეთი, გარკვეულწილად, ამითაც უკმაყოფილო იქნებოდა. მათ სწორედ დავითის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიის იპერატორისგან მიიღეს ადრე აკრძალული უფლებები. ბევრი რამ ახალი და დღემდე საეჭვოდ მიჩნეული მოვისმინეთ დღეს და ნათელი მოეფინა ზოგიერთ მივიწყებულ და ბუნდოვან საკითხსაც“.

ნოდარ ჯანაშია:

„ჩემთვის საინტერესო იყო ლაზების შესახებ მოსმენილი ამბები. XV საუკუნის ერთ წყაროში ქართველთა და ტრაპიზონის სამეფო ერთად არის დასახელებული“.

ცისანა გოძიაშვილი-კვინტრაძე:

„მანანას პირველად „ჩვენი მწერლობის“ სალონში შევხვდი და მაშინვე მოვიხიბლე მისი სიტყვა-პასუხითა და გონიერებით. მანამდე კი ბევრი რამ გამეგონა მისი პროფესიული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. მის წერილებსაც ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობ. იგი ყოველმხრივ გამორჩეული, ღირსეული ქალბატონია“.

თამაზ ნადარეიშვილი:

„ცნობილია, რომ ისტორიას ისტორიკოსი თავისი სურვილისამებრ ალაგებს. ეს კი საშიში ტენდენციაა. ისტორიის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. დღევანდელმა ლექციამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ძლიერი სახელმწიფო ერთი ხელის დაკვრით არ იქმნება, დავით კურაპალატის სიძლიერე მისმა წინამორბედებმაც განაპირობეს. მანანა გაბაშვილი გამორჩეული ისტორიკოსია იმ მხრივაც, რომ მისთვის ობიექტურობა ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი მასშტაბურად უდგება ნებისმიერ საკითხს“.

მანანა გაბაშვილი:

„ეს მნიშვნელოვანია, ისტორიკოსს ზოგადი განათლება აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რათა ნებისმიერი მოვლენა მასშტაბურად წარმოაჩინოს, პოლიტიკისა თუ კულტურის კონტექსტში. მან ლიტერატურაც უნდა იცოდეს, მხატვრობაც, მუსიკაც და საზოგადოებრივი მეცნიერებებიც“.

ნათელა არველაძე:

„იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ როდის ქვეყნდება ისტორიული ნაშრომი. დღეს ჩვენ რთულ პერიოდში ვცხოვრობთ. პოსტმოდერნისტულმა ეპოქამ ჯვაროსნული ბრძოლა დაიწყო კლასიკური მემკვიდრეობის, განსაკუთრებით კი ისტორიის წინააღმდეგ. ვაკნინებთ მნიშვნელოვან, უხინჯო ისტორიულ პიროვნებებს, მაშ რაღა ეშველებათ შედარებით უმნიშვნელო პირებს? საგულისხმოა, რომ მანანა გაბაშვილს ისტორიის მიმართ აქვს არა ურაპატრიოტული და ცინიკური, არამედ განსაკუთრებული დამოკიდებულება. იგი წარმოაჩენს პიროვნების გარკვეულ როლს ისტორიაში. დღევანდელ ლექციაშიც წარმოჩნდა, როგორ მომზადდა დავით აღმაშენებლის ეპოქა. ვფიქრობ, ისტორიაში ბევრი რამ ხელახლა არის შესაფასებელი“.

პაატა ჩხეიძე:

„საინტერესოა, ქართველმა მემატიანეებმა რატომ არ მიაქციეს სათანადო ყურადღება დავით კურაპალატის მკვლელობას. ხომ არ არის ეს გარკვეული პოლიტიკის შეცვლის შედეგი? ბაგრატ მესამემ ხომ სხვა პოლიტიკური გზა აირჩია“.

მანანა გაბაშვილი:

„არა მგონია. ისიც „აღმოსავლეთის კურაპალატად“ იწოდება. მან დავითის პოლიტიკური ხაზი გააგრძელა, მაგრამ, რა თქმა უნდა, პასუხგაუცემელი კითხვა ბევრია. მე ვაგრძელებ კვლევას, თამარის ეპოქამდე მინდა მივიდე.

საზოგადოდ, მინდა ვთქვა, რომ სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლა აუცილებელია. ადამიანი თავისუფალია მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარი ისტორია იცის. მას თავდაცვა შეუძლია“.

რუსუდან დაუშვილი:

„საქართველოს ისტორია ხელახლაა წასაკითხი. კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს წყაროებს. მანანა გაბაშვილი ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა, ამიტომაც არის მისი მსჯელობა დასაბუთებული და დამაჯერებელი. იგი საქართველოს ისტორიას მსოფლიო ისტორიის კონტექსტში მოიაზრებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“.

საბა სულხანიშვილი

პარლამენტური სამეფოს იდეალი და რომანტიკა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის 7 ოქტომბრის საკვირაო ქადაგებამ განსაკუთრებული მღელვარება და სჯა-ბაასი გამოიწვია საზოგადოებაში, რადგანაც სულიერმა მამამ ისაუბრა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის თაობაზე. გაიხსენა 1801 წლის სექტემბერს ბაგრატიონთა დინასტიის მეფობის შეწყვეტა რუსეთის საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით, და აღნიშნა: ქართველი ხალხის ოცნება ყოველთვის იყო ამ უძველესი და ღვთივკურთხეული დინასტიის აღდგენაო.



ოთარ ჩხეიძე

მისი დაბეჯითებული რწმენით, საქართველოში უნდა დამყარდეს კონსტიტუციური მონარქია. და იქვე განმარტა მისი დედაარსი ფორმულის სიცხადითა და ლაკონურობით:

„მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. მეფე არის გარანტი ქვეყნის მთლიანობისა და ყოველი ადამიანის დაცვისა“.

თვალსაჩინოებისათვის გაიხსენა დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი და დასძინა: თუკი ქვეყანაში კრიტიკული ვითარება შეიქმნა, მეფე იღებს ხელთ ძალაუფლებას და ქვეყანაში მშვიდობას ამყარებს, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, ესპანეთში – როდესაც პარლამენტში შეთქმულება მოხდა, მეფემ ისარგებლა თავისი ძალაუფლებით და ქვეყანა დაამშვიდაო.

მღელვარების გარეშე არც ოთარ ჩხეიძის პოლიტიკურ ესეის ჩაუვლია – „პარლამენტური სამეფო ხელისუფლებისათვის“, ამ 17 წლის წინათ რომ გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (1990, 5 ოქტომბერი), თუმც მას ამხელა ხმაური არ გამოუწვევია, მერე კი თანდათანობით მიყრუვდა ეს პუბლიცისტური თხზულებაც და თვითონ იდეაც, რომლის ხორცშესხმის აუცილებლობაც და მიზეზ-გარემოებანიც ყოველმხრივაა გააზრებული და დასაბუთებული ამ პოლიტიკურ ესეში.

ეს მხოლოდ ჩემი ფიქრია, ჭკუის სწავლებად ნურავინ ჩამითვლისო, – ასე ამთავრებდა მწერალი თეზისურად მოხაზულ წლობის დაკვირვებათა ნაყოფს და გაფრთხილებითაც აფრთხილებდა საზოგადოებას: დაფიქრება გვმართებს, დინჯი გონება და დინჯი ფიქრია აქ საჭირო, ვნებების გარეშე, დინჯი, ოღონდ არა ხანგრძლივი. დრო უცნაურია: დგას, დგას და უეცრად გადაბრუნდება. დიდხანს ფიქრსაც ვეღარ მოითმენსო.

ეს განწყობილება მსჭვალავს კათოლიკოს-პატრიარქის საკვირაო ქადაგებასაც – სიდინჯეს, მოფიქრებულ განსჯას ურჩევს საზოგადოებას, მაგრამ დროის მოსალოდნელი გადაბრუნებაც არ ეპარება თვალთახედვიდან.

ოთარ ჩხეიძე კი უპირველესად კლასიკურ თეორიას მოიშველიებდა, რომელიც სამ სახელმწიფო სისტემას გამოარჩევს: სამეფო, დემოკრატიული და ტირანული. მართალია მარქსისტი თეორეტიკოსები, ყველა თეორიას თავდაყირა რომ დააყენებდნენ, იგივე ბედს მოსწევდნენ სახელმწიფო თეორიასაც და მის განმარტებას კლასობანას განსაზღვრებიდან და ისტორიის ფორმაციებად დაყოფისაგან გამოიყვანდნენ, მაგრამ ამ ყალბ მოძღვრებასაც დაუდგებოდა აღსასრული და სახელმწიფოს კლასიკური თეორიაც კვლავ უნდა დაბრუნებოდა საზოგადოებრივ ცნობიერებას.

სახელმწიფოში გაერთიანებული საზოგადოება უთუოდ რაღაცას რომ ჰკარგავს?

„რაღა რაღაცასა: ბუნებრივ თავისუფლებასა ჰკარგავს, მაგრამ საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე ვერ იარსებებს და იძულებულია რაღაც დაჰკარგოს, დაჰკარგოს თუნდაც ყველაზე დიდი რამ – ბუნებრივი თავისუფლება დაჰკარგოს, რო იცხოვროს საზოგადოებრივი ცხოვრებითა, სხვაგვარად ცხოვრება რო შეუძლებელია“.

ამიტომაცაა, რომ დღიდან მისი ჩამოყალიბებისა კაცობრიობა ეძიებს უკეთეს სისტემას სახელმწიფოსი, რათა უფრო ნაკლები დაჰკარგოს და მეტი მოიპოვოს, მაგრამ აქამდე უკეთესი ვერაფერი აღმოუჩენია, გარდა ამ სამი სისტემისა.

მათგან კლასიკური თეორია შედარებით უფრო ჰუმანურად სამეფო ხელისუფლებას მიიჩნევს.

ესეში ასეა გადმოტანილი ამ მტკიცებათა უმთავრესი დასკვნა:

„სამეფო ხელისუფლება კანონიერი ხელისუფლებაა, აქვს კანონები და კანონებს იცავს. კანონის დაცვა მისი ღირსებაა. ღირსება მისი სიმტკიცის საფუძველია. ზომიერებაც ღირსების შედეგია, სამართლიანობაცა“.

და შეპირისპირებულია დემოკრატიულ ხელისუფლებასთან, რომლისთვისაც კანონი ცვალებადია, მერყევი და გარდამავალი. დაჯგუფებათა დაპირისპირებანი კანონიერებას არღვევს, ძნელდება დაცვა ზომიერებისა. დაჯგუფებათა ბელადები ვნებათა ტყვეობაში ექცევიან. ხალხი ითიშება, იბნევა, შეიძლება ყველაფერი გადალეკოს ანდა ინერტულ მასადაც გადაიქცეს. უფრო ხშირად ვნებანი

აიწყვეტენ და გზაც გახსნილია ტირანული ხელისუფლებისათვის, რომელმაც კანონი საერთოდ არ იცის. კანონები ცალკეა, ხელისუფლება ცალკე.

„ტირანულ ხელისუფლებას მართავს შიში, შიში და გუნება-განწყობა ტირანისა. შიში, დესპოტიზმი მონად აქცევს ადამიანსა და ეცემა მორალი, პარტახდება ყოველივე ღირებული, ადამიანური ღირსება ნადგურდება. სადაც მონობაა, აღარც ადგილი აქვს ღირსებასა. მონას აღარ შერჩება პატიოსნების ნიშან-კვალი, როგორც არისტოტელე შენიშნავს“.

იქვე წუხილია გამოთქმული, რომ ეს ორასი წელიწადი ჩვენს ნებისად არა ყოფილა, სხვის ნებად იყო და სხვის ჭკუაზე ვიყავით დამოკიდებული, და იქ მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენები ჩვენთვის არ იყო ბუნებრივი, თავსმოხვეული გახლდათ და მითუფრო მძიმედ განიცდებოდა ჩვენში. შესაბამისად – თვითოეული ეს სისტემა ბევრად უფრო ძნელ ყოფას უქმნიდა ჩვენ ხალხს, ვიდრე რუსებს.

ილია II

და საგულისხმო მაგალითებითაა დამოწმებული, მიუხედავად ერთნაირად მიზანმიმართული ასიმილატორული პოლიტიკისა, იმპერატორის ხელისუფლება ცოტა მეტ ჰუმანურობას რომ იჩენდა, ვიდრე საბჭოთა რეჟიმი, მაგრამ ამჯერად მთავარი ის სიუჟეტური ხაზია, რომ:

„ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მაშინ შეწყდა, როცა დაიბადა სამეფო ხელისუფლების საპარლამენტო სამეფო ხელისუფლებად გარდაქმნის აზრი. ეს იყო პროგრესული პოლიტიკური მრწამსი იმ დროისათვისა და ალბათ საქართველოს სახელმწიფოებრივი გადარჩენის საშუალებაც ეს იყო. მაგრამ „მფარველობის ტრაქტატმა“ ყველაფერი – ან ერთად ესეც წაშალა, სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეწყდა, პოლიტიკური აზროვნება გაქარწყლდა, თანდათანობითა, ბრძოლითა, წინააღმდეგობითა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც გაქარწყლდა.

და მგონია: სადაც რო შეწყდა, იქიდანვე უნდა გაგრძელდეს.

ეს უნდა იყოს ლოგიკური და შესაფერისიც უნდა იყოს ჩვენი დროისა, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ვითარებისათვისა“.

იქვე იმასაც დასძენს: არც მოძველებურად ითქმის. სწორედ ამგვარ პოლიტიკურ საფუძვლებს ემყარება თუნდაც ინგლისის, იაპონიის, ესპანეთის, ბელგიის სახელმწიფოებრიობა და ვერავინ იტყვის, ჩამორჩენილ სახელმწიფოებად რომ ითვლებოდნენ ან პოლიტიკურად, ან ეკონომიკურად ანდა კულტურის თვალსაზრისითო, – მაგრამ ჩვენ ერთხელ კიდევ გავიმეოროთ ამ პოლიტიკური ესეის გამოქვეყნების თარიღი: 1990 წლის 5 ოქტომბერი და ამ გადასახედიდან ჩავუკვირდეთ, ხომ არა სჯობდა, რომ ამ იდეას იმჟამად ხორცი შეესხა და ჩვენი ისტორიაც იმ გეზით წარმართულიყო?..

ეს დაკვირვება ძალიან წაგვადგება დღევანდელ მოვლენებში უკეთ ჩასახედად და მომავლის განსაჭვრეტადაც.

ვიფიქროთ, ოღონდ ძალიანაც ნუ გაგვიჭიანურდება ფიქრი.

თორემ დროის უცნაურობას როგორ გინდა მიენდო – დგას, დგას და... უეცრად გადაბრუნდება.

ოთარ ჩხეიძე განუმარტავს მკითხველს, რომ მეფე ვერც წოდებებს აღადგენს, ვერც მიწებს გასცემს. კანონმდებლობა პარლამენტის ხელთ იქნება. აღარც ამდენი პარტია გვეყოლება. მოწესრიგებულ სახელმწიფოში მრავალპარტიულობა ორიოდე პარტიას ნიშნავს. მეფე ვერაფერს მოინდომებს პარლამენტის უნებურს. და სამეფო კარს მამულები რომ დაჭირდება, ამასაც პარლამენტი გადაწყვეტს და საერთოდაც – ყველაფრის თავდები პარლამენტი იქნება.

თუ რაიმე უშველის საქართველოს, საღი, ამაღლებული ტრადიციების აღდგენა უშველისო, – ესეც დედოძარღვი ამ პოლიტიკური ესეისა, უმთავრესი თეზისი, რაც ასეც გაიშლება:

„ტრადიციები ისტორიაა, ისტორია ცხოვრებაა ერისა. ერის სიცოცხლე ტრადიციების სიცოცხლეა. ამიტომაც დაერივნენ ყველაზე თვისობრივ ტრადიციებსა, საერთოდაცა და განსაკუთრებით ამ გასულსა თუ თავგასულ 70-იან წლებში, საბოლოოდ რო მოესპოთ ერები. ქართული ეკლესია და სამეფო ხელისუფლება ქართველი ხალხის უმაღლესი ტრადიციაა, – ორივე ერთადა, ერთად შემტკიცებული. ეკლესია აღორძინების გზას დაადგა, ოღონდ, ცალკე მაინც, მარტოდმარტო მაინც გაუჭირდება იტვირთოს უმძიმესი მოვალეობა: აღადგინოს პატიოსნება და შრომის უნარიანობა, რაც რო დაჰკარგა ხალხმა ამ ხანგრძლივი მონობის მანძილზე. ტვირთებით იტვირთა, ოღონდ ძალიან გაუჭირდება. მეფეა აქ აუცილებელი, ის დიდი რომანტიკაა აუცილებელი, რაც ჯერ კიდევ რო შემორჩენილა ჩვენს ხალხში და რაც სამეფო საქართველოს უკავშირდება. ამ რომანტიკის გაღვივება აუცილებელია. ზნეობის ამაღლებას იდეალები სჭირდება“.

ამ პასაჟში სარკესავითაა არეკლილი პარლამენტური სამეფო ხელისუფლების აღდგენის მიზეზიც, გარემოებაც და მიზანიც.

და იქვე ერთი საგულისხმო დეტალიც: არ უნდა დაგვაეჭვოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც შეინარჩუნებდა მეფობას, საამისო ტრადიცია რომ ჰქონოდა. სამაგიეროდ, სხვა ტრადიციები შექმნა, შეეძლო ძლიერ ქვეყანას და შექმნა. ჩვენ არ მოგვიხერხდება სხვა ტრადიციების არც შექმნა და არც მორგებაო.

სხვაც არაერთი საგულისხმო დაკვირვება თუ შეხედულებაა გამოთქმული ესეიში, რათა ცხადლივ გამოიკვეთოს პარლამენტური სამეფო ხელისუფლების შესაძლებლობა-

ნი და უპირატესობანი სხვა სახელმწიფოებრივ სისტემებთან შედარებით და დასკვნები კი ამ სახით ყალიბდება.

პარლამენტური სამეფო ხელისუფლება:

აღადგენს დიდსა და საამაყო ტრადიციებს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა;

შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს დამოუკიდებლობისა და უშიშროებისა;

გაათავისუფლებს ხალხს იმ წინააღმდეგობებისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს მეფის სანაცვლო სახელისუფლო თანამდებობებისათვის;

სულიერად აღამაღლებს ორასწლოვანი მონობისაგან დაბეჩავებულ ადამიანებს;

დროულად გამოიყვანს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორს დაწინაურებული ქვეყნებისა, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობებით.

და ამ დასკვნებს კვლავ იმ შეხედულების ათინათი გადადის: ქართული ეკლესია და სამეფო ხელისუფლება ქართველი ხალხის უმაღლესი ტრადიციაა, ერთად შემტკიცებულიო.

ეს განცდა და მრწამსი ასხივოსნებს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ქადაგებასაც და, როდესაც კარზე მომდგარს ხედავს ამაღლებული თვალთახედვით სამეფო ხელისუფლების აღდგენას („ასე იყო უწინ, ბავშვობიდან იზრდებოდა და ტახტისთვის საგანგებოდ მზადდებოდა ის ადამიანი, რომელიც შემდეგ მეფედ უნდა კურთხეულიყო. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ისეთი პირობები შეიქმნა, როცა ქართველი ხალხის ეს ოცნება შეიძლება განხორციელდეს“), ღაღადისს ამ აპოთეოზით აგვირგვინებს:

– შევთხოვთ უფალს, ყველაფერში იყოს ნება ღვთისა! ინებოს უფალმა, რომ საქართველო გაძლიერდეს, საქართველო დამშვიდდეს, საქართველო გამთლიანდეს და, თუკი ეს ასეთი გზით მოხდება, ჩვენ მადლობას შევწირავთ უფალს.

დინჯ განსჯას, ჩაკვირვებულ ფიქრს გვირჩევს ჩვენი სულიერი მამა და ასაჩქარებელ-ასასწრაფებელი არც არაფერია, მაგრამ ძალიანაც ნუ გაგვიგრძელდება ფიქრი და ბჭობა, თორემ დროის უცნაურობა მოგეხსენებათ, ხალხნო – დგას, დგას და... უეცრად გადაბრუნდება.

ცირა ბარბაქაძე

თამაში ერთისთვის

მოიხსენით მზის შავი სათვალე, ანუ ნიღაბი, რომელიც საჭიროა...

როცა კალამს ხელი მოვკიდე და გადავწყვიტე დამეწერა თამარ ყურაშვილის რომანზე „ხვალ ხუთშაბათია“, არ ვიცოდი, საიდან დამეწყო, და აი, ამ წამს, რომანის ერთი დეტალი წამოტივტივდა, რომელიც, შესაძლოა, იდეის გასახსნელადაც კი გამოგვადგეს: „...მადლობა ყველას, ვინც ახლა შემოგვიერთდა, კიდევ ერთხელ და მრავალჯერ გისურვებთ მშვიდობას რადიო „მშვიდობა“ და განვაგრძობთ ვიქტორინას... მაშ ასე, შეკითხვა: ჩინეთში მოსამართლეები შაბით გამურულ სათვალეს ატარებდნენ. რატომ ხდებოდა ეს: ა) სახის გამომეტყველება რომ დაეფარათ; ბ) ყოფილიყვნენ მშვიდნი სათვალის მეშვეობით; გ) არ მოეხდინა განსასჯელს ზემოქმედება თვალების მეშვეობით თუ: დ) აეცილებინათ თავიდან ჰიპნოზი?“

რომანის ერთ–ერთი მთავარი გმირისათვის, სანდრო ობოლაძისათვის, პასუხი ამ მარტივ შეკითხვაზე ცნობილი იყო. რა თქმა უნდა, ბრძენი ჩინელი მოსამართლეები ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ სახის გამომეტყველება დაეფარათ... აქვე ავტორისეულ დასკვნასაც მოვიშველიებ: „ადამიანებს ხომ ყოველთვის არ გამოსდით თამაში!“

სათვალე, როგორც ნიღაბი და საკუთარი თავის გადამალვის მეტაფორა, კიდევ ერთხელ ნაწარმოების ფინალშიც გამოჩნდება... „თეონას ერთი სული ჰქონდა გაეგო, ვინ იყო ეს სიმპათიური ჭაღარა კაცი, რომელსაც მარცხენა ხელის არათითზე ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი ეკეთა და **მზის შავი სათვალის მოხსნასაც, ეტყობოდა, არ აპირებდა** (ხაზგასმა ჩემია – ცვ. ბ.)...“

„მზის შავ სათვალეს“ პერსონაჟი არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით „არ იხსნის“, იმის დასტურად, რომ „თამაში გრძელდება“ და ნიღბის ჩამოხსნას კი აზრი აღარა აქვს...

აბა, რა უთხრას „შავსათვალიანმა“ თეონას, რატომ მოიხსნას სათვალე? დედაშენი მიყვარდა, ამის გამო საწოლში გავგუდე და ახლა მისი სიყვარულისა და ხსოვნის აღსანიშნავად მინდა დაგეხმარო და ცხოვრება გაგიიოლო, რადგან გამიმართლა და გავმდიდრდი ვიღაცისათვის შეწერილი ფულითო? მერედა, ღირსეული ქალი მიიღებდა ასეთ დახმარებას? ან თეონა როცა აღმოაჩენდა, რომ მართლა მისი პროფესიონალიზმი კი არ ყოფილა მთავარი, არამედ ახირებული შეყვარებული კაცის კიდევ ერთი ახირება...

თუმცა, ვინ იცის...

რატომ ფრთხიალებენ პეპლები გულისა და კუჭის გასაყარზე?

კვირის მონაკვეთი, რომელშიც სიყვარული ხუთშაბათი დღის 2-დან 4-საათამდეა ჩასმული, იმთავითვე განწირულია დასამთავრებლად... თვეებად, დღეებად, საათებად, წუთებად და წამებად დანაწევრებულ ადამიანის სასიცოცხლო დროს გრაფიკი აუგია, თითქოს ადამიანს აღარაფერი ემორჩილება და დრო, მით უფრო... დეფორმირებულია სიყვარულიც, რომელიც სიცილის ოთახის დაბრეცილ სარკეებში არეკლილს დამგვანებია... რომანის პერსონაჟები ვერაფერს უგებენ მას და ასევე უცნობად და გაუგებრად

ტოვებენ... დღის რეჟიმის მკაცრ სტრუქტურაში, რომელშიც ძირითადი ადგილი უკავია: საუზმეს, სამსახურს, სადილ-ვახშამს... კვირის რომელიღაც დღის რომელიღაც საათზე მითითებულია: სიყვარული. აი, ციტატი პერსონაჟის ფიქრებიდან: „...მოახერხა და კვირის დატვირთულ გრაფიკში საყვარლის სტატუსით ჩასვა...“

ბულვარული რომანისათვის დამახასიათებელი ზედაპირული ამბები იქნებ არც ღირდეს განსასჯელად, მაგრამ თხრობის ირონიული სტილი, რომელიც მთელ ნაწარმოებს მიჰყვება, მკითხველს აიძულებს თქმულის იქით გახედვას და ყოველდღიური „თბილისური ჭორების“ მიღმა იმ ტრაგიზმის დანახვას, რომელსაც ავტორი-მთხრობელი სწორედ ირონიის მეშვეობით აღწევს.



სანდრო ობოლაძეს ასე ახასიათებს თამარ ყურაშვილი: „ტყავგადაკრულ სავარძელში ღრმად ჩამჯდარი მაძებარი“; შეყვარებულ ქალს კი შემდეგნაირად ამკობს: „უყვარდა მშვიდად, მორჩილად, მორწმუნეობრივ-შემგუებლურად, აუღელვებლად...“; აი, კიდევ სიყვარულის სცენა: „... არ უნდა დაეფრთხო მისგან გასაქცევად გამზადებული ნადირი... ჯობდა, გალიის კარი დიდი რაზით გადაეკეტა...“ ქალები კი ასე იბრძვიან სიყვარულის შესანარჩუნებლად: „...ირინა თავხელიძე რომ ქმარს ასე იოლად არავის დაუთმობდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ამიტომაც, მისი გადაწყვეტილება, პირდაპირ სახლში მისულიყო და ლუკმა პირიდან გამოეგლიჯა, სალომე დავითაიამ და თამუნა კიკნაძემ ერთხმად მოიწონეს“.

არც ქალის თოჯინასთან შედარებაა შემთხვევითი ახალბედა ავტორისათვის. ის თვითონაც ისე თამაშობს პერსონაჟებით, როგორც პერსონაჟები ერთმანეთითა და სიყვარულით. „...ხომ შეიძლება ისე ეთამაშა თოჯინებით, თვითონაც კმაყოფილი ყოფილიყო და არც ისინი გაენაწყენებინა? სახლის თოჯინა ვერაფერს გაიგებდა, ის ხომ სახლში იყო, საიმედო თავშესაფარი ნაპოვნი ჰქონდა და ჭერის წართმევა და ფეხმოტეხილ თოჯინასავით ასფალტზე დაგდება არ ემუქრებოდა. ბავშვის ორმაგი თამაშით არც ქუჩის თოჯინა უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო–ის ხომ გადაგდებას გადაურჩა... მასთან სათამაშოდ სახლიდან უფროსებს ორი საათით ეპარებოდა ბავშვი, რისკავდა, ვინმეს რომ გაეგო, ატყდებოდა ერთი ამბავი, ყველა ბავშვს გაამტყუნებდა, გაუმაძღარიაო, – იტყოდნენ, არ ეყო ერთი თოჯინა, სხვაც მოინდომაო, – თავს უკმაყოფილოდ აქეთ–იქით გადააქნევდნენ და საერთოდ აღარ გაუშვებდნენ სათამაშოდ...“

ასე თამაშობენ სიყვარულით პერსონაჟები, სიყვარულით, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება სიყვარული ვუწოდოთ. ყველაზე ძლიერი სიყვარულის ამბავი ნაწარმოებში იმით სრულდება, რომ მამაკაცი საყვარელ ქალს ახრჩობს! რატომ? – რა საკითხავია... ძალიან უყვარს და იმიტომ... დანარჩენები ამ სიყვარულთან ვერც მივლენ, გრაფიკით ცხოვრობენ და არ გეგონოთ, რომ რუსთაველის ფრაზა აქვთ მხედველობაში – „სიყვარულსა მალვა უნდაო“ – როცა ე. წ. სიყვარულს მალავენ. სიყვარულის ერთი ნათელი მეტაფორა მაინც არის რომანში: „ლაშამ მოულოდნელად გულისა და კუჭის გასაყარზე პეპლების ფრთხიალი იგრძნო...“ შემდგომ ლაშა ტრაგიკულად იღუპება აფხაზეთის ომში.

თამაში ერთისთვის და ამო-ძახილი

ციფრებად ქცეულა სამყარო და რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის –თეონას – მიერ გამოგონებული თამაში მხოლოდ ერთისთვის – „ციფრობანა“ – სულიერებადაცლილი სამყაროს კიდევ ერთი მეტაფორაა. ცნობიერად თუ არაცნობიერად ციფრებთან – მიმატება-გამოკლება, გაყოფა-გამრავლებასთან დაკავშირებულა სამყარო, რომელშიც თეონა ცხოვრობს, რომელსაც უარი უთხრეს „მინდა“-ზე და გამოუწერეს ცხოვრების ფორმულა – „ასე უნდა და ასეა საჭირო!“ იქნებ სწორედ აქაა მისი პრობლემების გასაღები? ისიც მიჰყვება დინებას, ყველაფერს ისე და ისეთს იღებს, როგორც არის, ვერ იბრძვის და არ იბრძვის, რადგან ბავშვობიდანვე დაუთრგუნეს და აუკრძალეს სასურველი და უფროსების ნებასურვილს დაუმორჩილეს. მერე რა, თუ თეონას ბალეტი ენატრება, პუანტების ვარდისფერი ატლასის თასმების ფეხზე შემოხვევა... თავბრუდამხვევი ცეკვა, რომელიც ყველას და ყველაფერს დაავიწყებს ამქვეყანაზე...

მოგვიანებით მონატრებამ სასოწარკვეთა დაბადა, რომელიც მალე განგაშად იქცა და თავდასაცავად თეონა „ციფრობანას“ იგონებს (ვფიქრობ, მეტაფორულად ეს სახე პიროვნების იძულებითი ჩართვაა პრაგმატულ და ზედმეტად პრაქტიკულ ცხოვრებაში): „იკრიბებოდა, მრავლდებოდა და იყოფოდა კორპუსისა და ეზოების ნომრები მოპირდაპირე და ერთის გამოკლებით ნომრებზე. ითვლებოდა კიბეების საფეხურები და რიკულები. ციფრებადქცეული მსოფლიო ბრუნავდა თეონას ღერძის გარშემო... ბალეტი კი ამ სათვალავში არ შედიოდა...“

„თამაში ერთისთვის“ – ეს ის ფრაზაა, რომელიც ნაწარმოების სათაურადაც კი შეიძლებოდა გამომდგარიყო... ყველაფერი, რაც ამ რომანში ხდება და თითქმის ყველა პერსონაჟი „ციფრობანასავით“ მხოლოდ თავის თამაშს იგონებს და თამაშობს. თავისებურად უყვართ, ეჭვიანობენ, ცხოვრობენ, გადაწყვეტილებებსაც იღებენ ისე, რომ მეორე ადამიანი არაფერ შუაშია... მხოლოდ საკუთარ თავს ელაპარაკებიან, თითოეული მათგანი მონოლოგშია ყველაზე „საგულისხმო დიალოგის“ დროსაც კი. ორიდან ერთი ფიქრობს, რომ თვით სიმართლესაც კი აზრი არ გააჩნია და ახსნად არ ღირს, რადგან მაინც არ დაუჯერებენ. რატომღაც ადამიანები იმას უფრო იოლად იჯერებენ, რისიც ეშინიათ, და მერე შეშინებულები სიმშვიდეს ეძებენ, რათა საბოლოოდ თავზე არ დაემხოთ სიმწრით ნაშენი და ნაგები ცხოვრება...

„ირაკლი ნოზაძე პირველად გრძნობდა თავს მოტყუებულად, დამცირებულად, მასხრად აგდებულად და გაფარჩაკებულად. ერთადერთი, რაც იმ წუთში უნდოდა, წამომ-

ხტარიყო და უქუდოდ და უპალტოოდ გავარდნილიყო ქუჩაში, სუფთა ჰაერზე. ამ ჭერს გასცლოდა, რომ მალევე დაევიწყებინა აქაურობა, დაბრუნებოდა საყვარელ ტახტს, საყვარელი ჭიქით დაელია ჩაი და საყვარელ პიჟამოში გამოწყობილს საყვარელი გადაცემისათვის ეცქირა, რომ არასოდეს გაეხსენებინა ეს წამი, ისევე, როგორც ყველა სხვა წამი, ამ წამის მოახლოებისთვის რომ უარსებია აქამდე."

მხოლოდ ეჭვებზე, საკუთარ შიშებსა და კომპლექსებზე აგებული მსჯელობის გამო კარგავს ირაკლი ნოზაძე სიყვარულს და უკანმოუხედავად გარბის... მთელი უბედურება კი ის არის, რომ მას ვერავინ გადაარწმუნებს, რადგან ღრმად სჯერა საკუთარი თავის. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სიყვარული პერსონაჟებისათვის ერთგვარ ხაფანგად და პათოლოგიად ქცეულა, რაღაც უცნობ და გამოუცნობ მოვლენად, რომლის შეცნობის და ახსნის ძალა და სურვილი პერსონაჟებს არ გააჩნიათ, რადგან ციფრებად ქცეულა მათი სამყაროც...

თითქმის ასე კარგავს ყველა სიყვარულს „ციფრებადქცეულ სამყაროს" ორომტრიალში, სამყაროში, რომელშიც ყველაფერი მრავლდება, იკრიბება, აკლდება და იყოფა, რომელშიც ყველა ყველაფერს ანგარიშობს და სათვალავში ჩასაგდები არც არის ის, რაც არ იანგარიშება და არ იყიდება.

სწორედ ამიტომ ტრაგიკულია პერსონაჟთა ცხოვრება და ბედი, ყველა დანებებულია იმ მღვრიე მდინარეს, რომელიც ოკეანემდე ვერ მივა, სწორედ ამიტომ ვერ ცვლიან ისინი საკუთარ ცხოვრებას და რჩებიან ჭუჭყიანი ქაფის ნაწილებად, უმცირდებათ ოცნებები, რომანტიკა, სიყვარული... ამიტომ ბუნებრივად გვესახება რომანის ფინალიც: „...მაგრამ, ვინ იცის, იქნებ სხვანაირად არც შეიძლებოდა"– ეს ცხოვრებასდანებებული ადამიანის ამო-ძახილია...

შვილების გმირადქცევით გაუბედურებული დედები და ჩვენი ცა უკეთესია, მაგრამ...

რომანის დრო და სივრცე ჩვენი მკითხველისათვის კარგად ნაცნობი უახლოესი წარსულია... „...მაშინ თბილისი ჩაბნელებული ქალაქი იყო, ღამით ისროდნენ და ხალხს ქუჩაში გამოსვლის ეშინოდა, დღისით თუ გამოვიდოდნენ, ისიც – აუცილებელ საქმეზე, ერთადერთი ტრანსპორტი მეტრო იყო, სადაც ვაგონები ხშირად შუა გვირაბში ჩერდებოდა და ხალხი ფეხით მიუყვებოდა ლიანდაგს..." აფხაზეთის საშინელი ომი და მწერლის შეფარული ირონიით და ტკივილით ნათქვამი: „წაგებულმა ომმა მუხლის ტკივილი დაუტოვა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ მებრძოლს", დიდი ტკივილი იკითხება ფრაზაში „შვილების გმირადქცევით გაუბედურებული დედები". მერე თითქოს ცხოვრება შეიცვალა, ახალი მთავრობაც მოვიდა, მაგრამ ხალხის გაჭირვებას საშველი მაინც არ დაადგა. „ახლა მთავრობა გადასახადებს ძროხებსა და თხებზე აწესებს, ახლა სხვა ადამიანები დაგრიალებენ მერსედესებით, გარემოვაჭრეებსაც მალე დაერევიან და რა ეშველება ამდენ გაჭირვებულს?" არც ქვეყნიდან გაქცევის თემას უვლის გვერდს მწერალი და პირუთვნელი და გულწრფელია იმ მიზეზების აღწერაში, რამაც აქამდე მიიყვანა ახალგაზრდობა. ამერიკული ცხოვრება ასეთი ტრაგიზმით არის გადმოცემული: „მარტოობას ამერიკაში ბევრი უჩიოდა. ამ უზარმაზარ ორას სამოცდათხუთმეტმილიონიან ქვეყანაში ბევრი ადამიანი იყო მარტო. მარტო მიდიოდა სუპერმარკეტში, ყიდულობდა ნახევარფაბრიკატ გაყინულ საკვებს, რომელიც მიკროტალღოვან ღუმელში წუთნახევარში მზადდებოდა, სხვადასხვა არხის მონაცვლეობით უყურებდა ტელევიზორს, იღებდა ცხელ აბაზანას და დროზე ადრე წვებოდა ლოგინში, რომ მეორე დღეს ადრე გაღვიძება შესძლებოდა, გამოთვლილ წუთებში დაებანა პირი, დაელია ყავა და ლუკმა-პურის საშოვნელად მიმავალ ხალხის ნაკადს შერწყმოდა".

საინტერესოა მარიკასა და თეონას საუბარი ბოსტონური ცის ქვეშ: „– აქაური ცა როგორი სხვანაირია, არა?... – ხო, ეს ხომ ოკეანის ცაა, – მარიკამ თეონას ნოსტალგიას იგნორირებით უპასუხა... – ჩვენი ცა უკეთესია!..." მაგრამ... და ასე შემდეგ...

P. S.

თამარ ყურაშვილის რომანი „ხვალ ხუთშაბათია" 2005 წელს გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ, რომელმაც წიგნი ასე გააცნო მკითხველს: „ჭორებით დანაღმულ ქალაქში ახალი ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდება. რატომ უთვალთვალებს კერძო დეტექტივი სანდრო ობოლაძე თავის ყოფილ საყვარელს თეონა გუნიას? წაიკითხეთ დებიუტანტი მწერლის, თამარ ყურაშვილის რომანი „ხვალ ხუთშაბათია", წიგნი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება".

წიგნი მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, რაც ასე იშვიათია დღეს შექმნილი ნაწარმოებებისათვის, რომელთა უმრავლესობა ნაძალადევი სიტყვადქმნადობაა ან სკაბრეზით არის გადავსებული. ამ მხრივ თამარ ყურაშვილი მართლაც გამონაკლისია.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები ბულვარული რომანის ნიშნებს ატარებს, ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტია, რადგან მისი ავტორი ადასტურებს ერთ უმთავრეს თვისებას დებიუტანტისათვის, წერა ნამდვილად შეუძლია და ადვილად იმორჩილებს არა მარტო სიტყვას, არამედ სიუჟეტსა და რიტმს, რომლებსაც მართავს მსუბუქი ირონიით, ამით კი თავისებურ პოეტიკას ქმნის და ადვილადაღსაქმელად აქცევს შინაარსს.

არც ინტრიგაზე ამბობს უარს ავტორი და ისე ოსტატურად გადადის ერთი თემიდან მეორეზე და საჭირო დროს უბრუნდება მთავარს, რომ თავბრუდახვეული მკითხველი იოლად ემორჩილება რიტმს, რომელიც სულაც, შესაძლოა, ბალერინას ცეკვაა, ან წვიმა შენელებული და აჩქარებული შხაპუნით, ან ზღვის მიქცევ-მოქცევა... მთავარია, რომ რიტმი დაჭერილია და მართვადი, ბოლომდე შენარჩუნებული, რაც ბადებს სწორედ „ერთი ამოსუნთქვით წაკითხვის" შეგრძნებას... არადა, თითქოს რომანში არაფერი ხდება ისეთი, რაც თბილისში არ მომხდარა. „– ალო, გაიგეეე... თურმე..." და ასე შემდეგ... ამ მრავალწერტილის შევსება თითოეულ თქვენგანს შეუძლია, მაგრამ დებიუტანტის ალღო სწორედ ისაა, რომ ამას განსაკუთრებულად ახერხებს...

თათია ჯგუშია

მარადი გარსის აპოლოგია

2 ოქტომბერს ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში **„გარსი მარადი“** დაიდგა, უფრო სწორედ, პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე მითხრეს, გამსახურდიას პიესას დგამენო. გავიკვირვე, რადგან ამ პიესას დღემდე სცენა არ უნახავს და საერთოდ, იმიტომაც, რომ **კონსტანტინე გამსახურდია** ქართული დასისთვის ვადაგასულ ვაქცინად იქცა ამ ბოლოხანს.

„გამსახურდიას პიესას დგამენ“... ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო, ისიც უთქვამთ, ოღონდ არა პასეისტებს.

თეატრთან ნაცნობი შემხვდა. ამ „ახალ ამბავზე“ ვისაუბრეთ. რომ მიდიოდა, მითხრა: ადამიანები არ ირგებენ ნიღაბს, ნიღაბი ირგებს ადამიანებსო... ფიქრდაფიქრ, ნაბიჯ-ნაბიჯ, არც ისე საშიში ნიღბების სამყაროში გადავინაცვლე. – რეპეტიციაზე...

ნათელისა და ბნელის ბრძოლა შნიტკესა და ყანჩელის კომპოზიციების ფონზე უფრო მძაფრი მეჩვენა. მერე რეჟისორმაც შემაწია სიტყვა.

ირაკლი გოგია

მალხაზ მესხია (გზირი)

ირაკლი გოგია (რეჟისორი):

„თვითონ პიესის არსებობის შესახებ ინფორმაცია მომაწოდა ჩემმა ერთ-ერთმა პედაგოგმა ვასილ კიკნაძემ, ქართული თეატრმცოდნეობის ცოცხალმა კლასიკოსმა. ნიკო ლორთქიფანიძეს, გალაკტიონს, პაოლოს, ყველას აქვს თითო პიესა მაინც დაწერილი. ეს არის ოციანი წლები, როცა მართლა ყვაოდა ქართული მწერლობა. გრიგოლ რობაქიძე აქ იყო, მიხეილ ჯავახიშვილი მაშინ წერდა, ახმეტელი, მარჯანიშვილი დგამდნენ... დღეს არის იმ გარდაქმნის ხანის სრული იგივეობა. რაც მაშინდელ ქაოსზე დაწერა კონსტანტინემ, როგორ იწმინდება სახელმწიფო, საზოგადოებაში როგორ ყალიბდება მოწესრიგებულობა, და მე მომეჩვენა, რომ დღეს ამაზე აქტუალურს ვერაფერს გავაკეთებდი. მე ამ მწერალს ვეძახი რეპრესირებულს დღემდე. თუ კომუნისტების დროს რაღაც ხარკის გამო კონსტანტინეს წაკითხვა შეგვეძლო, მაინც ძალიან ბევრი ნაწარმოები და თვითონ ეს პიესა აკრძალულად ითვლებოდა, არცერთ ტომეულში არ შევიდა და საერთოდ, ბოლო ოცი წელია ეს გვარი „გამსახურდია“ რეპრესირებულია, თუმცა ეს სულ სხვა პრობლემაა, უბრალოდ მე მინდოდა ზუგდიდის თეატრიდან გახსნილიყო კვანძი, რომელიც რიგი მიზეზების გამო შეიკრა. ვანახოთ ყველას, რა დაწერა ამ კაცმა ოთხმოცდაორი წლის წინათ.

სპექტაკლი კონსტანტინე გამსახურდიას პოეტური ნიმუშებით გაფორმდება, არა პოეზიის საღამოს მსგავსად ჩასმული, ვაქციეთ დიალოგად, ესენია: „მოვედ სატანა“, „პარიზი 1899“ და „მარია სტელლა“.

ნებისმიერ ეტაპზე საზოგადოებაში რაღაც ნათელი აზრი როცა შემოდის, ის ყოველთვის იქნება უგულებელყოფილი. კონსტანტინეს სიტყვებისა არ იყოს, თუ ყველამ ერთად არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო, არა?

ყველაფერი წარმავალია: პოლიტიკოსები, მეფეები, მღვდლები, ეპისკოპოსები, მეცნიერები... მხოლოდ და მხოლოდ დარჩება მარადი გარსი, რომელიც ატრიალებს სამყაროს. სიკეთე და ბოროტება არის ჩვენი ცხოვრების რუკა. ცარიელი რუკაა და დახაზულია სიკეთისა და ბოროტების გადამკვეთი ხაზები. მორჩა!..“

მარიკა კორკელია (მხატვარი):

„საკმაოდ რთული და სერიოზული სამუშაო იყო, საინტერესოა ამ სპექტაკლზე მუშაობა, რეჟისორის ჩანაფიქრი, მგონი, განვახორციელეთ, დანარჩენს მაყურებელი შეაფასებს“.

გოგი გუგუჩია (მსახიობი):

„ეს პიესა საერთოდ არ დადგმულა ქართულ სცენაზე, თავისთავად, როლი სერიოზულ მუშაობას მოითხოვს, ბევრს ფიქრს საჭიროებს, აქ არ არიან ადამიანები, აქ აბსტრაქტულ გმირებს ვხვდებით...“

ირაკლი კაკალია (მსახიობი):

„როლი ურთულესია, საოცარი აზრი მოდის, ამბობენ, შეიძლება მაყურებელმა ვერ გაიგოსო. გაიგებენ. ჩვენს თეატრს ძალიან ერუდირებული მაყურებელი ჰყავს. რასაკვირველია, გაიგებენ...“

გაიგებენ, თან პირველად ჩვენები, – ზუგდიდელები. რაღაც მწყინს, რაღაც მიხარია...

მადლობა გადავიხადე, დარბაზი დავტოვე და ფურცელზე ბოლო შენიშვნა გავაკეთე: მაგარი ქალაქი გვაქვს, ყველაზე მაგარი!

ჟაკ პრევერი

ბარბარა

გახსოვს ბარბარა
გადაუღებლად აწვიმდა ბრესტს
იმ დღეს
შენ მოდიოდი გაღიმებული
აღტაცებული დასველებული
ლაღი წვიმაში
გახსოვს ბარბარა
გადაუღებლად აწვიმდა ბრესტს
როცა შემომხვდი ქუჩაზე სიამის
იღიმებოდი
ვიღიმებოდი მეც
გაიხსენე ბარბარა
მე რომ არ გიცნობდი
შენ რომ არ მიცნობდი
გაიხსენე
სულ ერთია გაიხსენე ის დღე
არ დაივიწყო
მოფარებულში მდგარმა კაცმა
რომ დაიძახა ბარბარაო
შენი სახელი
და მიაშურე წვიმაში უმალ
დასველებულმა აღტაცებულმა
მან საპასუხოდ ხელები გაშალა
ესეც გაიხსენე ბარბარა
და ნუ მიწყენ რომ შენობით მოგმართავ
მე ვეუბნები შენ ყველას ვინც მიყვარს
და თუნდ მხოლოდ ერთხელ მენახოს
მე ვეუბნები შენ ყველას ვისაც ერთურთი უყვარს
და თუნდ სრულიად არ ვიცნობდე
გაიხსენე ბარბარა
არ დაივიწყო
ის დინჯი და ნეტარი წვიმა
შენს ბედნიერ სახეზე
იმ ბედნიერ ქალაქზე
ის წვიმა ზღვაზე
არსენალზე
უესანის გემზე
ჰოი ბარბარა
ომი დიდი სისულელეა
რასა იქმ ახლა
როცა რკინა წვიმს
ცეცხლი ფოლადი და სისხლი
რა ჰქვია იმას
ხელებს ვინც გხვევდა
სიყვარულით
მკვდარი ცოცხალი თუ უგზოუკვლოდ
დაკარგული
ჰოი ბარბარა
გადაუღებლად აწვიმს ბრესტს
ვით ადრე წვიმდა
ოღონდ იგივე როდია ახლა
და ყოველივეს დაღი დაესვა
გლოვის წვიმაა შემზარავი
და უნუგეშო
ამას ვეღარც კი დაარქმევ
თავსხმას
რკინის ფოლადისა და სისხლის
უფრო მარტივად ღრუბლების
ასხმას
ძაღლებივით რომ სძვრებათ სული
იმ ძაღლებივით რომლებიც ბრესტზე
დადენილ წვიმის ნიაღვარს მიაქვს
რათა გაიხრწნან შემდეგ შორეთში
შორს ძალიან შორს იმ ბრესტისაგან
არ დარჩენილა აღარაფერი.

ფრანგულიდან თარგმნა
ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძემ

კვირას, 28 ოქტომბერს

ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში“
გაიმართება შეხვედრა
როსტომ ჩხეიძესთან

დასაწყისი 15 საათზე
ფურცელაძის 10

კვირას, 4 ნოემბერს

ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში“
გაიმართება შეხვედრა
მაია სარიშვილთან

დასაწყისი 15 საათზე
ფურცელაძის 10

ქარსონ მაკქალერსი

მადამ ზილინსკი და ფინეთის მეფე

მისტერ ბრუკისათვის, რომელიც რაიდერის კოლეჯის მუსიკალურ ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა, მადამ ზილინსკის მოწვევა ფრიად სასიქადულო საქმე გახლდათ. თვითონ კოლეჯს კარგი სახელი გავარდნოდა, მაგრამ მადამ ზილინსკის რეპუტაცია, როგორც კომპოზიტორისა და პედაგოგის, ყველაფერს აღემატებოდა. მისტერ ბრუკმა ქალისათვის შესაფერისი საცხოვრებლის შერჩევაც თვითონ ითავა, სახლს ბაღიც ერტყა და იქვე, კოლეჯისა და მის მეზობლად, მოსახერხებელ ადგილას იდგა.

მადამ ზილინსკის ვესტბრიჯში ჩამოსვლამდე არავინ იცნობდა. მისტერ ბრუკს მისი ფოტოები მუსიკალურ ჟურნალში ენახა და ერთხელ, ბაქსტეჰუდის რომელიღაც ხელნაწერის უტყუარობის შესახებ მისწერა კიდეც. შემდეგ კი, როცა ქალის ჩამოსვლა გადაწყდა, ერთმანეთს რამდენიმე დეპეშა და წერილიც გაუგზავნეს, რომლებიც ძირითადად პრაქტიკულ საკითხებს შეეხებოდა. ქალი გარკვევით, ოთხკუთხა ასოებით წერდა და ერთადერთი, რაც მისტერ ბრუკს მის წერილებში ცოტა უცნაურად მოეჩვენა, ის იყო, რომ ნებისმიერ ცოცხალ საგანს ადამიანებთან აიგივებდა და ერთად იხსენიებდა. მაგ: „ყვითელი კატა ლისაბონში“ ან „საცოდავი ჰაინრიხი“. ეს გაუგებრობა კაცმა ქალისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი ადგილის ცვლასთან დაკავშირებულ ფაცი-ფუცს მიაწერა.

მისტერ ბრუკი რაღაცნაირი უკარება კაცი ჩანდა. მოცარტის ჰანგებთან გატარებული წლების, შემცირებული კვინტისა და მინორული ტრიადების გაუთავებელ ახსნა-განმარტებათა წყალობით ფხიზელი პროფესიული მოთმინება ჩამოუყალიბდა. მუდამ თავისთვის იყო. არაფრისმთქმელი, აკადემიური ლაქლაქი და თავყრილობები საშინლად სძულდა. წლების წინათ, როცა მთელმა მუსიკალურმა განყოფილებამ ზაფხულის გატარება ზალცსბურგში ერთად გადაწყვიტა, კოლეგებს ხელიდან დაუსხლტა, უარი მხოლოდ ბოლო წუთს განაცხადა და მარტოდმარტო გაემგზავრა პერუში. თვითონ ბევრი უცნაურობანი სჭირდა და ამიტომაც სხვების ექსცენტრულობის მიტევებაც იოლად შეეძლო; თუმცა მასხარად აგდებასაც არ დაერიდებოდა. ხშირად, როცა რაიმე სახიფათო და ბუნდოვან სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, შინაგანად თავს გაიმხიარულებდა, გრძელი და მშვიდი სახე უშეშდებოდა და ნაცრისფერ თვალებში ნათელი აუკიაფდებოდა.

ერთი კვირის წინათ, როცა საშემოდგომო სემესტრი ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო, მისტერ ბრუკი მადამ ზილინსკის ვესტბრიჯის სადგურზე შეხვდა. კაცმა ქალი უმალვე იცნო. მაღალი, ხმელი ქალი გახლდათ. ფერმკრთალი, გალეული სახე ჰქონდა. თვალები ღრმად დაჩრდილვოდა და მუქი თხელი თმა შუბლიდან გადაეწია. მოზრდილი, თუმცა თლილი, მაგრამ ჭუჭყიანი ხელები ჰქონდა. ამ ყველაფერთან ერთად ქალში რაღაც კეთილშობილური და ძნელად ამოსაცნობი მაინც გამოსჭვიოდა, რამაც მისტერ ბრუკს წამით უკან დაახევინა და მანჟეტების საკინძის წვალებას ნერვიულად მოჰყვა.

ჩაცმულობის მიუხედავად, რომელიც მხოლოდ ჩამოფართხუნებული ქვედატანისა და ძველი, თითქმის დახეული, ტყავის ქურთუკისაგან შედგებოდა, მაინც ელეგანტურად გამოიყურებოდა. მადამ ზილინსკის თან ახლდა სამი ბავშვი, დაახლოებით ექვსიდან ათ წლამდე, ქერათმიანი და ლამაზი ბიჭუნები, დაბნეული გამოხედვა რომ ჰქონდათ, და მოხუცი ქალბატონი, რომელიც მოგვიანებით ფინელი მოსამსახურე გამოდგა.

ეს იმ ადამიანთა ჯგუფი იყო, მისტერ ბრუკმა სადგურში რომ იპოვნა. მთელ მათ ბარგი-ბარხანას მხოლოდ ხელნაწერებით გატენილი ორი უზარმაზარი ყუთი წარმოადგენდა. დანარჩენი ნივთები სფრინგფილდის სადგურში სხვა მატარებელში გადაჯდომისას დავიწყნოდათ. ასეთი რამ ხომ ყველას შეიძლება დაემართოს. როცა მისტერ ბრუკი მათთან ერთად ტაქსში მოთავსდა, გაიფიქრა, ყველა სირთულე უკან დამრჩაო, მაგრამ უცაბედად მადამ ზილინსკი მის მუხლებზე გადაცოცებას შეეცადა და კარებს წაეტანა.

„ღმერთო ჩემო!“თქვა ქალმა. „ჩემი ის დამრჩა-თქვენში როგორ ეძახით? – ჩემი წიკ-წიკ-წიკ“.

„საათის წამოღება დაგავიწყდათ?“ – ჰკითხა მისტერ ბრუკმა.

„ოჰ,არა!“ მგზნებარედ წარმოსთქვა ქალმა.

„იცით, ჩემი წიკ-წიკ-წიკი“, და საჩვენებელი თითი ქანქარასავით აქეთ-იქით გააქნია.

„წიკ-წიკი“, გაიმეორა მისტერ ბრუკმა, თან შუბლი ხელებში ჩარგო და თვალები დახუჭა.

„შემთხვევით მეტრონომს ხომ არ გულისხმობთ?“

„სწორედ! სწორედ! მგონი სხვა მატარებელში გადაჯდომისას დამეკარგა.“

მისტერ ბრუკი ქალის დაწყნარებას შეუდგა და გასაოცარი თავაზიანობით მეორე დღისთვის ახლის შოვნასაც კი შეპირდა. თუმცა მხოლოდ მეტრონომის დაკარგვით გამოწვეული პანიკა უცნაურად მოეჩვენა, რადგან სხვა დანარჩენი ბარგიც უკვალოდ გამქრალიყო და აღარსად ჩანდა.

ზილინსკები მისი სახლის გვერდით დასახლდნენ და ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად აეწყო. ბავშვებიც

უწყინარნი ჩანდნენ. უფროსს ზიგმუნდი ერქვა, მეორეს – ბორისი, ხოლო ნაბოლარას სემს ეძახდნენ. მუდამ ერთად იყვნენ, მწკრივში ჩამდგრებს წინ ჩვეულებისამებრ ზიგმუნდი მიუძღოდათ. ერთმანეთში ესპერანტოს ენით საუბრობდნენ, რომელიც რუსულ-ფრანგული, ფინურ-გერმანული და ინგლისური სიტყვებისაგან შედგებოდა და ყურს საშინლად ხვდებოდა. სხვა ადამიანთა გარემოცვაში კი უჩვეულოდ დუმდნენ. მათ საქციელში მისტერ ბრუკს მხოლოდ ეს არ ეუცნაურებოდა. სხვა ნიუანსებიც მრავლად ერია. აი, მაგალითად, კაცს ბავშვები ქვეშეცნეულად მაინც აღიზიანებდნენ, როცა მასთან სტუმრობდნენ. საბოლოოდ მიხვდა, რომ ზილინსკის ბავშვები ხალიჩაზე არასოდეს აბიჯებდნენ; მის კიდეებს ნაპირ-ნაპირ გაუყვებოდნენ და, თუ ოთახი მთლიანად მოფარდაგებული იყო, კარის ზღურბლთან ყოვნდებოდნენ. შინ არამც და არამც არ შედიოდნენ. ამას გარდა, კვირები გადიოდა, მაგრამ მადამ ზილინსკის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მაგიდისა და რამდენიმე საწოლის გარდა სახლი სხვა ავეჯითაც გაეწყო. წინკარი დღე და ღამე ღია ეგდო და სახლი მალე ოდესღაც მიტოვებულ საეჭვო და უკაცრიელ ადგილს დაემსგავსა.

კოლეჯი მადამ ზილინსკით ფრიად კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. ქალი დაუოკებელი შეუპოვრობით მოღვაწეობდა. მის აღშფოთებას საზღვარი არ გააჩნდა, როცა ვინმე მერი ოუნსი ან ბერნადინე სმიტი სკარლეტის მეთოდით ინსტრუმენტზე დაკვრას სათანადოდ ვერ მოახერხებდა. ქალს კოლეჯის სტუდიისათვის ოთხი პიანინო „დაეთრია“ და ოთხ დაბნეულ მოსწავლეს ბახის ფუგებში ერთდროულად ამეცადინებდა. ასეთი საქციელის გამო ფაკულტეტზე ატეხილმა ხმაურმა მადამ ზილინსკის ნერვიც არ აუტოკა, რადგან ღრმად სწამდა, რომ თუ ოდესმე თავისუფალი ნება და ძალმომრეობა რომელიმე მუსიკალური იდეის განხორციელებას დათრგუნავდა, რაიდერის კოლეჯიც არსებობას წამსვე შეწყვეტდა.

ღამღამობით ქალი საკუთარ მეთორმეტე სიმფონიას წერდა. აშკარა იყო, თითქმის არ ეძინა. როცა არ უნდა შეევლო თვალი მისტერ ბრუკს მისაღები ოთახის ფანჯრისათვის, ქალის სტუდიიდან შუქი გამოდიოდა. არა, მისტერ ბრუკის ეჭვიანობას მარტო პროფესიული საფუძველი არ გააჩნდა.

ოქტომბერი იწურებოდა, როცა კაცმა პირველად იგრძნო, რომ რაღაცა შეეშალა. მათ ერთად ისაუზმეს და მისტერ ბრუკმა ძალზედ ისიამოვნა, როცა ზილინსკიმ 1928 წელს აფრიკაში მოგზაურობისას თავს გადახდენილი წვრილმანი უამბო. მოგვიანებით, შუადღის პირზე, საკუთარ ოფისში ეწვია და კარის ზღურბლთან დაბნეული გაჩერდა. მისტერ ბრუკმა მაგიდიდან თავი აიღო და ჰკითხა:

„რამე ხომ არ გნებავთ?“

„არა, გმადლობთ“, მიუგო მადამ ზილინსკიმ. დაბალი, ლამაზი, მაგრამ ნაღვლიანი ხმა ჰქონდა. „მხოლოდ ერთი რამე მაინტერესებს. მეტრონომი თუ გახსოვთ? როგორ ფიქრობთ, იმ ფრანგთან ხომ არ დამრჩა?“

„ვისთან?“ – ჰკითხა მისტერ ბრუკმა.

„ვისთან და იმ ფრანგთან, ჩემი ქმარი რომ იყო,“ უპასუხა ქალმა.

„ფრანგი,“ რბილად გაიმეორა მისტერ ბრუკმა. მადამ ზილინსკის ქმრის წამოდგენას შეეცადა, მაგრამ გონებამ უმტყუნა. სანახევროდ თავისთვის წაიბუტბუტა, „ბავშვების მამა.“

„მაგრამ არა,“ გადაჭრით წარმოსთქვა მადამ ზილინსკიმ. „სემის მამა.“ მისტერ ბრუკს სწრაფი განჭვრეტის ნიჭი გამოჰყოლოდა. უძლიერესმა ინსტინქტებმა უკარნახა, გაჩუმებულიყო და აღარაფერი ეთქვა, თუმცა წესრიგისადმი ღრმა პატივისცემა, სუფთა სინდისი არ ასვენებდა და თავისდაუნებურად იკითხა: „და დანარჩენი ორის მამა ვინღაა?“ მადამ ზილინსკიმ ხელი თავს უკან წაიღო და ბიჭურად შეკრეჭილი თმა აიჩეჩა. არაამქვეყნიური, ოცნებით აღვსილი სახით იმზირებოდა და პასუხი ცოტა ხნით დააყოვნა. შემდეგ ნაზად წარმოსთქვა, „ბორისი ფლეიტისტი პოლონელის შვილია.“

„და ზიგმუნდი?“ ჩაეკითხა კაცი. მისტერ ბრუკი თავის განუყრელ საწერ მაგიდას დასცქეროდა, რომელზეც გასწორებული ფურცლების მთელი დასტა, სამი წაწვეტებული ფანქარი და სპილოს ძვლის საშრობი ელაგა. მადამ ზილინსკის ახედა, ქალი ღრმა ფიქრებში ჩაფლული იყო. ოთახის კუთხეებს წარბშეჭმუხნული ათვალიერებდა და ყბა უქანავებდა. როგორც იქნა, ხმა ამოიღო და თქვა, „მგონი ზიგმუნდის მამაზე ვსაუბრობდით, არა?“

„არა,“ მიუგო მისტერ ბრუკმა. „სულაც არ არის საჭირო.“

მადამ ზილინსკიმ ღირსების გრძნობით აღსავსე ხმით გადაჭრით მიუგო:

„ერთი უბრალო სოფლელი ბიჭი იყო.“

მისტერ ბრუკს ეს სულაც არ ადარდებდა, ამაზე არც ცუდი აზრის იყო. მიაჩნდა, ადამიანებს ჩვიდმეტჯერაც შეეძლოთ ექორწინათ და ჩინელი ბავშვებიც გაეჩინათ, მაგრამ როცა საქმე მადამ ზილინსკის ეხებოდა, ძალიანაც წუხდა. უცბად გონება გაუნათდა. არცერთი შვილი დედას არა ჰგავდა, თუმცა ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ და, თუ ყოველ მათგანს სხვადასხვა მამები ჰყავდათ, მაშ ასეთი გასაოცარი მსგავსება რაღა იყო?

მაგრამ ქალი ამ საკითხზე აღარ საუბრობდა. ტყავის ქურთუკი შეიკრა და უკან შეტრიალდა. „ნამდვილად იქ დამრჩა,“ თქვა და თავი სწრაფად დააქნია.

„Chez* იმ ფრანგთან.“

მუსიკის ფაკულტეტზე საქმე კარგად მიდიოდა. მისტერ ბრუკს რაიმე სერიოზული სირთულე არ შეხვედრია, გასული წლის იმ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, რომელიც არფის მასწავლებლის გარაჟის მექანიკოსთან ერთად საბოლოო გაპარვას ეხებოდა. მადამ ზილინსკის მიმართ კვლავ ეჭვი ღრღნიდა და ცუდი წინათგრძნობა სტანჯავდა. ვერაფრით გაერკვია, ქალთან ურთიერთობისას რა არ მოსწონდა, ან რა აბნევდა. დავიწყოთ იქიდან, რომ ზილინსკის მთელი მსოფლიო მოევლო და მისი საუბრები კაცს სრულიად უადგილოდ, არაბუნებრივად მიაჩნდა. დღეების განმავლობაში პირს არ გააღებდა,

* Chez – **ფრანგ: - ში; შინ; სახლში.**

სიტყვა არ დასცდებოდა. ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ფიქრიანი სახით დერეფანში დაძვრებოდა. შემდეგ, მოულოდნელად, მისტერ ბრუკს შეაჩერებდა და გრძელ, მომაბეზრებელ მონოლოგს წამოიწყებდა. ასეთ დროს უაზრო გამოხედვა ჰქონდა, ძლიერი აღგზნებისგან თვალები უნათდებოდა და ხმაში სითბო შეეპარებოდა ხოლმე. შეეძლო ყველაფერზე ესაუბრა ან საერთოდ დადუმებულიყო. ნებისმიერი მონაყოლი მაინც უცნაურად, საეჭვოდ გაისმოდა. დალაქთან სემის წაყვანის ამბავს ისე გიამბობდათ, იფიქრებდით, ბაღდადში გატარებულ დღეებს იხსენებსო.

ჭეშმარიტებას ძალიან მალე მიაგნო და ყველაფერს ნათელი მოეფინა. ვითარება უმალ გაირკვა. მისტერ ბრუკი შინ ადრე დაბრუნდა და მისაღებ ოთახში პატარა ბუხარი ააგიზგიზა. თავს მყუდროდ, მშვიდად გრძნობდა. ცეცხლის წინ წინდებითვე მოკალათდა, გვერდით მაგიდაზე უილიამ ბლეიკის რჩეული გადაშალა და გარგრის კონიაკი ჭიქაში ნახევრამდე ჩაისხა. მაჰლერის ბუნდოვანი ფრაზებით თავდამძიმებულსა და ფიქრში ჩაძირულს 9 საათზე ჩათვლიმა კიდეც. მოულოდნელად, ამისთანა ნეტარების ჟამს, გონებაში ორი სიტყვა წამოუტივტივდა. "ფინეთის მეფე". სიტყვები ეცნო, თუმცა თავიდან ადგილის მიჩენა გაუჭირდა. შემდეგ მეხსიერება დაძაბა და გაწყვეტილი საუბრის კვალს გაჰყვა: შუადღისას, კოლეჯისაკენ მიმავალს, მადამ ზილინსკი გადაეყარა და უაზრო ლაქლაქს მოჰყვა. სანახევროდ არც კი უსმენდა, რადგან კონტრაპუნქტის კლასის მიერ წარმოდგენილ კრიტერიუმთა სიჭარბეს საგონებელში ჩაეგდო. სიტყვები, ქალის შეცვლილი ხმა უკვე მზაკვრული სიზუსტით აღიდგინა. მადამ ზილინსკიმ საუბარი ასე დაიწყო: „ერთხელ, როცა patisserie*-ს წინ ვიდექი, ფინეთის მეფემ მარხილით ჩამიარა."

მხატვარი აივენგო ჭელიძე

მისტერ ბრუკმა საკუთარ თავს უხეშად უბიძგა და კონიაკიანი ჭიქა ძირს ჩამოდგა. ქალი პირწავარდნილი მატყუარა გახლდათ, თითქმის ყველაფერი, რასაც კლასის გარეთ როშავდა, სიცრუე იყო. მთელ ღამეს მუშაობაში გართულს, მეორე დღეს შეეძლო ეთქვა, საღამო კინოში გავატარეო. ოულდ ტავერნაში საუზმობის შემთხვევაში გეტყოდათ, საჭმელი შინ, შვილებთან ერთად მივირთვიო. საქმე ისაა, რომ ავადმყოფურად ცრუპენტელაობდა და ამ ყველაფერს ფარდა აეხადა.

* patisserie – **ფრანგ: საკონდიტრო ნაწარმის მაღაზია**

მისტერ ბრუკმა ხელის თითები გაატკაცუნა და წამოდგა. თავდაპირველად გაღიზიანდა, ბრაზმა წამოუარა. დღეგამოშვებით მადამ ზილინსკი მის ოფისს უტიფრად სტუმრობდა და ტყუილებით ბერავდა! გაცეცხლებული მისტერ ბრუკი ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, შემდეგ მომცრო სამზარეულოში შევიდა და სარდინის სენდვიჩი მოიმზადა.

ერთი საათის მერე ცეცხლთან მიფიცხებულს გაღიზიანებამ გადაუარა და ღრმაზრიანი ინტერესი გაუჩნდა. საკუთარ თავს გაანდო, რომ ვითარების პირუთვნელი შეფასება იყო საჭირო. ამას გარდა, მადამ ზილინსკის ისე უნდა მოპყრობოდა, როგორც მკურნალი თავის პაციენტს. ქალის ტყუილები სავსებით უწყინარი იყო. არავითარი შორსწასული მიზანი არ გააჩნდა და ანგარებისაც არაფერი ეცხო, გადასარევი სწორედაც ეს იყო, რომ მათ უკან არაფერი იჩქმალებოდა.

მისტერ ბრუკმა დარჩენილი კონიაკი მოსვა და ნელ-ნელა, თითქმის უკვე შუაღამისას, თავში ახალი აზრი მოუვიდა. მადამ ზილინსკის ცრუპენტელაობის მიზეზი საშინლად მტკივნეული და დღესავით ნათელი აღმოჩნდა.

მთელი ცხოვრება ქალი პიანინოს უკაკუნებდა, სხვებსაც ასწავლიდა და იმ მშვენიერ, უზარმაზარ თორმეტ სიმფონიასაც წერდა. დღე და ღამეს შრომაში ასწორებდა, იღვწოდა, სამუშაოს სულს უბერავდა და სხვა ვეღარაფრისთვის იცლიდა. ის კი, რაც ჩვეულებრივად ადამიანებს ასე გვჭირდება, სულ არ გააჩნდა. ეს ძალიან სტანჯავდა და ამიტომაც რაღაცებს თვითონვე თხზავდა. საღამოს ბიბლიოთეკაში წიგნებში თავჩარგული გალევდა, სამაგიეროდ, მეორე დღეს, ისეთნაირად გამოგიცხადებდათ, მთელ ღამეს კარტს ვთამაშობდიო, მის სიმართლეში იოტისოდენა ეჭვსაც ვერ შეიტანდით. ტყუილი ქალს არსებობას უიოლებდა და ერთფეროვან პირად ცხოვრებას სიხალისეს ჰმატებდა.

მისტერ ბრუკი ცეცხლს მიშტერებოდა და თან მადამ ზილინსკის მკაცრი სახე – მუქი, გადაღლილი თვალებითა და პატარა, ჯიუტად მოკუმული პირით – თვალიდან არ შორდებოდა. კაცს გულში სითბო ჩაეღვარა. შეცოდების, მფარველობისა და შიშნარევი ურთიერთგაგების განცდა ერთდროულად დაეუფლა. წამიერად რაღაც სასიამოვნო დაბნეულობის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მოგვიანებით კაცმა კბილები გაიხეხა და ღამის საცვლები ამოიცვა. პრაქტიკულად უნდა ემოქმედა, ის ფრანგი, ფლეიტისტი პოლონელი და ბაღდადი რაღა შუა-

შია? ეს ბავშვებიც, ზიგმუნდი, ბორისი და სემი ვინღა იყვნენ? ნუთუ მართლა მან გააჩინა? ანდა იქნებ სულაც სადღაც მოაგროვა და თან წამოიყვანა?

მისტერ ბრუკმა სათვალე გაიპრიალა და საწოლის გვერდით მაგიდაზე შემოდო. ყველაფერი უმალ უნდა შეეტყო, თორემ გაჭიანურების შემთხვევაში ფაკულტეტზე ვითარება დაიძაბებოდა და მეტი პრობლემა შეექმნებოდა. ორი საათი იყო . ფანჯარაში გაიხედა. მადამ ზილინსკის სამუშაო ოთახიდან კვლავ სინათლე გამოდიოდა. მისტერ ბრუკი ლოგინში ჩაწვა, სიბნელეში საშინელ გრიმასებს იღებდა და მეორე დღისათვის სათქმელის წინასწარ დაგეგმვას შეეცადა. მისტერ ბრუკი დილის რვა საათზე უკვე საკუთარ ოფისში იყო, საწერი მაგიდის უკან მოკუზული ჩამოჯდა და მადამ ზილინსკის დაუყარაულდა. დიდხანს ლოდინი არც დასჭირვებია და, როგორც კი ქალის ნაბიჯების ხმა შემოესმა, ოთახიდან დაუძახა.

მადამ ზილინსკი კარის ზღურბლთან შედგა. უაზროდ იყურებოდა და გადაღლილი ჩანდა.

„როგორა ხართ? ღამის ისეთი მშვენიერი დასვენება გამომივიდა!“ უთხრა ქალმა.

„ღვთის გულისათვის, სკამზე დაბრძანდით,“ სთხოვა მისტერ ბრუკმა. „სიტყვა მაქვს სათქმელი“

მადამ ზილინსკიმ პორტფელი გვერდზე გადადო და კაცის პირისპირ, სავარძელში მოქანცული ჩაეშვა.

„აბა?“ ჰკითხა მან.

„გუშინ, როცა კოლეჯისაკენ მივდიოდი, საუბარი გამიბით,“ აუჩქარებლად დაიწყო კაცმა. „და თუ არ ვცდები (მაგრამ დარწმუნებული კი ვარ), რომელიღაცა საკონდიტრო მაღაზიაზე მიამბობდით და თან ფინეთის მეფეც ახსენეთ. მართალს ვამბობ, თუ არა?“

მადამ ზილინსკიმ თავი გვერდზე მიატრიალა და ფანჯრის რაფის კუთხეს თვალი გაუშტერა.

„საკონდიტრო მაღაზიაზე რაღაც მითხარით,“ გაუმეორა კაცმა.

ქალს ჩამქრალი სახე გაუნათდა. „რა თქმა უნდა,“ წარმოთქვა მგზნებარედ. „იმას გეუბნებოდით, რომ როცა ამ მაღაზიის წინ ვიდექი და ფინეთის მეფემ –“

„მადამ ზილინსკი!“ დაიყვირა მისტერ ბრუკმა. „არავითარი ფინეთის მეფე.“ მადამ ზალინსკი გახევებული შესცქეროდა. შემდეგ მყისიერად კვლავ თავიდან დაიწყო: „ბჟარნეს პატისსერიეს წინ ვიდექი, როცა გავიხედე და მოულოდნელად ფინეთის მეფე დავინახე –“

„მადამ ზილინსკი ნუთუ არ გესმით, რომ არანაირი მეფე არ არსებობს.“

„ჰელსინგფორსში“, სასოწარკვეთილი ხმით წამოიწყო ისევ ქალმა და კაცმა იგივე გაუმეორა.

„ფინეთი დემოკრატიული სახელმწიფოა“, თქვა მისტერ ბრუკმა. „ასე რომ, იქ მეფეს ვერ ნახავდით. რაც თქვენ ახლა თქვით, ტყუილია, მტკნარი სიცრუეა და მეტი არაფერი.“

მისტერ ბრუკს ქალის სახე მერე დიდხანს არ ავიწყდებოდა. თვალები სირცხვილით, შიშით აღევსო და ჩიხში მომწყვდეულის შეშფოთება გამოხატვოდა. კაცს ისეთნაირად უმზერდა, იფიქრებდით, მისი მთელი შინაგანი სამყაროს შუაზე გახლეჩა და განადგურება სწადიაო.

„საწყენია,“ გულწრფელი სიმპათიით თქვა მისტერ ბრუკმა.

მაგრამ მადამ ზილინსკიმ ძალა მოიკრიბა. ნიკაპი ასწია და ცივად თქვა:

„ფინეთში დავიბადე და ფინეთის მოქალაქე ვარ.“

„ძალიანაც კარგი,“ ხმამაღლა მიუგო მისტერ ბრუკმა.

„ომის დროს,“ მგზნებარედ განაგრძო ქალმა. „მოტოციკლეტს დავაქროლებდი და ჯაშუში ვიყავი.“

„პატრიოტიზმი აქ არაფერ შუაშია.“

„ამიტომაც ვაქვეყნებ მაშინდელი ჩანაწერების პირველ გვერდებს.“

„მადამ ზილინსკი!“ თქვა მისტერ ბრუკმა, თან ხელებით საწერი მაგიდის ნაპირს ჩასჭიდებოდა. „სრულიად გამოუსადეგარი და შეუფერებელი პუბლიკაციაა. ფაქტი ისაა, დაბეჯითებით ამტკიცებდით, რომ თქვენ იხილეთ-რომ თქვენ იხილეთ-“ მაგრამ აზრის დასრულება ვეღარ დასცალდა. ქალის გამომეტყველებამ შეაჩერა. მკვდრისფერი ედო და პირის კუთხეებთან ჩრდილები გასჩენოდა. თვალები ფართოდ გაეხილა, განწირული, მსჯავრდადებული, მაგრამ მაინც ამაყი მზერა ჰქონდა და მისტერ ბრუკმა უცბად საკუთარ თავში კაცის მკვლელი შეიცნო. გრძნობათა დიდმა ჭიდილმა, სადაც ურთიერთგაგება, სიბრალული და უგნური სიყვარული ერთად მძვინვარებდა, აიძულა სახე ხელებით დაეფარა. ვიდრე არ დაწყნარდა, ხმაც ვერ გაიღო, ხოლო შემდეგ ძალიან მისუსტებულმა წაილუღლუღა: „დიახ, რა თქმა უნდა, ფინეთის მეფე. მშვენიერი თუ მაინც იყო?“

ერთი საათის შემდეგ მისტერ ბრუკი ოფისის ფანჯრიდან იყურებოდა. ვესტბრიჯის წყნარი ქუჩის გასწვრივ ჩარგულ ხეებს ფოთლები მთლად გაძარცვოდათ და კოლეჯის ნაცრისფერი კორპუსებიც მშვიდად, სევდის მომგვრელად იდგნენ. ნაცნობი ადგილის უქმად თვალიერებისას ქუჩის ბოლოს კოჭლობით მიმავალი დრეიკების ბებერი ეარდეილი შენიშნა. ადრეც უთვალავჯერ დაუნახავს, მაგრამ ახლა უცნაურად რად მოეჩვენა? თუმცა, მოგვიანებით, ოდნავ ცივი გაოცებით მიხვდა, რომ წინათ ძაღლი სირბილით აედევნებოდა ხოლმე. იქამდე უცქირა, ვიდრე ეარდეილი თვალს მიეფარებოდა, შემდეგ კი კვლავ კონტრაპუნქტის კლასის მიერ შემოთავაზებულ კრიტერიუმებს მიუბრუნდა და სამუშაო განაახლა.

ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
სხდომათა დარბაზში
გაიმართება ალმანახ

„კრიტიკის“

ახალი ნომრის განხილვა
დასაწყისი 13 საათზე

კოსტავას 5

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ბოლაშვილმა

მთარგმნელისაგან

ქარსონ მაკქალერსი 1917 წელს ჯორჯიის შტატის ქალაქ კოლუმბასში დაიბადა. ოცდათერთმეტი წლისას დამბლა დაეცა, რის შემდეგაც მარცხენა მხარე მთლიანად პარალიზებული დარჩა. ერთხანს მხოლოდ ცალი თითით ბეჭდავდა, ხოლო გარდაცვალებამდე, წლების მანძილზე, როგორც მისი და გვამცნობს, საწერ მაგიდასთან ჯდომაც კი არ შეეძლო. 1938 წელს ცოლად გაჰყვა ჯეიმზ რიკის მაკქალერსს, რომელიც ამერიკის ჯარში კაპრალად მსახურობდა. ქორწინება წარუმატებელი აღმოჩნდა და ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ და რამდენჯერმე ისევ შეუღლდნენ კიდეც, მაგრამ 1953 წელს საბოლოოდ მაინც განქორწინდნენ; მოგვიანებით ყოფილმა ქმარმა თავი მოიკლა.

წერა ოცი წლისამ დაიწყო და ოცდასამისას „მარტოხელა მონადირის გული“ უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა. აღიარება მალე მოიპოვა. მწერლის სხვა ნაწარმოებებია „ოქროს თვალის ანარეკლები“ (1941), „ქორწილის მონაწილე“ (1946. ეს წიგნი 1950 წელს ნიუ-იორკის კრიტიკოსთა პრიზით დაჯილდოვდა და ლონდონის როიალ ქორთ თეატრის სცენაზე დაიდგა), „სევდიანი კაფის ბალადა“(1951), „საოცრებათა ოთხკუთხა ფესვი“ (1958), პიესა „საათი ისრების გარეშე“ (1961), „კიტრის წნილივით ტკბილი და ღორივით სუფთა“ (1964) და „დაგირავებული გული“ (დაიბეჭდა მწერლის გარდაცვალების შემდეგ 1972 წელს). 1942-43 და კვლავ 1946 წლებში იყო გუგენჰემის წევრი. 1945 წელს დაჯილდოვა ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიამ, რომლის წევრი თვითონაც გახლდათ. გარდაცვალების დღემდე (1967) ცხოვრობდა ნიუ-იორკის ნეიკში.

გამოჩენილი ინგლისელი მწერალი გრემ გრინი ქარსონ მაკქალერსის შესახებ წერდა: „ქალბატონი მაკქალერსი და ალბათ ბატონი ფოლკნერიც ის ერთადერთი მწერლები არიან, რომელთაც დეივიდ ჰერბერტ ლორენსის სიკვდილის შემდეგ ორიგინალური პოეტური მგრძნობელობა შეინარჩუნეს. პირადად მე, ბატონ ფოლკნერს ქალბატონი მაკქალერსი მირჩევნია, რადგან უფრო გასაგებად წერს; მას დეივიდ ჰერბერტ ლორენსსაც ვამჯობინებ, რადგანაც მწერალ ქალს არანაირი

გივი გამრეკელი

ანანდი – მსოფლიოს მეთხუთმეტე ჩემპიონი

ჭადრაკის მოყვარულნი ყოველთვის დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ცვლილებებს ე.წ. „რეიტინგ-ლისტში“. ეს თავისებურ ძალთა შედარებითი ნუსხა წელიწადში ორჯერ ქვეყნდება: იანვარსა და ივლისში. სპეციალისტთა აზრით, დღეს მსოფლიოში სულ სამი (ადრე გაცილებით მეტი იყო) დიდი მოჭადრაკეა და ახლანდელ „რეიტინგ-ლისტშიც“ პირველი სამი ადგილი სწორედ მათ უჭირავთ. ივლისისათვის პირველი იყო ინდოელი ვიშვანათან ანანდი, მეორე ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, მესამე კი მსოფლიო ჩემპიონი, რუსი ვლადიმირ კრამნიკი. რახან ტოპალოვს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება არ გააჩნდა (ჩვენ ამაზე უკვე ვწერდით), ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ სექტემბერში, როცა მეხიკოში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყებოდა, პირველი ადგილისათვის სწორედ კრამნიკი და ანანდი იბრძოლებდნენ.

გადავხედოთ ამ პირველობის მონაწილეთა სიას. ანანდის მხარეზე იყო უდიდესი გამოცდილება ინდოელი მოჭადრაკე (დაიბ. 1969 წელს) პირველია, ვინც თავის ქვეყანას დიდოსტატის წოდება მოუტანა. ამან უძველესი კულტურის ქვეყანა ისე შეაგულიანა, რომ დიდოსტატებმა პირდაპირ იბარტყეს. თვით ანანდს, რომლის ერთ-ერთი მწვრთნელი ჩვენი ქართველი მოჭადრაკე, ამჟამად ესპანეთში მცხოვრები ელიზბარ უბილავაა, საერთაშორისო ასპარეზზე პირველი პრიზების ისეთი უზარმაზარი კოლექცია აქვს, რომ მათი ჩამოთვლა ახლა ცოტა არ იყოს, შეუძლებელიცაა.

მთავარი მაინც ვთქვათ: 1995 წელს ინდოელმა ითამაშა დიდი მატჩი მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვთან, რომელიც იმ დროისათვის უძლეველად მიიჩნეოდა. ორთაბრძოლის პირველ ნახევარში ანანდი დაწინაურდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა – 7,5:10,5. რახან ამის შემდეგ კასპაროვი გავიდა ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაციიდან, ანანდი გადაერთო მსოფლიოს სხვა პირველობის გათამაშებაზე – ფიდეს სისტემით. 1998 წელს ინდოელი აქაც დამარცხდა – ანატოლი კარპოვთან 4:6, მაგრამ 2000 წელს მაინც მიაღწია მიზანს – ალექსეი შიროვს მოუგო ანგარიშით 3,5:0,5 და მსოფლიო ჩემპიონი გახდა ფიდეს ხაზით. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციაში, რომელსაც ერთპიროვნულად განაგებს ყალმუხი მილიონერი კირსან ილუმჟინოვი, ბევრი რამ არის არეულ-დარეული. და აი, ქაოსის კიდევ ერთი გამოხატულება: გადაწყვიტეს მსოფლიო ჩემპიონებად აღარ ჩაეთვალათ ისინი, ვინც ეს წოდება ფიდეს ხაზით მოიპოვეს. ასე ჩამოართვეს წოდებები ალექსანდრ ხალიფმანს, იმავე ანანდს, რუსლან პონომარიოვსა და რუსტამ კასიმჟანოვს. ზოგზე ამ დარტყმამ გამანადგურებლად იმოქმედა, ანანდმა კი სულაც არ დაყარა ფარ-ხმალი: მან გადაწყვიტა, მსოფლიო პირველობისათვის განახლებული სისტემის მიხედვით ებრძოლა: ამიერიდან მატჩების ნაცვლად ორწრიანი ტურნირები უნდა გამართულიყო 8 უძლიერესი დიდოსტატის მონაწილეობით.

პირველად ასეთი ასპარეზობა 2005 წელს სან-ლუიში (არგენტინა) გაიმართა. ანანდმა მიზანს ვერ მიაღწია – 14 შესაძლებლიდან 8,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება ბრწყინვალე შედეგით – 10 ქულა (და თანაც დაუმარცხებლად!) ვესელინ ტოპალოვმა მოიპოვა.

ბოლო ორმა წელმაც ძალიან მალე გაირბინა. მეხიკოში 8 გამოჩენილმა დიდოსტატმა მოიყარა თავი. შემადგენლობა ამჯერად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სან-ლუიში. მართალია, არ თამაშობდა ტოპალოვი, მაგრამ იგი კრამნიკმა შეცვალა. ძველი შემადგენლობიდან იყვნენ: პეტრე სვიდლერი, ალექსანდრ მორიზევიჩი, პეტერ ლეკო, ახლები: ბორის გელფანდი, ლევინ არონიანი და ალექსანდრ გრიშჩუკი. აქვე ვთქვათ, რომ არცერთს ამ ექვსეულიდან არავინ ჩემპიონობის პრეტენდენტად არ მიიჩნევდა. მათ შეეძლოთ მეტ-ნაკლებად კარგად ეთამაშათ, მაგრამ პირველი ადგილისათვის კრამნიკისა და ანანდის ბრძოლაში ვერ ჩაერეოდნენ. ეს აზრი საბოლოოდ სავსებით გამართლდა კიდეც.

ვიშვანათან ანანდი

მაშ ასე, კრამნიკი თუ ანანდი?!

ორივე ფავორიტი დიდხანს და აუღელვებლად თამაშობდა. კრამნიკი, რომელსაც ზურგი, რომ იტყვიან, გამაგრებული ჰქონდა (ამ თავისებურ ფაქტორზე სჯობს ოდნავ მოგვიანებით ვისაუბროთ), სატურნირო „მიტელშპილშიც“ არ ამწვავებდა სიტუაციას, ყაიმს ყაიმი მიჰყვებოდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მსოფლიო ჩემპიონს შეხვდებოდა მორიზევიჩი, თანამედროვე არსენა თუ რობინ ჰუდი. საქმე ისაა, რომ მორიზევიჩთან თამაში ზოგისთვის ძალიან ადვილია, ზოგისთვის კი ძალიან ძნელი. მოსკოველი მიმართავს მეტად თავისებურ დებიუტებს (მათზე თანამედროვე საჭადრაკო ენციკლოპედიებში ვერაფერს ნახავთ), თავიდანვე ამწვავებს ბრძოლას, ძალიან ხშირად ლახვარი უძლიერეს მონაწილეებამდეც კი აღწევს, ზოგჯერ კი მისი პირი ბლაგვდება და ახალგაზრდა დიდოსტატიც ისეთ მოჭადრაკეებთან მარცხდება, რომლებთანაც წესითა და კანონით არ უნდა წააგოს. მკითხველი უკვე მიხვდა, რომ ასეთი ორლესული იარაღით მორიზევიჩმა პირველი დამარცხება (ამ ტურნირში ერთადერთი) აგემა კრამნიკს, შემდეგ კი, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, წააგო ერთ ჩვეულებრივ მონაწილესთან. როცა ანანდთან შეხვედრის რიგი დადგა, მორიზევიჩს აღმაფრენა აშკარად აკლდა და ისე დამარცხდა, როგორც ჩვეულებრივ მარცხდება ხოლმე – თითქმის უბრძოლველად.

ერთი სიტყვით, ანანდი დაწინაურდა და ეს უპირატესობა ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია. საბოლოო ანგარიშით, 14 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა: 4 მოგება და 10 ყაიმი, დაუმარცხებლად. ეს შედეგი შეიძლება უარესია, ვიდრე ტოპალოვისა ორი წლის წინათ, მაგრამ აკი ვთქვით, რომ წლევანდელი შემადგენლობა უკეთესი იყო.

მსოფლიოს ახალ, რიგით მეთხუთმეტე ჩემპიონს თითო ქულით ჩამორჩნენ კრამნიკი და ამჯერად დიდი აღმავლობით მოთამაშე ყოფილი მინსკელი, ახლა კი ისრაელის სახელით მოთამაშე ბორის გელფანდი. იგი აქამდე მრავალ ტურნირში კრამნიკის „საჭურველმტვირთველად“ თუ ითვლებოდა, ახლა კი, კრამნიკის ბოლო ტურში მოგება რომ არა (ლევინ არონიანთან), კიდევაც გაუსწრებდა მას.

დავუბრუნდეთ იმ ფაქტორს, რომლის ახსნასაც დაგპირდით. საქმე ისაა, რომ რახან ამ ტურნირში ტოპალოვი არ მონაწილეობდა, ანანდის გამარჯვება ნავარაუდევიც იყო. კრამნიკი არ არის სატურნირო მებრძოლი, მას ურჩევნია თამაში ერთიერთზე, სადაც თავს გაცილებით უკეთესად გრძნობს – 2000 წელს ხომ თვით გარი კასპაროვიც კი დაამარცხა. და აი კრამნიკმა თავიდანვე დაიჭირა თადარიგი: თუ მეხიკოში ვერ გაიმარჯვებდა, ამ შემთხვევაში მან საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას აღადგენინა მატჩ-რევანშის წესი (იგი ხომ კარგა ხნის წინათ გაუქმდა და ეს სრულიად სამართლიანად იქნა მიჩნეული). ამ წესის თანახმად, კრამნიკს (რომელ ადგილზეც უნდა გამოსულიყო, თუნდაც უკანასკნელზე – მერვეზე!) აქვს უფლება გაისად შეხვდეს ახალ მსოფლიო ჩემპიონს, დიახ, ერთიერთზე, ყოველგვარი „მოწმეების“ გარეშე (იქ ხომ არც მორიზევიჩი იქნება და არც გელფანდი), დიდ მატჩში მსოფლიო პირველობაზე, სავარაუდოდ 14 პარტიაში.

ერთი სიტყვით, წოდების დაკარგვა ძალიან მწარეა, მაგრამ მისი დაბრუნების იმედიც ხომ არ დაკარგულა. 2008 წლამდე ანანდს შეუძლია იზეიმოს. ბოლოსდაბოლოს, ინდოეთმა, სადაც ჭადრაკი გამოიგონეს, ეს პატივი ხომ სავსებით დაიმსახურა. აი, ერთი წლის შემდეგ კი ჩვენ ახალი ორთაბრძოლის მომსწრენი უნდა გავხდეთ, ორთაბრძოლისა, სადაც ერთმანეთს თანამედროვე ჭადრაკის ორი აღიარებული კორიფე უნდა შეხვდეს.

რაც შეეხება მესამე კორიფეს, ვესელინ ტოპალოვს, რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად აწყენინეს და სტატისტის როლი დააკისრეს, რა გაეწყობა, კიდევ კარგა ხანს უნდა იცადოს.

ჯერჯერობით კი „კარგად იცინის ის, ვინც იცინის... სალაროსთან“ (აფორიზმი ეკუთვნის დიდოსტატ ალექსანდრ კოტოვს).

სოფლის კლუბის შორიახლოს

ნახევარი საუკუნის წინათ, როდესაც პატარა საქართველო მნარედ გმინავდა უზარმაზარი რუსეთის მძიმე უღელქვეშ, თბილისში სტუმრად მოწვეულმა სახელოვანმა რუსმა პოეტმა ანდრეი ვოზნესენსკიმ დუელში გამოიწვია ერთი არანაკლებ სახელოვანი ქართველი პოეტი (გვარს ნუ დავასახელებთ!).

უთქვამს დალოცვილ სტუმარს თავისი ქართველი მასპინძლისათვის, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავარკვიოთ ერთხელ და სამუდამოდ, ვინ უკეთესი მელექსეა თავისუფალ ერთა მძლე კავშირში ძმურში – რუსი თუ ქართველიო. ჰოდა, ფალავნობა მე და შენ გვერგო წილად, უნიკალური პოეტური დუელი უნდა გავმართოთო.

სიუჟეტიც თვითონ შეუთხზავს. მოდი, ერთიმეორეს გვარი გავურითმოთ ლექსში და ვისაც უფრო ლამაზად გამოუვა, გამარჯვებულიც ის იქნებაო. დამარცხებულმა რა უნდა ქნასო? – სასოწარკვეთილი ხმით უკითხავს სასიკვდილოდ განწირულ ქართველს. ვოზნესენსკიმ მიუგო: რა უნდა ქნას და გამარჯვებულს ხუთი თუმანი გადაუხადოსო. ქართველს გულზე მოეშვა: კაი, ჩემო ბატონო, ხუთი თუმანი რა ბედენაა, ჩვენს ბედკრულ სამშობლოს წყეულ წარსულში მაგაზე უარესი ხარკიც გადაუხდიაო.

რაც შეეხება ხსენებულ ხუთ თუმანს, იმ შავბნელ ეპოქაში ხუთ თუმნად ორი ვაჟკაცი ისე მოილხენდა მოსკოვის საუკეთესო რესტორანში, მეტი რომ არ შეიძლება! იკრაწასმულ ასატრინას ორთავიანი არწივის საცივში ამოავლებდნენ, სტალინის კუთვნილ სპეცხვანჭკარას დაეწაფებოდნენ და თუკი გალეწვა არ ედოთ გულში, შეეძლოთ მესამეც მიეპატიჟათ გაშლილ სუფრაზე (третьим будешь?), ვთქვათ, ქართველი ხალხის დიდი თაყვანისმცემელი ევგენი ევტუშენკო, გიჟივით რომ იყო შეყვარებული ქართულ პურმარილსა და ქართულ პოეზიაზე.

პირველი გასროლის უფლება, რასაკვირველია, ეკუთვნოდა ვოზნესენსკის, როგორც ყველაზე უფროს ძმას თხუთმეტ ძმათაგან. და აი, რა ბრძანა ბორის პასტერნაკის ხელდასხმულმა რუსმა მგოსანმა:

В нашем славном океане
Угощал Я Чарквиани.

იმდენი მაგას არ აუდგა... გვერდები, რამდენიც ქართველების დაპატიჟების მეტი თითქოს არაფერი ახსოვდათ. გადაჭამეს და გადაყლურწეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მუქთა რესტორნად გადაქცეული საქართველო, რომელსაც თავი მოსწონდა, ჩემისთანა რესტორანი მეორე არ იქნება დიდ საბჭოთა სამშობლოშიო; სტუმრები კი საზღაურად კალამბურებს გვიძღვნიდნენ: რის ჰუმანიზმი და რა პროგრესიზმი, მაგათ მარტო პრიგლასიზმი და უგოსტიზმი იციანო (ეჰ, ეგ წყეულნი, ვინ იცის, ეგებაც მართალს ამბობდნენ).

კეთილი და პატიოსანი. დავიწყნაროთ აწიოკებულ-აოხრებული ნერვები და მოვეშვათ ნაგვიანევ ანგარიშსწორებას. როგორც რუსები ამბობენ, სადილის შემდეგ მდოგვი (გარჩიცა) ვის გაუგონია! დღევანდელ აყვავებულ და დალხინებულ საქართველოში მუშტის მოღერება უბედური რუსისათვის, მეტი რომ არა ვთქვათ, სასაცილოა. კისერიც უტეხიათ მაგ მათხოვრებს, სულაც გადაშენებულან, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში რაც უნახავთ, იმას ხომ ვეღარ ნახავენ! ისეთი ბატონ-პატრონი ვიშოვეთ, რომ თქვენი მოწონებული! ოღონდ ამერიკული დემოკრატიის ცეცხლი დაანთეთ და დანარჩენი ჩვენზე იყოსო. საჭმელ-სასმელი მუქთად გექნებათ და რუსეთის დასაჩოქებლად ხანჯლებსაც დაგირიგებთო.

... ამასობაში ქართველის ჯერიც დადგა. ადგა ქართველი და გაისროლა. გაისროლა, მარა რა გაისროლა! ისეთი გაისროლა, რომ, ვოზნესენსკის ჯვარი სწერია, აწ განსვენებულ პუშკინსა და ლერმონტოვს, მსოფლიო კლასის დუელიანტებს, შეშურდებოდათ!

აი, რა ბრძანა ირაკლი აბაშიძის ხელდასხმულმა ქართველმა პოეტმა:

Клуба возле сельского
Имел Я Вознесенского.

ისე, რავარია? სხვას რომ თავი დავანებოთ, რუსული ენისა და პოეზიის გემოც მშვენივრად სცოდნია. ნეანდერტალელი მოწაფეც კი მიხვდება, რომ სტრიქონს „возле клуба сельского“ ყველა დურაკი იტყოდა, მაგრამ სტრიქონი „клуба возле сельского“ ოდენ ჭეშმარიტ პოეტ-ერუდიტს თუ გაუბრწყინდებოდა თავში.

ახლა ისიც წარმოიდგინეთ, „ლუჟნიკის“ გადაჭედილი ტრიბუნებისა და „კარნეგი-ჰოლის“ პირთამდე სავსე დარბაზის ტაშებით განებივრებული ვოზნესენსკი რა გუნებაზე დადგებოდა, სოფლის კლუბში რომ მიაბრძანა ქართველმა კოლეგამ...

უფროს ძმასთან უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებული კი თავს ისაწყლებ-იკატუნებდა: რუსული ცუდად ვიცი, სკოლაში სულ ორიანებს მიწერდნენ (სძულდა, აკვნიდანვე სძულდა!), თორემ მე მაგას ვუჩვენებდი სეირსო!

ნეტავი მეტი რაღა უნდა ეჩვენებინა?!

აი, ასე დასცა ბეჭებზე ჩაგრული ქვეყნის შვილმა მჩაგვრელი ქვეყნის შვილი, და მერე როგორი შვილი – თვით ანდრეი ვოზნესენსკი, მშვენება და სიამაყე XX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული პოეზიისა, ერთადერთი და განუმეორებელი...

ეს დიდებული შემოქმედი ეგებ ასე სამარცხვინოდ არ დამარცხებულიყო, ერთ გრამზე მეტი ქართული სისხლი რომ უჩუხჩუხებდეს ძარღვებში (ხომ გახსოვთ, თავის ერთ პოემაში ტრაბახობდა: შორეული წინაპარი ქართველი მყოლია და ერთი გრამი ქართული სისხლი უფალმა მეც მიწყალობაო).

ეჰ, ქართული სისხლი ლიტრობით რომ იყიდებოდეს ბაზარში, მთელი რუსეთი გადაისხამდა. ძმაო-ძმობილო, ეგრე სად არი... ნურას უკაცრავად... ვერ მოგართვით...

ეს თქვენგან წიხლნაკრავი ქართული ღვინო როდია, წმიდათაწმიდა სისხლი გახლავთ, სადარდაღვრილი, სადარქებული!

დიანა და სელიმი

თვალის დახამხამებაში ჯადოსნურად იცვლება ცხოვრება. აბა წუთით წარმოიდგინეთ (ოდენ მანდილოსნებს ეხება!), რომ უდარდელად-უზრუნველად მისეირნობთ სამგზავრო კატერით, რომელიც დაფუსფუსებს ნიუ-იორკის ყურის კუნძულებს შორის და უეცრად გრძნობას კარგავთ ანუ ითიშებით. და როდესაც გონს მოხვალთ, დაინახავთ, რომ იმყოფებით... აღმოსავლურ ჰარემში (რაო, დასავლური ჰარემიც არსებობს?) ბარე ხუთასამდე ბანოვანთან ერთად. დიახ, დიახ, ნამდვილი ჰარემი გახლავთ, რომელიც არაერთხელ არის აღწერილი „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებში.

ასე იწყება ფრანგული ფილმი „ჰარემი“ (1985); რეჟისორი – არტურ ჟოფე, მთავარ როლებში – ნასტასია კინსკი და ბენ კინგსლი.

დიანა ენდრიუსი თანამედროვე საქმიანი ქალია (ანუ ბიზნესვუმენი), ენერგიული და შრომისმოყვარე; იგი მაკლერად მუშაობს ნიუ-იორკის ბირჟაზე. მისი აწყობილი ცხოვრება მიედინება მკაცრად განსაზღვრულ რიტმში. დღისით – მჩქეფარე სამსახური, საღამოობით – ნეტარი მარტოობა, რასაც მკაცრად განსაზღვრულ დროში არღვევს კოპნია ბოიფრენდი, რომელსაც გერლფრენდი მაინცდამაინც არ ებღაუჭება.

და აი, მოულოდნელი, შემაძრწუნებელი მეტამორფოზა.

თურმე კატერით სეირნობისას ჩაიში ჩაუყარეს საძილე წამალი და სანამ ეძინა, ელვისებური სისწრაფით გადაისროლეს არაბი შეიხის სელიმ იბნ... იბნ... იბნ მავანის ზღაპრულ სასახლეში, სადღაც სპარსეთის ყურის სანაპიროზე.

რეჟისორი ტრაფარეტულ გზას რომ გაჰყოლოდა, კიდევ ერთხელ ვიხილავდით ეკრანზე ავხორც შეიხს, უბედურ მსხვერპლს (ამერიკელი ქალი – ფანატიკოსი მუსლიმის ბრჭყალებში!) და უშიშარ „კოვბოის“, რომელიც დაიხსნიდა მზეთუნახავს ცხრათავიანი დევის ტყვეობიდან.

მაგრამ ჟოფემ სხვა გზა აირჩია.

ოღონდ თავდაპირველად ტრადიციას მისდევს.

ეკრანზე მოჩანს ვეებერთელა საცურაო აუზი, გადატენილი ათასი ჯურისა და მოდგმის ქალებით. აქვეა ვეება ზანგი საჭურისი; აქვეა შემზარავი დედაბერი – ზედამხედველი ჰარემისა მათრახით ხელში. თავზარდაცემული დიანა პირველი წუთებიდანვე გაქცევას ფიქრობს, მაგრამ სად გაიქცევი, ირგვლივ თვალუწვდენელი უდაბნოა.

დებიუტანტს მალე მოუწევს რიგი. ფერუმარილით თხაპნიან, თვალებს უხატავენ, ტუჩებს უღებავენ, ლოყაზე ხალს დააკერებენ, აღმოსავლურ სტილში გამოპრანჭავენ და გზავნიან სელიმთან. აქ კი დიანას ეგებება სიურპრიზი – არაბი შეიხი თურმე 35 წლის ვაჟკაცი ყოფილა, სპორტული აღნაგობისა, ინტელიგენტური შესახედაობისა, ზრდილი და თავაზიანი. ხაზგასმულია მისი უშუალობა და სულიერი სიფაქიზე.

„ჰარემი“ რომანტიკული სიყვარულის ამბავს ასახავს.

სელიმი უცნაური ვინმეა, არ მიეკუთვნება არც გარდასულ ხანას და არც ახალ დროებას; არც აღმოსავლეთს და არც დასავლეთს; არც ჰარემი სჭირდება და არც ბირჟა. ჰარემი მემკვიდრეობით ერგო, იშვიათი სტუმარია იქაურობისა და სულაც არ აღელვებს, რომ კავალრები ნავთობის მაძიებელთაგან ეტანებიან მის ხარჭებს. სელიმი უხალისოდ მიეშურება არაბ ლიდერთა თავყრილობაზე, სადაც ეკონომიკური პრობლემების გარშემო მსჯელობენ. ერთი სიტყვით, კაფკას თუ კამიუს პერსონაჟებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ჰოლივუდის ბესტსელერთა ყოვლისმპყრობელ რაინდებს.

ახლა ორთაჭალის ბაღში ნახეთ, ვინაა! განათლებული და თანამედროვე ბედუინი ვერ ბედავს თვალშიჩავარდნილი დიანას გაცნობას ნიუ-იორკში და მოტაცებას ამჯობინებს. მაგრამ რათ გინდა! იმის მაგივრად, რომ აჩვენოს ვნებიანი არაბი მიჯნურის პოტენცია, მაშინვე ჰპირდება, აქედან გაგიშვებო (რაღას იტაცებდი, შე ოჯახქორო?), თუმცა გაგიჟებით უყვარს და ავიწყდება, რომ ამ გადაკარგულ უდაბნოში მისი სრულუფლებიანი მბრძანებელია. გადაირევი კაცი, როდესაც დაინახავ: დიანასაც შეუყვარდა, ის კი დაბნეული და დათრგუნული უფროა, ვიდრე ბედნიერი.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ფილმი გულისხმობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეუთავსებლობას ყველაფერში – სიყვარულის ჩათვლით, მაგრამ განა ისმაილიტთა სექტის წინამძღოლი არ იყო, გასული საუკუნის 30-იან წლებში ცოლად რომ შეირთო პოპულარული ინგლისელი მსახიობი?

მაყურებლისათვის გაუგებარი რჩება სელიმის მოულოდნელი აღსასრული, მარჯვედ შენიღბულ თვითმკვლელობას რომ წააგავს.

პრესა და ტელევიზია თავგამოდებით აქებდა ფრანგი რეჟისორის ორიგინალურ ფილმს. აღმოსავლური ეგზოტიკის ახალი რაკურსით ჩვენებამ მიიზიდა მაყურებელი. ეკრანზე „ჰარემის“ გამოსვლის პირველ დღეებში კინოთეატრებთან მაყურებელთა გრძელი რიგები იდგა.

მერე ნელ-ნელა დაიწრიტა ზღვა და ბოლოს სულაც ამოშრა. ხურმა თქვენი იყოს, კაფკა და კამიუ არ დაგეკარგოთო...

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 17 ოქტომბერს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრმა დომინიკ ირტენკაუფმა (გერმანია) წაიკითხა მოხსენება: „შედარებითი მითოლოგია: გერმანია-საქართველოს შორის საზღვრის მონაცვლეობა – ამირანი ინტერესთა ცენტრში“.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მაკა ელბაქიძემ.

ეს გამოკვლევა ამირანზე ჩაფიქრებული აქვს მომავალი ლიტერატურული წიგნის ნაწილად – მითოლოგიურ მასალასა და მოტივებზე მუშაობას იგი გაიაზრებს, როგორც მუშაობას მითოსზე ჰანს ბლუმენბერგივით, ვისი სწორედ ამ სახელწოდების წიგნი („მითოსზე მუშაობა“) რამდენიმე ათწლეულის წინათ გამოიცა მაინის ფრანკფურტში.

ახალგაზრდა გერმანელი მკვლევარისათვის საინტერესოა მითოლოგიური ტექსტის გადამუშავებანი, ვარიაციები, მუტაციები – მისი წიგნი თავს უყრის ამირანის მითოსის ფრაგმენტებს და აკავშირებს საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებთან.